

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი
აკაკი წერეთლის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XLV
რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქუთაისი
2025 წლის 17-18 ოქტომბერი

თბილისი
2025

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2025 წლის
17-18 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში**

რეგლამენტი

მომხსენებელს – 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი:

მანანა ბუკია

ლელა გიგლემიანი

გიორგი გოგოლაშვილი

ნანა მაჭავარიანი

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ა ნ რ ი გ ი

17 ოქტომბერი

კონფერენციის გახსნა

მერაბ ჩუხუა – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი

მისალმებები

ნანა მაჭავარიანი – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

შალვა კირთაძე – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

I სხდომა

13:00 სთ.

თავმჯდომარეები: ნანა მაჭავარიანი, მერაბ ჩუხუა

ნოდარ არდოტელი – ხევსურული დიალექტი გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში

ნარგიზ ახვლედიანი – კვლავ ტოპონიმ „ბოდიში“-ს შესახებ

ლია ბაკურაძე, მარინა ზერიძე – ერთი პოლემიკის შესახებ ინგილოურის თაობაზე (XIX საუკუნის 90-იანი წლების პრესის მასალების მიხედვით)

მარინა ზერიძე – პოტენციური შესაძლებლობის არჩევანი თუ ენათა კონტაქტის შედეგი? – აწმყოს მეშველზმნიანი წარმოება ქართული ენის ინგილოურ დიალექტში

გიორგი გოგოლაშვილი – „კოჭლი“ პარადიგმები ზემოიმერულში
(ენობრივი ატავიზმის ერთი შემთხვევა)

ეკა დადიანი – მეფუტკრეობის ლექსიკისათვის ტაოურ დიალექტში

ნატალია ზუმბაძე – ქართული მუსიკალური დიალექტები და ბატონების სიმღერა

II სხდომა

16:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: გიორგი გოგოლაშვილი, ეკა დადიანი

ლაშა კაპანაძე – ფუძედრეკად ზმნათა გათემისნიშნაინების პროცესისათვის ზემოიმერულში

ლევან კოჭლამაზაშვილი – CSS სტრუქტურის ძირთა სუპერაციის შემთხვევები ქიზიყურში

მარინე კუხალაშვილი – ერთი ნაწილაკის შესახებ ქართულ დიალექტთა შორის

ელენე ნაპირელი, მაია ბარიბაშვილი – ინგილოური დიალექტის კორპუსული ლექსიკონი

რუსუდან სადინაძე – ზემოიმერული ლექსიკიდან (ქ. ძოწენიძის მასალების მიხედვით)

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიაი, ლელა გიგლემიანი – რძის პროდუქტებთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტებისათვის სვანურში

მამია ფაღავა – მასალები ბაიბურთის ტოპონიმისათვის

18 ოქტომბერი

I სხდომა

11:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: მამია ფალავა, ნოდარ არდოტელი

ელზა ფუტყარაძე – ემენ დავითაძის შემოქმედების ზოგიერთი ენობრივ-სტილური თავისებურება

ნინო ფხაკაძე – დიალექტი როგორც სოციალური იდენტობის მარკერი თანამედროვე ქართულ მედიასა და კულტურულ დისკურსში

ჭაბუკი ქირია – ნანათესაობითარი ბრუნვების საკითხი მეგრულ-ლაზურში

ხათუნა ყანდაშვილი – ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურება კახურში

შორენა შავრეშიანი – რელიგიური სახეების ფოლკლორული ტრანსფორმაცია სვანურ ზღაპრებში

ეთერ შენგელია – კერვასთან დაკავშირებული (მეგრული ჭალა „კერვა“) სიტყვის სემანტიკური ცვლილებები

ნანა შოშიაშვილი – პიროვნების სახელი, მეტსახელი და პერსონაჟის სახელი

II სხდომა

14:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: მარინე ბერიძე, მედეა საღლიანი

მანანა ჩაჩანიძე – ფრაზეოლოგიაში *ჭორის დედა* პოეტური ინტერპრეტაციით შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემიდან „წითელი და იისფერი“

მერაბ ჩუხუა – ერთი მეგრული სიტყვის წარმომავლობისათვის (მათორხი / მათოხ-ი)

ნინო ციხიშვილი – მეტგვარი სახელების წარმოება კახეთში, სოფელ ქვემო ქედში, მიგრირებულ ფშავლებში

სოფიკო ჭაავა – სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული დიალექტოლოგიური ექსპედიციები 1956 წლის საარქივო მასალების მიხედვით

ნინელი ჭოხონელიძე – ზოგი ნასესხები ლექსემისსემანტიკური ცვლილება გარეკახურის სართიჭალურ თქმაში

ლუიზა ხაჭაპურიძე, თეონა ხუფენია – პურის სიმბოლიკა ქართულ - ფრაზეოლოგიაში: კულინარიული და კულტურული ინტერპრეტაციები

ნინო ხახიაშვილი – „ბრბო“ სიტყვი წარმომავლობისათვის

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ნინო ჯორბენაძე, ქეთევან რეხვიაშვილი – ერთი ტიპის რთულ ფიტონიმთა მართლწერის საკითხისათვის ქართულში

17:00 სესიის შეჯამება და დახურვა

ნოდარ არდოტელი

ხეცურული დიალექტი გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში

დაუდგრომელი სულისა და რომანტიკული ბუნების მწერალი გურამ რჩეულიშვილი მაშინ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როცა ქართული პროზა და, მეტადრე, პოეზია აყვავების ხანაში იყო. მიუხედავად ძველ თანამოვალმეთა სკეპტიციზმისა, მან იმთავითვე მიიქცია თანათაობელთა ყურადღება, როგორც უაღრესად დიდი ნიჭით ცხებულმა და სრულიად ორიგინალურმა შემოქმედმა, რომელსაც უხვად ასაზრდოებდა წინაპართაგან ნამემკვიდრევი მემოხე სისხლი და გმირული სულისკვეთება. ეს იგრძნობა მის ყოველ მოთხრობასა თუ ჩანახატში, რომელთაც რეფრენად ასაკისათვის შეუფერებელი ერუდიციის კვალი გასდევს და სიბრძნის ბეჭედი აზის. მისი ხანმოკლე შფოთიანი სიცოცხლე, რომელშიც უფრო მეტად მთისა და ზღვის სიყრმიდანვე შეთვისებული სიყვარული მჟღავნდება, შავი ზღვის სტიქიონთან მანდილოსნის გადასარჩენად რკენაში ჩაიფერვლა. ზღვის სიყვარული, დაბადებიდანვე ქუდბედად რომ დაჰყვა და შეისისხლხორცა, მის არაერთ მოთხრობაში გამოკრთის, რაც თანდათანობით დალუპვის წინათგრძნობად ექცა და საბოლოოდ კიდეც იმსხვერპლა. მიუხედავად უაღრესად ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობისა, მან ბევრი რამ მოასწრო და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. თანავტორთა შეფასებით: „აღბათ არცერთ ქართველ მწერალზე არ არის დაწერილი იმდენი მოგონება, რამდენიც მასზე. ის არის არა მხოლოდ მკვეთრი ინდივიდუალობით აღბეჭდილი მწერალი, არამედ უაღრესად საინტერესო პიროვნება, ფართო სამეგობრო წრითა და საოცარი თავგადასავლებით“ (ქ. ხითარიშვილი, ე. მანია, მ. ჯანგიძე, ე. ქავთარაძე, მ. ნინიძე 2022, 3).

ცხადია, მწერლის ტრაგიკული აღსასრული, რაც შავი ზღვის შფოთიან ტალღებთან უთანასწორო ბრძოლაში გაცხადდა, მარცხად არ უნდა ჩაითვალოს. პირიქით, ეს არის გურამის გამარჯვება, რომელმაც თავის დროზე მეგობარი დახრჩობისაგან ვერ იხსნა, სამაგიეროდ თავი სამსხვერპლოზე უფრო უმწეო და განწირული ადამიანის

გამოსახსენლად მიიტანა. აქ შეიძლება ქრისტეს თავგანწირვის სი-
დიადესთან გავავლოთ პარალელი, რადგან მანაც ხომ თავის ხატისა
და მსგავსის – ადამიანის ხსნისთვის გაწირა თავი.

მიუხედავად ზღვის უსაზღვრო სიყვარულისა და მისკენ დაუ-
ოკებელი ლტოლვისა, ახალბედა მწერლის თვალი მუდამ მთას, მე-
ტწილად იმდროინდელ ხევსურეთსა და მის პატრიარქალურ ყოფას
დასტრიალებს. რომანტიკული სულისა და ლაღი ბუნების შემოქმე-
დი მათათა წიაღში პოულობს სულის მოსათქმელ-მოსაოხებელ ად-
გილს, რაც მხატვრულად აისახა კიდეც მის თვითმყოფად შემოქმე-
დებაში. ვფიქრობ, გურამ რჩეულიშვილს ხევსურეთი და მისი
მკვიდრნი, რომელთა შორისაც არაერთი ფიცვერცხლნაჭამი ძმადნა-
ფიციც ჰყოლია, ვაჟკაცური ბუნებითა და ჯერ კიდევ შეურყვნელი
პატიოსნებით იზიდავდა. მისი მეგობარი ნუგზარ წერეთელი ას-
კვნის: „...სიყრმის წლებიდან შესისხლხორცებული ხევსურეთი თუ
სვანეთი, ვაჟკაცი ადათ-წესებითა და ტრადიციებით, ბუნებითა
და ადამიანებით, შემდეგ ორგანულად შეიჭრა მის შემოქმედებაში
და არა ერთი მშვენიერი მოთხრობა დაიწერა“ (ნ. წერეთელი 1985,
14). როგორც ხევსურები ჰყვებიან, ის არავის ტოლს არ უდებდა თო-
ფის სროლაში, ცხენ-დოღში და ფარიკაობაში, ხელისქეცის ტყორცნასა
და ცურვაში. ხშირად თავად ხდებოდა ინიციატორი ამგვარ სავაჟკა-
ცო საქმეთა საქმელად, გამოსდიოდა კიდეც, რითაც ხევსურ თანა-
ტოლთა გულებს იპყრობდა და იმეგობრებდა.

ლოგიკურია, რომ მწერალმა ყველაზე მეტი და საუკეთესო მო-
თხრობა ხევსურული ადათ-წესების, მკაცრი ბუნების ავბედიტობასა
და „უბატონო ქვეყნის“ პრობლემატიკას მიუძღვნა. მართალია, გუ-
რამ რჩეულიშვილს მრავალი მოთხრობა მოეპოვება, მაგრამ ერთ-ერ-
თი გამორჩეული ადგილი ეკუთვნის სწორედ ხევსურულ თემატიკა-
ზე შექმნილ მოთხრობას „ბათარეკა ჭინჭარაული“. ამ ექვსგვერდიან
მოთხრობაში წამოჭრილია მარგინალობის მარადიული პრობლემა,
რომელიც არაიშვიათად იჩენს თავს როგორც ქართულ, ისე მსოფ-
ლიო მხატვრულ ლიტერატურაში. გურამ რჩეულიშვილის მაღალ-
მხატვრული ნაწარმოებები, როგორც თავად ორიგინალურობით
გამორჩეული ავტორი, თვალსაჩინოდ განსხვავებული და გაკიდეგა-
ნებულია ერთფეროვანი შემოქმედებისაგან. ავტორისთვის ნიშნეუ-

ლია როგორც შემოქმედის ინდივიდუალობა, ისე პერსონაჟის თავისთავადობა და გამორჩეულობა.

გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებზე დაკვირვებისას შეიძლება ითქვას, რომ იგი შთამბეჭდავად ხატავს დრამატულ მოვლენებს და აქ იჩენს არნახულ სიმღიერეს. მიუხედავად მისი აშკარა ოპტიმიზმისა, ეტყობა, მწერალი ბევრს ფიქრობდა სიკვდილის თემაზე, ყოფნა-არყოფნის, ფერისცვალებისა და გარდაცვალების ფილოსოფიაზე, რაც მის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს. ერთ-ერთი ასეთი შინაარსის მოთხრობა გახლავთ „სიკვდილი მთებში“, რომელიც გერმანელი მწერლის ალფრედ კურელას მოსიყვარულე მეუღლის – ელპიდეს ტრაგიკულ აღსასრულს ეხება არხოტის მთებში. იმჟამად, არხოტში ყოფნისას, თავად თვითმხილველი მწერალი გამხდარა ნაწარმოების პერსონაჟიც, დაკრძალვის მონაწილეც და კოლეგის ჭირის თანამოზიარეც. ცხადია, მან მძაფრად განიცადა ბედისწერის ეს განაჩენი, რაც ხუთი შვილის დედას კავკასიონის მთის კლდიან ფერდობზე მოევლინა. ისიც ბუნებრივია, რომ ნანახი და განცდილი მწერალმა მხატვრულად გაიაზრა, თავისი განუმეორებელი სახე მისცა, მალევე ქალაქში გადაიტანა და შთამომავლობას დაუტოვა სახსოვრად, როგორც კავკასიის მაღალმთიანეთის მიმართ გერმანელთა სიყვარულის აპოთეოზი.

საგულისხმოა, რომ გურამ რჩეულიშვილი ხევსურული თემატიკის ნაწარმოებებში („მთაში“, „მოხუცი მონადირე“, „პაპა გოგოთური“...) მოხდენილად ხატავს ვაჟკაცური ბუნებისა და უდრეკი სულის ადამიანებს, რომლებიც გმირული იდეალების ტყვეობაში არიან და თავისებურ ხიბლს სძენენ მწერლის შემოქმედებას. ბუნების სიმკაცრემ და საუკუნეობით ნადულაბეგმა წეს-ადათმა ჩამოაყალიბა ხევსურთა სულიერი სიმტკიცე-სისპეტაკე და სპარტანული გამძლეობა.

რაც შეეხება მწერლის ენას, ახალგაზრდა შემოქმედის კვალობაზე უნდა ითქვას, რომ გურამ რჩეულიშვილის ენობრივი სამყარო ისეთივე მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორიც ძალზე მოკლე დროში მის მიერ განვლილი გზა. მწერალი, როგორც წესი, სალიტერატურო ენით მოგვითხრობს ამბებს და ამეტყველებს პერსონაჟებს, მაგრამ კოლორიტის შესაქმნელად დიალექტიზმების გამოყენებასაც არ გაურბის. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „...დი-

ალექტიზმები, როგორც მხატვრული ხერხი, საშუალებაა მკითხველთან დამატებითი ინფორმაციის მიტანისა“ (გ. გოგოლაშვილი 2013, 230-231). ეს გასაზიარებელია, თუმცა ჩვენს შემთხვევაში დასაზუსტებელია ერთი გარემოება: ამა თუ იმ პერსონაჟის ხევსურობის საჩვენებლად რა დოზით ან რა სიზუსტით უნდა იყენებდეს მწერალი დიალექტურ (resp. ხევსურულ) ფორმებსა და გამოთქმებს?

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ მწერალს, მისი მთაში ხშირი სტუმრობიდან გამომდინარე, ხევსურული კილოს საკმარისი ცოდნა¹ მოეპოვება, რაც მის მოთხრობებშიც თვალნათლივ მჟღავნდება, მაგ.: (1) „– უფროს კაც ას, ვერც ხელს შაუბრუნებ, ვერც დანას კრავ, რა უნდ მექნ, თოფ ვესროლ, რა უნდ მექნ სხვა!“ („უღელტეხილი“), ანდა: (2) „– მუცალი არ იცითა? – ახლა ექვით შეხედა ხევსურმა მოსაუბრეთ, – ჩემ მოსისხლე ას, ჩემ დათვიკა ჰყავს მოკლოლი (უნდა: მაკლოლ)“...“ („გაზაზე შატილისკენ“) და ა. შ.

მიუხედავად ამისა, დიალექტურ ფორმათა სიზუსტის თვალსაზრისით, მწერლის მოთხრობებში აქა-იქ თავს იჩენს უზუსტობანი. საილუსტრაციო მაგალითები:

(1) „– ერთიც დალიე, გიგი, სამს რომ დალევ, სუნს ველარ იგრძნობ...“

– ბოდიში, ბიჭო, **შასატანი** არაფერი გაქვს“ („გაზაფხული მოდის“).

ანდა: (2) „– ვალიკო! – დაიძახა ხვთისომ, – ეგ ცხენი და სოფლიდან წერაქვებ **მაილ**, ბარიც. აქ უნდა დავასაფლაოთ“ („სიკვდილი მთებში“).

ამ ერთი-ორი წინადადებიდანაც ცხადი ხდება, რაოდენ არაზუსტია ამ მონაკვეთებში ხევსურთა მეტყველება, რომელიც სალიტერატურო ენისაგან ოდენ „შასატანი“ (უნდა: „სატანი, ან შასატანები“) და „მაილ“ ფორმებით განსხვავდება. ცხადია, ამ შემთხვევაში კოლორიტული ტიპების დახატვა სრულყოფილი ვერ იქნება, რად-

¹ ნებისმიერი მწერალი, რომელსაც რომელიმე კილოს ან წეს-ჩვეულების უკმარი ცოდნა აქვს, მან ამ დარგის სპეციალისტს უნდა გააცნოს თავისი ნაწარმოები და სათანადო კონსულტაცია მიიღოს მისგან, რათა დაზღვეული იყოს უზუსტობებისაგან. ეს ეხება კინემატოგრაფიასაც, სადაც ფორმოზრივ სიზუსტესთან ერთად აქცენტუაციის სიზუსტესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გან უზადო პერსონაჟი ენობრივ და ცნობიერებით მხარეებსაც გულისხმობს.

გარდა ამისა, მწერალი ცდილობს ზოგი ცნების გამოსახატავად შექმნას ახალი ლექსიკური ერთეული. კერძოდ, მიწის იატაკი, რასაც ხევსურები „ქაზდარს“ უწოდებენ, „ქვენოს მიწის იატაკად“ არის სახელდებული. ხევს. **ქაზდარი** წარმომავლობით წოვა-თუშური ჩანს, შდრ. წ.-თუშ. ქაზდარ „მიწა, იატაკი“. უცნობია, მწერალმა იცოდა თუ არა ქაზდარის წარმომავლობა, მაგრამ ტერმინის საჭიროებას რომ გრძნობდა, ცხადია. სხვა საკითხია ტერმინად სამკომპონენტო სიტყვათშეხამების „ქვენოს მიწის იატაკის“ გამოყენება, რამდენად მარჯვე და მართებულია. რაც შეეხება პროზაიკოსის მიერ მოყვანილ ფორმას „ათენგენს“ („ახიელში სამძიმრით შეხვდნენ ხევსურები კურელას და ათენგენში დაპატიჟეს...“ – „სიკვდილი მთებში“), იგი ცნობილი დღესასწაულის – „ათენგენობის“ შეკვეცილი ფორმაა, რომელიც წმინდანის სახელთან (ათინოგენე) პოულობს პარალელს. ალ. ჭინჭარაული წერს: *„ამისი კარგი ნიმუშია დღესასწაული ათენგენობა, რომელიც იმართებოდა ოსეთშიაც, ჩაჩნეთ-ინგუშეთშიაც. ამ დღეობებზე ხევსური ხუცესი წმინდან ათინოგენეს საერთოდ არ ახსენებდა, ხოლო თუშეთში „ათინგენები“ – დღეობები ჯვარ-ღმერთთა პატივსაცემად...“* (ალ. ჭინჭარაული 2004, 20). მაშასადამე, ხევსურულ დიალექტში გავრცელებული თეონიმის კანონზომიერი ფორმა იქნება „ათენგენე“, ხოლო მისი სახელობის დღესასწაულისა – „ათენგენობა“, რომელიც სალიტერატურო ქართულისთვისაც მართებულიად მიიჩნევა.

ამრიგად, გურამ რჩეულიშვილის ხევსურული ციკლი ერთი მჩქეფარე შენაკადია მის შემოქმედების წყალუხვ მდინარეში, რომელიც არწყულებს ქართველი მკითხველის სულიერებას და უგრილებს მგზნებარე გულებს, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ახალგაზრდების ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე, გვინერგავს მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულს, გვაზიარებს ქართული ენის (resp. დიალექტის) მრავალფეროვნებასა და გვიქადაგებს „მეგობრობას გზად და ხიდად“. დიდი ძალისხმევით შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ნასაზრდოებია წინაპართაგან ნაანდერძები გმირული სულით, მაღალი იდეალებისადმი სწრაფვით, უკიდურესობამდე მისული უშუალოებითა და სილაღით უაღრესად დიდ ინ-

ტერესს აღძრავს მკითხველში. ცხადია, ეს ყოველივე მომწუსხველ შთაბეჭდილებას ახდენს ყველა ჩვენგანზე, ვინაიდან გვინერგავს ღირებულებებისათვის თავგანწირვას, გვიიდიანებს ვაჟკაცობას, გვიმძაფრებს დედაენის სიყვარულს, მოგვიწოდებს პატივი ვცეთ მამა-პაპათა ხსოვნასა და ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2013 – გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა. ნარკვევები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

წერეთელი 1985 – ნ. წერეთელი, წინასიტყვაობა გ. რჩეულიშვილის მოთხრობებისა „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჭინჭარაული 2004 – ა. ჭინჭარაული, ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №12, ქუთაისი.

ხითარიშვილი, მანია, ჯანგიძე, ქავთარაძე, ნინიძე 2022 – ქ. ხითარიშვილი, ე. მანია, მ. ჯანგიძე, ე. ქავთარაძე, მ. ნინიძე, გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან, გამომცემლობა „მთაწმინდა“, თბილისი.

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

კვლავ ტოპონიმ „ბოდიში“-ს შესახებ

საენათმეცნიერო საზოგადოების წინაშე, აქამდე ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, ტოპონიმ „ბოდიში“-თან დაკავშირებით, ადრეც წარმოვადგინეთ ჩვენი სავარაუდო კვლევა და აღვნიშნავდით, რომ: ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში ვხვდებით ერთ ასეთ ჩანაწერს: „სოფელი ღორჯომი, ხულოს მუნიციპალიტეტი, ადამიკების უბანი – ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებები: ნაკაფი, სამარი-

ლე, ხრეწილი, კუნჭული, ღომელათი, სასრი ყელი, საყულაფერდი, **ბოდიში**-ბსკეა (ბათუმის სამეცნიერო-ვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი – ნ. ა.), საქმე №102, 1979 : გვ. 30, სადაც ბოდიში – ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებად ფიქსირდება.

1979 წელს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სამეცნიერო-საველე ექსპედიციისას, სოფ. ადამებში, ღორჯომის ს/ს დაფიქსირდა მიკროტოპონიმი: **ბოდიში** – ყანები იქვე, **მთა სათოვლიწყალი (ბოდიშს)** იქითაა (ბსკეა, საქმე № 102 ,1979: გვ. 56). ფონდში ინახება აგრეთვე 1980 წელს ისევ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის თემში ჩაწერილი მთის სამოვრების ჩამონათვალი: ონაგირა ყელი, დაბელტებული წყარო, სახბოვრა, ზორტი ყელი, კენჭისაყრის იაილა (ბახმაროს მისადგომებთან ახლოს) და კვლავ ფიქსირდება: ბოდიში (ს) ყელი, ამჯერად, უკვე, როგორც ყელი – უღელტეხილი // გადასასვლელი (ბსკეა, საქმე № 94, ანაწერი № 5, 1980; გვ. 13); ბოდიშის ყელი - დასტურდება სოფელ ადამებში (მ. ქამადაძე, 1992 :76).

1981 წელს განხორციელებული ექსპედიციისას, ამჯერად, დადასტურდა „ბოდიშის მთა“. **ბოდიშის მთა** – ჭალაი ადგილია, სოფლების ჭვანისა და ღორჯომის საზღვარზე. ინფორმატორების ცნობით, ეს ადგილი ვერ გაიყვეს ჭვანისა და ღორჯომის (ამ სოფლების – ნ.ა.) მცხოვრებლებმა და ბოლოს ჭვანელებს ღორჯომელებისთვის მოუხდიათ ბოდიში. შესაბამისად, მთაც ღორჯომელებს დარჩენიათ. ბოდიშის მთა – ბახმაროშიც არის, ადგილი, რაიმე განსაკუთრებლობით არ გამოირჩევა (ბსკეა, საქმე № 10, ანაწერი № 13; 1981; გვ. 13). ასეა განმარტებული ფონდების ჩანაწერებში.

სულხან-საბა ბოდიშს – ასეა განმარტავს: „ესე არს სიტყვით და საქციელით, კაცი მოიმადლოს“ (ნ.) სულხან-საბა – თავადი-თავით თვისით (ნ.) „საბოდიშო“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1993: 294). „თავაზა“ – თავაზა სხვათა ენაა, ქართულად ბოდიში ჰქვია (იქვე, 295).

ბოდიში: მეგრულ-ქართულ ლექსიკონშიც შემდეგნაირად განიმარტება: ბოდიში, ბოდიში საჭირო ვარე – ბოდიში საჭირო არაა (პ. ჭარაია, 1997: 42).

ბოდება (ბოზდე), ბორდიში-ბოდვა განმარტებულია მეგრულ-ქართულ ლექსიკონში როგორც – (*ვბოდავ). მუს ბოდენქ – რას ბოდავ (ჭარაია, 1997: 42).

ბოდ-, ობოდუ – ბოდვა (კლიმოვი, 1064: 52).

ბოდუფს: ლაზურ ლექსიკონში გვხვდება შემდეგი მნიშვნელობით 1. ბოდავს, 2. ურევს (მ. ბუკია, 2018: 48).

ფერეიდნულ ლექსიკონში, არც ინგილოურში, ლექსემა „ბოდოში“ – არ გვხვდება, არც ადგილის სახელად, ხოლო ფერეიდნული დიალექტის კორპუსულ ლექსიკონში დაფიქსირებულია ადგილის სახელწოდება: თავაზიან მაზრა (N:Top) tavazian mazra.

თავაზიანთ მაჰლა tavaziant mahla (N). ადგილის სახელი ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფში).

„ეხლა ემ მაჰლებსა მე ელემ ქომოთყენა ჩამოქთლი: თავაზიანთ მაჰლა, ლაჩინანთ მაჰლა, გუგუნანთ მაჰლა.

თავაზიანთ გურაბი (N:Top) tavaziant gurabi – ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში). თავაზიანთ გურაბი‘ ყო. თვაზიანთ გურაბი, სეფიანთ გურაბი, ემ ორ გვარსა ქონდა გურაბი, სხვებს არა, თავ დემემადლების (V: Phras) Tavdememadlebis თავს მამეტებს, მე გვეხეწები და შენ თავ დემემადლები (მ. ბერიძე და სხვ., იქვე, 144, 145).

თავა – ნ. როსტიაშვილი, 1978: 97) – თავში, ზედა, ზემოთ მყოფი: „თავა სახლში ჩონ ვართ“.

თავეთ-ი// თავით-ი, თავიანთი, თავეთი გაფუჭებულია ე საქმე, თუთანვენა გამოასწორონ (ჟ. ფეიქრიშვილი, 1992: 44-45).

თავათ – 1. თვითონ; 2. პირველად „აკი თავათ გითხარი, რო ეგრე იქნება-მეთქი“ ნ. ჩუბ. თავად (სტ. მენთეშაშვილი, 1943: 71).

ამ მიმართულებით კვლევის ერთი ეტაპი წარმოვადგინეთ არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე: „არნ. ჩიქოზავას საკითხავები“ – XXXVI (ნ. ახვლედიანი, 2025: 10-11).

ამჯერად, ვაგრძელებთ კვლევის ახალ ეტაპს. ტოპონიმ „ბოდოში“-ის ფუძე გახლავთ „ბოდ“, რაც ლაზურში შეესატყვისება „ბად“-ს. როგორც ვიცით, ფრინველთ-თევზთ საჭერი ბადეებს ხშირად იყენებდნენ მთელს საქართველოში. ამასთან დაკავშირებული ადგილის სახელებიც მრავლადაა აჭარულში (საკითხთან დაჯავშირებით, იხ. ჩვენი სტატია ნ. ახვლედიანი და სხვ., 2023: 15-17 <https://portal.bsu.edu.ge/apa-files2/1057/254.pdf>). ამ საჭერ ბადეებს შესაბამისი გამძლეობის ბაწარი სჭირდებოდა, რისთვისაც ძველად საქართველოში

ფართოდ იყენებდნენ მცენარეს – ველურ კანაფს, რომელიც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთიან რელიეფში არაკულტივირებული სახით გვხვდებოდა, ასე მაგალითად, ძველების გადმოცემით, ახლანდ. ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ აგარიდან სოფ. ღორჯომის მისასვლელთან ხარობდა ველური კანაფი (ხულო), ინფორმატორი რეზო ირემაძე – სოფელ ღორჯომის მკვიდრი – (ხულოს მნცპ), ჩაწერის ადგილი ბახმარო – 2025 წლის აგვისტო.

2025 წლის 6-8 ივლისს, ინდივიდუალური სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში, ვიმყოფებოდი სვანეთში, ლანჩვალის უბანი, ბაჰშას თემში. ადგილობრივი მკვიდრის – 88 წლის პირიბე ქელეჩბის ძე ნიგურიანის ინფორმაციით, კანაფი სვანეთში საკულტო მცენარე ყოფილა. მისგან არა მარტო კალათებს და სათევზაო ბადეებს ქსოვდნენ, არამედ კანაფის კანგაცილილ ღეროებს საქონელს და ღორებს ქვეშ უგებდნენ ხოლმე და არანაირი დაავადება არ ეკარებოდათ. სპარტაკ პირიბეს ძე ნიგურიანის ცნობით, აქ (ზემო სვანეთში – ნ. ა) ველური კანაფი მრავლად ხარობდა, რასაც არა მარტო სამეურნეო დანიშნულებით, არამედ ყოფით ცხოვრებაშიც, ფრინველთა და თევზსაჭერი ბადეების საქსოვადაც იყენებდნენ. კერძოდ, კანაფის კანგაცილილი ღეროების საგანგებო დამუშავების შემდეგ, მისგან წნავდნენ თოკებს, რომლებიც სიმტკიცით გამოირჩეოდა. ამას გარდა კანაფისგან აკეთებდნენ ხარების უღლის ორი ჯოხის კრიკის შესაბამელ თოკებს, მისი მარცვლისგან კი კანაფის ზეთს ხდიდნენ, რაც კულინარიაში ფართოდ გამოიყენებოდა. საგულისხმოა, ისიც, რომ ზოგადად კანაფს სვანურად „ქან“-ს, ეძახიან, მაგრამ ფოთლებგაცილილ კანაფს, ზემო სვანეთის მკვიდრის, სოზარ სეფეს ძე გერლიანის ცნობით, სხვა სახელით მოიხსენიებენ: „ბად“-ს ეძახიან. კანაფის კანგაცილილი ღეროებს „ბად“-ს რქმევია. ზემოთდასახელებული მცენარე ხარობდა უღელტეხილებზე, გადასასვლელებზე, მთებში, მიუვალ ადგილებში. მცენარე კანაფი სამედიცინო კუთხითაც ფართოდ გამოიყენებოდა. კერძოდ, სოფელ მესტიის მკვიდრის, ნანა შუკვანის ცნობით, კანაფის თესლისგან გამოხდილი ზეთისგან მოზელები ფქვილის საშუალებით ფურუნკულებს მკურნალობდნენ და ცხვრის ტყავისგან შეკერილი ხელთათმანებით ამუშავებდნენ ზეთოვანი კანაფის ფოთლებს. საინტერესოა, სვანეთში ეთნოგრაფ ნინო წერედია-

ნის დაკვირვება საკრალური ჰურის „ბიხო“-ს, როგორც „ლემზირი“-ს შესახებ, რომელიც აღველინებოდა ამ მოვლენის მფარველს [ლამარიას დაბადებისას – ნ. ა.], რა დროსაც ოჯახის უფროსი ქალბატონი – ბეზია – ახალმოლოგიებული ქალის ჯანმრთელობისა და ბავშვის უვნებელი მომავლისათვის ლემზირებს აცხობდა და აცხობდა მხოლოდ ორი სახის და დანიშნულების ლემზირებს: ერთ-ერთი იყო ცალი „ბიხუა“ – დიდი ზომის კანაფგარეული ხაჭაპური „ქუთ-ლემზირ“. გარდა ამისა, სვანეთში ყველაზე დიდი მოცულობის ლემზირი – „ლესკრისხელა“ – „ბიხუა“ – კანაფიანი ხაჭაპურიც ცხვებოდა (ნ. წერედიანი, 2020: 14-15).

ამდენად, ზემოთდასახელებული მცენარე არა მარტო სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა ძველ საქართველოში, არამედ მას იყენებდნენ კულინარიაშიც, კერძოდ, უძველესი – ქრისტიანობამდეელი პერიოდის საკრალური ჰურის შიგთავსად. შესაძლებელია, ტოპონიმი „ბოდიში“ ამ პერიოდიდან მოდის და იგი მცენარის სახელიდან მომდინარე ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება იყოს. მით უმეტეს, საქართველოში მრავლად გვხვდება მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები. ასე მაგალითად, (აჭარულში: შდრ. „ბარცხანა“ – ძემგენარი (ნ.ა), გურულში : „ჯაპანა“ – თუთნარი, სვანურში: „ჰეშვილი“ – მ. ჩუხუას ზეპირი ინფორმაციით, ასკილს ნიშნავს. ადგილსაც, ალბათ, შესაბამისად იმიტომ დაერქვა ეს სახელი, რომ მრავლად იყო ამ ფუძით დასახელებული მცენარე (ადგილობრივი მკვიდრის ნაწა ჯოტოს ასული შუკვანი – ნიგურიანის ცნობით, აქ მართლაც მრავალადაა ასკილის ბუჩქები). რაც შეეხება ტოპონიმ „ბოდიში“-ს ეტიმოლოგიას, ჩვენი აზრით, იგი მცენარე კანაფთან უნდა იყოს დაკავშირებული და სიტყვასიტყვით, „ბოდიში“, შესაძლებელია, კანაფისა, იყოს – ანუ ამ ადგილზე, რომელსაც „ბოდიში“ ერქვა (მთას, უღელტეხილს, ყანებს – ნ. ა.), შესაძლოა, მრავლად ხარობდა ზემოთ დასახელებული მცენარე – კანაფი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბსკეა – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი.

ახვლედიანი 2025 – ნ. ახვლედიანი, ერთი გაურკვეველი გეოგრაფიული სახელწოდების განმარტებისათვის, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXXVI, 24-26 ივნისი, თბილისი.

ბერიძე და სხვ. 2018 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ნ. ნახუცრიშვილი, ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი (ქართული დიალექტური კორპუსი), თბილისი.

ბუკია 2018 – მ. ბუკია, ლაზური ლექსიკონი, Wojnowice.

მენტეშაშვილი 1943 – ს. მენტეშაშვილი, „ქიზიყური ლექსიკონი“, მეცნ. აკად. გამ. თბილისი.

ორბელიანი 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, წიგნი I, თბილისი.

როსტიაშვილი 1978 – ნ. როსტიაშვილი, ინგილოურ ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი.

ფეიქრიშვილი 1992 – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, გამ. საწუთრო, ქუთაისი.

ქამადაძე 1992 – მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. VIII, ბათუმი.

წერედიანი 2020 – ნ. წერედიანი, ლატალიდან დღეობებით დანახული სამყარო, თბილისი.

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Akhvlediani N., Akhvlediani D., Narakidze C., Dzneladze T., – Seamanship terminology in Georgian material and kultural dialectological vocabulary, International Academic Journal, vol.4, issue 2,, Abu-Dabi.

Климов 1964 – Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.

ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე

ერთი პოლემიკის შესახებ ინგილოურის თაობაზე (XIX საუკუნის 90-იანი წლების პრესის მასალების მიხედვით)¹

როგორც ადრე წარმოდგენილ პუბლიკაციაშიც ვწერდით, ეთნიკურ ტერმინი **ინგილო** წყაროებში მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან დასტურდება. მისი დამკვიდრება რუსულ საკანცელარიო დოკუმენტაციაში მაშინდელი კავ-ელისენის (იმავე ჭარ-ბელაქნისა და ელისუს – მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი – ზაქათალის ოლქის) ქართველი მოსახლეობის ოფიციალურ სახელად, ჩვენი აზრით, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან **ინგილო** და **საინგილო** უკვე ქართულ სივრცეშიც მყარად დამკვიდრებული ტერმინებია. ინგილოთა მეტყველებაზე მრავალი სხვადასხვა წყარო მიუთითებს. ყველა მათგანი მათ სალაპარაკო ენად ქართულს ასახელებს.

1895 წელს ქართულ პრესაში ჩნდება ტერმინი: **грузино-ингило́йский диалект (ქართულ-ინგილოური დიალექტი)**. ეს ტერმინი შემოიტანა ტარასი ივანიცკიმ, ინგილომ, სასულიერო პირმა, რომელმაც განათლება ყაზანში მიიღო და ცნობილი პედაგოგ-მისიონერის, ილმინსკის, მოსწავლედ და მიმდევრად მიიჩნეოდა.²

ის იყო კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ ზაქათალის ოლქში მივლენილი მისიონერი, რომელმაც 1894 წელს იქ მანამდე მოღვაწე არქიმანდრიტი ლეონიდე შეცვალა.

ტარასი ივანიცკის ეს ტერმინი – **грузино-ингило́йский диалект (ქართულ-ინგილოური დიალექტი)** ქართულმა საზოგადოებამ მტკივნეულად მიიღო. მალე პრესის ფურცლებზე ცხარე პოლემიკა გაიშალა ტერმინის მიზანშეწონილობის შესახებ, რასაც მოჰყვა

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

² ილმინსკის სწავლების მოძღვრების მთავარი ფუნდამენტი იყო ორი მოთხოვნა: 1. **უნდა ესწავლებინათ ქრისტიანობა ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზე** 2. **მოძღვარი/ მასწავლებელი ადგილობრივი უნდა ყოფილიყო**.

კამათი იმაზე, თუ როგორ უნდა ექადაგა სასულიერო პირს საინგილოში – **სალიტერატურო ენით, თუ ადგილობრივ დიალექტზე?**

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1895 წლის 15 მაისს ქართული საეგზარხოშოს სასულიერო მოამბის მე-10 ნომერში რუსულ ენაზე დაიბეჭდა ტიმოთე ივანიცკის ქადაგება ქრისტიანობის ისტორიის შესახებ ზაქათალის ოლქში. ეს ქადაგება შესრულდა 12 მარტს ყორაღნის ეკლესიაში და 19 მარტს კახის ეკლესიაში **ქართულ-ინგილოურ დიალექტზე** (грузино-ингилойский диалект) (Кавказ, 1895, №173).

სამწუხაროდ, ქადაგების ინგილოურ დიალექტზე შესრულებულ ქართულ ტექსტს ვერ მივაკვლიეთ.

ამ ინფორმაციამ ააღელვა ქართული საზოგადოება. 1895 წელსვე ჟურნალ „კვალში“ ავტორის მითითების გარეშე გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც წერდნენ: „ეს Грузино-ингилойский диалект“-ი რაღა არის. ვერ გაგვიგია! „ინგილო ეთნოგრაფიული ლექსი არ არის, ე.ი. ამგვარი ხალხი არასოდეს არ არსებობდა დედამიწის ზურგზე, და მაშასადამე, რა ენას შეეძინა ეს არარსებული არსება?“ (კვალი, 1895, N25).

ამ ტერმინის წინააღმდეგ სტატიის ავტორის თავისი არგუმენტები აქვს: 1. **Грузино-ингилойский / ქართულ-ინგილოური**. – ასეთი ფორმით მოხსენიება ქართველებისა არ მოსწონს, რადგან მისი აზრით, ყველა ინგილო ქართველია, **ინგილო არ არის ეთნიკური ტერმინი** და ამდენად ზედმეტია ასეთი მოხსენიება. 2. **Диалект/ დიალექტი** – გაგებულია როგორც დამოუკიდებელი ენის აღმნიშვნელი ტერმინი და, შესაბამისად, ამ ტერმინის გააქტიურებაში საფრთხეს ხედავენ. მისი გამოყენება ინგილოურის ქართული სივრციდან მოჭრის მცდელობადაა მიჩნეული. ავტორის სიფრთხილე გასაგებიცაა, ეს ის ეპოქაა, როცა რუსული იმპერიის მოხელეები ყველანაირად ცდილობდნენ ერთიანი ქართული სივრცის დარღვევას, ქართული კუთხეების დამოუკიდებელ ერთეულად წარმოდგენას და ამისთვის ხშირად ქართული ენის მრავალფეროვნებასაც იშველიებდნენ. სწორედ ეს აწუხებს წერილის ავტორს:

„ამ ბატონებს მეგრელები, სამურზაყანოელნი, ფშავნი, ხევსურნი და სხვა. სულ სხვა-და-სხვა ტომის ხალხათ მიაჩნიათ და რაღა საჭიროა, რომ ინგილოებიც მოაჭრენოთ საქართველოს ძუძუს.

ჩვენ მაინც ნუ გაუძღვებით მათ წინ და ნუ მოვიგონებთ რაღაც **უცნაურ „დიალექტებს“** თორემ ნახამთ თუ მეგრელიის ამორდიამ საინგილოშიც ბარტყი არა ჰქნას!“ (კვალი, 1895, N30)

ტარასი ივანიცკის უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს კრიტიკა. ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის N30 ნომერში დაიბეჭდა საპასუხო სტატია სათაურით **„პასუხათ „კვალის“ მე-25-ე N-ში შენიშვნის დამწერს“**.

ეს საპასუხო წერილი პირველ რიგში იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ **ივანიცკი გვამღვს დიალექტის განმარტებას და სხვა ენების მაგალითზე ცდილობს დაასაბუთოს თავისი პოზიცია**. ასევე მსჯელობს იმაზეც, სალიტერატურო ქართულით უნდა იქადაგოს მომღვარმა წირვის შემდგომ თუ დიალექტზე.

ის წამოყენებულ ბრალდებებს პუნქტობრივად ეხება და უპასუხებს დეტალურად:

ივანიცკი აღნიშნავს, რომ **„დიალექტი“** არ ნიშნავს დამოუკიდებელ ენას, ის ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გვარს ლაპარაკისა ანუ ენისა, რუსულად: *наречие, говор языка*.“ ავტორს მაგალითად მოჰყავს ბერძნული ენის დიალექტები, ასევე ასახელებს „თურქ-თათრულ“ ენას, რომელიც რამდენიმე დიალექტად იყოფა... ქართული ენის დიალექტებსაც ახსენებს: ქართველი ინგილოები ლაპარაკობენ სხვა გვარათ, სხვა დიალექტზე ქართული ენისა, ვიდრე „ქართველ-ხევსურნი, მაგ.; ქართლ-კახელნი და იმერლები კი ნამდვილს (коренной) ქართულს ენაზე.“

დიალექტის რაობაზე საუბრისას ის იშველიებს ინგილოურსაც და ინგილოურის, ანუ ზაქათალის ოლქის ძირმველების ქართული ენის ქართლ-კახურისაგან განმასხვავებელ ოთხ ნიშანს ჩამოთვლის: 1. სიტყვის ბოლოკიდურის კვეცა: პურ, ჩემ, წაჲ, დადექ... 2. სიტყვის ორიგინალური დაბოლოება: ჩემზე, იმიზე, დედაკაციზე/თვის/. 3. ზოგი სიტყვა ისეა შეცვლილი, რომ ქართულს არ ჰგავს: რომელი – ჰემენი... 4. მეტყველებაში ურევენ თათრულ სიტყვებს.

ივანიცკი უხსნის მკითხველს, რომ მან ინგილოურ დიალექტზე იქადაგა იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგები ყოფილიყო მისი სიტყვები. თავისი არგუმენტის გასამყარებლად წერს, რომ ხშირად მოუსმენია ეკლესიიდან გამოსული ინგილოებისგან, რომ „ჩვენ თავში ვერ ჩავვარდითო“ (ვერ გავიგეთო), რა

იქადაგა **ქართულით მანასულ** (საქართველოდან მოსულმა) ბლადო-ჩინმა და ბერმაო.

ივანიკი ეთანხმება ოპონენტებს, რომ ტერმინი **ინგილო** „არ არის ეთნოგრაფიული წოდება ხალხისა, მაგრამ სხვა-და-სხვა ვითარების გამო ხალხს, ზაქათალის ოლქის ქართველებს, დარქმევიათ ეს სახელი. ორი-სამი საუკუნე იქნება მას აქეთ, რაც ზაქათალის ოლქის ქართველები **ინგილოებათ** იწოდებიან.¹“ იმის დასტურად, რომ **„ინგილო“ ზაქათალის ოლქის ქართველის საზოგადო სახელია**, მოჰყავს რამდენიმე ფაქტი და საბუთი: კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები, ინფორმაცია კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების ყოველწლიურ ანგარიშებში; ასახელებს დიმიტრი ჯანაშვილს, მოსე ჯანაშვილს, დიმიტრი ბაქრაძეს, რომლებიც იყენებენ ამ ტერმინს იქაური ქართველის მნიშვნელობით. „თუ სულ ყველანი ზაქათალის ოლქის ქართველებს „ინგილოებს“ ეძახიან, რატომ აღარ შეიძლება, რომ აქაურს ლაპარაკს ქართულ-ინგილოური ლაპარაკი (грузино-ингилойский диалект, или наречие) დავუბახოთ?“

საყურადღებოა სტატიის დასასრულს მოხმობილი ფაქტები იმის შესახებ, რომ „ინგილოების სამრევლო „შკოლებში, რომლების ინსპექტორიც მისსიონერივეა, **არის ხმარებაში ქართული ანბანი, გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, სამშობლო ენის შესასწავლათ, როგორც საქართველოს საექსარხოლო სხვა სამრევლო შკოლებში.**“

სტატიის ეს, ბოლო ნაწილი, რედაქციას თითქოს უქარწყლებს შიშს და სქოლიოში, ფაქტობრივად, მოზოდინებას უთმობს ადგილს. თავიანთი შიშის მიზეზად კი უკუღმართ დროს და უკუღმართ მოღვაწეებს მიიჩნევს: „ხშირად ხდება, რომ გვანუგეშებენ სამშობლო ენაზე გასწავლით საღვთო წერილს და გაგანათლებთო, მაგრამ ნამდვილად კი სამშობლო ენის მაგიერათ უცხო ენას გვაჩრიან და ყმაწვილებს გვიმახინჯებენ სულიერათ. თქვენს ენას შაქარი, **მაგრამ გაი თუ ქართველ ინგილოებს თქვენ მიერ კეთილ განზრახული თათრულ ადრიბეჯანური ენა, რომელზედაც წირვა ლოცვას და საღვთო წერი-**

¹ ქართველთა ინგილოებად მოხსენიების ასეთი დაუდევარი „დამველება“, მხოლოდ სტერეოტიპული მითია, რომელიც ბევრ ქართველ და უცხოელ ავტორთან მეორდება. ტერმინ ინგილოს კვალი მე-17 და მე-18 ს.ს. არცერთ ასე-თუ ისე ანგარიშგასაწევ და ხელმისაწვდომ ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროში არ იმეზნება.

ლის გადათარგმნას ფიქრობთ, სამშობლო ენად გადაექცეთ. რედ“ (კვალი, 1895, N30).

რედაქციის შიში სულაც არ იყო უსაფუძვლო, იმ პერიოდში მისიონერების გარკვეულ წრეებში პოპულარობით სარგებლობდა თეორია საღვთო წერილის თარგმნისა და ღვთისმსახურების აღსრულებისა იმ ხალხისთვის გასაგებ ენაზე, რომელთა შორისაც ავრცელებდნენ საღვთო რჯულს. ამდენად, რადგან ინგილოებმა კარგად იცოდნენ ენა, რომელსაც ივანიცკი თათრულს უწოდებს, საფრთხე სერიოზული იყო, რომ სწორედ ეს ენა გამოეყენებინათ საღვთო რჯულის სწავლებისას, ან ღვთისმსახურების შესრულებისას. ეს კი, ერთი რწმენის მიუხედავად, საბოლოოდ ჩამოაშორებდა ინგილოებს დანარჩენ ქართველობას.

აქ ტერმინებზე **„დიალექტი“** და **„ინგილო“** პოლემიკა წყდება, როგორც ჩანს, არგუმენტად მიუღიათ მსგავსი განმარტება, ან აღარ ჩაუთვლიათ ამაზე საუბარი საჭიროდ, თუმცა ამან ვერ შეამცირა პოლემიკის სიმწვავე. დღის წესრიგში ისევ იდგა საკითხი: **სწავლება და ქადაგება სალიტერატურო ქართულით წარემართათ თუ ინგილოურად?**¹

ტარასი ივანიცკის ამჯერად დაუპირისპირდა არქიმანდრიტი ლეონიდე, ზედმეტი სახელით – **ბერი**. ის ივანიცკის წინამორბედი იყო მისიონერად ზაქათალის ოლქში. წერილის სახელწოდებაა **„ღია წერილი ბ.ტ. ივანიცკის“** (კვალი, 1895, N31).

არქიმანდრიტის თქმით, მისი მისიონერული მოღვაწეობის მიზანი იყო **1. იქაური ქართველები შეეჩვია სახარების ხალასი ენისათვის და ამიტომ უადგილოდ მიაჩნდა ქადაგებაში თათრული სიტყვების გარევა. 2. ცდილობდა მათ „ქართლ-კახელ-იმერლებთან დაახლოებას ენითაც, ზნეობითაც, მიხვრა-მოხვრითაც, ჩაცმა-დახურვითაც, მოლხენითაც და მოწყენითაც“** (კვალი, 1895, N31).

წერილის ავტორს განსაკუთრებით აშფოთებს ივანიცკის მიერ გამოყენებული სიტყვა **„მანასული“** (მოსული), რომელიც მისთვის კიდევ ერთი გამყოფი ბარიერია ინგილოებსა და დანარჩენ ქართვე-

¹ ნ. ი. ილმინსკიმ თათრულ ენაზე თარგმნიდა საღვთო წიგნს. მას მიაჩნდა, რომ თარგმანის დროს უნდა გამოეყენებინა „ხალხის ენა“, გასაგები მოსახლეობის უმრავლესობისთვის. 1847 წლის 5 დეკემბერს მას საკუთარი თხოვნით მოუხსნეს სასულიერო წოდება.

ლობას შორის: „გარდა ამისა, გიცვნიათ საჭიროთ არაინგილოს დარქვათ „უცხოელი“ და „მანასული“, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ არ დაუახლოვოთ მანდაურები ქართულ-კახელებს, ჩამოაგდოთ ღვიძლ ძმებშუა შური და მტრობა“ (კვალი, 1985, N31).

წერილის ასეთი პათოსი გაპირობებულია, ზოგადად, ტარასი ივანიცკის მეთოდოლოგიის მიუღებლობით და იმ საშიშროების გათვალისწინებით, რაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ასეთ მიდგომას.

ტარასი ივანიცკის შემდგომი ნაბიჯები მეტყველებს იმაზე, რომ ქართულმა საზოგადოებამ სწორად დაინახა და შეაფასა მოსალოდნელი საფრთხეები.

1897 წელს ტარასი ივანიცკიმ საქართველოს ეგზარხოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ასაბუთებდა ზაქათალის ოლქში ინგილოებისთვის ცენტრალური მისიონერული სკოლის დაარსების აუცილებლობას ყაზანის მონათლული თათრების ცენტრალური სკოლის მსგავსად. **ივანიცკი საჭიროდ მიიჩნევდა შეედგინა თათრული ანზანი რუსული ასოებით, გარდაცვლილი ყაზანელი მისიონერის, ილმინსკის სისტემის მიხედვით, გადაეწყო საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები ყაზანური დიალექტიდან აქაური თათრების დიალექტზე და გაეგრეცლებინა ის ახალმონათლულ ინგილოებსა და სხვა ტომის მუსლიმებს შორის.**

ეს თხოვნა საზოგადოების საბჭომ არ დააკმაყოფილა, რადგან თვლიდა, რომ **არ შეიძლებოდა ინგილოების გაიგივება თათრებთან, ინგილოები – ქართველები წარმოშობით, ლაპარაკობენ ქართულად და ამ ენაზე შეუძლიათ გაიგონ საღვთისმსახურო წიგნები.** მაჰმადიანთა გაქრისტიანება კი ქრისტიანული საზოგადოების მოვალეობაში არ შედიოდა (Кавказ, 1897, N173.).

ამ ფაქტს აღტაცებით გამოეხმაურა „ცნობის ფურცელი“ (ცნობის ფურცელი, 1897, N244). კიდევ ორ ნომერში გაკრთა ამ პოლემიკის გამოძახილი და შემდეგ შეწყდა ამ საკითხზე კამათი.

ქართული პრესის ფურცლებზე მე-19 საუკუნის ბოლოს გამართულმა ამ პოლემიკამ გამოავლინა ქართულ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა პოზიცია საღვთო რჯულის სწავლების მეთოდებთან მიმართებით; გვიჩვენა ტერმინ **ინგილოს** გამოყენების საშიშროება არამოსურნეთა გარემოცვაში და ბოლოს, გვიჩვენა ტერმინ **დიალექტის** მიუღებლობა ქართული საზოგადოებისგან ინგილოურთან

მიმართებით. უფრო რომ დავაზუსტოთ, ეს იყო მიუღებლობა არა ტერმინისა, არამედ იმისა, რომ დიალექტური სტატუსის ერთეული აყვანილი ყოფილიყო ენის რანგში და მასზე წირვა-ლოცვა და სხვა რიტუალები ჩატარებულიყო, საღვთო წიგნები თარგმნილიყო. ამ თვალსაზრისით ქართული საზოგადოების რეაქცია სრულიად შესაბამისი იყო.

ივანიცკის მსჯელობა ენებისა და დიალექტების შესახებ არ იყო თანმიმდევრული და ნამდვილად აჩენდა კვლავ საფრთხის საშიშროებას. მაგალითად, ის თურქული ენის დიალექტებად მიიჩნევდა: თურქ-ადერბაიჯანულს, ყაზანის თათრების მეტყველებას (наречие) და ა.შ. ქართულ დიალექტებსაც ამათ გვერდით ასახელებდა (იხ. ზემოთ). ამ ჩამონათვალში თურქულის დიალექტად მიჩნეული ენები დიალექტები არ არის, **ისინი დამოუკიდებელი ენებია**. მათთან ქართული დიალექტების გათანაბრება სრულიად განსხვავებულ და საშიშროების შემცველ ნოტებს შემოიტანდა ქართული ენობრივი მრავალფეროვნების საუკუნოვან პარადიგმაში.

გარდა ამისა, ივანიცკიმ **ქართველი ინგილოებისა და ქართველი ხევსურების** მეტყველება გამოყო და დაამორა სხვა დიალექტებს. ქართლური, კახური და იმერული კი მან სხვა სიბრტყეზე განიხილა, როგორც ძირეული (коренной) ქართული ენა. შემთხვევითი არ ჩანს, რომ ის ასახელებს ქართლურს, კახურსა და იმერულს როგორც ქართულ დიალექტებს, ყოველგვარი განსაზღვრების გარეშე, ხოლო ინგილოურსა და ხევსურულს ამატებს: **ქართული ინგილოური; ქართული ხევსურული**, თითქოს არსებობდეს არაქართული ხევსურული ან არაქართული ინგილოური. ესეც ალბათ გამოწვეული იყო იმით, რომ ხევსურეთიცა და საინგილოც (ზაქათალის ოლქი), ისევე როგორც ფშავი, თუშეთი, აფხაზეთი, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოქმედების აქტიური სივრცე იყო და ამ ორგანიზაციას თავისი სამისიონერო მოღვაწეობის ობიექტებისთვის ტერმინოლოგიური მარკერები უკვე ჰქონდა შემუშავებული.

ვფიქრობთ, საფრთხის შეგრძნება, რომელიც ჟურნალ **„კვალის“** რედაქციისა და **ბერის** სახელით ცნობილი სასულიერო პირის წერილებში ჩანს, უსაფუძვლო არ იყო. პოლემიკამ წარმოაჩინა საინგილოში მისიონერული მოღვაწეობის ორი შტო. ერთი, როგორც არ-

ქიმანდრიტ ლეონიდეს სიტყვებიდან ჩანს, ისტორიული კუთხის ცენტრთან დაახლოების, მის განუყოფელ ნაწილად ქცევის იდეას ატარებდა. მეორე კუთხის მოსახლეობის ინტერესებს, მათთვის გასაგები ენით ქადაგების საჭიროებას იშველიებდა, თუმცა ფართო კონტექსტით ის იმ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც მარგინალიზაციისა და იზოლაციისკენ შეიძლება წაყვანა მოსახლეობა.

წყაროები

ჟურნალი კვალი, 1895, N25;
ჟურნალი კვალი, 1895, N30;
ჟურნალი კვალი 1895, N31;
ცნობის ფურცელი, 1897, N244;
Духовный Вестник Грузинского Экзархата N10, 1895;
Кавказ, 1897, №173.

მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

პოტენციური შესაძლებლობის არჩევანი თუ ენათა კონტაქტის შედეგი? – აწმყოს მეშველზმნიანი წარმოება ქართული ენის ინგილოურ დიალექტში*

აწმყოს ფორმებზე მეშველზმნიანი ფორმების დართვა ინგილოურის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ნიშანია. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თავისებურება აღწერილია. (გრ. იმნაიშვილი; რ. ღამბაშიძე; ვ. აბაშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ დიალექტურ ტექსტში ძნელია პირველი და მეორე პირის ფორმათა მოძიება, რადგან დოკუმენტირების პროცესშივე ძნელად ხერხდება ამ ფორმათა რეალიზებისათვის საჭირო კომუნიკაციური სიტუაციის პროვოცირება, ქდკ-ის ტექსტებში

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

მაინც საკმაო მაგალითები გვაქვს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის საილუსტრაციოდ:

I პირი:

ჰომბოვეარ: *ჰომბოვეარ, ემაგრა ბოლრიალოვს.*

ზრზნივარ: *შეველ შიგ შაარში, ზრზნივარ, ნოხო, ერ ჰენგილაჲ დამიხტრავ?*

II პირი:

რსრუხარ, კრავხარ: *ჰიგეს ჰათარ თმაშოვასა, რსრუხარ კრამეტ, აღსად ერ ფეყი მიდიხარ, კრავხარ.*

კითხულოვხარ, ავლეხხარ: *ყურბას კითხულოვხარ, ავლეხხარ, მაგითი რა ხეირ ეყო.*

აკეთეხხარ: *მოიტანე, ჟან, ჰალა, შენ კარგა აკეთეხხარ პარკო, ფერმაში, ჰია მომცეს.*

ასტავხარ: *იმათ ახლა ახევ, ასტავხარ, როგორც მატყლს ასტავ.*

დგამხარ: *მითამ ახლა აქეთევ, დგამხარ სურული აქეთევ, დგამხარ, ჰა ვიცი, ფლავ აქეთევ. ჰემაგ, იგრევ, ხედავ, ქობში წუნიც აქეთევდი, შჰამდი.*

უნდა აღინიშნოს, რომ მეშველზმნიანი ფორმები გამოიყენება უმეშველზმნო ფორმათა გვერდით და მათ პარალელურად. ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი:

ასტავხარ // ასტავ: *იმათ ახლა ახევ, ასტავხარ, როგორც მატყლს ასტავ.*

ასტავხარ / აგდევ / ასხამ: *ე გორგალ წყალში აგდევ, ე დიდ მიწის ყაბი კეჰტება, წყალს ასხამ, გორგალ შიგ აგდევ. ამაქომ იმა, ასტავხარ.*

კორპუსული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უმეშველზმნო წარმოება გაცილებით ხშირია. თითქმის ყველა დადასტურებული მეშველზმნიან ფორმას ტექსტებში პარალელური უმეშველზმნო წარმოება ეძებნება:

რსრუხარ // რსრუ: *ვასილ ებნევ: აში, ზაალაჲ ნუ წაჲლ, თუ რსრუ, ესროვნ,*

აკეთეხხარ // აკეთევ: *შუშუტი როგო აკეთევ დეიდა, ჰადთი აკეთევდითყე?*

ლაპარიკოვხარ // ლაპარიკოვ: *ათას ცხრას თექსმეტი წლი ამბავს ლაპარიკოვ მე.*

ტყუიზიარ // ტყუი: ეს უგე პრაქტიკად არი. **ტყუივია?**

ეზეზიარ // ეზეზ: აქათყენ-იქითყენ დევეზებ, **დევეზებ** – წევე-ლივ. და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ მუწწი მითითებაა მოვლენაზე: გრ. იმნაიშვილი არაფერს ამბობს მოვლენის განზოგადებულობის შესახებ. არ ეზეზა კილოკავების მიხედვით მის გავრცელებას. აბაშვილი აწმყოს მწკრივზე საუბრისას მხოლოდ ერთ ზმნურ ფორმას განიხილავს და მხოლოდ ზოგადად მეშველზმნიან ფორმებზე საუბრისას ჩამოთვლის აწმყოში მეშველი ზმნის გამოყენების რამდენიმე შემთხვევას. გრ. იმნაიშვილი წერს, რომ „რიგ ზმნებს“, მათ შორის, გარდამავალსაც და „იცის“ ზმნასაც ახასიათებს ეს თვისება. უფრო თანმიმდევრულია როგნედა ღამაშაშიდის აღწერა, რომელიც გვეუბნება, რომ (1) ხშირია აწმყოში მეშველი ზმნის დართვა, (2) ეს მოვლენა დამახასიათებელია ორივე კილოკავისთვის, თუმცა ალიაბათურისთვის განსაკუთრებით და (3) მეშველი ზმნა ალიაბათურში შეიძლება დაერთოს თითქმის ყველა ზმნას. ბესარიონ ჯორბენაძეც (წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებაზე დაყრდნობით) აღნიშნავს, რომ დიალექტში როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნები აწმყოს ფორმებში ხშირად დაირთავენ მეშველ ზმნას.

როგნედა ღამაშაშიდე მეშველზმნიანი ფორმების უნიფიცირებას აწმყოში ხუნძური ენის გავლენად მიიჩნევს. გრ. იმნაიშვილი სქოლიოში აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანულში ყველა ტიპის ზმნა მეშველ ზმნას დაირთავს აწმყოში და ალბათ ეს აძლევს ბიძგს ინგილოურსაცო (იმნაიშვილი 1966, 118). ვენერა ჯანგიძეც იზიარებს ამ თვალსაზრისს და განიხილავს „ვიცივარ“ ზმნის მაგალითს (Джангидзе 1978, 80).

როგორც ქდვ-ის ტექსტებისა და საველე სამუშაოების დროს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ:

1. მეშველზმნიანი ფორმები აწმყოში **ერთნაირად** დამახასიათებელია როგორც ალიაბათური, ისე კაკური კილოკავისთვის;
2. მეშველი ზმნა აწმყოში ორსავე ამ კილოკავში შეიძლება დაერთოს ყველა ტიპის ზმნას;
3. მეშველზმნიანი წარმოება არის სინქრონულ დონეზე დაშვებული პარალელური წარმოება და ხშირად ერთი მთქმელის მე-

ტყველებაში, მეტიც, ერთ წინადადებაშიც კი, შეიძლება შეგვხვდეს მეშველზმნიანი და უმეშველზმნო წარმოება ერთი და იმავე ზმნისა.

ვასილ აბაშვილი მეშველი ზმნის გაჩენას აწმყოსა და სხვა მწკრივების ფორმებში ფონეტიკურ საფუძველზე ხსნის. სახელდობრ, ის მიიჩნევს, რომ პირის ნიშნის დაკარგვამ გამოიწვია პირველი და მეორე პირის ფორმათა აღრევის საფრთხე და მორფოლოგიური ომონიმის დასაძლევად გახდა საჭირო მეშველი ზმნის დართვა. როგორც ითქვა, სხვა მკვლევრები მოვლენას ენათა კონტაქტის შედეგად მიიჩნევენ.

რამდენად გასაზიარებელია უცხო ენების (ხუნძურის ან აზერ-ბაიჯანულის) გავლენის შედეგად მოცემული რეალობის განხილვა და როგორ მიემართება ინგილოურის ვითარება ქართულ ენაში მეშველზმნიანი წარმოების ზოგად კანონზომიერებებს?

მეშველზმნიანი ფორმები ქართული ზმნის დრო-კილოთა წარმოებაში გვიან არის გაჩენილი. მარტივი ზმნური ფორმების „გართულება“ მეშველი ზმნით ეტაპობრივად ხდებოდა. როგორც აღნიშნულია, აწმყოში დამხმარე ზმნას დაირთავს ზმნათა მცირე ჯგუფი, ძირითადად ე.წ. სტატიკური და საშუალი გვარის ზმნები (ბარამიძე, შანიძე). რაც შეეხება I თურმეობითს, ის „მეშველზმნიანია ყველა ტიპის ზმნისთვის“ (ბარამიძე). ასევე აღნიშნულია, რომ ეს, თითქოსდა, ერთი პრინციპი წარმოებისა აერთიანებს ზმნათა რამდენიმე განსხვავებულ ჯგუფს: ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების აღწერითი ფორმები სრულიად განსხვავებული ხასიათისაა, ამავე დროს ორპირიან ზმნებში გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები (ბარამიძე). მკვლევარი არ აზუსტებს, რომ გარდამავალი ზმნებიდან მხოლოდ მანის რიგის, იგივე „ობიექტური წყობის“ ზმნები დაირთავენ მეშველ ზმნას პირველ თურმეობითში, ამიტომ შეფასება „ყველა ტიპის ზმნები“ აქ, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულია.

რომ დავაზუსტოთ, დღეს ქართულ ენაში მეშველ ზმნას დაირთავენ:

1. სტატიკური ვნებითები (ზის, დგას...)
2. ე.წ. ინვერსიული ზმნები (უყვარს, სძულს...)
3. ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნები (ჯდება, ემალება)

4. გარდამავალი (მხოლოდ ე.წ. მანის რიგის // „ობიექტური წყობის“) ზმნები (მკლავს, მიჭერს...).

ამათგან **აწმყოს მწკრივის** ფორმებს პირველ ორი ჯგუფის ზმნები (სტატიკური ვნებითები და ინვერსიული ზმნები) იწარმოებენ მეშველი ზმნის დართვით.

რა არგუმენტები გვაქვს იმისათვის, რომ აწმყოს მეშველზმნიანი წარმოების გაფართოება და გარდამავალი და გარდაუვალი დინამიკური ზმნების გადასვლა ფორმაწარმოების ამ ტიპზე არ მივიჩნიოთ უცხო ენის (ამ შემთხვევაში ხუნძურის ან აზერბაიჯანულის) გავლენად და ის საკუთრივ ქართული ენის პოტენციური შესაძლებლობის გამოვლინებად ჩავთვალოთ?

პირველ რიგში, ეს არის თანამედროვე ქართულის ვითარება, როცა ხდება ძველ ქართულში ჩასახული ტენდენციის „გაფართოება“ სამეტყველო ქართულსა და დიალექტებში. მაგალითად, სპეციალური ნორმატიული შეზღუდვის მიუხედავად თანამედროვე ქართულში მასობრივად დაერთვის მეშველი ზმნა ისეთ ზმნებს, რომელთაც ის წესით არ უნდა ჰქონდეთ:

-ი თემისნიშნაან ზმნებს: ვტირი > ვტირივარ / ტირიხარ, მღერი > ვმღერივარ / მღერიხარ, კივი > ვკივივარ / კივიხარ...

-ავ თემისნიშნაან ზმნებს: ღელავხარ, შფოთავხარ, გორავხარ...

მოვლენის მასშტაბისა და ქრონოლოგიური უწყვეტობის აღსაქმელად იქნებ ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, რომ მსგავსი ფორმები ახალი კი არ არის, მე-20 საუკუნის დასაწყისისა და პირველი ნახევრის პრესტიჟული ენობრივი ჭრილის დამახასიათებელიცაა. მაგალითად ფორმა „**ღელავხარ**“ გალაკტიონ ტაბიძის დღიურებშია დასტურებული:

– მაიცა, სუმბათ, მაიცა, ნუ ღელავხარ (გალაკტიონის დღიურები¹).

„შფოთავხარ“ – 1914 წლის რედაქტირებადი მედიის ენაში გვხვდება:

¹ ვიმოწმებთ ინტერნეტრესურსის მიხედვით <https://www.galaktion.ge/> (დღიური – 471-2 – უთარილო).

შენ რათ შფოთავხარ მითხარი გულო, რათა ხარ ეგრე გამწარებული?!

ცნობილი ფაქტია, რომ ზმნურ ფორმაწარმოებაში აღწერითი (ანალიზური) ფორმების გამოყენება მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია სინთეზურ ენათა უმეტესობისთვის (ისევე, როგორც სინთეზური ფორმები, ჩვეულებრივ, გვხვდება ანალიზურ ენებშიც). ქართულიც არაა გამონაკლისი ამ მხრივ. თუმცა ნიშანდობლივია ის თავისებურება, რომელსაც ის ავლენს ანალიზური წარმოების მქონე ცნობილ ენებთან შედარებით: ამ ენებში მეშველი ზმნა მხოლოდ სახელურ ან სახელზმნურ ფორმებს დაერთვის (არსებითს, ნაცვალსახელს, ზედსართავს, ინფინიტივს, მიმღეობას) ქართულში კი ის შეიძლება ზმნის პირიან ფორმასაც დაერთოს. ამ მოვლენას განსაკუთრებით გამოყოფს ლელი ბარამიძე და აღნიშნავს: „...*განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალი ქართულის ის ფორმები, სადაც სავსებით ჩამოყალიბებულ ზმნურ ფორმას გარკვეულ შემთხვევაში მეშველი (არს) ზმნის პირიელი ფორმები დაერთვის. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებშიც, კოლხურსა (ჭანურ-მეგრულსა) და სვანურში. სხვა ენებისთვის კი ასეთი რამ თითქოს არ უნდა იყოს დამახასიათებელი. იგი არსებითად განსხვავდება მეშველი ზმნის გამოყენების სხვა, ფართოდ გავრცელებული, შემთხვევებისგან და ამდენად გარკვეულ ინტერესს იწვევს*“ (ბარამიძე 1964, 96).

ისტორიულ ჭრილში საკითხის შესწავლისას ამოსავალი დებულებაა, რომ ძველ ქართულში მეშველზმნიანი წარმოება არ გვქონია. თანამედროვე ქართულში აწმყოში მხოლოდ გარდაუვალ ზმნათა ერთი ჯგუფი – ზოგიერთი საშუალი (ძირითადად მედიოპასივები და იშვიათად, მედიოაქტივები) და ვნებითი გვარის (ძირითადად სტატიკური ვნებითები) ზმნა, მესამე სერიაში კი – ყველა ორპირიანი ზმნა – გარდაუვალიცა და გარდამავალიც მეშველ ზმნას დაირთავს პირველსა და მეორე პირში. ქართველურ ენებში კიდევ უფრო ფართოდაა მეშველზმნიანი წარმოება გამოყენებული და ახალი მწკრივებიც კი წარმოიქმნება მისი მეშვეობით. მაგალითად, ნამყო უსრულიდან და აორისტიდან ნაწარმოები თურმეობითები და პირობითები. გაზიარებული თვალსაზრისით, მეშველზმნიანი ფორმების წარმოე-

¹ მათრახი, 1914, N7, ა. ხონელი.

ბა ქართულსა და ქართველურ ენებში გვიან არის ჩამოყალიბებული, რაც ბუნებრივია დამატებითი ინტერესის საგანია მონათესავე ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისითაც.

ის, რომ ქართველური ენებისთვის მეშველზმნიანი წარმოება გვიანი, მაგრამ ორგანული პროცესია და ის ენათა კონტაქტის სპონტანური გამოვლინება არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ეს მოვლენა, რომელიც სტატიკურ ზმნათა აწმყოში უნდა ჩასახულიყო, სარკისებურად არის ასახული მესამე სერიაში, თურმეობითის მწკრივებში, ხოლო მესამე სერია, აგრეთვე გვიან არის სამივე ქართველურ ენაში ჩამოყალიბებული აღნიშნულია, რომ ზმნათა ეს ორი ჯგუფი (სტატიკური ზმნების აწმყო და გარდამავალი ზმნის მესამე სერია ერთი ტენდენციით ვითარდება სამივე ქართველურ ენაში. აღწერითი წარმოებაც თითქმის ერთდროულად ჩნდება ორივეგან და წინ უსწრებს ასეთსავე წარმოებას აწმყოს ე.წ. საშუალი გვარის ზმნებში (ბარამიძე).

ქართველური ენებიდან სვანური ზუსტად ქართულისებურ სურათს იწახავს - მეშველი ზმნა სრულად არის შერჩენილი პირველსა და მეორე პირში. რაც შეეხება მეგრულსა და ლაზურს, იქ მეშველი ზმნა „გაცვეთილა“ და სუფიქსად ქცეულა (ლომთათიძე, კარტოზია და სხვ.; ჯორბენაძე, ქირია და სხვ.).

საგულისხმოა, რომ მეშველზმნიანი წარმოება სვანურში მხოლოდ ბალსქვემოურს ახასიათებს, რაც შეეხება ბალსზემოურს, მას ქართული ენის უძველესი ვითარება აქვს შემონახული – ყველა ჩვენი თვის საინტერესო ფორმა მეშველი ზმნის გარეშეა ნაწარმოები.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ქართულისაგან განსხვავებით სვანურსა და მეგრულში მეშველი ზმნა დაერთვის ყველაწარმოებას; ამასთან, სვანურში მეშველი ზმნა შესაძლოა ნამყოს ფორმითაც იყოს წარმოდგენილი, რაც უცხოა ქართულისათვის (ბარამიძე).

ყველაფერი ეს მეტყველებს, რომ ქართული და ქართველური ენებისთვის უცხო არ არის მეშველზმნიანი წარმოება. ის ჩაისახა ამ ენათა განვითარების გვიანდელ ეტაპზე და როგორც ჩანს, დამოუკიდებლად განვითარდა. მიუხედავად ამისა, ნათელად ჩანს მოვლენის გაფართოების ერთიანი ტენდენცია.

ინგილოურის ვითარება სწორედ საერთო ტენდენციის დამოუკიდებელი განვითარების მაგალითი უნდა იყოს – ის, რასაც ჩვენ

პოტენციური შესაძლებლობის არჩევანი ვუწოდეთ. აქ, ისევე, როგორც ქართველურ ენებში, მეშველი ზმნა შეიძლება დაერთოს ყველა ტიპის ზმნას; გარდა ამისა, მეშველი ზმნა, ისევე, როგორც სვანურში, შეიძლება შეგვხვდეს ნამყო დროის ფორმით.

ასე რომ, უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომ **ქართველურ ენობრივ სისტემებში მოქმედებს საერთო ტენდენცია მეშველზმნიან ფორმების ჩასახვისა და დამკვიდრებისა.**

ძველ ქართულში ეს პროცესი იწყება სტატიკურ ზმნებში და უკავშირდება უღვლილების მესამე სერიის გაჩენას: მიჩნეულია, რომ თავდაპირველად მეშველზმნიანი ფორმები სწორედ მესამე სერიის ფორმებთან საზიარო ომონიმურ ფორმათა გასარჩევად გაჩნდა პირველ სერიაში. ძველ ქართულში მკაფიოდ არის გამოხატული, რომ მეშველზმნიანი წარმოება მკაფიოდ განარჩევს ზმნათა გარდამავალ და გარდაუვალ, სტატიკურ და დინამიკურ გრამატიკულ შინაარსებს.

მეშველზმნიანი და უმეშველზმნო წარმოება ძველ ქართულში დასტურდება, როგორც დიაქრონიული პროცესის მაჩვენებელი მონაცემები და მკაფიოდ გამოყოფს **დიაქრონიული ვარიაციულობის** სურათს.

სვანური და მეგრულ-ლაზური ამ პროცესის შორს წასულ საფეხურს წარმოადგენენ, აქ მეშველი ზმნა არ განარჩევს ზმნათა სტატიკურ-დინამიკურ ან გარდამავალ-გარდაუვალ ჯგუფებს.

საგულისხმოა, რომ ზემოსვანური (სადაც არ არის მეშველზმნიანი წარმოება) და ქვემოსვანური ერთმანეთის მიმართ ზუსტად ისეთ ვარიაციულობას აჩვენებენ მეშველი ზმნის დართვა-არდართვის გამო, როგორსაც ძველი ქართული თავისი უძველესი პერიოდის მიმართ: უმეშველზმნო წარმოება / მეშველზმნიანი წარმოება. ასე რომ სვანურში ამ მოვლენის **სივრცული ვარიაციულობა** გვაქვს, რომელიც ზუსტად ასახავს ძველი და ახალი ქართული ენის **დიაქრონიულ ვარიაციულობას.**

თანამედროვე ქართულ ენაში მეშველზმნიანი აწმყოს „სივრცე“ ნორმირებულია, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის საკმაოდ უფლებამოსილებით დასტურდება ახალი ქართული ენის ადრეულ (მე-19 – მე-20 ს. დასაწყისი) ტექსტებში. თანამედროვე სამეტყველო ენისა და დიალექტებისთვის ის ასევე დამახასიათებელია

და უნდა ჩაითვალოს ქართული ენის **ნორმატიულ ვარიაციულობად**.

როგორც მასალაზე ვნახეთ, ინგილოური, ქართველურ ენათა (სვანურისა და მეგრულ-ლაზურის) მსგავსად აფართოებს მოვლენის გრამატიკულ არეალს და მეშველზმნიანი წარმოების შესაძლებლობას უშვებს ყველა ზმნასთან, თუმცა აქ არ ხდება მოვლენის სრული გრამატიკალიზაცია და მეშველზმნიანი და უმეშველზმნო ფორმები ქმნიან **დიალექტის შიგნით თავისუფალ ვარიაციულობას**. ამ ვარიაციულობის ერთ მდგომარეობაში შენარჩუნებას და უნიფიცირების პროცესის შეფერხებას (რომელიმე ვარიანტის სასარგებლოდ) კი ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ქართულ ენასთან მჭიდრო კავშირი, მეორე მხრივ, უცხოენოვანი დომინანტური გარემო, რომლისთვისაც მეშველზმნიანი წარმოებაა დამახასიათებელი. ეს უკანასკნელი გარემოება უხსნის დიალექტის მატარებელს „არასტანდარტულობის“ განცდას და ქმნის ხელსაყრელ პირობას მშობლიური ენის შინაგანი ტენდენციის გასაღრმავებლად. ამგვარი ორმაგი „მართვის“ მქონე ტენდენციები განსაკუთრებით საინტერესო კვლევით მოტივაციებს ქმნიან კუნძულოვანი ან საზღვრისპირა დიალექტების შესწავლისას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, არ მიგვაჩნია მართებულად ინგილოურის აწმყოს ფორმებში მეშველი ზმნის განზოგადების ტენდენციის აზერბაიჯანულის გავლენის შედეგად განხილვა. როგორც ქართველური ენების მაგალითებზე ვნახეთ, ეს ტენდენცია საუკუნეთა განმავლობაში იკვლევს გზას და თანაარსებობს უმეშველზმნო წარმოებასთან არა მხოლოდ ქართულ ენასა და მის დიალექტებში, არამედ მთელ ქართველურ ენობრივ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშვილი 2009 – ვ. აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი.

ბარამიძე 1964 – ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძველი კათედრის შრომები, 9, თბილისი.

იმნაიშვილი 1966 – გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი.

ღამბაშიძე 1949 – რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Джангидзе 1978 – В. Джангидзе, Ингилойский диалект в Азербайджане, Тбилиси.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

„კოჭლი“ პარადიგმები ზემოიმერულში (ენობრივი ატავიზმის ერთი შემთხვევა)

საკითხი დაკავშირებულია ზმნის თემასთან. საჭიროდ მიგვაჩნია, გავისვენოთ ზოგიერთი რამ ამ სფეროდან.

„თემა ჰქვია **უცვალეხელ** ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში“ (შანიძე 1930, 138).

თემა არის საყრდენი ფუძე სერიისათვის; **საკუთრივ ფუძე** – საყრდენია მწკრივისათვის.

არსებითი პირობა: **უცვალეხელი** უნდა იყოს **თემა** სერიის ფორმათათვის; ასევე **ფუძე** – მწკრივის ფორმათათვის...

პირველ სერიაში ზმნა შეიძლება იყოს რთულთემიანი (ანუ თემისნიშნისანი) და მარტივთემიანი (ანუ უთემისნიშნისანი).

მარტივ- და რთულთემიანობა ზმნებში არ არის მუდმივი მონაცემი.

მარტივთემიანი შეიძლება რთულთემიანი გახდეს და პირიქით: რთულთემიანი შეიძლება მარტივთემიანი გახდეს.

ა) მარტივთემიანი ხდება რთულთემიანი:

მვ. ქართული

ვ-თეს

ს-თეს-ს

თეს-ს

ახ. ქართული

ვ-თეს-**ავ**

ს-თეს-**ავ**

თეს-**ავ**-ს

ვ-თეს-თ
ს-თეს-თ
თეს-ენ

ვ-თეს-**ავ**-თ
ს-თეს-**ავ**-თ
თეს-**ავ**-ენ

ასევე: რეკ-ენ და რეკ-ავ-ენ, ჩეჩ-ენ და ჩეჩ-ავ-ენ, ტეხ-ენ და ტეხ-ავ-ენ... ერთთემიან ზმნებში ეს კანონზომიერი პროცესია (შანიძე 1973, 389).

ბ) არსებობს საპირისპირო მოვლენაც – რთულთემიანი ზმნა ხდება მარტივთემიანი:

ძვ. ქართული
წარვი-ყვან-**ებ**
წარი-ყვან-**ებ**
წარი-ყვან-**ებ**-ს
წარვი-ყვან-**ებ**-თ
წარი-ყვან-**ებ**-თ
წარი-ყვან-**ებ**-ენ

ახ. ქართული
წავი-ყვან
წაი-ყვან
წაი-ყვან-ს
წავი-ყვან-თ
წაი-ყვან-თ
წაი-ყვან-ენ

ასევე: წარავლინ-ებ-ენ და წარავლენ-ენ, ამხილ-ებ-ენ და ამხელ-ენ, აწყინ-ებ-ენ და აწყენ-ენ... (გოგოლაშვილი 2010, 325).

ეს სისტემური ენობრივი ცვლილება – კანონზომიერი პროცესია: იცვლება თემის ნიშანთა გადანაწილების საფუძველი: „ახალ ქართულში თემის ნიშანთა განაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება: **-ავ/-ამ** თემის ნიშნები მკვიდრდება მოქმედებითი გვარის ზმნებში; **-ებ** თემის ნიშანი ვნებითი გვარის ზმნებში და **-ობ** თემის ნიშანი – საშუალო გვარის ზმნებში. ყველა მომხდარი ცვლილება ამ ტენდენციის გამოვლენაა“ (გოგოლაშვილი 2010, 337).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზემოიმერულში პარადიგმის მე-6 წევრმა: ორივე შემთხვევაში დაცულია არქაული ფორმა – ძველი ქართულისეული ვარიანტი:

წევი-ყვან
წეი-ყვან
წეი-ყვან-ს
წევი-ყვან-თ

ვ-თეს-ავ-თ
ს-თეს-ავ-თ
თეს-ავ-ს
ვ-თეს-ავ-თ

წეი-ყვან-თ
წეი-ყვან-ებ-ენ

ს-თეს-ავ-თ
თეს-ენ

(ასევე: მევიტანთ და მეიტანებენ, მევიხმართ და მეიხმარებენ... ვრეკავთ და რეკენ, ვხერხავთ და ხერხენ, ვჩეხავთ და ჩეხენ...).

ორივე პარადიგმის შემთხვევაში **ირღვევა თემისა** თუ მწკრივის **ფუძის უცვალელობის** პრინციპი. სხვაობს მეექვსე წევრი პირველი ხუთისაგან.

ამგვარ პარადიგმებს ვუწოდებთ **„კოჭლ“ პარადიგმას**.

ფაქტი თითქოს შენიშნულია, მაგრამ არაა გააზრებული ერთიანი პარადიგმის ფარგლებში; წერენ: ზემოიძერულში „იშვიათად აწმყოში -ავ სუფიქსი არ მოიპოვება: სიმიდს როცა **აჩეხენ, დათესენ** პურსა“ (მოწენიძე 1973, 61)...

მაშასადამე, რა მოხდა? – განხორციელდა კანონზომიერი ენობრივი ცვლილება; მაგრამ პარადიგმის ერთი წევრი შემოგვენახა უცვლელად; ანუ სახეშეცვლილ პარადიგმებში ერთი წევრი არქაული (შეუცვლელი) დარჩა ერთ-ერთ დიალექტურ არეალში... ვიმეორებთ – **დაირღვა ზმნის თემისა თუ მწკრივის ფუძის უცვლელობის პრინციპი**: ერთ შემთხვევაში პარადიგმის ხუთი წევრი მარტივთემიანია, მეექვსე – რთულთემიანი; მეორე შემთხვევაში პირიქით: პარადიგმის ხუთი წევრი რთულთემიანია, მეექვსე – მარტივთემიანი; ზემოიძერულისთვის ასეთი პარადიგმები „ნორმაა“...

რა ხდება? როგორ უნდა შევაფასოთ ეს ფაქტი?

ამ მოვლენის **ახსნა**, ჩვენი აზრით, **მეცნიერული ლოგიკით შეუძლებელია...** ფაქტი **გამონაკლისად** მიიჩნევა.

„გამონაკლისის“ შესახებ მომხიბლავად გვეჩვენება ვარლამ თოფურიას მოსწრებული გამოთქმა: „**გამონაკლისი გაჭირვების ახსნაა**“ (ბ. ჯორბენაძის ზეპირი გადმოცემით). რამდენადაც ენა სისტემაა, გამონაკლისი არსებობს არა რეალურად, არამედ ჩვენი ცოდნის დონეზე...

რა შეიძლება ითქვას; რა არის მიზეზი პარადიგმებში ერთი წევრის არქაული სახით შემორჩენისა?

საკითხს განსაკუთრებით ართულებს ისიც, რომ მესამე პირის მხოლობითის ფორმა კანონზომიერი წევრია პარადიგმისა. განსახილველ შემთხვევებში არ არის იმგვარი ვითარება, როცა III პირის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებში საყრდენი ფუძე ერთნაირია და პრინციპულად უპირისპირდება პირველ-მეორე პირის ფორმებს:

ვ-მალ-**ევ**-დ

მალ-**ევ**-დ

მალ-**ვ-იდ**-ა

ვ-მალ-**ევ**-დ-ით

მალ-**ევ**-დ-ით

მალ-**ვ-იდ**-ნენ

ანდა: სტატიკურ ზმნებში მეშველზმნიანი ფორმები განივითა-რა პირველ-მეორე პირმა; მესამე პირმა – არა:

ვ-დგა-**ვარ**

დგა-**ხარ**

დგ-ა-ს

ვ-დგა-**ვარ-თ**

დგა-**ხარ-თ**

დგან-ან

ამგვარ შემთხვევებს აქვს ლოგიკური ახსნა ზმნის ფორმაწარმოების ისტორიის გათვალისწინებით. ეს სხვა თემაა, სხვა რიგის მოვლენაა...

ჩვენს განსახილველ შემთხვევებს („კოკლ“ პარადიგმებს) ამგვარი ლოგიკით ვერ ავხსნით... მეცნიერული მსჯელობა დასრულდა იქ, სადაც დამთავრდა ფაქტის აღწერა...

იქ, სადაც „შეჩერდა“ მეცნიერული ლოგიკა, **ამუშავდა „არამეცნიერული“ ფანტაზია**; ანუ პასუხი კითხვაზე: ერთ დიალექტურ არეალში პარადიგმის ერთი წევრი რატომ შემოგვინახა ენამ არქაული, ჩვენი პასუხი ასეთია:

არსებობს მოვლენა **ატავიზმი**, რომელიც ასე განიმარტება: **„ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნების გამოვლენა, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრისათვის“** (უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან). (ტერმინზე ყურადღება გაგვამახვილებინა ქეთევან დათუკიშვილმა)...

ენა ცოცხალი ორგანიზმია. „ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე“ (ილია ჭავჭავაძე).

ენაში მომხდარი ცვლილების აზრი, მიზეზი და მიზანი ჩვენთვის ხშირად ამოუცნობია; „ენის განვითარების შინაგან კანონს“ მოვიშველიებთ, თუმცა რა არის არსი ამ შინაგანი კანონისა, ცხადად ვერ ვიტყვით...

ენა თვითმართვადი ფენომენია; ვაჟა-ფშაველასეული ფორმულა „ბუნების შესახებ“ ენას შეიძლება ასე მოვარგოთ: „ენა მზრძანებელია, იგივ მონაა თავისა“...

შეიძლება თუ არა დაშვება იმისა, რომ **წეიყვანებენ, თესენ** ზემომოყვანილ „კოჭლ“ პარადიგმებში არის **ენობრივი ატავიზმის** მაგალითი? ანუ: ენამ თავისი განვითარების ადრეული საფეხურისთვის დამახასიათებელი ფორმა გამოავლინა (წარსულის ხსოვნისათვის შემოინახა) ერთ დიალექტში? (**„სიძველისადმი გრძნობა, პატივი“...**)

ვფიქრობთ, შეიძლება ამის დაშვება... სანამ ამ ფაქტის მეცნიერული ახსნა არ გვექნება, ვიტოვებთ უფლებას, ამგვარად გავიაზროთ ეს მოვლენა.

ეს არ არის, ჩვენი აზრით, ერთადერთი შემთხვევა „ენობრივი ატავიზმისა“. ყველაზე გამოკვეთილ მაგალითად გვესახება ორი ხანმეტი ფორმის შემორჩენა ხანმეტობის შემდეგდროინდელ ქართულში (**ხ-არ, ხ-ვალ...**)... ამ თემაზე საუბრის გაგრძელება შესაძლებელია...

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2010 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი.

იმნაიშვილები 1996 – ვ. და ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ზმნა, ფრანკფურტი.

შანიძე 1930 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

მოწინიძე 1973 – ქ. მოწინიძე, ზემოიშორული კილოკავი, თბილისი.

ეკა და დიანი

მეფუტკრეობის ლექსიკისათვის ტაოურ დიალექტში

ტაოელი ქართველები დღესაც ტრადიციულად მისდევენ ფუტკრის მოვლა-მოშენებას, შესაბამისად, აქტიურად იყენებენ მე-ფუტკრეობასთან დაკავშირებულ ლექსიკას.

კვლევა ეყრდნობა ჩვენ მიერ დიალექტოლოგიური ექსპედიციების პერიოდში ტაოს ქართულენოვან სოფლებში (ხევაი, ქვაბი, ბალხი) ჩაწერილ მასალას.

თაფლის მკეთებელ მწერს ტაოში, ჩვეულებრივ, **ფუტკარს** ეძახიან. აქ ძირითადად **კავკასიური ფუტკარი** ჰყავთ: „აქვერი ფუტკარი ერთი ქავქასიურია, მაჭახელიდამ არის, ერთიც ფოცხოვიდამ, არტაანიდამ. ბათუმიდამაც მოჰყავან აქა. ქავქასი ი ბევრ თაფლ იქსა, ისაც ბევრ წიწილ იქსა“.

ფუტკარი **„თაფლ იჯება“**, თაფლს ყვავილიდამ / ჩიჩეგიდამ (თურქ. çiçek) აკეთებს. ტაო მთაგორიანი ადგილია, აქ „ბევრი ყვავილია, ჭალის, ტყისიც და ხისიც არი ყვავილები. ტყე ყვავილი მარტი-აპრილში ტყეში გომოვა. ჩვენში ძაღლაში არი ჩიჩეგები, სული (სუნი) გემრიელი“.

აქაური თაფლი ძალიან ფასობს. ადგილობრივთა განმარტებით, „აქვერი თაფლი სიქელია, ხელზე არ გეგევრობა, ხელზე არ გეცხოზა“. თაფლის ხარისხს ადვილად ცნობენ: „შექრიანი ენაზე დეიდებ, გაგორდება; კაი თაფლს ასე შეხედავ, გაღმადი გომოჩდება“.

ფუტკრის რძეს **ფუტკრის ნაწველს** ეძახიან (ტაოში რძეს „ნაწველი“ ჰქვია).

ფუტკარს ვინც **უმზერს** („უვლის“), **ფუტკარჯის** („მეფუტკრეს“) უწოდებენ. ქართ. **ფუტკარ-** ძირი გაფორმებულია პროფესიის, საქმიანობის მაწარმოებელი თურქული **-ci** სუფიქსით.

ფუტკრის სახლს ტაოში **კოდს** ეძახიან. მას ძირითადად კატარისაგან (კავკასიური ფიჭვისაგან) ამზადებენ „უფისო კატარი, ფის არ-ნა ქონდეს... იმა ორ წელწად მააცდევ, ამა მზეში არა, შიგან, შიგან-ნა გახმეს ორ წელწად, ქი არ გაპწდეს. ორ წელწადს იქით იმა გიდაშქრავ, რადენცხა გინდა – მეთრე, სანთიმეთრე, შიგან გომოლურავ, გახვრიტავ, გახვრიტავ, გათლი“.

ტყეში **გარეველი, იაზანჯი** (თურქ. Yabancı „უცხო“) ფუტკარი-ბინადრობს ხის ფულუროებში, რომელსაც **წარე კოდს** ეძახიან. ასევე, როცა ფუტკარი გაყოფის დროს „გომოა, გეიქცევა, შევა იქა, იქ გარიგდება, ყავალში (თურქ. kavak „ალვის ხე“), კაკალაში შიგან დელუგები (თურქ. delik „ნახვრეტი“) არი ასე, ჩურუგი (თურქ. çürük „ფუჭი, დამპალი“), იმა ასე გუმუცლიან, ასე, ცარიელი, ჰო, შიგან შევა, ხემელი-საც არი, ნედლისაც არი. გომოჭრილი, ჰო, ჩტე გომოლურული, გომოლურულ ვეტყვით“.

ტაოში „მრგვალი ფორმის სკას **გურგვალი** ერქვა, ოთხკუთხედო მოყვანილობისას კი – **კოდი**“ (მ. ფაღავა... 2020, 312).

კოდს წინ „თახთა აქვა დადებული“, სადაც ფუტკრები გამოდიან და ჯდებიან. კოდი ზემოდან **ყაფით** (არაბ. Kafa „თავი“) არის დახურული.

კოდში დგამენ სპეციალურ ხის ჩარჩოებს – **ჩერჩეჩეს** (სპ. çarçave „ჩარჩო, ბუდე“ – შ. ფუტკარაძე 1993). „ჩერჩეჩე ჩადებულია, იმა-ზედაც გავლენ, ძირიდან გავლენ, იქა თაფლ იჯებიან; ერთ კოდში ათი თანე ემე არი, ჩერჩეჩე არი“.

კოდს ძირითადად მზა სახით ყიდულობენ, ზოგი მეფუტკრე სახლში თვითონ ამზადებს.

კოდი ფუტკრის ბინის აღსანიშნავად დასტურდება: კახურში, გურულში... შდრ. **კოდი** ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება; 1. ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულგამოთლილი მორისაგან. იხმარება ჩვეულებრივ მარცვლეულისა და ფქვილის, აგრეთვე რძის ნაწარმის შესანახად (ან კიდევ სითხის ჩასასხმელად). 2. მთლიანი ხის მოგრძო ჭურჭელი, წყაროსთან დადგმული საქონლის დასარწყულებლად. 3. მარცვლე-

ულის საწყაოს ხვადასხვა ზომისა. 4. გულამოდებული მორი უძირო, რომელიც მიწიდან ამომდინარე წყაროშია შვეულად ჩადგმული წყლის შესაკრებად და გამოსადენად (ს.-ს. ორბელიანი 1993; ქეგლი; [ღლონტი 1984](#)).

ფიჭის აღსანიშნავად გამოიყენება **ჩეჩა** და **ფეთეჟი** (თურქ. Petek). „ჩეჩა იცი, ჩეჩა? ფეთეჟ, გატეხავ, ასე დეიჭირავ, გატეხილი ჭაში (<შუაში), [თაფლი] ერთანე არ ჩიმიარს, შიგნისკე შესწევს“.

ფუტკრის ოჯახის შემადგენლობა: **ანა ფუტკარი**, იგივე დედა ფუტკარი, სიდიდით გამოირჩევა. „შიგან ერთი წოწოლი ანაჲ არი, ერთანე. ერთ კოდში ორი თანე არ იქნება. წაკიდებენ იქა, ისინი ერთანე გახეთქვენ, მააკვტენენ ანასა, ერთანე შეინახვენ“. ის არ მუშაობს, მხოლოდ კვერცხს დებს. „ანაჲ მათო ფუტკარი ნაწველით იზღება, ჭამსა ანაჲ“.

„ყოლი ფუტკარი თაფლ არ იქსა; ზოგნი თაფლ იჯებიან, ზოგნი წიწილ იჯებიან“.

მუშა ფუტკარს **საქმობელ ფუტკარს** ეძახიან. ასევე, გვხვდება **ასკერი ფუტკარი** (თურქ. asker „ჯარისკაცი“). აღნიშნული სახელწოდებები მუშა ფუტკრის ფუნქციებზე მიანიშნებს.

მამალი ფუტკრები „დიდრუანები არიან. ისენი წყალ მეიტანებენ, ო, წყალი, ო, წყალისაც უნდავან იმათა“. იმ შემთხვევაში, თუ ბევრი იქნება ან არ სჭირდებათ, „მამალი ფუტკარი ხოცვენ, მააკვტენენ, გომოყრიან“.

ახალგამოჩეკილ ბარტყს **ფუტკარისი წიწილი** ჰქვია. ზოგადად ტაოურში **წიწილს** ეძახიან ფრინველის, ცხოველის, ქვეწარმავლის ნაშიერს (მაგ., ქათამისი წიწილი, ყვასი წიწილი, დათვისი წიწილი, ბოტოტისი წიწილი). შდრ. **მართვე** – ფუტკრის ახალი ოჯახი, ნაყარი: ფუტკარი ანაჲ გუმუშვებს, მართვე ვებნევით (მ. ფაღავა... 2020: 1144). გურ. **მართვეს გამოსვლა** – ნაყარი ფუტკრის გამრავლება (გ. შარაშიძე 1938).

ცუდ ამინდში, „თუ იწვიმა ბევრი, ჰემ ნაწველ ა(რ) მეიტანა ფუტკარმა, ანა ა(რ) მართვა, ანამასაც კვერცხ არ დადვა; თუ ა(რ) დადვა, ფუტკარ არ გაბევრდება; თუ არ გაბევრდება, თაფლისაც არ ალი. ჩვენში გაბევრებული ფუტკარი თაფლი მეიტანს. აბლი ა(რ) მეიტანს“.

დედა ფუტკარი ჭკვიანია, მან „იცის, ქარჩიხზე-ნა (თურქ. karçıgi „გაზაფხული“) მოვდეს, რამდენ ქილო თავლ მაქვა, ჰა ამნე-თი; რამდენ კაც გვეყოფა, ამნეთი... რამნეთ ბევრნ არიან, ამნეთ. იმ-ნეთკლავსა, ჭრავსა, გომოყრის, აკდუნებს და გომოჰყრის“.

თველზე (შემოდგომაზე) **თაფლს გუმულებენ, გომოხილავენ**. „თაფლი **გუმუხილაფთ**. თაფლი შუხედაფთ, თაფლი თუ აქუა, თუ უქნია, თველზე **გუმუდეფთ**“.

შდრ. **ხილვა** (გურ., იმერ.) – სკის ახდა და თაფლის ამოღება (ალ. ღლონტი 1984); **ხილვა** – 2.სპეც. საფუტკრის ოჯახის გასინჯვა მდგომარეობის გარკვევის მიზნით (ქეგელი).

„გომოხილვისანს“, თაფლის ამოღების დროს იყენებენ სპეციალურ მოწყობილობას – **ქორუგს** (თურქ. körük „საბერველი“), რომლითაც კვამლს უშვებენ. ფუტკარს კვამლის ემინია, მეფუტკრეს კი საქმე უადვილდება. ძველად ძროხის გამხმარ ნეხვს იყენებდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ და მისი კვამლით აბრუებდნენ ფუტკარს, „კვამლი ფუტკარს არუჯება, თვალზე უქორეფს (უბრმავებს), დაჩუმდება, მერესაც ჩუმ არ ემეილებენ. ადვილა-ნა გემეილო თაფლი“.თაფლს წელიწადში ძირითადად ერთხელ იღებენ. შაქარს თუ „მიართმენ“ ფუტკარს, შეიძლება ორჯერ, სამჯერაც ამოიღონ თაფლი. **სახილაი** – სკაში ფიჭის მოსაჭრელი დანა (მ. ფაღავა... 2020: 1160).

მეფუტკრეები პირადი უსაფრთხოების საშუალებებსაც იყენებენ: „მასკებ ვიცვამთ ჩვენზედან, თათმანებს ვიკეთებთ, კარგასაც ასე წინდები-მინდები ჩევცვამთ. ზოგნი არ იცმენ, ნაკითხნი არ იცმენ, ისე ხილვენ მას“.

„ფუტკარმა თუ გიკბინა, თაფლი-ნა წაიცხო ზედან, ჰო, თაფლი ქიწიცხებ, არგასივდება, ჯაე (მჟავე) მაწონი წეიცხებ, არც ეგენტება“ „...კალი აქვა იმასა, იმა შეგაძგერეფს. მისი ჩაჭირებული ნემსი იქ ჩება, იმას უკან ი მოკვტება“.

როდესაც ფუტკარი მრავლდება, იყოფა, იტყვიან: **გაბევრდაო**. „**გაბევრდება, ოღული** (თურქ. oğul „შვილი“) **გომოვა, წიწილ გუმუჭეფს**“. „ერ(თ) თერეჭიდამ (არაბ. taraf „მხრივ“) მოკვტება, ზათენ იმი მაგიერა კიდე გომოა ახალი, გომოა ახალი, გენჯი (თურქ. genç „ახალგაზრდა“) ემე და, დაბერებული მოკვტება, გენჯი გომოა, გარიგდება ემეში, კოდში“. გაყოფის დროს ფუტკრები **აბუზდებიან**

(ბზუილის იწყებენ). რესპონდენტის თქმით, ამ დროს დედა ფუტკარი, „ანალიქსოფს და მიხედები, ქი ხვალ-ნა გომოვდეს“. ფუტკარი შორს რომ არ წავიდეს, მეფუტკრე კოდს ზემოდან წყალს დაასხამს. ფუტკარს ჰგონია, წვიმსო და ახლოს დაჯდება. სხვა შემთხვევაში- ფუტკარი შორს წავა, ხევნარზე (ხეებზე) ავა და თავლსაც წაიღებს. ხეზე გასულ ფუტკარს მეფუტკრე ჩამობერტყავს, ჩაყრის კოდში ან- **გოდორში/ჩითში** (თურქ. Çit „მოწნული ჭურჭელი“) და სალამოს, „მზე ქი ჩავა“, სახლში მოიყვანს, „შეიქნება ახალი ფუტკარი, გაბევენდება“.

ფუტკრის მსგავსი მწერია **ზუზუნაი**. ის „ფუტკარზე დაა (ძალიან) დიდია, ზოგი თეთრი, ზოგი შავი, ხმა აქვა. ჭალა-ყანაში არიან, ყვერევენარში არიან, ბუდეში თავლ იჯებიან; ჩვე ვხედვიდით, ვჭამდით. ზუზუნასი თავლი დაა კაია. ისა ჭენა (ძლიერად) გიკბენს, ზაბა (ძალიან) ფინთია ისა“. შდრ. **თაფლა-ბუზი** (კახ.) – „მიწაში (უმთავრესად სათიბში), ყორეებსა და კლდეებში იკეთებს ხოლმე ბუდეს. თაფლა-ბუზი იმზადებს მცირეოდენ მარაგს, რომელიც გემოთი ჩვეულებრივ თავლს წააგავს. მისი ცვილი უვარგისია. ბავშვები საგანგებოდ დაეძებენ ხოლმე თაფლა-ბუზს, ხოლო უფროსები, თიბვის დროს რომ წააწყდებიან მას, მის ნაყოფს სიამოვნებით ჭამენ“ (აღლ. რობაქიძე 1953, 105-106).

ფუტკარს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ტაო მთაგორიანი ადგილია, ზამთარი აქ ხანგრძლივი და უხვთოვლიანია, ამიტომ ფუტკარი მთიდან ბარში ჩამოჰყავთ, კოდებში „შერბეთ მიათმენ“, უწამლებენ, რომ რამემ არ დააზიანოს; გარშემო დათბუნავენ და გაზაფხულამდე ასე ამყოფებენ.

ფუტკარს ზაფხულსა და შემოდგომაზე ადგილს უცვლიან. ზოგი მეფუტკრე ახალი კოდების წინ ნაძვის ტოტს აწყობს, რომ ფუტკარმა თავისი ახალი ადგილსამყოფელი დაიმახსოვროს. რესპონდენტის თქმით: „ეს ახალია, ძველათ არ იყო“.

განხილული მასალა ადასტურებს, რომ ტაოელ ქართველთა მეტყველებაში მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ლექსიკა უმთავრესად ქართულია. შედარებით იშვიათად გვხვდება თურქული სიტყვა ფორმებიც, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის თურქულენოვან საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად გაჩნდა და თანდათან ტაოური დიალექტის ლექსი-

კური ფონდის ნაწილად იქცა. სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ლექსიკა (ტერმინოლოგია) მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენობრივი კუთხით, არამედ ეთნოგრაფიული და კულტურული თვალსაზრისითაც საინტერესო ინფორმაციას შეიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლომთაძე... 1997 – ლ. ლომთაძე, ტ. ფუტკარაძე, მეფუტკრეობის ლექსიკა ქართველურ ენებში (ფუტკარი, ფუტი, ფუჭი, ფიტი, ფიჭი, ფიჭა, ბუკი/ბიკვი). ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, I, გამომც. „ქართული ენა“, ქუთაისი.

რობაქიძე 1951 – ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. V. საქართველოს მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი.

რობაქიძე 1953 – ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა კახეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI. საქართველოს მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი.

მაყაშვილი 1973 – ზ. მაყაშვილი, მეფუტკრეობის ტერმინოლოგია. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი.

ორბელიანი 1991-1993 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. გამომც. „მერანი“, თბილისი, ტ. I – 1991, ტ. II – 1993.

ფაღავა... 2020 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, შ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე, ტაო (მონოგრაფია). გამომც. „მერიდიანი“, ბათუმი.

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ნაწილი პირველი. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

ქეგელი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. <https://www.ena.ge/explanatory-online>. დამოწმება: 14.05.2025.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გამომც. „განათლება“, თბილისი.

შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. წიგნში: ქართველურ ენათა ლექსიკა, I. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუ-

მური ლექსიკონები. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობა, თბილისი.

დიალექტური მასალა – სტატიის ავტორის მიერ 2008-2025 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა. ინახება აწსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

ნ ა ტ ა ლ ი ა ზ უ მ ბ ა ძ ე

ქართული მუსიკალური დიალექტები და ბატონების სიმღერა

ბატონების კულტისადმი მიძღვნილ წეს-ჩვეულებებში მუსიკის როლი და მასთან დაკავშირებული რიგი საკითხები შესწავლილია ჩემს არაერთ ნაშრომში (იხ.: ზუმბაძე 1994, 1997, 2000, 2005). წინამდებარე სტატია წარმოადგენს კიდევ ერთ მცდელობას ამავე პრობლემის მუსიკალურ-დიალექტოლოგიური კვლევისა. მას საფუძვლად უდევს აუდიო და სანოტო ჩანაწერები დღემდე გამოუცემელი საარქივო (მათ შორის, საექსპედიციო) მასალებიდან და არსებული პუბლიკაციებიდან.

სიმღერის/დაკვრის გავრცელების არეალი

აუდიო და სანოტო მასალების მიხედვით, ბატონების სიმღერები, უთანხლებოდ თუ საკრავის თანხლებით, ჩაწერილია ხევში, ქართლში, კახეთსა და მესხეთში (აღმოსავლეთი საქართველო); რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში (დასავლეთი საქართველო). მაგრამ ჩაუწერლობა მღერის/დაკვრის არარსებობის მტკიცებულებად არ გამოდგება, მით უმეტეს იქ, სადაც მუსიკის არსებობა დასტურდება ეთნოგრაფიული ცნობებით. ამ ცნობების თანხმად, ბატონებიან ავადმყოფთან თუშეთში, ფშავსა და მთიულეთში ასევე იციან ფანდურის დაკვრა და სიმღერა (მაკალათია 1983, 198; 1985, 186; 1930, 140), ივრის ფშავში – ფანდურზე დაკვრა და „იავნა-

ნას“ მღერა (ბარდაველიძე 1941, 159-160), ფშავში – ფანდურის „აჩქამება“ (გინდაც დაკვრა არ იცოდნენ) (შილაკაძე 1970, 30-31), თუშეთში – ჭიანურზე დაკვრა (შილაკაძე 1970, 65).

ეთნომუსიკოლოგიურ ექსპედიციებში ჩემ მიერ ჩაწერილი მასალები მუსიკით განხორციელებული საწესო ქმედებების მრავალფეროვნებაზე და მათში სხვადასხვა საკრავის გამოყენებაზე მიუთითებს. ეს არის: რაჭაში – სიმღერის დამღერება გარმონზე (ხირხონისი), ან ჭიანურზე (ღები), ლეჩხუმში – სიმღერა საკრავით, ან მის გარეშე (მახაში), იმერეთში – „ნანინას“ დამღერება ფანდურზე, ან გიტარაზე, გადალოცვის დროს კი ამ საკრავებით, ან დაირით წადლოლა (ისლარი) (ზუმბაძე 1989), თუშეთში – ფანდურის, ან გარმონის დაკვრა (ზუმბაძე 1991). ამავე საკითხს უკავშირდება რაჭული ცნობა ყვავილით ავადმყოფებთან მესტვირეების სიარულისა და გუდასტვირზე „იავნანას“ დამღერების შესახებ და ფშაური ცნობა ავადმყოფის ნათესავების პურის ჭამაზე მესტვირის მიპატიჟებისა და „სათამაშოს“ დაკვრის შესახებ (ცანავა 1953, 82). ზემოთ ნახსენები ნიმუშების უმრავლესობის მუსიკალური მხარე უცნობია. ასევე უცნობია ჟღერადობა ხევში სიმღერითა და ფანდურზე დაკვრით, მესხეთ-ჯავახეთში საკრავების დაკვრითა და „იავნანას“ მღერით ბატონების გართობისა, რაზეც ს. მაკალათია საუბრობს (მაკალათია 1934, 198; 1938, 111) – ამ კუთხეებში მხოლოდ უთანხლებო სიმღერებია ჩაწერილი. მსგავსი ნიმუშების სავარაუდო იერი მოცემული კუთხეების უთანხლებო (ან სხვა საკრავით თანხლებული) სიმღერებისა და კონკრეტული საკრავის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მთიულეთში „იავნანას“ არსებობას ისიც ადასტურებს, რომ ცნობილია ამ სიმღერის მოხეური ნიმუშები, ხოლო მოხეური და მთიულური ერთი და იმავე მუსიკალური დიალექტის, მოხეურ-მთიულურის, კილოკავებია. მთიულური სიმღერის განვითარების დონე მაფიქრებინებს, რომ ბატონების სიმღერის ადგილობრივი ნიმუში მრავალხმიანი უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით სავალალოა სიმღერის ჩაუწერლობა სვანეთში, სადაც ჭუნირის დაკვრითა და სიმღერით სცოდნიათ ყვავილის გამომშვები ღვთაების ვედრება, ბატონების ოჯახიდან გაცილება და ყვავილის დაპატიჟება (ბურდული 1987, 59, 61, 60).

ბატონების სიმღერის უქონლობა გასაკვირი არ არის აჭარასა და ლაზეთში – იმ კუთხეებში, რომელთა ისტორიულმა მწიგნობრობამ და მოსახლეობის გამაჰმადიანებამ ქართული საწესო სიმღერების დიდი ნაწილის მივიწყება გამოიწვია.

სიმღერის სახელები

ბატონების სიმღერებს ძირითადად მათვე რბალური ტექსტების საწყისი სიტყვებით იხსენიებენ. აღმოსავლურქართულ ნიმუშებს, ჩვეულებრივ, „იავნანა“/„იავნანე“ ჰქვია, ხოლო დასავლურქართული ნიმუშების სახელწოდებებში აუცილებლად ურევია სიტყვა „ბატონებო“/„პატონეფი“ („ბატონებო“, „იავნანა, ბატონებო“, „ნანი ნანა, ბატონებო“, „ია პატონეფი“). ზოგი სახელწოდება სიმღერის დანიშნულებაზე მიუთითებს („საბოდიშო“/„ბატონების მობოდიშება“, ანუ მოსაბოდიშებელი/ბატონების მოსაბოდიშებელი, „ბატონების ნანინა“, ანუ ბატონებისთვის განკუთვნილი ნანინა).

საკრავი და მისი ფუნქცია

საკრავი სახადთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ანგარიშგასაწევი კომპონენტია. სხვადასხვა კუთხეში იყენებენ როგორც ყოფაში ძველთაგან დამკვიდრებულ ადგილობრივ საკრავებს, ისე – გვიან გავრცელებულ გარმონსა და გიტარას. საკრავს ძირითადად თანხლების ფუნქცია აქვს და სიმღერას ახლავს, ზოგჯერ კი დამოუკიდებლად ჟღერს. სიმღერისგან განსხვავებით, საქართველოში არ არის ცნობილი ბატონებისთვის განკუთვნილი საგანგებო საკრავიერი ჰანგი – ავადმყოფთან „სათამაშოს“ დაკვრა მოცემული კუთხის რომელიმე საცეკვაო მელოდიის შესრულებას უნდა გულისხმობდეს, და არა კონკრეტულისას. ეს ყოველივე ჩვენს კულტურაში საკრავის ნაკლებად მნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი ადგილით შეიძლება აიხსნას.

მრავალხმიანობა-ერთხმიანობა

ბატონების სიმღერები ჩაწერილია მრავალხმიანი (ორ- და სამხმიანი) და ერთხმიანი შესრულებით. რაოდენობრივად პირველი სჭარბობს მეორეს, რაც ბუნებრივია – კოლექტიური საწესო ქმედების თანხმლები სიმღერა საქართველოში მრავალხმიანი უნდა იყოს. მრავალხმიანობის ნიმუშები უნისონურ მღერაშიც იჩენს თავს.

სოლო შესრულების მიზეზი, ჩვეულებრივ, შემსრულებლის მარტოდ ყოფნაა. ამ დროს სიმღერის მრავალხმიან ბუნებაზე მიანიშ-

ნებს: კილოს ქვედა VII საფეხური, ფართო დიაპაზონი, დიდი ნახტომები, ნაგულისხმები ბანი დასაკრავიერი თანხლება.

შესრულების ფორმა და მანერა

ბატონების სიმღერის უფრო განვითარებული ნიმუშები (გურული, მეგრული და იმერული), როგორც წესი, ერთპირულია, შედარებით ნაკლებგანვითარებულ (ადმოსავლურქართულ და რაჭულ) სიმღერებში კი ასევე გვხვდება ორპირული შესრულება, ან უწინდელი ორპირულობის კვალი. ცალპირულობის სიჭარბე საწესო სიმღერების მცოდნეთა რიცხვის შეუქცევად კლებასაც უნდა უკავშირდებოდეს.

ბატონების სიმღერის შესრულების მანერა მისი დანიშნულების შესაბამისია – ტკბილი, სასიამოვნო/საამებელი, სავედრებელი (აღნიშნული თვისებებით ქართულში გამოვყოფდი დასავლურქართულ, მეტადრე, მეგრულ ნიმუშებს). ამავე დროს, ხმოვან ჩანაწერებში სახეზეა კონკრეტული დიალექტის მღერისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც (მაგალითად, ქართლური ნიმუშები სრულდება ღია, ძლიერი ბგერით). რამდენადმე განსხვავდება, ასევე, შინ და გარეთ შესრულებული სიმღერების მანერა – მეორე უფრო ხმამაღალია.

ვერბალური ტექსტი

ბატონების სიმღერის ვერბალური ტექსტი, ჩვეულებრივ, ორი ნაწილისგან შედგება: პირველი არის თხრობითი ტაეპი (ბატონების ვინაობის, სოფლებსა და ოჯახებში მათი სტუმრობის და სხვა ისტორიებით), ხოლო მეორე – რეფრენი (გადმოცემული ბატონების სააღერსო, საამებელი სიტყვით/სიტყვებით: „იავნანინა“, „დიდო ბატონო“, „იავნანინეო“, „თქვენი ჭირიმეო“, „ვარდო ბატონებო“, „ყვავილ პატონევი“, „დატკბით, ტკბილათ, ბატონო“, „ია პატონევიო“, „ნანინა, ნანა, ბატონო“, „ნანინადა მადლი, ბატონო“).

მუსიკალური კანონზომიერებები

სხვადასხვა კუთხის ბატონების სიმღერის პირველსახედ ა. ბენაშვილის და დ. არაყიშვილის კრებულებში გამოქვეყნებული კახური იავნანები უნდა მივიჩნიოთ (ბენაშვილი 1886, 40; არაყიშვილი 1905, 65-66). ეს სიმღერები თავისი ძირითადი ნიშნებით – მარტივი სტრუქტურით, შედარებით მცირე დიაპაზონით, უნახტომო სვლე-

ბით, გაუმღერებელი მარცვლებით, საფერხულო სამწილადობით, ორხმიანობით, ორპირული შესრულებით, ორსაფეხურიანი ბანით – მაღალგანვითარებულ ქართულ ფოლკლორში შემორჩენილ მცირერიცხოვან არქაულ ნიმუშებს ეკუთვნის.

საფერხულო სამწილადობა ახასიათებს ქართლურ, მოხეურ და რაჭულ სიმღერებსაც. ასეთივეა ჩემ მიერ ჩაწერილი ზემოიმერული და ლეჩხუმური ნიმუშები.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან საკმაოდ განსხვავდება მეგრული და გურული სიმღერების კანონზომიერებები, რაც, ქართული მუსიკალური დიალექტების ზოგადი სურათის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო. ისინი ბევრად უფრო განვითარებული სიმღერებია, რომელთა მელოდიებს თითქმის აღარ შერჩენია „იავნანას“ საერთო ძირიდან წარმომავლობის კვალი. ამას განაპირობებს: გართულებული სტრუქტურა, დიდი დიაპაზონი, ორწილადი ზომა და პუნქტირული რიტმი (რომლებიც ერთგვარ მარშისებურ იერს აძლევს), სამხმიანობა, ცალპირული შესრულება, ძირითადი ჰანგი სამხმიანი სიმღერის ზედა ხმაში, მაღალ ხმებს შორის მრავალფეროვანი ინტერვალები (მათ შორის, ტრიტონი მეგრულში) და ხმების გადაჯვარედინება გურულში, ოთხსაფეხურიანი ბანი მეგრულში და ხუთ-და ექვსსაფეხურიანი – გურულში.

განხილულთა შორის შუალედური ადგილი უჭირავს იმერულ ბატონების სიმღერებს. მათ სამსაფეხურიანი ბანი აქვს და, მეგრულისა და გურულის მსგავსად, ცალპირულია. ორწილადი მეტრითა და პუნქტირული რიტმით იმერული ნიმუშები მეგრულსა და გურულს ჰგავს, ხოლო საფერხულო სამწილადობით აღმოსავლურქართულსა და რაჭულ-ლეჩხუმურს უახლოვდება.

დასკვნა

ბატონების სიმღერის აუდიო და სანოტო ჩანაწერების შედარებითი კვლევა ცხადყოფს, რომ მან სახეცვლის საინტერესო გზა განვლო, ვიდრე, ერთი ძირიდან აღმოცენებული, სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლად ჩამოყალიბდებოდა.

ძირითად მასაზრდოებელ წყაროს – ხალხურ რწმენა-წარმოდგენებსა და საწესო ქმედებებს მოწყვეტილი ბატონების სიმღერა ტრადიციის მატარებელთა მეხსიერებას შემორჩა. ამავე დროს, „იავ-

ნანას“ ჰანგი, როგორც ქართული მუსიკალურ-ინტონაციური ფონდის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სიცოცხლეს სხვა ჟანრებშიც განაგრძობს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბარდაველიძე 1941 – ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში: ენიძვის მოამბე, XI, თბილისი.

ბენაშვილი 1886 – ა. ბენაშვილი, ქართული ხმები, ტფილისი.

ბურდული 1987 – მ. ბურდული, ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები სვანეთში: ქართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა, თბილისი.

ზუმბაძე 1989 – ნ. ზუმბაძე, რაჭის, ლეჩხუმისა და იმერეთის ექსპედიციების მასალები, პირადი არქივი.

ზუმბაძე 1991 – ნ. ზუმბაძე, კახეთის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი.

ზუმბაძე 1994 – ნ. ზუმბაძე, სიტყვიერი ინფორმაცია – ეთნომუსიკოლოგიური კვლევის აუცილებელი წყარო: მუსიკისმცოდნეობის საკითხები, სამეცნიერო შრომები, თბილისი.

ზუმბაძე 1997 – სავედრებელი და სადიდებელი სიმღერები ქართველ ქალთა საწესჩვეულებო ფოლკლორში: ჟანრული სპეციფიკა და მრავალხმიანობა, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი.

ზუმბაძე 2000 – მრავალხმიანობის კანონზომიერებები ქართველ ქალთა სიმღერებში: ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ზუმბაძე 2005 – ქართული ბატონების სიმღერები: ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები, თბილისი.

მაკალათია 1930 – ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი.

მაკალათია 1934 – ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი.

მაკალათია 1938 – ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი.

მაკალათია 1983 – ს. მაკალათია, თუშეთი, თბილისი, 1983.

მაკალათია 1985 – ს. მაკალათია, ფშავი, თბილისი.

შილაკაძე 1970 – მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბილისი.

ცანავა 1953 – ა. ცანავა, ქართული მესტირული პოეზია, თბილისი.

არაკჩიევი 1905 – Д. Аракчиев, Краткий очерк развития Грузинской, Карталино-Кахетинской, народной песни. Оттиски из I т. «Трудов МЭК», Москва.

ლ ა შ ა კ ა პ ა ნ ა ძ ე

ფუძედრეკად ზმნათა გათემისნიშნაინების პროცესისათვის ზემოიმერულში

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში განარჩევენ **რთულთემიან** და **მარტივთემიან** ზმნებს. ზმნათა ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველს I სერიის ჩვენება წარმოადგენს: რთულთემიანი ზმნები I სერიაში თემის ნიშანს დაირთავენ (**დ-ებ-ს**, **ათბ-ობ-ს**, **კლ-ავ-ს**, **სვ-ამ-ს** და სხვ.), მარტივთემიანი ზმნები კი – თემის ნიშნის გარეშე არიან წარმოდგენილნი (**წერ-ს**, **დრეკ-ს** და სხვ.). II სერიაში ორივე ტიპის ზმნები უთემისნიშნაა.

მარტივთემიანი ზმნები, თავის მხრივ, იყოფა **ერთთემიანებად** და **ფუძედრეკადებად** (იმავე ხმოვანმონაცვლეებად). ცნობილია, რომ მარტივთემიან ზმნათა ორივე ტიპი ექვემდებარება გართულთემიანების პროცესს. ერთთემიან ზმნათა ერთმა ნაწილმა **-ავ** თემის ნიშანი დაირთო:

ვთიბ > *ვთიბ-ავ*;

ვთეს > *ვთეს-ავ*;

ვხოც > *ვხოც-ავ*;

ვჩერ > *ვჩერ-ავ* და სხვ.

იგივე პროცესიგანვითარდაფუძედრეკად ზმნებშიც - მარტივი თემა რთულდება -**ავ** თემის ნიშნით:

ვგრეხ > ვგრიხ-ავ;

ვკრეჭ > ვკრიჭ-ავ;

ვსრეს > ვსრის-ავ;

*ვწმენდ > ვწმინდ-ავ*და სხვ. (შანიძე 1980, 387-392).

შეიძლება გვეფიქრა, რომ ერთთემიან ზმნათათვის დართულმა -**ავ** თემის ნიშანმა I და II სერიის ფუძეები განასხვავა (*კთეს-ავ* – *კთეს-ე*). მაგრამ ამის საჭიროება არ იყო ფუძედრეკადებში: ამ ტიპის ზმნებში I და II სერიის საყრდენი ფუძეები (თემა) ისედაც განსხვავებული იყო:

I სერია: (და-)ვ-გლეს - ე ხმოვნიათი ფუძე

II სერია: (და-)ვ-გლის-ე - ი ხმოვნიათი ფუძე

ამიტომ ამ თვალსაზრისით -**ავ** თემის ნიშნის გაჩენა მორფოლოგიურ პლეონაზმს წარმოადგენს.

მორფოლოგიური პლეონაზმის დასაძლევად სალიტერატურო ენამ -**ავ** თემის ნიშანი **ი** ხმოვნიან (მამასადამე, II სერიისეულ) ფუძეს დაურთო, რის შედეგადაც მანამდე არსებული აბლაუტური დაპირისპირება (ე - ი) მოიშალა, ხოლო სათანადო ფუძეები ერთმანეთს ამჯერად მხოლოდ (-**ავ**) თემის ნიშნით დაუპირისპირდნენ:

I სერია: (და-)ვ-გლის-ავ – ი ხმოვნიათი **თემატური ფუძე**

II სერია: (და-)ვ-გლის-ე – ი ხმოვნიათი ფუძე

გამოდის, რომ -**ავ** თემის ნიშნის დართვა როგორც ერთთემიან, ისე ფუძედრეკად ზმნათათვის ერთსა და იმავე პროცესს წარმოადგენს: მარტივი თემა რთულდება თემის ნიშნით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თემის ნიშანთა ამგვარ მოწინაველებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება. კერძოდ, მოქმედებითი გვარის ზმნები -**ავ** /-**ამ** თემის ნიშანზე გადასვლის ტენდენციას იჩენენ, ვნებითი გვარის ზმნები – **-ებ** თემის ნიშანზე, საშუალო გვარისა კი – **-ობ**-ზე. თქმულია ისიც, რომ თემის ნიშანზე გადასვლის პროცესი ძველ ქართულში დაწყებულა და დღესაც არ არის დასრულებული – პროცესი ქართული ენის დიალექტებში გრძელდება (გოგოლაშვილი 2016, 299-308). მამასადამე, ზემოიმერულში ფუძედრეკად ზმნათა

გათემისნიშნის პროცესი ანალოგიურია ერთთემიან ზმნებში მიმდინარე ამგვარივე პროცესისა (იხ. ლ. კაპანაძე 2025).

შენიშვნა: საანალიზო მასალას ჩვენთვის ქ. ძოწენიძის მიერ ჩაწერილი დიალექტური ტექსტები წარმოადგენს (ძოწენიძე 1979; მაგალითთა მოხმობისას მივუთითებთ წიგნის გვერდსა და ჩაწერის ადგილს).

თუმცა ფუძედრეკადებში ეს პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე ერთთემიანებში.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოიმერულში **-ავ** თემის ნიშნით რთულდება როგორც **ე** (მაშასადამე, I სერიისეული), ისე **ო** ხმოვნის (მაშასადამე, II სერიისეული) ფუძე. შესაბამისად, ამოსავალია თემატური ფუძის პარალელურად, გვექნება როგორც **ე**, ისე **ო** ხმოვნიანი თემატური ფუძეები:

აწმყო	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. (და-)ვ-გლეს / (და-)ვ-გლეს-ავ / (და-)ვ-გლის-ავ	1. (და-)ვ-გლეს-თ / (და-)ვ-გლეს-ავ-თ / (და-)ვ-გლის-ავ-თ
2. (და-)გლეს / (და-)გლეს-ავ / (და-)გლის-ავ	2. (და-)გლეს-თ / (და-)გლეს-ავ-თ / (და-)გლის-ავ-თ
3. (და-)გლეს-ს / (და-)გლეს-ავ-ს / (და-)გლის-ავ-ს	3. (და-)გლეს-ენ / (და-)გლეს-ავ-ენ / (და-)გლის-ავ-ენ

(ამოსავალი) ე ხმოვნიანი ათემატური ფუძის მაგალითები:

„პურს მოვზელთ საფუვრით“ (გვ. 479, ჭიათურა);

„გადავწმენდთ ფართო, ლინგა თოხით“ (გვ. 475, ჭიათურა).

უნდა აღინიშნოს, რომ აწმყო-მყოფადის მწკრივში ათემატური ფუძე ტექსტებში იშვიათად გვხვდება. სამაგიეროდ ხშირია თემატურ ფუძეთა მაგალითები.

ე ხმოვნიანი თემატური ფუძის მაგალითები:

„მოვკრეფამთ, დრო რო მოუვა“ (გვ. 365, ხარაგაული); „მერე დავეგლესამთ“ (გვ. 365, ხარაგაული); „აყალო მიწას დავეგლესამთ“ (გვ. 365, ხარაგაული); „კვეჯოთი დავეგლესამთ“ (გვ. 365, ხარაგაული); „გვკრეფამ და ისხამსო“ (გვ. 387, ხარაგაული); „ცოლიკაურს

გკრეფამთ ჯერეთი?“ (გვ. 531, ზესტაფონი); „**ერთს მოგკრეფამ კიდე**“ (გვ. 531, ზესტაფონი).

შენიშვნა: ზემოიმერულში ისევე, როგორც აღმოსავლეთ სა-ქართველოს ზოგ დიალექტში, **-აფ** თემისნიშნიან ზმნებში, ჩვეულებრივ, **-აფ**-ს ჩაენაცვლება **-ამ**. იგივე ხდება გათემისნიშნიანებულ ისტორიულ ფუძედრეკად ზმნებშიც.

ი ხმოვნიათი თემატური ფუძის მაგალითები:

„**დაფგლისათ** აყალო მიწით“ (გვ. 339, ხარაგაული); „**დაფ-გლისავთ** აყალოთი“ (გვ. 340, ხარაგაული); „**დაფგლისავთ** ისევ-ისევ აყალოთი“ (გვ. 340, ხარაგაული); „**გლეხები ჩვენ ამოქეწევიტამენო**“ (გვ. 392, ხარაგაული); „**მერე ისევ გადაფწმინდამთ** თოხით“ (გვ. 475, ჭიათურა); „**საფუვრით მოვზილაფთ**“ (გვ. 478, ჭიათურა); „**წყლით მოვზილაფთ**“ (გვ. 478, ჭიათურა); „**ზოგჯერ გკრიფამთ** პარკეფს“ (გვ. 481, ჭიათურა); „**ქარი წმინდამს**“ (გვ. 485, ჭიათურა); „**თოხით გა-ვწმინდამთ**“ (გვ. 486, ჭიათურა); „**ამოვწმინდაფთ** ბალახეფს“ (გვ. 486, ჭიათურა); „**ბ' ვარ კრიფამ ჯერეთი?**“ (გვ. 531, ზესტაფონი); „**იქანა გახვრიტავს**“ (გვ. 535, ზესტაფონი).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოიმერულში ფუძედრეკად ზმნათა გათემისნიშნიანება არ ეხება I სერიის ყველა მწკრივს: **-აფ** თემისნიშნიანი ფუძე, ჩვეულებრივ, გვხვდება აწმყო-მყოფადში, უწყვეტელში (და, შესაბამისად, I კავშირებითში) კი უთემისნიშნო ვარიანტია გაბატონებული:

აწმყო	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. (და-)ვ-გლეს / (და-)ვ-გლეს- აფ / (და-)ვ-გლის- აფ	1. (და-)ვ-გლეს-თ / (და-)ვ-გლეს- აფ -თ / (და-)ვ-გლის- აფ -თ
2. (და-)გლეს / (და-)გლეს- აფ / (და-)გლის- აფ	2. (და-)გლეს-თ / (და-)გლეს- აფ -თ / (და-)გლის- აფ -თ
3. (და-)გლეს-ს / (და-)გლეს- აფ -ს / (და-)გლის- აფ -ს	3. (და-)გლეს-ენ / (და-)გლეს- აფ -ენ / (და-)გლის- აფ -ენ

უწყვეტელი	
1. (და-)ვ-გლეს-დ-ი	1. (და-)ვ-გლეს-დ-ი-თ
2. (და-)გლეს-დ-ი	2. (და-)გლეს-დ-ი-თ
3. (და-)გლეს-დ-ა	3. (და-)გლეს-დ-ენ
I კავშირებითი	
1. (და-)ვ-გლეს-დ-ე	1. (და-)ვ-გლეს-დ-ე-თ
2. (და-)გლეს-დ-ე	2. (და-)გლეს-დ-ე-თ
3. (და-)გლეს-დ-ე-ს	3. (და-)გლეს-დ-ე-ნ

უწყვეტელში ათემატური ფუძის მაგალითები:

„**გაფენდენ** და დააწყობდენ ლავაშსა“ (გვ. 332, ხარაგაული);

„მერე დამწიფთება და **მოკრეფდით**“ (გვ. 365, ხარაგაული);

„ირანელები იმას თუ **მოკრეფდენ**“ (გვ. 395, ხარაგაული).

ეს უნდა მივიჩნიოთ **ნორმად** ზემოიმერულისათვის (ცნებისათვის „დიალექტური ნორმა“ იხ.: ჯორბენაძე, 1989 : 36-37გვ.).

ფაქტობრივ ამ პარადიგმებში ისევე, როგორც ეს ვნახეთ ერთთემიან ზმნათა შემთხვევაში (ლ. კაპანაძე, 2025), დარღვეულია საუღლებელი ფუძის პრინციპი (საკითხისათვის იხ.: ჩიქობავა 1962).

საანალიზო მასალა, ამკარად, ამ დასკვნის საშუალებას იძლევა: აწმყოში რთული თემა, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში კი – მარტივი; არადა სერიისათვის თემა საერთო უნდა იყოს. საანალიზო ტექსტები ჩაწერილია გასული საუკუნის შუა ხანებში. ჩვენი დაკვირვებით ამჟამინდელი ვითარება განსხვავებულია: ფუძედრეკად ზმნათა გათემისნიშნიანების პროცესი დღეს ბევრად წინაა წასული და თანაბრად შეეხება უწყვეტელის (და, შესაბამისად, I კავშირებითის) მწკრივსაც. დღეს ზემოიმერულ მეტყველებაში, ათემატური წარმოების პარალელურად, ხშირად გაიგონებთ თემატური წარმოების მაგალითებსაც, როგორებიცაა: *წმენდ-აფ-და / წმინდ-აფ-და, გლეს-აფ-და / გლის-აფ-და, გრეხ-აფ-და / გრიხ-აფ-და, გლეჯ-აფ-და / გლიჯ-აფ-და, დრეკ-აფ-და / დრიკ-აფ-და, ჩხრეკ-აფ-და/ ჩხრიკ-აფ-და* თუ სხვ. თვით ქ. ძოწენიძის მიერ ჩაწერილ მასალაშიც ვადასტურებთ უწყვეტელში თემის ნიშნის გაჩენის ერთ მაგალითს: „**ეკალას კრეფამდენ**“ (გვ. 347, ხარაგაული).

პროცესის დინამიკა პარადიგმის შემდეგი სახით გამართვას გვაპარაუდებინებს:

აწმყო	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. (და-)ვ-გლეს / (და-)ვ-გლეს- ავ / (და-)ვ-გლის- ავ 2. (და-)გლეს / (და-)გლეს- ავ / (და-)გლის- ავ 3. (და-)გლეს-ს / (და-)გლეს- ავ -ს / (და-)გლის- ავ -ს	1. (და-)ვ-გლეს-თ / (და-)ვ-გლეს- ავ -თ / (და-)ვ-გლის- ავ -თ 2. (და-)გლეს-თ / (და-)გლეს- ავ -თ / (და-)გლის- ავ -თ 3. (და-)გლეს-ენ / (და-)გლეს- ავ -ენ / (და-)გლის- ავ -ენ
უწყვეტელი	
1. (და-)ვ-გლეს-დი / (და-)ვ-გლეს- ავ -დი / (და-)ვ-გლის- ავ -დი 2. (და-)გლეს-დი / (და-)გლეს- ავ -დი / (და-)გლის- ავ -დი 3. (და-)გლეს-და / (და-)გლეს- ავ -და / (და-)გლის- ავ -და	1. (და-)ვ-გლეს-დი-თ / (და-)ვ-გლეს- ავ -დი-თ / (და-)ვ-გლის- ავ -დი-თ 2. (და-)გლეს-დი-თ / (და-)გლეს- ავ -დი-თ / (და-)გლის- ავ -დი-თ 3. (და-)გლეს-დენ / (და-)გლეს- ავ -დენ / (და-)გლის- ავ -დენ
აწმყოს კავშირებითი	
1. (და-)ვ-გლეს-დე / (და-)ვ-გლეს- ავ -დე / (და-)ვ-გლის- ავ -დე 2. (და-)გლეს-დე / (და-)გლეს- ავ -დე / (და-)გლის- ავ -დე 3. (და-)გლეს-დე-ს / (და-)გლეს- ავ -დე-ს / (და-)გლის- ავ -დე-ს	1. (და-)ვ-გლეს-დე-თ / (და-)ვ-გლეს- ავ -დე-თ / (და-)ვ-გლის- ავ -დე-თ 2. (და-)გლეს-დე-თ / (და-)გლეს- ავ -დე-თ / (და-)გლის- ავ -დე-თ 3. (და-)გლეს-დე-ნ / (და-)გლეს- ავ -დე-ნ / (და-)გლის- ავ -დე-ნ

აღსანიშნავია, რომ თემატურ ფუძეთაგან უპირატესობა **ი** ხმოვნიან ვარიანტს ენიჭება, რაც სალიტერატურო ენის გავლენით უნდა აიხსნას.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2016 – გოგოლაშვილი გ., შარაშენიძე ნ., ცოცა-ნიძე გ., ჭუმბურიძე ნ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, ტ. II, დიალექტები, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.

კაპანაძე 2025 – კაპანაძე ლ., ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურებანი ზემოიმერულში, საენათმეცნიერო მიეზანი. თბილისი.

ქურდაძე 2005 – ქურდაძე რ., ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

შანიძე 1980 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1962 – ჩიქობავა არნ., ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, თბილისი.

მოწენიძე 197 მოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

CSS სტრუქტურის ძირთა სუპერაციის შემთხვევები ქიზიყურში

ქართულ დიალექტოლოგიაში არაერთი ნაშრომი მისდევნია ფონეტიკურ პროცესის ნაირფეროვნებას. ამა თუ იმ დიალექტის მეობას უმეტესად სწორედ მახასიათებელი ბგერათცვლილებები განაპირობებს დამყარდება ერთგვარი უკუკავშირი: ცვლილებით გამოწვეული შედეგი მიგვანიშნებს სიტყვის ენობრივ-გეოგრაფიულ კუთვნილებას.

ზოგჯერ ხშირად მოქმედ ფონეტიკურ მოვლენათაგვერდით უჩვეულო ცვლილებაც გამოვლინდება, რომლის განხორციელებასაც, ერთი შეხედვით, საფუძველი არ უნდა ჰქონოდა. ასეთია ანაპტიქსის რამდენიმე შემთხვევა ქიზიყურში, რომლის შედეგადაც სუპერირებულ იქნა ორი სახელური ძირი: **ზრმა** და **ღრმა**. განვიხილოთ ორივე მათგანი.

ზრმა>ზრიმა:

ა) ზრიმა ხარ, შვილო, მა ეგეევ ქვაბი ვერ დაგინახნია? (ზოდბ.)

ბ) პაატ, მოდდა ქუჩი წინ მანქანად წიბუკანთ ძაღლი გაუტან-
ნია და ბრიმაჭევეზე გადააგდე, მინამ აყროლებულა. (ბოდბ.)

გ) წრეულ მეგელი აზგე ბრიმაჭევი ბოლომ მოიდა და ცხვარ ეცა.
(ბოდბ.)

ქიზიყურში **ბრმ**- ძირის სუპერაცია გვიანდელი მოვლენა
რომ არაა, ამას ცხადყოფს ონომასტიკური მასალაც; CSS>CSVS სახის
ცვლილება ასახულია როგორც გეოგრაფიულ, ისე საკუთარ არსებით
სახელებში: **ბრიმანნი** // **ბრიმანთი** (მაღარო)¹, **ბრიმა კლდე**, **ბრიმა
ხევი** (მაღარო, ოზაანი)². ეს უკანასკნელი მიკროტოპონიმი გვხვდება
ს. ბოდბეშიც, საგინაანის გზაზე (სიღნაღის მნცპ.).

ღრმა>ღრიმა // **ღრიმე**:

ა) ორმო ღრიმეთ ამააჭრეინე-კე, აგე მიშკოაანთ ემევესოთ.
(ბოდბ.)

ბ) ოოვე, მეეცა, შვილო, რამსიღრიმეა, არ ჩავარდე! (ბოდბ.)

გ) წინ წინ ძრიან ღრიმე თოვლი მოვიდის ხოლმე. (ბოდბ.)³

დ) ვაკე ალაგას ღრიმეთ გავთხრით, საქამრეზე, ადღზე, ვაკე-
ზე ლამი ადგილია, ნაშალია. (ქვ.მაჩხ.)⁴

აღ. ლლონტი „ქიზიყის ტოპონიმიში“ *ღრიმა* და *ღრმა* ფორ-
მებს გვერდიგვერდ მიუთითებს ოზაანისა და ზემო მაჩხაანის მიკ-
როტოპონიმიში: **ღრიმა ღელე** // **ღრმა ღელე**, **ღრიმა ხევი** // **ღრმა
ხევი**⁵.

SS მიმდევრობის ჯგუფების შესახებ ჰ. ფოგტი წერს: „მნიშვნე-
ლოვან როლს ასრულებენ მეტი მოცულობის ჯგუფების შედგენაში,
თუ მათ წინ უძღვით ხშული ან სიბილანტი“⁶. ამის გათვალისწინე-
ბით საყურადღებო გარემოებას ქმნის CSS>CSVS სტრუქტურის ძირ-
თა სუპერაცია, მითუმეტეს ანაპტიქსური **ი** ხმოვნის გაჩენით⁷. იგი

¹ აღ. ლლონტის მიხედვით, იგი მაღაროს მიკროტოპონიმი, რომლის
წარმოშობაც შაიშმელაშვილთა წინაპრების მეტსახელს, *ბრიმას* // *ბრმას* უკავ-
შირდება (იხ. ლლონტი 1982, 38).

² იხ. იქვე.

³ ქდვ (www.corpora.co), გრ. იმნაიშვილი, 29.08.2025.

⁴ ქდვ (www.corpora.co), ს. მენთეშაშვილი, 29.08.2025.

⁵ ლლონტი 1982, 71.

⁶ იხ. ფოგტი 1961, 17, 19; შდრ. ნებეირიძე 1974, 52-53.

⁷ შდრ. უთურგაიძე 1976, 125-26.

ზემოთ განხილულ ძირთა სტრუქტურაში სხვა მიზეზით უნდა გაჩენილიყო.

მიმაჩნია, რომ CSS>CSVS სტრუქტურის ძირთა ტრანსფორმაცია გარდამავალი ბგერის პოზიციური რეალიზაციის შედეგია. გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ ქიზიყურში ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება **რ**-ს ფიზიკურ-აკუსტიკური სილბო, უფრო რომ დავაზუსტოთ, იგი რბილშემართვიანი ბგერაა, რაც მას პალატალიზებულიობის ელფერს სძენს.

ფონეტიკური თვალსაზრისით, [დრმ] და [ბრმ] ბგერათმომდევრობაში ანაპტიქსის შედეგად გათიშულ სონორთა შორის **უ** ხმოვანი უნდა წარმოქმნილიყო ლაბიოველარიზაციის კანონის შესაძლო ამოქმედებით და მივიღებდით *დრუმ- / *ბრუმ- შედგენილობის ძირებს¹; **ი** ხმოვანი ზემოთ განხილულ ძირთა სტრუქტურაში სხვა მიზეზით უნდა გაჩენილიყო.

რ ბგერის შესახებ ს. ჟღენტი აღნიშნავს, რომ ქართულ წარმოთქმაში იგი საკმაოდ მაგარი თანხმოვანია, მაგრამ ინტერკონსონანტურ პოზიციაში რედუცირდება, დიალექტებში – სრულად². აქვე დავძენ, რომ ქიზიყურში S₂-ის[**ღ**-] ნიშნის მომდევნოდ იგი სრულად ქრება სიტყვაში **ღსაგ** სახის ბგერათმომდევრობიდან (დრჩები > ძგები...)³.

CSC სტრუქტურის ძირთა სუპერაციის შესახებ თ. უთურგაიძე მიუთითებს, რომ **ი** ანაპტიქსური ხმოვანი ჩნდება **რ**-ს წინ: ბრკოლა > ბირკოლა, ღრძილი > ღირძილი, ჩრძილი > ჩირძილი⁴. მისი დაკვირვება სხვაგვარი შედგენილობის სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებს არ მოიცავს, თუმცა, როგორც ჩანს, თავს მათ შემთხვევაშიც იჩენს უფუნქციო ხმოვნის განვითარება.

CSS სტრუქტურის ძირში **რ**-ს რბილი შემართვით გამოწვეული გარდამავალი ბგერარეალიზადა მის მომდევნოდ, ინტერსონორულ პოზიციაში, სადაც, ჩემი აზრით, ვოკალიზაციის პირობა უფრო მე-

¹ შდრ. თუშ. კურკო < (ძვ. ქართ.) კრკო (იხ. ახვლედიანი 1949, 235).

² იხ. ჟღენტი 1956, 149-150, 241-42; შდრ. უთურგაიძე 1976, 122-26.

³ შდრ. კოჭლამაზაშვილი 2021, 38-40.

⁴ იხ. უთურგაიძე 1976, 125

ტად მიეცა, სწორედ ამიტომ ნაწილობრივ გაუტოლდა პალატალურ **ი** ხმოვანს¹.

თავის მხრივ, განმარტებას საჭიროებს ანაპტიქსური ხმოვნის წარმოქმნის მიზეზ-პირობა ზემოთ განხილულ ძირებში. ეს, სავარაუდოდ, აიხსნება ქიზიყურისათვის მახასიათებელი წარმოთქმის ნელი ტემპით სხვა დიალექტებთან შედარებით, რაცბგერას მეტად უნარჩუნებს მკაფიობას სიტყვის არტიკულაციის პროცესში.

სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის შემცველ ერთმარცვლიან სიტყვაში სონორთა უშუალო მეზობლობამ ვოკალური ელემენტის წარმოქმნისაკენ უბიძგა **რ**-ს რბილშემართვიანობით გამოწვეულ გარდამავალ ბგერას:/რმ/ ბგერათმომდევრობაში არსებული მეტი ხანგრძლიობის გარდამავლობით ძლიერი ფონემური პოზიციის მოპოვების საშუალება მიეცა, ვიდრე ეს CS კომპლექსში რეალიზების შემთხვევაში მოელოდა².

სემანტიკური თვალსაზრისით, ქიზიყის ტოპონიმიაში თავგენილ განსაზღვრებით კომპოზიტებში (ბრიმა ხევი, ღრიმა ხევი) მსაზღვრელ კომპონენტთა შორის შეინიშნება ერთგვარი მეტაფორული ურთიერთმიმართება: ხევის სიდიდე აღიქმება პირდაპირი (ღრმა) და გადატანითი (ბრმა) მნიშვნელობით, ეს უკანასკნელი ფსკრული დონის უხილაობას ემყარება, განპირობებულს მცენარეული საფარის სიუხვითა და ბუნებრივი სიღრმით. ერთი და იმავე ობიექტის სინონიმას ხელი შეუწყო აგრეთვე ძირთა ფონემატური აგებულების იგივეობამაც(CSS), რამაც ფონოსემანტიკური ანალოგიის სახე მიიღო: **ღრმ**-ა = **ბრმ**-ა>**ღრიმ**-ა = **ბრიმ**-ა.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1949 – ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

¹ შე ნ ი შ ვ ნ ა : ღრიმა და ბრიმა ფორმებში [ღ] მოკლე ხმოვნის მსგავსი ვოკალური ელემენტია.

² ვგულისხმობ /ბრ/ და /ღრ/ სახის ბგერათმომდევრობას.

კოჭლამაზაშვილი 2021 – კოჭლამაზაშვილი ლ., რ სონორის რედუქციის რამდენიმე შემთხვევა ქიზიურში, XLI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ნებიერიძე 1974 – ნებიერიძე გ., სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი და მისი აგების პრინციპები, თბილისი.

ჟღენტი 1956 – ჟღენტი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი.

ფოგტი 1961 – ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

უთურგაიძე 1976 – უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

ქართული დიალექტური კორპუსი = www.corpora.co

მ ა რ ი ნ ე კ უ ხ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

ერთი ნაწილაკის შესახებ ქართულ დიალექტთა შორის

მცა კომპოზიციის გზით მიღებული ნაწილაკია (მე+ცა). იგი ძველ ქართულში დაერთვოდა თხრობითი კილოს ზმნებს და აძლევდა მათ კავშირებითის მნიშვნელობას. მას შემდეგ, რაც ძველ ქართულში კავშირებითის მწკრივები ჩამოყალიბდა, ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა **მცა** ნაწილაკი და კავშირებითის ფორმები. დროთა განმავლობაში ენამ უპირატესობა კავშირებითის ორგანულ წარმოებას მიანიჭა. ამიტომ საშუალო ქართულიდან მოკიდებული მცა'ს ფუნქციები თანდათან შეირყა და ახალ ქართულში მთლიანად დაიკარგა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მცა მხოლოდ ფიცილისა და წყევლის ფორმულებში, ე.წ. ფრთიან გამოთქმებში გვხვდება, რომელნიც გაქვავებული სახით არსებობენ ენაში. დიალექტთაგან ხევსურულმა, თუშურმა, მოხეურმა, თიანურმა, მთიულურმა, კახურმა, ინგილოურმა, ქართლურმა, ჯავახურმა, იმერულმა, მთარაჭულმა, მესხურმა (ნაწილობრივ) დღემდე შემოინახა **მცა**, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მისი ფუნქცია შერყეულია.

ახალ ქართულში არის ნაწილაკთა ერთი ჯგუფი, რომელიც მოუბრის ნატვრას, მოწოდებას, გამხნევებას, წაქეზებას და ა.შ. გამოხატავს. ნაწილაკთა ამ ჯგუფს პირობით „ნება-სურვილის“ გამოხატველი ნაწილაკები შეიძლება ვუწოდოთ. აქ გაერთიანდებიან; ნეტავი//ნეტა//ნეტამც; მცა; აზა//ზარემ//ზარე; დაე//დე; ვინძლო, მოდი.

ქართულში ნატვრას გამოხატავს მცა ნაწილაკიც: იგი კომპოზიციის გზით არის მიღებული, ჯერ კიდევ 1924 წ. ა. შანიძე აღნიშნავდა: ეს მცა... ნაწილაკი რთული შედგენილობისაა და იშლება მ და ცა... ელემენტებად. მისი პირველი ნაწილი მ. ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, მეორე კი ცა, არის ცნობილი კავშირი (ა. შანიძე, 1981:32-36).

ნ. მარის აზრით კი მცა-ში არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მ გადმოწაშთი იყოს მენ (//მელ) ნაწილაკისა (H. A. Mapp, 1925:214).

ე. ბაბუნაშვილი თვლის, რომ „ძნელი დასამტკიცებელია, რომ – მ იმ – მე ნაწილაკის ნაშთი იყოს, რომელიც ძველ ქართულში განუსაზღვრელობითი და კითხვითი ფუნქციით იხმარებოდა, მით უფრო, რომ ცა ნაწილაკის წინ ყველა ნაწილაკსა და ბრუნვის ნიშნებს ყოველთვის შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ხმოვანი: მაგ., ძველ ქართულშივე იხმარებოდა სიტყვა რეცა (თითქოს), რომელიც აშკარად შედგება რე+ცა საგან (ე. ბაბუნაშვილი, 1953:80).

მცა ნაწილაკის შედგენილობას სპეციალურად შეეხო თ. უთურგაიძე, მისი დასკვნით, „მე-ს ფუნქციური სიახლოვე –მცა ნაწილაკთან მისაღებს ხდის ნ. მარის ვარაუდს, რომ მცა, მიღებულია მე და ცა ნაწილაკების შეერთებით, ოღონდ ერთი შენიშვნით: მე არ არის მიღებული მენ (//მელ) ნაწილაკებისაგან“ (თ. უთურგაიძე, 1966: 214-227).

თ. უთურგაიძემ, **მე** ნაწილაკი, რომელიც მხოლოდ თუშურმა შემოინახა ქართულში, ნატვრითად მიიჩნია. იგი წერს: „მე ნაწილაკი მნიშვნელობით უდრის ლიტერატურული ქართულის ნეტავი//ნეტავ ნაწილაკს. ნატვრის გამოხატვა მე ნაწილაკს თუშურის არაკითხვით ფორმებში ევალება, მაგ., „მოსთქვამდა ცრემლის ფრქვევითა, დამსვამე წყლისა პირასო“.

ამრიგად, ა. შანიძის ვარაუდი – მცა ნაწილაკის რთული შედგენილობის შესახებ გამართლდა.

მომდევნო დროის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მცა რთული აგებულების ნაწილაკია და მასში გამოიყოფა – **მე** და **ცა** ელემენტები. **მცა** ნაწილაკის ფუნქცია ახალ სალიტერატურო ქართულში უკვე მოშლილია, მაგრამ ზოგიერთ დიალექტში იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

მცა'ს ფუნქციის დაკარგვის მთავარ მიზეზად კავშირებითის მწკრივების წარმოშობა უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ძველ ქართულში მოხდა. საშუალო ქართულში მცა ნაწილაკის ფუნქცია უკვე შერყეულია. ცოცხალმა მეტყველებამ იგი ძველი ფუნქციით აქა-იქ დღემდე შემოინახა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მცა ფაქტიურად მკვდარი ნაწილაკია, ახალ ქართულში **მცა**'ს ძველი სინტაქსური ფუნქცია შენარჩუნებული აქვს ფიცილის, წყევლის, ლოცვის ფორმულებში.

ახალ სალიტერატურო ქართულში **მცა** ნაწილაკი აღარ ფუნქციონირებს, გვხვდება ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში. მთარაჭულსა და იმერულში ხშირად იგუებს კავშირებითი კილოს ფორმებს. მაგ., იმერული: „ისემც გასკდა“, „ისემც ქრებოდეს“ „ისემც კაი დაგემართოს“ (პ. გაჩეჩილაძე, 1956: 109-150).

„თუმცა სიტყვა არ გასმინა სატრფოს ენამ“ („უპასუხო სიყვარული“).

„დანაშაულს თუმცა გრძნობენ, მაგრამ არ იჩენენ, ამადლიან“ („ტრადიცია) (მ. კუხალაშვილი, 1986).

ხევსურულ დიალექტში მას შენარჩუნებული აქვს ძველი ფუნქცია (ა. ჭინჭარაული, 1960, 486). მაგ., „იქნებიმც უშიშაისად! მზიდავიმც ხარი წყლისაო!“ (ა. შანიძე, 1931:42).

ძველი ფუნქციით მცა დასტურდება თუშურში, მოხეურში, თიანურში, რამდენიმე მაგალითი დასტურდება მთიულურშიც. მაგ., **თუშური:** „პირიმც წყლით გაღბობინა, თოფებიმც დაუგრილაო“ (ივ. ბუქურაული, 1913:1).

მოხეური: „ის ბალღაო საფლავჩიმც მაინც მაისვენებსო“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქდ, 1961, 36).

თიანური: „ბიჭმა გადააგდო სალესავი: ესეთიმცა კდე აწყდეს და გაებას, რო ვერ გამოვიდესო (ი. გიგინეიშვილი, 1961:165).

მთიულური: „აღამო, დედამც ცხონდება შენო, შენამც შეი-
გიყვარდება ცხრათავიანი დევის დაო“ (ა. ჩიქობავა, 1937: 43-65).

კახურში მცა ნაწილავს თავისი ძველი სინტაქსური ძალა შე-
სუსტებული აქვს, ხშირად იგუებს კავშირებით კილოსაც. ჩვეულებ-
რივ იხმარება მხოლოდ დაწყველისა და დალოცვის დროს, მაგ., „შე-
ნამცა იხარე წუთისოფელში“. (ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი,
1956: 247).

ლოცვისა და წყევლის ფრაზეოლოგიაში შემორჩა – მცა ნაწი-
ლავს თავისი ძველი სინტაქსური ფუნქცია ინგილოურ, ქართლურ,
ჯავახურ, მესხურ, იმერულ, რაჭულ დიალექტებში. ამავე დიალექ-
ტებში იგი ხშირად იგუებს კავშირებითი კილოს ფორმებსაც (უმეტე-
სად მთარაჭულსა და იმერულში), მაგ.:

ინგილოური: „შენამც ღმერთმა ნუ გაგზარდა“ (გრ. იმნაიშვი-
ლი, 1966: 131).

ქართლური: „თქვენამც დაქცვივით კბილები“ (გრ. იმნაიშვი-
ლი, 1974: 125).

ჯავახური: „დღეგრძელიმც იყავ შვილო“ (გრ. ბერიძე, 1969:
126).

მესხური: „ცხის სანგრევლად წავიდა, თავსამც სწოლია კა-
რიო“ (ძველი საქართველო, 1913: 251).

იმერული: „ისეთმც კაი დაგემართოს“ (პ. გაჩეჩილაძე, 1956:
145).

მთარაჭული: „ახა, ნეტა-მცა ეჯობო“ (შ. ძიძიგური, 1937:84).

მამასაღამე, ნათლად ჩანს, რომ **მცა** ნაწილავი, რომელიც
ძველსა და საშუალო ქართულში ფუნქციონირებდა, დიალექტთა
ერთ ჯგუფს დღემდე შემორჩა. ძველი სინტაქსური ფუნქცია მას ჯერ
კიდევ შენარჩუნებული აქვს ხევსურულში, თუშურში, ზოგჯერ თია-
ნურშიც. ხოლო დანარჩენ დიალექტებში ერთიანი წესი მცა ნაწილა-
კის ხმარებაში არ არსებობს, იგუებს კავშირებითი კილოს ფორმე-
საც. ამასთანავე **მცა** ნაწილავი ძველი სინტაქსური ფუნქციით უმე-
ტეს შემთხვევაში გვხვდება ფიცილის, წყევლის, ლოცვის ფორმე-
ლებში, რომლებიც გაქვავებული სახით არსებობენ ენაში. ე.ი. დია-
ლექტთა უმრავლესობაში – **მცა** უმოქმედოა. იგი ძველი ქართული
ენის გადმონაშთია.

გამოყენებული ლიტერატურა

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები, ლექსიკონითურთ.

შანიძე 1931 – ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბილისი.

ჩიქობავა 1937 – ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი.

ელენე ნაპირელი, მაია ბარიხაშვილი

ინგილოური დიალექტის კორპუსული ლექსიკონი¹

ქდვ-ის „ინგილოური ლექიკონის“ ბაზაზე მზადდება მისი ბეჭდური ვერსია – „ინგილოური დიალექტის კორპუსული ლექსიკონი“. ლექსიკონში ინტეგრირებულია როგორც არსებული ლექსიკოგრაფიული წყაროების (ჯანაშვილი, ღამბაშიძე, როსტიაშვილი, ჰასრათოვი), ისე ქდვ-ის ტექსტური კოლექციიდან და ჩვენი ლექსიკოგრაფიული ჩანაწერებიდან მოპოვებული მასალა.

დღეისათვის ქდვ-ის ინგილოურ ლექსიკონში ინტეგრირდება ალიაბათური სალექსიკონო მასალა (შემდგენელი – ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილი). ქდვ-ის „ლექსიკოგრაფიული რედაქტორი“, რომელიც ჩაშენებულია ქართულ დიალექტურ კორპუსში, იძლევა იმის საშუალებას, რომ ზედმიწევნით სრულყოფილად ავსახოთ როგორც ბეჭდური ლექსიკოგრაფიული წყაროს ინფორმაცია, ასევე ნებისმიერ დროს დავამატოთ ახალი სალექსიკონო სტატია ან უკვე არსებულში შევიტანოთ ესა თუ ის ცვლილება.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873]

ქდვ-ის ინგილოური ლექსიკონზე მუშაობის ეტაპები არაერთხელ განგვიხილავს სხვადასხვა მოხსენების ფორმატში, ამ ეტაპზე წარმოდგენით მოხსენებას ინგილოური ლექსიკონის განახლების სამუშაოებზე. კერძოდ, შევაჯამებთ გაწეული ლექსიკოგრაფიული სამუშაოს **მორიგ** ეტაპს, რომელიც ითვალისწინებდა არსებული ლექსიკოგრაფიული მასალის შევსებასა და მასში გარკვეული სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების შეტანას, **დაზუსტება-სა და სრულყოფას**:

1. სალექსიკონო სიტყვანი:

- ქდვ-ის ლექსიკონში ზმნურ სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენილია მასდარი, ხოლო აწმყოს მესამე პირის ფორმა შეტანილია გრამატიკულ ვარიაციად (იხ. **გაქეთევამ; გაცხმამ...**); მაგრამ როდესაც ზმნის პირიან ფორმას არა აქვს შესაბამისი მასდარი, ასეთ დროს სალექსიკონო ერთეულად ვტოვებთ მესამე პირის ფორმას და ამ ინფორმაციას ვუთითებთ ენციკლოპედიური ინფორმაციის ველში, მაგ.

კამ კეპტევ “კარგად ხდება, რჩება”;

კამ მამდის „მომწონს“;

გროშ კეპტევ „იროშება, იღერღება“ – ამ ფორმების სათანადო ზმნისწინიანი მასდარი ვერ დავადასტურეთ;

აქვე უნდა აღვნიშნოთ **გალალამ** ლემის გრამატიკული ვარიაციები **მიიღლაფს, მიჰლაფს და გაყოლამ – მიჰყრბ, მოჰყრბ**. ეს ფორმები ფიქსირდება პირიან ფორმებში, თუმცა შესაბამისი ზმნისწინიანი მასდარი არ მოეპოვებათ.

ასეთი ერთეულებიც ცალკე სალექსიკონო სტატიად შეგვაქვს და ენციკლოპედიურ ველში აღინიშნება, რომ შესაბამისი მასდარი ვერ დადასტურდა.

- ზოგჯერ მასდარული წარმოდგენის პრინციპის დარღვევა განსაკუთრებული გადაწყვეტილებით ხდება. როგორც ცნობილია, ინგილოურისთვის დამახასათებელია ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა. ლექსიკონებში ეს მოვლენა ასახულია და ფშვინიერი შემართვის ფორმები „ჰაეს“ ანბანურ რიგშია წარმოდგენილი: ჰეგ, ჰეეს... ფშვინიერი შემართვა ახასიათებს არა მხოლოდ სალექსიკონო ფორმას, არამედ მის პარა-

დიგმულ რეალიზაციებსაც, რაც ქმნის, სწორედ, დიალექტის განსაკუთრებულ სპეციფიკას. ასეთი სპეციფიკური ფორმები რომ არ დაიკარგოს და ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლისთვის, ინგილოური ლექსიკონების ავტორებს სალექსიკონო ერთეულებად გამოყოფილი აქვთ ფშვინვიერი შემართვის მქონე ზმნური ფორმებიც: **ჰუქ** (ვიქ, ვიზამ), **ჰუც** („ვიცი“), **ჰუცუნუ** („ვიცინი“), **ჰუცუნუვარ** („ვიცინი“), **ჰუთხარ** („ვუთხარი“), **ჰუთქომ/უთქომ** („უთქვამს“). ამ ტიპის მასალა ქდკ-ის ონლაინლექსიკონში ცალკე სალექსიკონო სტატიებდ არის წარმოდგენილი და ასევე დარჩება მის ბეჭდურ ვერსიაში.

- ციფრული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი უპირატესობა არის ის, რომ ონლაინლექსიკონში შესაძლებელია ბეჭდურ წყაროებში გამორჩენილი **განმარტებების დამატება, დაზუსტება, ხარვეზების გასწორება.**

ასე, მაგალითად, **განმარტებები დაემატა** შემდეგ ლემებს:

- **ტუჩა, ჰისაბ, ჯორციან, ღილ/ღირ** „კეფის ქვემოთა ნაწილი თავის ქალაზე“ დაემატა სხვა მნიშვნელობაც „ღილი“;
- **უკანთან** „1. გვერდში მდგომი, დამხმარე, 2. ზურგი, 3. მომავალი; ამ ლემას დაემატა კიდევ ორი მნიშვნელობა 4. „წინაპარი“, 5. „უკან მდგომი“

გასწორდა შემდეგი სახის უზუსტობანი:

- ბეჭდურ წყაროში ზოგჯერ ერთი და იგივე ლემა ორჯერ არის შეტანილი სხვადასხვა ადგილას (წერია ლემა, მერე მოსდევს სხვა ლემები და ისევ წინა ლემაა განმეორებული), ონლაინლექსიკონის სტრუქტურიდან გამომდინარე, ეს ხარვეზი მაშინვე ჩანს და ძალიან მარტივად სწორდება, ვტოვებთ მხოლოდ ერთ ვარიაციას, დუბლირებულ ვარიანტს კი ვშლით. იხ. საშირდნეძე...
- ბეჭდური წყარო გვაგზავნის ლემასთან, რომელიც ლექსიკონში არაა შეტანილი. იხ. **ელაქ ნ. საცერ.** ეს უკანასკნელი ლემა გამორჩენილია ბეჭდურ წყაროში, ონლაინლექსიკონში

დიალექტის მატარებლებთან **ელაჟ** სიტყვის მნიშვნელობის დადგენის შედეგად ეს ხარვეზი გავასწორეთ. იხ. ქდკ.

- ქდკ-ის ლექსიკონში ცალკე ჯგუფად არის წარმოდგენილი სახელები, რომლებიც წარმოებულია **უყოლობა-უქონლობის სუფიქსებით**. ასეთი ერთეულები დამოუკიდებელ სტატიე-ბადაა შეტანილი, რათა ლექსიკონის მომხმარებელს შესაძ-ლებლობა ჰქონდეს თითოეული ასეთი ფორმა ადვილად მოიძიოს.

მაგალითები:

- უგონურ
- უგოურეცხელ
- უგოუგეველ
- უგაუთხუეველა
- უგოუთქუფელა
- უბარაქათოი

ბეჭდურ ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ეს პრინციპი ერთგვა-როვნად არ იყო დაცული: ზოგჯერ ასეთი ფორმები მთავარი ლემის ბუდეში იყო გაერთიანებული, ზოგჯერ კი ცალკე სიტყვაფორმად იყო შეტანილი. ონლაინლექსიკონში ეს არაერთგვაროვნება გამო-სწორებულია და ყველა მსგავსი ერთეული ცალკე სტატიად არის გამოყოფილი.

ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც კვლევას, ისე ენათმეცნიერებისთვის მასალის სისტემატიზაციას.

2. ფრაზეოლოგია

ქდკ-ის ინგილოურ ლექსიკონში **ტროპული ლექსიკა** (გამოცა-ნები, ფიცის, დალოცვისა და წყევლის ფორმულები, ფრთიანი (მეტა-ფორული) გამოთქმები) ცალკე სალექსიკონო სტატიებადაა წარმო-დგენილი. რადგან

- ისინი მხოლოდ სიტყვა კი არა, **ტექსტური ერთეულებია**;
- დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ფუნქცია აქვთ;
- პირდაპირ გვაწვდიან ინფორმაციას ინგილოური დიალექ-ტის კულტურულ სურათზე. ისინი **კულტურული და ეთნო-ლინგვისტური მემკვიდრეობაა**.

შეიძლება ითქვას, რომ ტროპული ლექსიკა ინგილოურ ლექსიკონში **ენისა და კულტურის ერთიან ნარატივს ქმნის** და ამიტომ მისი ცალკე გამოტანა მკაფიოდ უსვამს ხაზს მის ფასეულობას.

გამოცანები

ინგილოური გამოცანები საგნის ან მოვლენის ხატოვან აღწერას გვაწვდიან:

- *ბრუვს უკან შავ მუგუზ* (შაშვი) – აღწერილია ხმისა და ფერის ნიშანი.
- *დიღლითავ ცეცხლი პირში კუნტულოვს* (სადღვებელი) – საგანი მოქმედებითაა ხატოვნად გადმოცემული.
- *კანკალა ღობეთ გადავხტენ, წუნკალა ზაღმლა დამიჭირა* (ჭინჭარი) – მეტაფორა, რომელიც აერთიანებს მოძრაობასა და შეგრძნებას.
- *ორ ქორუქ არის დუნიაში, ვერ ომოჰქმინდავ* (ცხვირი) – საგნის ბუნებრივი მახასიათებლის ხატოვანი აღწერა.

ფიცი (ფიცილის ფორმულები)

• *შენ წინ ღმერთივ* – სიმართლის თქმის მოთხოვნა ღვთის მოწმედ ხსენებით.

- *დიდ ოჟაღვისმა* – წმინდა ოჯახის მადლი.
- *ლოკმადსმა* – ლუკმის მადლი.
- *სულისმა // სულიმა* – სულის მადლი.

დალოცვები

- *ნუშ იენეს* – შეერგოს.
- *ღმერთმა ბარაქათ მოჰცას* – ღმერთმა ბარაქა მოგცეს.
- *ღმერთმა ბარაქათ დაადოს* – იგივე მნიშვნელობით.
- *შენ კად დღეოვად მენახოს!* – ბედნიერების სურვილი.

ფრთიანი (მეტაფორული) გამოთქმები:

- *სულ კბილში დაჭერად* – ძლივს, გაჭირვებით.
- *დროლ დაზრულავ* – მშობიარე ქალზე თქმული, როცა რამდენიმე შვილს მიყოლებით შობს.
- *დუნუად კარ გახსნად* – სამოთხის კარის გაღება, სამოთხეში მოხვედრა.

ბეჭდურ წყაროში ასეთი ფორმები უმეტეს შემთხვევაში ილუსტრაციის ველში არის გატანილი, მითითებით (დალოცვაა, წყევლაა, გამოცანა), ქდვ-ის ლექსიკონში ხდება მათი მნიშვნელობის დაზუსტება და შესაბამისი ილუსტრაციების დამატება.

3. ახალი სალექსიკონო მასალა

- დაწყებულია ქდვ-ის ინგილოურ ლექსიკონში ალიაბათური სალექსიკონო მასალის (შემდგენელი – ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილი) ინტეგრირება, ლექსიკონი ივსება და მდიდრდება ახალი სიტყვანით, კერძოდ:

1. ლექსიკონს დაემატება რამდენიმე ასეული ახალი სალექსიკონო ერთეული, რომლებიც აქამდე არცერთ ლექსიკოგრაფიულ წყაროში არ გვხვდება:

- **აბუყბუყება** – ამყავება, გაფუჭება. აბუყბუყებას, აბუყბუყებულ. *დიდხინდიელ წოლა ამყავდება, აბუყბუყდება.*
- **აგლაჟუნება** – ყველაფრის მტვრევით, ნგრევით სიარული. აგლაჟუნევს, გლარჟუნი, გლარჟუნ-გლარჟუნ. *შახე, როგო აგლაჟუნევს. იხ. გლარჟუნი.*
- **ავამობა** – უვიცობა, უმეცრება. ავამობით შორს ვერ წავა.
- **აზლაზნა** – უხალისოდ წამოდგომა. ჩემ თქმასუკან ზლივ-ზლივ აიზლაზნა.
- **ალაჟუნება** – ფეხების გაჭიმვით სიარული. *შახე, როგო ალაჟუნევს ფეყევს. ალაჟუნევს.*
- **ალივლივება** – გადამეტებულად მორწყვა. ეზო-ყურევს წყლით ალივლივევს.
- **აპილპილება** – გაცხარდება, გაღიზიანდება, წითელი ფერი დაედება. აპილპილდება. ჟავრისგან ფერი შეეცოლა, აპილპილდა.
- **არაკუნება** – დაუფიქრებლად, უთავბოლოდ ლაპარაკი. არაკუნევს. ჰეგი თავიბეი არაკუნევს.
- **აქერცლება** – ფერფლი, ქერქის აძრობა. სიცივიზგან ჰელები გოულურჟდება, აიქერცლება.
- **აყოტება** – ყოტის, ღეროს გაკეთება, ყოტად, ღეროდ გადაქცევა. *შენ დანათეს ხახი აყოტებულა. აყოტდება.*

- **აშოტება** – გასწორება, გაჭიმვა, აყუდება. ერეგე ფინთა აიშოტება, წინ რაიმეს ვერ დაინახავ.
- **აწკლარტება** – დამწარება, ამჟავება. დიდხან შანახულ წოლამ აწკლარტება იცის.
- **აჯღენჩა** – სანახევროდ ტოტის მოტეხვა. **აჯღინჩულ, აჯღინჩული.** ქარმა სხალ ტოტი ააჯღინჩა.
- აჩული გაკდომად – ნათელი გახდა, გამოაშკარავდა. აჩული გაკდა. ხეები მოჭრასუკან ეზო აჩული გაკდა. ლაპარიკსუკან აჩული გაკდა.

2. ალიაბათური სალექსიკონო მასალის ინტეგრაციისას მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ ზოგიერთი ლემის **მნიშვნელობა განსხვავებულია** სხვადასხვა წყაროში. კერძოდ, ისეთ სიტყვებს, რომლებიც დასტურდება როგნედა ღამბაშიძისა და ნათელა როსტიაშვილის ლექსიკონებში, ალიაბათურში სხვაგვარი მნიშვნელობაც უჩანს:

- **ათქლღამ** – ენის სწრაფი მოძრაობით, დორბლების ცვენით გაცხარებული ლაპარაკი (როსტ.). ათქლღამ – ცხოველივით ჭამა. როგო ათქლიფა დაინახია? (ჰასრათ ომარაშვილი)
- **ბუნტ ღუნომ** – ამბოხი ღუნომ – ამღვრეული ღვინო(ღამბ.). ბუნტი – არასასიამოვნო სუნის მქონე. შენ შიქმელ ბუნტ გე-მო აქო.
- **დაფურტამ** – ერთგვარი ავადმყოფობა, რომელიც ფილტვებს უზიანებს ადამიანს (ღამბ.). ძლიერ მოწყურება. წყლიბე დაფურტულიყო (ჰასრათ ომარაშვილი).
- **ზარბუზან** – ზარბაზანი (ღამბ.).ზარბუზანი – გადატ. უზარმაზარი მსუქანი ადამიანი. ერ დიდ ზარბუზანი ქნილა (ჰასრათ ომარაშვილი).
- **კატუნი** – 1. თავის მომკატუნებელი ფეთხუმი; 2. უსუფთაო და უღამაზო ქალის ეპითეტი (ღამბ., როსტ.). კატუნი – ველოური კატა (ი. აბ.); კატუნა – გადატ. კატასავით აქეთ-იქით მოსიარულე ქალი. ჰეგი კატუნაარი სრუგან ზრობა. (ჰასრათ ომარაშვილი). და სხვ.

ჩვენს კორპუსულ ლექსიკონში გათვალისწინებულია ყველა ხელმისაწვდომი წყაროს მნიშვნელობები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ვამატებთ ჩვენ მიერ დადგენილ მნიშვნელობასაც.

ამრიგად, ლექსიკონის შევსების ახალ ეტაპის სრულყოფის შემდეგ, ციფრული ლექსიკოგრაფიის უახლესი ამოცანებიდან გამომდინარე, ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკონების მომხმარებელთა წინაშე კიდევ უფრო სრულყოფილი და შევსებული ინგილოური ლექსიკონი იქნება წარმოდგენილი.

ინგილოური სალექსიკონო მასალის დამუშავებას განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს როგორც ლინგვისტური, ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი გვიჩვენებს, თუ როგორ ინახავს ენა საკუთარ ენობრივ მემკვიდრეობას, როგორ ვითარდება ლექსიკური **ფონდი** და როგორ ხდება ძველი და ახალი ლექსიკური ფენების ორგანული თანაარსებობა.

ქდკ-ის ლექსიკონი ამ პროცესის შესწავლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. მისი ონლაინფორმატი იძლევა შესაძლებლობას, რომ უფრო სრულყოფილად წარმოჩნდეს ინგილოურის ლექსიკური მარაგი; დაემატოს ადრე გამორჩენილი განმარტებები, დაზუსტდეს მნიშვნელობები და დაფიქსირდეს სიტყვათფორმების მრავალფეროვნება. წარმოდგენილი მოხსენება მხოლოდ ნაწილს ასახავს იმ დიდი სამუშაოს, რომელიც ლექსიკონის მოსამზადებლად მიმდინარეობს.

რ უ ს უ დ ა ნ ს ა ღ ი ნ ა ძ ე

ზემოიმერული ლექსიკიდან

(ქ. მოწენიძის მასალების მიხედვით)

ქართული ენის დიალექტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავსიმერულს, რომელსაც მიეძღვნა არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი.იმერულის, კერძოდ, ზემოიმერულის კვლევებიგამორჩეულია ქეთევან მოწენიძის ღვაწლი. მის სამეცნიერო მემკვიდრეობას ამშვენებს ორი მნიშვნელოვანი გამოცემა: „ზემოიმერული კილოკავი“(1973)და „ზემოიმერული ლექსიკონი“ (1974).

„სალიტერატურო ენის არეალის გაფართოება მოითხოვს ენობრივი რეზერვის ამოქმედებისა და გააქტიურების გზით ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრება-დახვეწას. ამ საქმეში ფრიად მნიშვნელოვანია სწორედ დიალექტური ლექსიკის როლი“, – წერს ქეთევან ლომთათიძე და ნიმუშად ასახელებს ქეთევან მოწენიძის „ზემოიმერული ლექსიკონიდან“ აღებულ ტერმინს „სისხლის კმევა“, რომელიც ზემოიმერულში „სისხლის წნევის“ მნიშვნელობით გამოიყენება (ქ. ლომთათიძე 2019, 65). **წნევა** რუსული **Давление**-ს შესატყვის ტერმინად შეიქმნა.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს მეცნიერის მიერზემოიმერულში დადასტურებული ლექსიკური ერთეულებისსაერთოსალექსიკონო სივრცეში განხილვა. „ქეთევან მოწენიძემ ცოცხალი მეტყველების ამოუწურავი საუნჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა, ათასობით სიტყვა და ფორმა აღმოაჩინა და გადაარჩინა დაკარგვას“, – ასე შეაფასა მ. ალავიძემქეთევან მოწენიძის ღვაწლი (მ. ალავიძე, ქეთევან მოწენიძე (ცხოვრება და ღვაწლი): ქ. მოწენიძე 1973, 12).

ქ. მოწენიძეს კარდაკარ კვლევა-ძიებისას შესწავლილი აქვს 82 სოფელი და გამოვლენილი აქვს სხვადასხვა სახის, მათ შორის, დარგობრივი (სამეურნეო), საკმაოდ ვრცელი სალექსიკონო მასალა. ლექსიკურ ერთეულთაგან ზოგი უცნობია (მაგალითად, ალიათალი-ბალიათალი, ალიყმალიყური, გუგუმალი, ფურცხვი...) ან მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანთან არის მანამდე ნახსენები (აზევა, გოჯილა, ლაშკინი, შეტაბუტა, ძაგარი...(მ. ალავიძე, „ზემოიმერული ლექსიკონის“ შესახებ:ქ. მოწენიძე1974,3). მათგან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არცთუ ისე დიდი ნაწილია შეტანილი.

ზემოიმერულში დადასტურებული ზოგიერთი სიტყვაფორმისგანმარტებისათვისქ. მოწენიძე მიმართავს სხვა დიალექტურ ლექსიკონთა მონაცემებს, ითვალისწინებს სინონიმურ ცალებსაც. ამის საილუსტრაციოდ მისი „ზემოიმერული კილოკავიდან“წარმოვადგენთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს სხვა წყაროთა მონაცემების მითითებით:

აგულვა– 1. გურული ლექსიკ.; 2. ზემომ. ლექსიკ.

აგულვა (Msd) იხ.: **ამოგულვა** (ქდკ, იმერ. ლექსიკ., წყაროები: ზემოიმერ. ლექსიკ., ბ. წერ.);

ამოგულვა (Msd) იხ.: **ამოგულავს, აგულვა, გულვა** გულისა-
მოვსება, ამოშენება, დაფარვა. *ქურასრო გავავსებთ კრამითით, მერე-
ოუგულავთ პირს ანგურით* (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები: ზემოი-
მერ. ლექსიკ.ზ.წერ.);

ამოგულავს (V) იხ.: გამოგულული, ამოგულვა, გამოგულვა
შიგთავსს, გულს ამოიღებს. *კვახი ამოგულა დაბაპისახში გაატანა*
(ქდვ, იმერ. ლექსიკ.). შეიძლება ამავე სემანტიკურ ველს მივაკუთ-
ვნოთ ტერმინი **გუგულა/ე-ი – გულა**, წისქვილის ქვის ნახვრეტი, რო-
მელშიდაც ხვიმირიდან მარცვალი ცვივა (ვ. ბერიძე, 1912, 21).

აღნიშნული ლექსიკური ერთეული დავადასტურეთ სხვა კი-
ლოებშიც:

ფშაურში: აგულვა – ჭურჭლის ალაგება, შენახვა (ა. შანიძე)
(ფშაური დიალექტ. ლექსიკ.); **აგულება** – ალაგება (მაგიდის), მილა-
გება; თივის, ძნის ახვეტა, აგება. **„აიგულოდი**, ჩემო ქალო, პურ-სუფ-
რა!“ (იქვე);

თუშურში: აგულება – ალაგება (თ. უთურგ.), დალაგება ოთა-
ხის, სამზარეულო სახლისა (პ. ხუბ.) (ალ. ლლონტი 1984, 23);

გულვა – MSD იხ.: **ამოგულვა** (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები:
ზემოიმერ. ლექსიკ., ზ. წერ.).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **გუ-
ლავს** (‘და’გულა, ‘და’უგულავს; ‘გამო’გულა, ‘გამო’უგულავს) გრდმ.
გულს, მარცვლებს აცლის. იქა ვგულავდი ფიჩხის ლობიოს (კ. კობ.).
♦ **კარ’ებ’გულავს** კუთხ. ხურავს, კეტავს (კარს) (ქეგლ).

ბზნილოფს – ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე გარკვეული მო-
ქმედების შესრულებას შიშობს, კრძალავს... *მეზობლები ბზნილობენ
სკამების წაღებას გასვენების მესამე დღემდე* (განთიადი) (იხ. ზ. წერ.
მზნილობა, ბზნილობა, დაბზნა, შარაშ. **ბრძნა**, ბერ. **ბზნილობა**)
(ქ. მოწენიძე 1974, 50).

ბზნილობა იმერ. „ყველიერის ოთხშაბათს გაუთხოვარი ქალები
დღისით არ ჭამენდა არ სვამენ, საღამოთი აკეთებენ ძლიერ მღაშე
ხაჭაპურს და გზაჯვარედინზე ჭამენ, რომ არავინ შემოესწროთ; უს-
მელი წვებიან, რადგან საქმრო მოვადა დაგვალევინებსო. ამას **ბზნი-
ლობა** ჰქვია“ (დ. ავალ., კრებული, 1899, №11, განყ. II, გვ. 13) (ვ. ბერი-
ძე 1912, 16).

ზზნილობა *p.nouno* მერული tabuday (whene.g. washing, leavinyard, usingaxeareforbidden) (დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საწესჩვეულებო ტრადიციასთან დაკავშირებით გამოყენებულ პოლინეზიურ სიტყვა „ტაბუს“ შესატყვისი, ტოლფარდი ცნებებია ქართველ ტომთა საწესჩვეულებო ტრადიციებში არსებული ზემოიძმერ. „ზზნილობა“/„ზზნილობა“, მეგრ. „ვამინერს“ და სვა. „მაადიშიდი“ (ა. ცანავა 1970, 67-68);

ზძნ – დაბძნა ფეხის. იხ. ფერზობა. **ფეხის დაბძნა** რაჭაში იციან: „ფეხის დამბძნელთ (მეფერხეთ) სახლის პატრონნი ფთილას აჩუქებენ და თან ეუბნებიან: „რამტოლი ბეწვი ეს იყოს, იმტოლი წელიწადი იცოცხლო“ (კრებული, 1899, №IX, II განყ. გვ. 5) (ვ. ბერიძე 1912, 20);

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულია მხოლოდ **ზრძნა** (ზრძნისა) ეთნ. კუთხ. (გურ.) «ცრუმორწმუნეობაზე დამყარებული შიშის გამო რაიმე საქმის არქმნა ან სიტყვის ართქმა» (გ. შარაშ.), – ტაბუ (შდრ. იზრძნის) (ქეგლ).

სინონიმური ვარიანტებით არის დატვირთული ქ. ძოწენიძის „ზემოიძმერულლექსიკონში“ ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა **ზონძლი** და **ზონძლალი**:

ზონძლი || ზონძლვი || ზორძღვი – კლერტი, ყურძნის მტევნის კიმპლედაცილილი ღერო. კალათში **ზონძღები** დოუტოვებით მარტვა (ტაბაკინი); ყურძენი შეგიჭამიათ და **ზონძღვი** რათ მინდა? (ქვედა საქარა); შოუჭამია მარცვლები და მარტო **ზორძღვები** დოუტოვებია (სანახშირე) (იხ. ქავთ. **ზონძლი**) (ქ. ძოწენიძე 1974, 53);

ზონძლალი იგივეა, რაც **ზონძლი** (იხ.). ცარიელი **ზონძლალი** რათ მინდა? (პირვ. სვირი) (იხ. ბ. წერ., ზ. ჭუმბ.) (იქვე).

უფრო ვრცლად არის განმარტებული აღნიშნული ლექსიკური ერთეული სხვა ლექსიკონებში: **ზონძლალი/ზუნძლალი, ზურძლანი, ზურძღენი** (საბა), **ზონძლი** იგივეა, რაც: **ზოდონძლი, ზუნძლო, კეპტო, ზონძლი. კლერტი, ყურძნის მტევანი უმარცვლებოდ. ცარიელი ზონძლალი რათ მინდა?** (ქდვ, იმერ. ლექსიკ. წყაროები: იმერ. დიალექტის სალექსიკ. მასალა, პ. გაჩეჩ.; ზემოიძმერ. ლექსიკ., ბ. წერ.);

ბონძალი, ბონძლი, ბომონძი – ზემოიმერ. **კლერტი მტე-**
ნისა (შდრ. შარშ. **ბურძალი**, საბა **ბურძენი**) (ვ. ბერიძე 1938);

ბუნძალი (N) ბონძალი (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები:
იმერ. დიალექტის სალექს. მასალა, პ. გაჩეჩ.);

ბურძენი (N) ბონძალი (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები:
იმერ. დიალექტის სალექსიკ. მასალა, პ. გაჩეჩ.);

ბომონძი (N) იგივეა, რაც: **ბონძალი** (ქდვ, იმერ. ლექსიკ. წყა-
როები: ზემოიმერ. ლექსიკ., ბ. წერ.)

ბონძლი/ბონძღვი/ბორძღვი, ბონძღვი/ბორძღვები იგივეა, რაც:
კეპტო, ბონძალი. *კალათში ბონძღვი დოუტოვებიათ მარტვა. ყურ-*
ძენი შეგიჭამიათ და ბონძღვი რათ მინდა? შოუჭამია მარცვლები და
მარტო ბორძღვები დოუტოვებია (ქდვ, იმერ. ლექსიკ. – არ არის მი-
თითებული ავტ., ივ. ქავთარაძე, ქ. ძოწენიძე – ავტ.).

კეპტო/კლეპტო – იგივეა, რაც: ბუნძლო, ფონცხი, ყლერტო, კე-
რენჩხო, ბონძლი, ბონძალი, კლერტი. **კეპტოა ვენახში დატოვებუ-**
ლი. კლეპტო რაღათ მინდოდა, **კლეპტორო** დოუტოვებია მარტო
(ქდვ, იმერ. ლექსიკ.).

კერენჩხო – იგივეა, რაც: **კლეპტო, კეპტო**. გეიცალა მარცვალი
და ცარიელი კერენჩხო დარჩა (ქდვ, იმერ. ლექსიკ.).

მაშასადამე: **ბონძლი || ბონძალი || ბუნძალი, ბურძანი,**
ბურძალა, ბურძენი, ბომონძი, ბუნძლო, ბონძლი, ბორძღვი,
ფონცხი, კერენჩხო, კეპტო, ყლერტო = კლერტი, ყურძნის მტევანი
უმარცვლებოდ (ქდვ, იმერ. ლექსიკ.).

ამათგან პ. გაჩეჩილაძის „იმერული დიალექტის სალექსიკონო
მასალაში“ მოცემულია ვარიანტები: **ბონძალი, ბუნძალი, ბურძა-**
ნი, ბურძენი – ყურძნის მტევანი უმარცვლებოდ, კლერტი. ავტორს
მითითებული აქვს სულხან-საბას: **ბურძენი**; ბ. წერეთლის, ივ. ქავ-
თარაძისა და ქ. ძოწენიძის სალექსიკონო მასალებიდან: **ბონძლი**
(პ. გაჩეჩილაძე 1976, 26; 28).

ბუძუნძლო 1. იგივეა, რაც **ბონძალი**. 2. ფრინველთ ხერხემა-
ლი ნეკნებიანად (შდრ. გლ., წერ.; ჭყ.: **გუბუნძლო**; მოწ. (იქვე, 29).

ქ. ძოწენიძის „ზემოიმერულ ლექსიკონში“ მოცემულია საკმა-
ოდ ვრცელი ჩამონათვალი **ბუძუნძლოს** სინონიმური ვარიანტებისა
ავტორების მითითებით, მათ შორის ისეთიც, რაც აქ არ გვიხსენებია.

მაგალითად: **ბუზუნელო** (ჟყ.), **ბურძღალაი** (შარაშ.), **ბორძღანა**, **ბორძღი**, **ბურძღალი** (ოკრ., ალაგ.), განსხვავებული მნიშვნელობით **ბუძუნდღო** (= გოგრის შიგთავსი), **ნაბურძღანა** (ჯაჯ.) (ქ. ძოწენიძე 1974, 62-63).

ჩვენი ვარაუდით, **ბონძღი** შეიძლება დაკავშირებული იყოს მეგრულ სიტყვასთან **ბენძღი-ი** (ბენძღის), რაც ნიშნავს ძალიან ძველს. შდრ. იმერ., გურ. **ბენძღი** ძველი, დამძალი, გაფუჭებული (ვ. ბერ., ალ. ღლ.) (ARMAZI Textcollection, 2001-2004). იგივე სემანტიკა (პირდაპირი და გადატანითი) უნდა იყოს სიტყვაში **გაბენძღილი**, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით, პ. გაჩეჩილაძის განმარტებით, ნიშნავს უშნოდ გაბერილს, დიდლიპიან ადამიანს. „აგრანოი შემჯდარიყო ცხენსე **გაბენძღილი**“ (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყარო:იმერ. დიალექტის სალექსიკ. მასალა, პ. გაჩეჩ.).

გაბენძღილს უკავშირდება ზემოიმერული **გობენძღო** – ბევრი ჭამისგან გაბენძღილი: „რა **გობენძღო** კაცია, ჭამისაგან გადაგვარებული“ (მ. მწყერაშვილი 2023, 240);

ბენძღ დასტურდებაზმნურ ფორმაშიც: **დაბენძღება** = უშნოდ დაჯდომა, დაგდება: „ბევრს ნუ ლაპარაკობ, **დეებენძღე** მაქ“ (ვ. ბერიძე 1912, 16).

გაბიზღინება – იმერ. ლექსიკ. (წყარო – ქ. ძოწ.);

გაბიზღინება (Msd) იხ.: ბიზღინი (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები: ზემოიმერ. ლექსიკ., ბ. წერ.);

ბიზღინი (Msd) ბიზღინოფს (V:) იხ.: **გაბიზღინება**. ჩუმად, გაბუტვით გაჯავრება, გულის მოსვლა. „გაბიზღინებულია და ხმას არ იღებს“ (ქდვ, იმერ. ლექსიკ. წყაროები: ზემოიმერ. ლექსიკ., ბ. წერ.). შდრ. **გაბიზინება**: ლეჩხ. ფერდების ამოვსება, სისავსე (მ. ჩიქ.); გავსება, დატენა (შ. ნიჟარ., აჭარ.) (ალ. ღლონტი 1974, 103).

ბიზინ (იხ. **ბეზ**): **გაბიზინება**, **გამობეზვა**, **გაზიზინება**, ძალზე გაძღომა, გავსება, გაბერვა (ვ. ბერიძე 1912, 17);

გაბიზინებული (Ptcp) გადიდებული, გასიებული, გაბერილი. 2) *რალათ მინდა კიდო ქლიავი, რაი ჭამს მაგას, გაბიზინებული მაქ კუჭი* (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყარო: საჩინ. ქართული, ქვემოიმერ. ლექსიკ., ნ. შარაშენ.). ქვემოიმერულში გვხვდება გამოთქმა **გულზეა გაბიზინებული** (= გადატ. გულზე გასიებული – ავტ.).

გადაბეღვა – იმერ. ლექსიკ. (წყარო – ქ. ძოწ.);

გადახელვა (Msd) იგივეა, რაც: **ხელვა** (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები: ზემოიმერ. ლექსიკ., ბ. წერ.); **ხელვა** – ლარტყის დაკვრა და კრამიტით დახურვა სახლის (იქვე); *რომ დავთესავდით, თუთხმეტ დღეს მერე, სამ კვირეს მერე გადახელვა ხელით, მერე უნდოდა გამარგვლა* (ქდვ, გრ. იმნ., გურ. დიალ., 1961, კორპ. გამოც. ავტ.: რ. ლანდია).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ხელვა** – სახელი **ხელავს** ზმნის მოქმედებისა: 1. მოვლა (ბოსტნისა, ვენახისა...). ვენახის ხელვა. 2. ზელით გამაგრება (ცომის გუნდებისა) (ქეგლი).

გამოხელვა (Msd) **გამოხელავს** (V:) მოზედილი თიხისათვის, ცომისათვის საჭირო საგნის ფორმის მიცემა. *კალინკამ იცოდა კაი კეცების გამოხელვა, ქოთნებისიც* (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები: იმერ. დიალექტის. სალექსიკ. მასალა, პ. გაჩეჩ.);

ქეგლ-ში არ არის **გამოხელვა**, არც **გამოხილვა**, არც ზმნური ფორმები: **გამოხილა**, **გამოხილავს**.

არის: განსხვავებული სემანტიკის **გამოხელა** – სახელი **გამოახელს** ზმნის მოქმედებისა. ◊ თვალის გამოხელა გახელა, გაღება (თვალეებისა). „კარგებში არხეინად ჩაძინებულმა იანიჩრებმა თვალის ხეირიანად **გამოხელავს** ვერ მოასწრეს“ (რ. ჯაფ.). || მიხვედრა, გაგება. „ახირებულია ხალხის საქმე: ...მეტად გვიან იცის **თვალეების-გამოხელა**“ (აკაკი) (ქეგლი);

გამარგვლას ნიშნავს ზმნა **გამოხელავს** (გამოხელა, გამოუხელავს) გრდმ. სათითაოდ გამოიღებს (რამეში მოქცეულს, მოთავსებულს). „[ქმარმა] ფრჩხილებით ულვაშში სარეველასავით გარეული ჭაღარა **გამოხელა**“ (ა. გალდ.) (ქეგლი).

გრძელური – A / **გძელური სახლი** – N

გრძელური (A) იხ.: **გრძელური სახლი**, **გძელული**. **გრძელური კედელი გააკეთა** (ქდვ, იმერ. ლექსიკ.).

გრძელური სახლი: **გრძელური სახლი გარედან გრძელური შიგნიდან ფიცრული** (ქდვ, ქართლ. (ხაშური), შინამრეწვ. მასალ. (ივ. ჯავახ.), 1936, კორპ. გამოც. ავტ.: რ. ლანდია);

გძელული (A) იხ.: **გრძელური**, **ძელური**. **გძელული კედელი გოუთლელი ხეა, რგვალათ იხმარება კედლისთვის**. **გძელულ სახლს აქ განის კარი, გძელულია მიტო, რო სახლიც გძელია და კედელიც**

რგვალი ხისა აქ (ქდვ, იმერ. ლექსიკ.); წინათ საჯალაბო სახლი შენ-
დებოდა **ფიცრისაგან ან გრძელურისაგან**. საჯალაბო სახლი დიდი
იყო, სოხანე ქონდა, დიდი ფიცრული კარები, პატარა სარკმელები.
...კედლის ფიცარი დამზადდება წიფლის, წაბლის, მუხის, ცველას,
ნაძვის მასალისაგან. წიფელა, მუხა, თელა, ნაძვი შეიძლება დეიჭრას
გძელმასალათ – საკოჭებათ, სარძიკვლებათ, სარტყლებათ (ქდვ,
ქ. ძოწ., ზემოიმერ (ხრეთით, ჭიათ.), კორპ. ტექსტ. ავტ.: მ. ბერიძე,
რ. ლანდია, 04.11.2016);

ძელური: გაუთლელ ხეებისაგან აშენებულ სახლებს ეწოდება
რგვალი **ძელური** სახლი (ქდვ, ქვემოიმერ. (ხანი, ბაღდათი), შინამ-
რეწვ. მასალ. (ივ. ჯავახ.), 1935, კორპ. გამოც. ავტ.: რ. ლანდია); **ძელუ-
რი** სახლი – ხე ორად იყო გაყოფილი, შიგნით ფიცრული იყო და გა-
რე მხარე ჰქონდა რგვალი (ქდვ, ქვემოიმერ. (ეწერი, ძვ. სამტრედია,
შინამრეწვ. მასალ. (ივ. ჯავახ.), 1935, კორპ. გამოც. ავტ.: რ. ლანდია);
ძელური – ჯარგლური სახლი. ეს სახლი იგება დაუთლელი ხეებისა-
გან. რგვალ ხეებს, თხმელას, წაბლს, მუხას გაადრობენ კანს, დაუჭტო-
ბენ, დაუჭრიან, ყელს და გადაადობენ ერთმანეთზე ყელს. **ძელურ-
ჯარგლური** სახლი ყურებიანი სახლია, იხურება ისლითა და ბურუ-
ლით... (ქვემოიმერ. (საპაიჭაო, ვანი), შინამრეწვ. მასალ. (ივ. ჯავახ.),
კორპ. გამოც. ავტ.: რ. ლანდია); **ძელური** სახლები რგვალი ხისაგან
კეთდება. გარეთა გვერდები ამოსოკილი აქვს, იგივე ჯარგვალია
(ქვემოიმ. (დიდი ჯიხაიში), შინამრეწვ. მასალ. (ივ. ჯავახ.), კორპ.
გამოც. ავტ.: რ. ლანდია).

ქ. ძოწენიძის „ზემოიმერულ კილოკავში“ მოცემულ ტექსტებს
დართული აქვს უცნობ სიტყვათა განმარტება. ავტორს მიზანშეწო-
ნილად მიუჩნევია ტექსტები დანადებული სიტყვები ანბანთრიგზე
დაელაგებინა და დაერთო განმარტებებიც. გამოვყოფთ ფორმალურ-
სემანტიკური ნიშნით გამორჩეულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს:

საწინდარი, გადაწინდვრა: „ვენახის გაშენება ხთება ნამყენი
ნერგით, **გადაწინდვრითა** და ლერწით... **გადაწინდვრა** ხთება ან თე-
ლი ძირის გადაწვენით, ან ვაზის ძირში ამონაყარი ლერწის საშუა-
ლებით... როცა თელ ვენახს აწვენენ, თუ ძლიერია ეს ვენახი, მაშინ
თავს ამოვაყოფიფთ 3-4 სამ-ოთხ ლერწს ორკვირტიანს მაინც, რო-
მელსაც ვეძახით **საწინდარს**“ (სოფ. ბაჯითი) (ქ. ძოწენიძე 1973, 421).
შდრ.: **გადაწინდვა, გადაწინდვნა, გადაწიგვნა: გადაწიგვნა** დარგ. იგი-

ვება, რაც **გადაწიდვნა**. **გადაწიგნა** – ვაზის წალმის ან ვარდის ტოტის მიწაში გადაწვენა (ქალაქ. ლექს.); **გადაწიდვნა** დარგ. სახელი **გადაწიდნავს**, **გადაწიდნება** ზმნათა მოქმედებისა. *ვაზის გადაწიდვნა*. – მოცხარი და ხურტკმელი **გადაწიდვით** მრავლდება (ქეგლი).

შესიტყვება **საწინდარის ჩაწვენა** ნიშნავს ვენახის ღერწის გადაწვენას მიწაში გასამრავლებლად (ქ. მოწენიძე 1974, 352).

მეცარი: ქართულში ცნობილია უქონლობის გამომხატველი წარმოქმნილი სიტყვა **უმეცარი** (= უსწავლელი, გაუნათლებელი; უცოდინარი, უვიცი. დროება მაშინ იმნაირი იყო, რომ ამგვარს ხმებს გასავალი ექნებოდა **უმეცარ** ხალხში (ვაჟა) (ქეგლ), მაგრამ ნაკლებად ცნობილია მისი ანტონიმი **მეცარი**, რაც ნიშნავს ყველაფრის მცოდნეს და გვხვდება ზემოიშვრულში (ქ. მოწენიძე 1973, 551). ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ზემოაჭარულშიც: *მას შეხდა ერთი მეცარი დედაბერი, ყველამფრის გამხერხო* (ქდვ, აჭარა/ხულო), შ. ნიჟარ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, 1957, კორპ. გამოც. ავტ.: ნ. სურმა-ვა).

ანტონიმური წყვილი **მეცარი-უმეცარი** მოგვაგონებს კიდევ ერთ წყვილს, როგორიცაა **გერგილი-უგერგილო**. ამათგან ცნობილია **უგერგილო**, რაც ნიშნავს უშნო, უფხო, მოუხერხებელ, მოუქნელ ადამიანს (ქეგლი), მაგრამ ნაკლებად ცნობილი და განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა **გერგილი**:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **გერგილი** 1. ძვ. საქმის მარჯვედ მქნელი (საბა); 2. შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება (ქეგლ); **გერგილიანი** – გერგილის მქონე, შნოიანი, ფხიანი, უნარიანი, მარჯვე; გერგილიანობა – სიმარჯვე, ფხიანობა, უნარიანობა, მოხერხებულობა (იქვე).

ანალოგიური მნიშვნელობისაა **გერგილი** კახურში, კერძოდ, ქიზიყურსა და ზემორაჭულში: **გერგილი** – მარჯვე, ხერხიანი, ვარგისი (ქდვ, კახური ლექსიკ., წყარო: ქიზიყ. ლექსიკ., სტ. მენთემ.); ...*ჯაფარ გაიქცა, სვეტი წაიქცა, სვეტი წაიქცა, სვეტი ოქროსი, გერგილისძახის გაღმა ყანასა* (ქდვ, №3190 ზემორაჭ., ბარი (ონი), შ. ძიძიგ., ქართული დიალექტ. მასალები, 1944, კორპუს. გამოც. ავტ.: ნ. სურმა-ვა).

იმერულში გვხვდება **გერგილ** ძირის მქონე ზმნური ფორმა **უგერგილებს**, რაც ნიშნავს ეფერება, უვლის. *ადამიანი ესიყვარულე-*

ბა ადამიანს და ამაზე იტყვიენ **უგერგილებსო**, ეფერება (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყარო: იმერ. დიალექტის სალექსიკ. მასალა, პ. გაჩეჩ.).

სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ სახე-
ლორსა და ზმნურ ფორმებს გურულში: **გერგილი = ზარმაცი, გერგი-
ლობდა = ზარმაცობდა**: ზოი კარქა მუშოობდა, ზოი ზარმაცობდა,
გერგილობდა. კას მუშასაც უცრუვდებოდა გული... **გერგილმაც** უნ-
და მეინდომოს და კარქა იმუშაოს, თვარა ქიწაჟდება თავზე აი გვიმ-
ბრა და ბარდი (№1215 ქდვ, გურული (ქანაური, ოზურგ.), გრ. იმნ.,
გურული დიალექტი, 1962, კორპ. გამოც. ავტ.: რ. ლანდია).

საინტერესოა შესიტყვება **ზადლის ჩითი** – ჭრელი ჩითი = **ზად-
ლის ჩითის** კაბა შევიკერე (ზაჯითი) (ქ. მოწენიძე, 1974, 43). მისი გან-
სხვავებული ვარიანტებია:

ზადრი ჩითი – იგივეა, რაც **ზადლის ჩითი**. რავა დაქტუცვია
კანჭები **ზადრი ჩითივით** (შომახეთი) (იქვე);

ზარდლისხამი – ხამი, ტილო, რომელზედაც ფერადი ფოთლო-
ვანი სახეებია (ქდვ, იმერ. ლექსიკ., წყაროები: ზემოიმერ. ლექსიკ.,
ბ. წერ.).

ქართლურში მსგავსი მნიშვნელობით არის **ღაღანა ჩითი**, ანუ
ძლიერ ჭრელი, წითელ-ყვითლად ჭრელი ჩითი (ქეგლ).

ამრიგად, ქეთევან მოწენიძის ნაშრომებში მოცემული დია-
ლექტური მასალის განხილვა წარმოაჩენს მეცნიერის განსაკუთრე-
ბულ ღვაწლს ქართული ენის ისტორიაში, გვიჩვენებს მის მიდგომას,
პრინციპებსა და მეთოდებს განსამარტავი ლექსიკური ერთეულისა-
დმი, რაც უთუოდ შეასრულებს გზამკვლევის როლს დიალექტოლო-
გიური და ლექსიკოგრაფიული საკითხების მკვლევართათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ
თქმათა, ს.-პეტერბურგი, 1912; გამომცემლობა „მეცნიერება“, თბი-
ლისი.

გაჩეჩილაძე 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სა-
ლექსიკონო მასალა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

დიდიქართულ-ინგლისური ლექსიკონი 2006 – A Comprehen-
sive Georgian-English Dictionary: [2 ტომად] / შემდგ.: რ. ამირეჯიბი,

შ. აფრიდონიძე..., დონალდ რეიფილდი (მთ. რედ.)... ლონდონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=46>

ლექსიკონი ქართული – <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=8&t=dict&w1=%E1%83%92&w2=%E1%83%94&w3=%E1%83%A0>

ლომთათიძე 1984 – ქ. ლომთათიძე, დიალექტური ლექსიკის ადგილი სალიტერატურო ენაში, ქსკს, ტ. 6, გამომცემლობა, „მეცნიერება“, თბილისი. <https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2019/03/Lomtadze-Q. QSKS 6Tomi 64-69gv. opt.pdf>

მწყერაშვილი 2023 – მ. მწყერაშვილი, ზემოიშვრულ კილოკავ-ში არსებული გასტრონომიული სალექსიკონო მასალის ზოგადი მიმოხილვა, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადული, XV.

ფშაური დიალექტის ლექსიკონი – <https://www.lev.ge/liv/fshauri.php>

ქართველურ ენათა ლექსიკა 1938 – ქართველურ ენათა ლექსიკა (გურული, ზემოიშვრ. და ლეჩხუმ. ლექსიკონები) (ვ. ბერიძის რედ.), თბილისი, 1938: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=95&t=dict&w1=%E1%83%91&w2=%E1%83%9D>

ქდვ – ქართული დიალექტური კორპუსი: <http://www.corpora.co/#/corpus>

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: <https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

მოწენიძე 1973 – ქ. მოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მოწენიძე 1974 – ქ. მოწენიძე, ზემოიშვრული ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ცანავა 1970 – ა. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები: მეგრული მასალების მიხედვით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ARMAZI Textcollection: Megr. Dict. 2001-2004 – Megrelian Georgian Dictionary published by Otari Kajaia. Otari Kajaia, Megrelian-kartuli leksikoni, I-III, Tbilisi <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/megr/kajaia/kajait.htm>

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი, ლელა გიგლემიანი

რძის პროდუქტებთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტებისათვის სვანურში

მოხსენებაში წარმოდგენილია სამეურნეო ყოფასთან, შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული, სვანურში არსებული ლექსიკის გარკვეული ფენების (*მესაქონლეობა* და მასთან დაკავშირებული *გასტრო-კულტურა*, *სამეურნეო საქმიანობისათვის განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი* scr...) ეთნო-ლინგვისტური ანალიზი. აღნიშნული მასალა, რაც ამა თუ იმ დიალექტურ არეალში მცხოვრებთა ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობასა და ყოფასთან არის დაკავშირებული და რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ვიტალური, ისე საწესჩვეულებო, საკულტო თვალსაზრისითაც, ამ ეტაპზე მეცხოველეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის, კერძოდ, მესაქონლეობის თემატიკით შემოიფარგლა და, მასალის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, თემატურად შემდეგ ჯგუფებად დაიყო:

- **ზოგადად მესაქონლეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები**

- **წველისა და ყველის წარმოების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები**

- **რძე და რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები**

- **სამეურნეო საქმიანობისათვის (კერძოდ, რძისა და რძის პროდუქტებისათვის) განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი...**

მასალა, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია შესწავლილ-გაანალიზებული, მოიცავს როგორც საერთოქართველურ, ასევე სხვა ქართველურ ენათაგან (უშუალოდ თუ შუალობით) შეთვისებულ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთრივ სვანურ ლექსიკურ ერთეულებს, ასევე ისეთ არქაულ ნიმუშებს, რომლებიც ენობრივ მიმოქცე-

ვაში ნაკლებად გამოიყენება, მივიწყებულია, ან ერთი კონკრეტული დიალექტის კუთვნილებას წარმოადგენს. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია ამ ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვა-დამუშავება, რაც გარკვეულ სიცოცხლისუნარიანობას შესძენს მივიწყებულ ძირძველ ლექსიკას.

1. **ზოგადად მესაქონლეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები:** ლი-ქტმინგენ-ი (ბქ.) „მესაქონლეობა (ზედმიწ. – *სულ-დგ-მ-ულ-ობ-ა)“, ლი-კტმშ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-კტმაშ-ი (ლშხ., ჩოლ.) „მესაქონლეობა (ზედმიწ. – *კუმაშ-ობ-ა)“, ლი-ტე-თხმალ (ბქ.) „მესაქონლეობა (ზედმიწ. – ოთხ-მა-ვლ-ობ-ა)“, ლი-ლახტ (ზს., ქს.) „ზაფხულობით მთაში საქონლის მოვლა (ზედმიწ. – მემთეობა)“...

2. **წველისა და ყველის წარმოების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.**

ა) ზოგადად წველის/წველადობის აღსანიშნავად სვანურში გამოიყენება შემდეგი ფორმები: ლწ-შგ-ობ (ბზ.)/ლა-შგ-ობ (ბქ.) „წველადობა“; ლწ-შგ-ლა-ყელ-ი (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლა-შგ-ლწ-ყელ-ი (ბქ.)/ლა-შგ-ლწ-ყელ-ა (ლნტ.)/ლწ-შგ-ლა-ყელ(ჩოლ.) „წველადობა (ზედმიწ. – *წველა-ამო-სა-ყველ-ებ-ელ-ი)“; ლწ-შგ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლა-შგ (ბქ.)/ლა-შგ (ლნტ.) „წველადობა; მეწველი“; ლწ-შგ-ი (ბზ., ლშხ.)/ლი-შგ-ი (ბქ.)/ლი-შგ-ი (ლნტ.)/ლწ-შგ-ი (ჩოლ.) „მოწველა“, *ხლმ.* ლწ-შგ-წლ-ი (ბზ.)/ლი-შგ-წლ-ი (ბქ.)/ლი-შგ-წლ-ი (ლნტ.)/ლწ-შგ-წლ-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლწ-შგ-წლ-ი (ჩოლ.) „მოწველა“..., რომელთა სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი წარმოდგენილია სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში.

გარდა ზემოაღნიშნული ლექსიკური ერთეულებისა, წველის პროცესის აღმნიშვნელად სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში არაერთი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ფორმა დასტურდება, ესენია: ლი-წფხ-გნ-ე (ზს.), *ხლმ.* ლი-წფხ-გნ-წლ-ი (ზს.) „მოწველა (ზედმიწ. – წვეთვა/შხეფვა)“, შდრ. ზს. წიფხ „წვეთი, შხეფი“¹; ლი-წყგ-ი (ლშხ., ჩოლ.), *ხლმ.* ლი-წყგ-წლ-ი „მოწველა ბოლო წვეთამდე“, შდრ. ზს. წყიგ „წვეთი“; ლი-წენწ-ულ-ი (ჩოლ.) „მოწველა

¹ ბოლოს დარჩენილი რძის წვეთ-წვეთობით ჩამოწველა, რათა არ შერჩეს ძროხას რძე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება რძე საერთოდ გაუშრეს.

ბოლოს შერჩენილი რძისა“; **კუთფხ-კუთფხი** ლიშგი (ბქ.) *ვრაზ. ერთ.* „წვეთ-წვეთობით ჩამოწველა, ანუ, როდესაც ძროხას მარილს არ აჭმევენ, მაშინ ძროხა რძეს იკავებს და მხოლოდ წვეთებს უშვებს“; **დუთი** (ჩოლ.) „მოწველა (ბავშვის ენაზე)“... გადატანით გამოყენებული ფორმები, ძირითადად, უარყოფითი კონოტაციისაა, მათი მეტი წილი კი ხმაბადვითია.

ბ) **ყველის წარმოების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.** ყველის ამოყვანის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ლი-ყელ-ი/ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლი-ყელ-ი (ბქ.)/ლი-ყელ-ე(ლნტ.) „ყველის ამოყვანა (ზედმიწ. – *ა{მო}-ყველ-ებ-ა)“, შდრ. ბზ. **ყელ-ა** „ყველის ამოყვანა (ზედმიწ. – ა{მო}-ყველ-ებ-ა)“... ფორმით აღინიშნება, თუმცა სანამ ყველის ამოყვანას დაიწყებენ, მანამდე მთელი რიგი პროცესებია ჩასატარებელი საყველედ რძის მოსამზადებლად. ამ პროცესების აღმნიშვნელი ლექსემებია: ლი-**ტდ-ინ-ე** (ზს., ქს.) „საყველედ რძის შედედება სპეციალური კვეთით“, ლი-**სგრხ-ელ-ი** (ბქ.) „კვეთის ჩასხმის შემდეგ რძის მორევა სპეციალური ჯოხით, რომელსაც ბალსქვემოელები **სწრხელ**’ს უწოდებენ, თუმცა ბალსქვემოურშივე ამავე დანიშნულებით **ფერ** სიტყვასაც იყენებენ, ლი-**ნდლოლ-ე** (ბქ.) „საყველედ რძის შედედება“..., ხოლო შედეგის ამსახველი ლექსიკური ერთეულებია: ლუ-**ტდ-ინ-ე** (ზს.) „საყველედ შედედებული რძე“, ლგ-**სგრხ-ელ-ე** „კვეთჩასხმული მორეული რძე“, ლუ-**ნდლოლ-ე** (ბქ.) „საყველედ შედედებული რძე“ და ამ რძის საბოლოო სახეა **ტიდ** (ზს.) „საყველედ შედედებული რძე; დელამა“, შდრ. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ტაბუირებული ფორმა **ცტარ-ილ-რლ** ლაშხ., ჩოლ. „საყველედ შედედებული რძე (ზედმიწ. – **ცვარ-უკა**)“ და, აგრეთვე, ბზ., ლშხ., ჩოლ. ლგ-**ყელ-ე** „კვეთიანი რძე, დელამა (ზედმიწ. – ა{მო}-ყველ-ებ-ულ-ი)“. ლი-**ტდინ-ე** ხდება სპეციალურად დაყენებული სიტხით, რომელსაც **მგლდგრა**(ბქ.) „კვეთი“ ეწოდება, მისთვის განკუთვნილ ჭურჭელს კი – **ლალდგრ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ლალდგრ** (ბქ.) *ზედმიწ.* – სა-**დგრ-იტ-ე**; ამავე მნიშვნელობით გამოიყენება, ასევე ბზ. **სეგდა**. კვეთის დასამზადებლად იყენებენ საქონლის კუჭის დამარილებულ და კვამლით გამხმარ მაჭიკს, ე. წ. **დგრ**’ს (ზს., ლნტ.)/**დგრ** (ლშხ., ჩოლ.) „დგრიტა“, რომელსაც ათავსებენ წყალში მარილთან ერთად და ღებულობენ შრატს (ანუ **მგლდგრა**’ს). აღნიშნული

სიტყვის პარალელურად ბალსზემოურსა და ქვემო სვანურ დიალექტებში **ბაღე** ლექსემასაც იყენებენ. **ლაჭდინა** (ბქ.)/**ლაჭდინა** (ლშხ., ჩოლ.) „იგივეა, რაც **მგლდგრა** „კვეთი“, ანუ მასალა, რითიც ხდება რძის შედედება საყველედ“. **ლირე** (ბქ.) „შედედება, აჭრა (რძისა)“, **ლითონთე** (ბზ., ჩოლ.)/**ლითონთე** (ბქ.) „შედედება ან აჭრა რძისა“; **ლიბბგე** (ჩოლ.) „რძის აჭრა“; **ლიდორდოლე** (ჩოლ.) შედედება... შედეგის ამსახველი მასალაა: **ლგთონთე** (ბზ., ჩოლ.)/**ლგთონთე** (ბქ.) „შედედებული/აჭრილი (რძე)“; **ლგდორდოლე** (ჩოლ.) „შედედებული“; **ლგბბგე** (ჩოლ.) „შედედებული“... შედედებულის მნიშვნელობით ზოგ დიალექტში, როგორც უკვე ითქვა, გამოიყენება ტერმინი **ლგყლე**(ბზ., ლშხ., ჩოლ.)...

3. **რძე და რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.** **ლგჯე** (ზს., ქს.) „რძე“, **ლგჯ**(ზს., ქს.) „ხსენი (ჩვილი ხბოს კუჩისა)“, **ჯოც** (ბზ.)/**ჯუჭ/ჯუაგ** (ბქ.) „ხსენი“, **თაშ** (ზს., ლნტ.)/**თაშ** (ლშხ., ჩოლ.) „ყველი“, **თაშგრა** (ბზ.)/**თაშგრა** (ბქ.)/**თაშორა** (ლშხ.)/**თაშორა** (ლნტ.) „ყველეული“; **თაში** **ოხდრის** (ბზ.)/**თაშემ** **ოხთრის/ოხდრის** (ბქ.) „ყველეული, რძის ნაწარმი“; **ნაყალუ** (ბზ.)/**ნაყელ** (ბქ.)/**ნაყელ** (ლშხ., ჩოლ.)/**ნაყალ** (ლნტ.) 1. „ერთი წველა ყველი“, 2. „ამონაყვანი“, **ქიჭ** (ბზ., ქს.) „ყველის კვერი (ერთი წველა ყველი)“; **თაშიშტიქ** (ჩოლ.) „ერთი წველა ყველი“, **კუჭანკუ** (ჩოლ.) „ყველის პატარა კვერი“, **კიმელ** (ჩოლ.) „ყველის პატარა თავი“...

ყველისაგან, ცხადია, უამრავი პროდუქტი მზადდება, რომელთა მეტი წილი საკუთრივ სვანურია, ანუ სვანური სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი, მაგ.: **ნარჩუ** (ზს.) „საზამთროდ ხის კასრში შენახული დამარილებული და გამომშრალი ყველი“; **მოთალ** (ბზ.) „ყველი (საზამთროდ შენახული ხის კასრში)“ < ქართ. (ფშ.) მოთალი (< აზერ.-თურქ. *motal*) „გუდის ყველია ერთგვარი, დაფხვნილი“; **ნაბგრქაშ** (უშგ.) „ყველი (ამოლესილი/მარილმოყრილი)“; **თაშმეჯაზ** (ზს., ლნტ.)/**თაშმეჯაზ** (ლშხ., ჩოლ.) „ყველი (ქერის, პურის ან სიმინდის ფქვილთან ერთად მოხარშული)“; **ლგჯაზ** **თაშ** (ჩოლ.) „მოხარშული ყველი“; **ლეჭუმარ**(ბქ.) „მცირეოდენ ფქვილთან ერთად ქვაბში მოხარშული ახალი ჭყინტი ყველი (ზედმიწ. – *სა-ცმელ-იანი)“; **ლგანე** **თაშ** (ჩოლ.) „დამდნარი ყველი“; **ლგფრე** **თაშ** (ბქ.)/**ლგფერთაშ** (ჩოლ.) „მზეზე გამხმარი ყველი“; **ლგშირდ** (ბზ., ლშხ.)/**ლგშირდ** (ბქ., ლნტ.) „ელარჯი“, **შუზან/შუშა**(ბქ.),**ელარჯი**“, **მერწუ**

(ბზ.) „იგივეა, რაც ელარჯი“; **ისგალგზი** (ბქ.) „ღომისმაგვარი საჭმელი“...

რძისაგან კეთდება ასევე **დუდშ ყჷლ/დუდშ ყჷლ** (ბქ.) „დამჟავებული რძე (ზედმიწ. – **გუდ**-ის **ყველ**-ი)“ < ზან. (მეგრ.) გუდაშ ყვალი/ყვალი-ი „მაწვნის შეჭამანდი, რომელიც გუდაში მზადდებოდა“, მეგრ. ფორმა კი < ქართ. გუდა „ცხვრის, თხის ან ხზოს ტყავის პარკი, – ტიკი“ და საერთ.-ქართვ. ყველ- სიტყვისაგან (შდრ. საკუთრივ სვანური (ბქ.)**მეტხე ლჯე** „ამჟავებული რძე“).

ახალი, ამოსული (ე. წ. დამწიფებული) ყველისაგან კეთდება: **ლჯმარე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „სულგუნი/გადაზეილილი ყველი“, **სგლგინ**(ზს., ქს.) < ქართ. სულგუნი-ი, **გჷრჯილჷ**(ბზ.)/**გჷრჯილ/გჷრჯილ** (ლნტ.) „სულგუნი“ < ქართ. (ლეჩხ.) გვაჯილი-ი „სულგუნი“; **გოწელ** (ბქ.) „დაწნული სულგუნი“...სულგუნის კეთების პროცესი კი აღინიშნება ლი-**სგლგინ**-ი ფორმით, რომლის ზედმიწევნითი თარგმანია *მო-**სულგუნ**-ებ-ა. ნა-**სგლგინ** არის სულგუნის გაკეთების შემდეგ დარჩენილი სითხე, რომელიც გაციების შემდეგ ზემოდან არაჟანს მოიყენებდა და ამ არაჟნისაგან კარაქს „ლე-**ცგმი**-ს“ ხდიდნენ და დღესაც, ცხადია, იგივე პროცესები მიმდინარეობს. კარაქის შედღებვას ბალსქვემოურში ლი-**ყყუნე**-ს ეძახიან, შედღეობილ კარაქს კი ქა **ლუყყუნე**’ს.

ყველის ამოყვანის შემდეგ რჩება **შტელ** (ზს., ქს.) „შრატი, სველი“, რომლისგანაც ამზადებენ: **ნაგუზ**’ს(ბქ.) „ნადული“ (შდრ. ლი-**გუზ**-ე „ნადულის კეთება“), რომელიც **ხაჭო**’ს მნიშვნელობითაც არის ცნობილი. ბალსქვემოურშივე ხაჭოს აღმნიშვნელად გამოიყენება სიტყვა **ყურშდ** (ბქ.) „სქელი, გაწურული, დამდგარი ხაჭო“, ხოლო უმგულურში **ტოტ** (უშგ.). ლაშხურსა და ჩოლურულში ქართულიდან ახალი შეთვისებული **ნაღებ** სიტყვაც გვხვდება, რომელიც გაიგივებულია ხაჭოსთან, ხაჭოს კეთების პროცესს კი ლი-**ნაღებ**-ე აღნიშნავს. რაც შეეხება **ყურშდ** ლექსემას, მას შესატყვისები ეძებნება ქართულის დიალექტებში. ქართულ-სვანურ ფუძეთა (ქართ. (ქართლ.) ყურუთ-ი „გამხმარი დოს გუნდა“, შდრ. (რაჭ.) ჯურტი-ი „მაწვნის მსგავსი შეჭამადი“ და ნახური ენებიდან ნასესხები (ხევს., ფშ., მთიულ., გუდამაყრ., თუშ., გარეკახ.) კალტ- „ხაჭო, ხაჭოს კვერი; ნადული“: სვან. **ყურშდ** „ხაჭო; ნადული“) შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეების დონისათვის აღდგენილია

***ყურუთ-** „გამხმარი დოს გუნდა; ხაჭო, ნადული“ (→ ქართ. ყურუთ-ი : სვან. ყურზმდ ← ***ყურემდ-** ← ***ყურჲემდ-** ← ***ყურუთ-**) არქექტიპი. ქართულ-სვანურ ფუძეებს აერთიანებს „ხაჭოს/ნადულის/დოს“ საერთო სემანტიკა“ (საღლიანი 2016: 434).

შრატის/სველის მნიშვნელობითვე დასტურდება სვანურში:
წაქ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**წრპქ** (ლნტ.)/**ნაწრქე** (ქს.)/**ნანწრქე** (ბქ.). **წაქ** < ქართ. (იმერ., გურ.) წაქ-ი, (რაჭ., ქართლ.) წაქა. *წაქა*’საგან მზადდებოდა **წაქზ ნაყუნ** (ბქ.) „წაქას შეჰამანდი“.

აქვე შემოგვაქვს რძისაგან მომზადებული პროდუქტები, მაგ.: **მარწუნ** (ზს., ქს.)/**მწრწუნ** (ზს.)/**მარწონ** (ლშხ.)/**მწრწენ** (ჩბხ., ლხმ.) < ზან (მეგრ.) მარწვენ ი/მარწვინ-ი < ქართ. მაწონ-ი „მჟავედ შედედებული ადუღებული რძე“, მაწვნის სახეობები: **მარწნიმ წათხ** (ბქ.) „მაწონის შეჰამანდი (ზედმიწ. – **მაწონ-ის წათხ-ი**)“; **ლუწუდე მარწუნ** (ბქ.) „გაწურული მაწონი, მარილით და წიწკაით შეზავებული“; **მარწენი დურ** (ჩოლ.) „მაწვნის სქელი მასა, რომელიც გაწურვის შედეგად მიიღებოდა და, რომელსაც საზამთროდ ინახავდნენ“ და ა. შ.

ცალკე გამოვყავით მაწვნის შესაბამისად გამოყენებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ძირ** (ზს., ქს.) 1. „საფუარი“, 2. „ფესვი, ძირი“ < ქართ. ძირ-ი (< ფალ. *azīr, zīr* „ფსკერი, ქვედა ნაწილი“) 1. „ქვედა ნაწილი (კედლისა, მთისა, ხისა...)“, 2. „ფესვი...“; **ძეჲალ** (ზს., ლნტ.)/**მძეჲალ**(ზზ.)/**ძეჲალ** (ლშხ., ჩოლ.)/**ძჲალ** (ზზ.)/**მაჲალ/მაჲალ** (უშგ.) 1. „მძევალი“, 2. „საფუარი“, 3. „მაწვნის დედა“, 4. „საბუდარში ჩატოვებული კვერცხი, მძევალი“, 5. უშგ. „ამანათი“ < ქართ. {მ}ძევალი-ი; აგრეთვე საკუთრივ სვანური **ლჲტხა** (ზს.)/**ლჲტხა** (უშგ.) 1. „მაწვნის დედა“, 2. „საფუარი“...

ამავე ჯგუფი შემოგვაქვს ყველისაგან მომზადებული სხვადასხვა სახეობის *ხაჭაპური* და *ჭიმტვარი*. ზოგადად ხაჭაპურის სახელწოდებაა **ქუთ** (ზს.), თუმცა ხაჭაპური შეიძლება იყოს: **დაჰარ ქუთ** (ბქ.) „ყველიანი ხაჭაპური, რომელსაც ყველის გარდა არაფერი ურევია“, **თაშარ** (ზზ.)/**თაშარ** (ლშხ., ჩოლ.)/**თაშარ** (ლნტ.), შდრ. ბქ. **ლგთშ** „ყველიანი ხაჭაპური“; **ლუკუნე** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ლუკუნარ** (ლშხ., ჩოლ.)/**ლუკუნე** (ლნტ.) „სიმინდთან (ან ფეტვთან) ერთად მოხეული ყველის გულიანი პური, ყველიანი მჰადი“; **ლალშიდ** (ბქ.) „ყველის ჭარბად შერევით გამოცხობილი ლუკუნე“; **ფიტარა**

(ზს.)¹/**ფეტურა**ლ (ზზ.)/**ფეტურა**ლ (ბქ.)/**ფეტურა**ლ (ლშზ., ჩოლ.)/**ფატურა**ლ (ჩოლ.)/**ფატურა**/**ფატურა**ლ(უშგ.) „ყველიანი ფეტვანარევი პური“; **ლუფტური** (ბქ.) „ფეტვისგულიანი უყველო ხაჭაპური“; **ლგაგტუთ** (ბქ.) „ქლაკვარეული ყველიანი ხაჭაპური“; **ჩიგინდური**მ **ქუთ** (ბქ.) „ქარხლის ფოთოლგარეული ყველიანი ხაჭაპური“; **ლესკარ** (ზს., ლნტ.)/**ლესკარ** (ლშზ.) „დიდი ზომის სადღეობო ხაჭაპური“; **ჭიმდტარ** (ზს., ლშზ., ჩოლ.)/**ჭიმტარ** (ზს.)/**ჭიმდტარ** (ლშზ.)/**ჭიმტარ** (ჩოლ.) „ყველიანი მჭადი (სიმინდისა ან ფეტვისა)“; **ლგტეფ** (ზს., ლშზ. ჩოლ.)/**ლგტეფე** (ლნტ.) „კანგამოკრული ხაჭაპური“; **ცერთა**ლ (ჩოლ.) „ხაჭაპური, რომელიც მზადდებოდა მოხალეული შავი ფქვილისაგან და ყველისაგან“; **გაკართაშარ** (ჩოლ.) „ნიგვზიანი ხაჭაპური ყველით; **მესგულაშ ქუთ** (ბქ.) „თათაბოს/ნაცარქათამას ხარშავენ ჯიჯლაყასთან/ამარანთთან (**გაბროლ**’თან) ერთად, ურევენ ყველს და აცხობენ ხაჭაპურს“; **ჩხატურა** (ბქ.) „დაფშვნილი მჭადი ყველთან ერთად აზელილი და გუნდებად გაკეთებული, რომელიც ზოგჯერ ცხვებოდა ან ელარჯივით კეთდებოდა. ასევე **ჩხატურა**’ს ემახდნენ დანაყულ მსხალს, რომელსაც ყველი ჰქონდა გარეული, თუმცა სხვა სახელსაც უწოდებდნენ – **ფაჩ**’ს“; **ლგქლიბე** (ბქ.) „ფეტვის ცომი ყველთან შეზედილი და დაგუნდავებული“...

როგორც დიდძალ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის ძირითადი ნაწილი საკუთრივ სვანურია, ნაწილი საერთოქართველური, ნაწილი კი შეთვისებულია ქართულ-ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალობით). ხშირ შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სიტყვა-გამოთქმები, ჩვეულებრივ, მხოლოდ მოსაქმეთა ვიწრო წრეს არ სცილდება და ასახავს ერთ რომელიმე კონკრეტულ დიალექტზე მოსაუბრეთა ენობრივ მახასიათებლებს. მიუხედავად ამისა, განსხვავებული ლექსიკური ერთეულებისა და მნიშვნელობების სრული ანალიზი, ხელს შეუწყობს ქართველურ ენათა და კილო-თქმათა არეალურ შესწავლას, განვსაზღვროთ ენის ისტორიის ცალკეული და მატერიალურ-სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი საკითხები. სწორედ სვანეთში სამეურნეო საქმიანობის მრავალფეროვნებამ და დიალექ-

¹ თუმცა ბალსქვემოურში **ფეტურა** ფეტვის ფქვილს აღნიშნავს და ხაჭაპურს **ფეტურაშქუთ**’ს უწოდებენ.

ტურიზარიანტების არსებობამ განსაზღვრა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი დარგობრივი ლექსიკური ფონდის სიმდიდრე, რაც ნაწილობრივ შემონახულია ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში, სამეურნეო საქმიანობის ამსახველ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და საკულტო წეს-ჩვეულებებში.

გამოყენებული ლიტერატურა

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა

მასალები ზაიზურთის ტოპონიმისათვის¹

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა მწირი ცნობები შეინახა ჭოროხის სათავეებში გაშენებული ისტორიული ქართული ქვეყნის, სპერის შესახებ, უკეთესი მდგომარეობა არც ისტორიულ ნაკვლევებში გვაქვს. ასეთ ვითარებაში სპერის ძველი ისტორიისა და ოდინდელი ეთნიკური შედგენილობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმის, „მიწის ენას“. სამართლიანად შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი: „ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის ოდინდელი მოსახლეობის ეროვნული ვინაობის გასარკვევად

¹ ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის - „სპერი, - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6916) (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.

ერთ საუკეთესო საშუალებათაგანად უნდა გეოგრაფიული სახელების ანალიზი იყოს მიჩნეული“ (ჯავახიშვილი, 1998: 42; შდრ.: რეიფილდი, 2019: 11). ისტორიულ სპერთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაში, კუთხის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის უპირველესად ტოპონიმია უნდა მივმართოთ, კერძოდ, უნდა აღიწეროს გეოგრაფიული სახელები (მიკრო და მაკრო ტოპონიმია), გამოიყოს უძველესი ფენა და მოხდეს მისი ლინგვისტური ანალიზი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპერს სხვებიც ჩემულობენ, ნათელი გახდება საკითხის აქტუალობა და მისი შესწავლის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ სპერის ტოპონიმის უძველესი ფენის გამოვლენა ძალიან ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ 1514 წლიდან სპერი ოსმალთა მმართველობაშია; გასული ხუთი საუკუნეა, მიმდინარეობს კუთხის ასიმილაცია, აბორიგენმა მოსახლეობამ დაივიწყა წინაპართა ენა, „გათურქდა“, გაწყდა ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი, წარსულსა და აწმყოს შორის კავშირი სუსტია. სპერელებმა დაივიწყეს ძველი გეოგრაფიული სახელებიც, მნიშვნელოვანი რგოლი წარსულთან კავშირისა. XX საუკუნის დასაწყისში მრავალ გეოგრაფიულ პუნქტს უკვე თურქული სახელი ჰქვია, 1959 წლიდან კი თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური ბრძანებით ყველა დასახლებულ პუნქტს სახელი შეუცვალეს და თურქული სახელები უწოდეს. ახალმა სახელმდებელმა ახალი ნიშანი მოძებნა სახელდებისათვის, ზოგჯერ ძველი თარგმნა თურქულად (ასე იქცა თუხარისი ოქუზდალად, ციხისძირი - ყალედიბად...), იშვიათად ძველი სახელიც დატოვა... მიუხედავად მცდელობისა, რაღაც გადარჩა, რაც გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სპერის ისტორიულ ტოპონიმიაზე, შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობასა და სპერის მიწის კუთვნილებაზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ისტორიულად სპერის ნაწილი იყო ბასიანი//ფასიანი და ბაიბურთიც. ეს უკანასკნელი ზემო სპერში შედიოდა (ინგოროყვა, 1954:492). ჩვენს კვლევებში შემოგვაქვს ტერმინი **სპერი** ვიწრო მნიშვნელობით (საკუთრივ სპერის ქვეყნის აღსანიშნავად) და სპერი ფართო მნიშვნელობით (სპერი ბაიბურთითა და ბასიანით).

ნარკვევში ვისაუბრებთ ბაიბურთის ტოპონიმიაზე. მასალები ამოვკრიბეთ კავკასიის მხარის საგზაო რუკიდან, რომელიც 1903 წლით თარიღდება¹.

წინასწარ შევნიშნავთ:

– აშკარაა, რუს კარტოგრაფს უჭირს, უფრო ყოველთვის ვერ ახერხებს, მისთვის უცხო ტოპონიმების სწორად ჩაწერას, რაც არაა მოულოდნელი; რუსული დამწერლობა არაა საკმარისი ქართული, თურქული თუ სხვა ენის მასალის ჩასაწერად. ამას დავმატება ადგილობრივი თურქული გამოთქმის თავისებურებებიც, რაც დამატებით სირთულეს უქმნის ჩამწერს. ამიტომაც თანამედროვე მკვლევარი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს რუკაზე დატანილ მასალას.

– კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთვის უმთავრესია დავადგინოთ ტოპონიმის ენობრივი კუთვნილება, ტოპონიმის წარმომავლობა, სხვაგვარად განვსაზღვროთ გეოგრაფიული სახელი ქართულია/ქართველურია თუ არა, რაც გვაგარაუდებინებს, სოფლის უბანი თუ მთელი სოფელი ქართველებით იყო დასახლებული თუ სხვა ერის წარმომადგენლებით. საბოლოოდ მივდივართ კუთხის ეთნიკური შედგენილობის განსაზღვრამდე...

– მასალის ანალიზით იკვეთება ტოპონიმზე ზეწოლის შემთხვევები. ზოგჯერ სახელის ერთი ბგერის შეცვლაც კი სხვად აქცევს ტოპონიმს, გარეგნულად მაინც, თუმცა კვლევით დადგინდება, რომ სახელის ფუძე ქართველურია და არა სხვა ენის კუთვნილება. სამაგალითოდ ერთ ფაქტს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: ჭოროხის ქვეყნებში, უპირატესად ტაოში, სპერის მეზობელ ქვეყანაში, გავრცელებულია ხევ' კომპონენტის კომპოზიტები გეოგრაფიულ სახელად. საკმარისია ხევ'ი სომხური ძორ'//სორ' ფუძით შევცვალოთ, რომ სახელი „სხვად“ იქცევა... ასეთი ფაქტები კი საკმარისზე მეტია. ამას დავმატება თურქეთელი სომეხი მკვლევრის სევან ნიშანიანის ცდებიც. აღვნიშნავთ, რომ ნიშანიანი სწავლობს თურქეთის ქვეყანაში სომხების განსახლების გეოგრაფიას, მეტი დამაჯერებლობისათვის მსჯელობს სომხურ გეოგრაფიულ სახელებზე... მისი დიდი მოცულობის წიგნი (Nişanian, 2024) (სხვა შრომებიც) გავრცელდა

¹ **Дорожная Карта Кавказского Края.** Составлена и Литографирована в Военно-топографическом Отдела Кавказского Округа 1903 г.Тифлиς.

თურქეთის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის ისტორიულ ქართულ პროვინციებში, რამაც გარკვეული როლი შეასრულა აზორიგენი მოსახლეობის „გაცნობიერებაში“.

– მკვლევარი აშკარად განიცდის ქართული ანთროპონიმების ვრცელი ლექსიკონების უკმარობას...

ქვემოთ გეოგრაფიული სახელები დავალაგეთ ანზანის რიგზე და ვცადეთ თითოეული მათგანის ჩვენეული ანალიზი.

* * *

არმუთლი, შდრ.: მსხლები (უფრო: სხალთა, სხლობანი).

ახუნკხან’ი დაიყოფა: **ახუნკ-ხან**’ი. **ხან**’ი<**ხანე**’ თურქულია, სახლს ნიშნავს. ტოპონიმის მნიშვნელობაა **ახუნკ**’ის(?) **სახლი**. გეოგრაფიული სახელი თურქულია, ახალი.

ბარზახან’ი დაიშლება: **ბარზა-ხან**’ი. შდრ.: **ბარზას სახლი**. ტოპონიმი თურქულია, ახალი.

ბარიენი<**ბარიშნი**(?) დაიყოფა: **ბარიშ-ნი**<**ბარიშ**[ა]-**ნი**, შრ.: **ბარიშები**. გეოგრაფიული სახელი ქართული წარმოებისაა.

ბარტენისი დაიშლება: **ბარტენ-ის**’ი. **ბარტამი**, **ბარტომი** ანთროპონიმებია, დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ.ცხ. I, 30; II, 322).

ბერნა<**ბერენა**, ეს უკანასკნელი ლაზურია, ნიშნავს პატარა ბავშვს.

გურუდნაკომ’ი დაიშლება: **გურუდნა-კომ**’ი. **გურუდნა**<**გურუდ**-[ა]**ნი** (გურუდას სახლეული, ჩამომავლობა). **გურუდა** სახელი ან მეტსახელი ჩანს. **გურუდან**’ს შემდგომ დართვია **კომ**’ (კომუ - ნიშნავს ხალხი, ერი) და ახალ დროში მივიღეთ **გურუდნაკომ**’ი შდრ.: **გურუდას ხალხი**. ვფიქრობთ, ტოპონიმი ქართულია.

დანზუთ’<**ტანძუთ**//**ტანძოთ**, -უთ/-ოთ მაწარმოებლიანი ტოპონიმია. **ტანძოთი** დასტურდება ტაოშიც.

დენჩიკი დაიყოფა: **დენჩ-იკ**’ი. **-იკ** კნინობითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსია ქართულში. საძიებელია **დენჩ**’ ფუძის მნიშვნელობა.

ვეერეკ’ი(?)

ერდი – იქნებ ცუდად ჩაწერილი **ერდო**’ა, რაც ძველ ქართულში ნიშნავს „სკუენი“, **ბანი** (აბულაძე, 1973), იხმარება დიალექტებშიც

(ღლონტი, 1984). ბანის მსგავსი ადგილი უნდა იყოს **ერდი<ერდო**. **ერდი** ქართული გეოგრაფიული სახელია.

ერევანს' < *ერვან-ის'ი(?). შევნიშნავთ, რომ **ერვი** საკუთარი სახელია კოლხეთში, ჩაწერილია ჩხოროწყუში (იხ. ღლონტი, 1986). **ერევანს'** < *ერვან-ის'ი კოლხურია.

ერკელი – აჭარულში იხმარება **ერკელია**, ცვალებად ამინდს ნიშნავს, „ამწუთას რომ წვიმს და მოულოდნელად გამოანათებს, გადაიღებს“ (ნიჟარაძე, 1971). ბაიბურთული **ერკელი** და აჭარული **ერკელია** ერთი და იგივე სიტყვა ჩანს. შეიძლება სხვა დაშვებაც: **ერკელი** სეგმენტირდება: **ერკ-ელ**'ი. თუ ასეა, იგი წარმომავლობის სახელია. **ერკე** < ***ერგე**, ეს უკანასკნელი იხმარება მეგრულში: „ტაროსისა და ავდრის გამრიგე, წყლის ღმერთი, წყალღვთაება, რომელსაც ექვემდებარებიან ცის მნათობები – ტაროსისა და ავდრის გამრიგენი“ (ქობალაძე, 2010). **ერკელი** ტოპონიმად ქცეული წარმომავლობის სახელია. **ერკელი** ქართულია.

ერკენისი დაიშლება: **ერკენ-ის**'ი. ტოპონიმი **-ის** სუფიქსითაა ნაწარმოები. **ერკენი** საკუთარი სახელია, დაუცავს გვარს ერკენაშვილი (ღლონტი, 1986).

ეში (თ. eš ტოლი, კბილა, ამხანაგი, მეგობარი), თურქულია.

ვარუშა(?) სომხური სახელი ჩანს.

თაუქ-ვანქი (თ. tavuk ქათამი) ქათმის სახლი?

თაქსინე(?)

იაკუზავდალ'ი, თურქულია, შდრ.: იაკუზის მთა(?)+

კარადივან, კომპოზიტი ჩანს, თურქული, შდრ.: ქართული **შავი დივანი**. აღვნიშნავთ, რომ **დივანს** განმარტავს სულხან-საბა: რიცხვთ წერილი (ორბელიანი, 1949). ძველ ქართულშიც დასტურდება **დივანი**, ნიშნავს „სამდივანწიგნობრო“ (აბულაძე, 1973).

კარავერი(< *კარავერი) თურქული უნდა იყოს, ახალი.

კარაკულაკ (ყარაქულაქი?) თურქული უნდა იყოს, ახალი.

კარადაშმაკ < ყარადაშმაქ თურქული ჩანს, ახალი.

კარასლი<*ყარასლი<*ყარსლი დაიყოფა: **კარას-ლი<ყარას-ლი<ყარსლი** (შდრ.: კარასელი, კარსელი, ყარსელი). წარმომავლობის სახელი ტოპონიმად ქცეულა.

კელევერევ'(?)

კირზი ლაზურში გვხვდება **კირზა//კორზა**, რაც ვიწურში სიმინდის ტაროს ნიშნავს, სხვაგან – ლაფერას (თანდილავა, 2013). შდრ.: მეგრული კირზა (ქობალია, 2010). ვფიქრობთ, დასახელებული ტოპონიმი კოლხურია.

კიტრა მცენარეა ერთგვარი, მთის შროშანი, ყვითელი ღვინა (მაყაშვილი, 1991; ღლონტი, 1986).

კოპდადი (მთა) კომპოზიტია: **კოპ[ი]-დადი** (თ. Dağ მთა), **კოპი** კიდევ იხმარება ქართულ ენაში, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ერთ-ერთია: „ბრინჯის დასათესად გამზადებული ფართობის დანაყოფი ნაკვეთი, უჯრა“ (ქ.დ. 619; ღლონტი, 1984).

კოპ-ხან – (თ. hane სახლი, კომლი, ოთახი, საკანი, კამერა. ლექსიკონი, 2001), **კოპა** საკუთარი სახელია, დაუცავს გვარს **კოპაძე** (მაისურაძე, 1990: 90). **კოპხანი** იგივეა, რაც **კოპას სახლი**. **კოპხანი** ქართულია.

კორმანს’ი < ***კორმანის**’ი დაიყოფა: **კორმან-ის**’ი, **-ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია. **კორმან**’ი, **ქორმან**’ი... ადამიანის სახელი ან მეტსახელი უნდა იყოს.

კოური დაიშლება: **კო-ურ**’ი. **-ურ** წარმომავლობის სუფიქსია. სხვაგვარად, **კოური** წარმომავლობის სახელია ტოპონიმად ქცეული. სავარაუდებელია, **კოურ**’ში დაკარგულია თავკიდურა თანხმოვანი (რ), შდრ.: **რკოურ(ლ)**’ი. ჩანს, სპერული დიალექტისთვისაც დამახასიათებელი იყო სიტყვის თავკიდურა **რ**’ს დაკარგვა, როგორც ეს დადგენილია სხვა სამხრული კილოებისათვის.

კსინტა (ქსინტა?)

ლუსხონკი < ***ლუსხონიკი** დაიშლება: **ლუსხონ-იკ**’ი. კნინობითობის სახელია ტოპონიმად გამორჩეული.

მამე’ იქნებ, სახეცვლილი მანე’ა (მ-მ-მ-ნ ასიმილაციით). ეს უკანასკნელი მეგრულში ნიშნავს **მავნე**’ს (ქობალია, 2010). **მამე** < ***მანე** მავნე ადგილია, ცუდი. ტოპონიმი კოლხური უნდა იყოს.

მანდაფარ’(?)

მანურ’ი (< *მანაური) დაიშლება: **მან-ურ**’ი (შდრ.: **მანელი**), წარმომავლობის სახელი ჩანს ტოპონიმად ქცეული. **მანა**’ ადგილის სახელი უნდა იყოს. **მანური** ქართული გეოგრაფიული სახელია.

მასათი დაიყოფა: **მასა-თ**’ი. **-თ** ცნობილი სუფიქსია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში, საინტერესოა **მასა**’ სახელური ფუძის

მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ საბას ლექსიკონში შეაქვს **მასათი** და განმარტავს: „ბასრის სასრევი“ (ორბელიანი, 1949), იგივეა, რაც ფოლადის სალესი (ქვა). **მასათი** ადგილია, სადაც სალესი ქვა მოიპოვება. **მასათი** ქართულია.

მახური დაიშლება: **მახ-ურ** + ***მახა-ურ**. ტოპონიმში გამოვყოფთ **-ურ** სუფიქსს, რომელიც აწარმოებს წარმომავლობის სახელებს (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 397). **მახა** ანთროპონიმი ჩანს, დაცულია გვარში **მახაძე**. ილია მაისურაძე აღნიშნავს, რომ სახელს **მახა** პურეულის უძველესი ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინიდან მომდინარედ თვლიანო (უთითებს: ჯალაბაძე, 1972: 15,16). ამავე ძირისაა: **მახაური, მახოშვილი...** (მაისურაძე, 1990: 106). **მახა** განმარტებული აქვს საბას: „ყანა, ასლს ჰგავს“ (ორბელიანი, 1949), თუმცა არაა განმარტებული ყანა. **მახა** დასახელებული აქვს ივ. ჯავახიშვილს, კერძოდ, კვითხულობათ: „**მახა** წინათ მარტო რაჭაში არ ყოფილა გავრცელებული, როგორც ეხლაა, არამედ საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც, მაგ. ამერეთშიც ცნობილი ყოფილა...“ (ჯავახიშვილი, 1996: 359). მიწამ „შეინახა“ ინფორმაცია, რომ **მახა** იცოდნენ ბაიბურთშიც. **მახური** ქართული საგეოგრაფიო სახელია.

მინასე, იქნებ იგივეა, რაც მინასტარე, იგივე **მიმასტარა**, იმერული **ირაგა**, რომელიც დიალექტებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: **კაკია** (ქვ. რაჭა), **კაკირიე** (გურია, აჭარა), **მიმასტარა** (ოკრიბა), **ნინასტარა** (იმერეთი), **მინასტარე** (ლეჩხუმი) (იხ. მაყაშვილი, 1991: 34. შდრ.: ნიჟარაძე, 1971). **მინასემინასტარე**’ს შემოკლებით მიღებული ფორმა ჩანს. მცენარის სახელი ქცეულა ტოპონიმად. **მინასე** ქართული სახელი გვგონია.

მონი – სულხან-საბა განმარტავს **მონიო**’ს, – „მდინარე წყნარი“ (ორბელიანი, 1949). მეგრულში დასტურდება **მონია**, – „მონიო, მდორე ტბორი, ადგილი სადაც წყალი ნელი-ნელ ბრუნავს; წყლით მობერილი ნიავი; წყლისპირა ჩერო...“ (ქობალია, 2010).

ჩანს, **მონი** + ***მონია** // **მონიო**’საგან. გეოგრაფიული სახელი ქართველურია.

მუგირა (?).

მშევერევი + ***მშევერიკი** (ე-ე-ე-ი ასიმილაციით). **მშევერიკ**’ში გამოიყოფა **-იკ** კნინობითობის სუფუქსი, საძიებელია **მშევერ**’ ფუძის მნიშვნელობა. **მშევერ**’ში მ’ განვითარებული ჩანს, **შევერ** + ***შვერ**’ისა-

გან. ქეგლ'ის მიხედვით, **შვერ'**ის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „განშტო-
ება, ტოტი“ (გვირაბისა). **მშვერეკი**<***მშვერიკი**<***შვერიკი**<***შვერიკი**
მცირე განშტოება უნდა იყოს. ვფიქრობთ, გეოგრაფიული სახელი
ქართულია. ჩაწერის პრობლემასთანაც გვაქვს საქმე.

ნიფი (?)

იენი ქოი თურქულია, შდრ.: ახალი სოფელი.

ორთუგი<***ორთული**. იქნებ, ცუდად ჩაწერილი **ორთაღია**
(შდრ.: თ. Ortak – საზიარო, ზიარი). თუ ასეა, ტოპონიმი თურქულია,
ახალი.

პაგეი(?)

პაშაკი (<***ფაშაკი**) დაიყოფა: **პაშ-აკ'**. -**აკ** ქართული კნინობი-
თობის სუფიქსია. სამიებელია **პაშ'** //**ფაშ'** ფუძის მნიშვნელობა.

პერსორ' დაიშლება: **პერ-სორ'**. **სორ'** სომხურია, ქართული
ხევის, წყლის ბადალი. **პერი** კიდევ სულხან-საბას განმარტებული
აქვს, როგორც **ქაფი** (ორბელიანი, 1949. შდრ.: ძვ. ქართული დუჟი, ქ-
ფი. აბულაძე, 1973). **პერსორი** იგივე **ქაფის წყალი, ქაფიანი წყა-
ლია. პერსორი** ქართული **პერხევის** სხვად ქცევის ცდაა.

პირნეპე იქნებ დაიშალოს: **პირ-ნეპე. ნეპე**<***ნეპრე** საგან, ლაზუ-
რია, ჯიუტს, უხასიათოს ნიშნავს. ბარემ აღვნიშნავთ, რომ **ნეპერ'** ინ-
გილოურში **ქაფს, პერს** აღნიშნავს (დლონტი, 1984). **პირნეპე** ქართუ-
ლია, **პირქაფიანს, პირქუშს** უნდა ნიშნავდეს.

პიულიურუკ'ი(?)

პლური<***პულური**//**ფულური** იქნებ გამოიყოს -**ურ** სუფიქსი.
თუ ასეა წარმომავლობის სახელთან გვაქვს საქმე, რომელიც ტოპო-
ნიმად ქცეულა.

პორი<***ფორი**, ჩაწერის პრობლემაა. სულხან-საბას განმარტე-
ბით „**ფორი** - **მეედანია**“ (ორბელიანი, 1949). საყურადღებოა, რომ ბა-
იბურთში ტოპონიმმა შეგვიწინა **ფორი**.

სინკოროსი დაიშლება: **სინკორო**-[ი]ს'ი, ტოპონიმი -ის სუფიქ-
სითაა ნაწარმოები.

სიღირჯა იქნებ, სიღირჯი'ა (თ. Sigirci). ეს უკანასკნელი დაიშ-
ლება: **სიპირ-ჯი**, რაც თურქულია და **მეჯოგეს, მწყემსს** ნიშნავს.

ტანუშმან'ი//თანუშმანი(?)

ტაშაგილ' დაიყოფა: **ტაშა-გილ'**. **გილ'**ს იგივე მნიშვნელობა
აქვს, რაც ქართულ -**ეულ**//**-ოულ**, -**იენტ**//**-იეთ**//**-ეთ**, -**იან** მაწარმოებ-

ლებს. „-გილ სუფიქსით გაფორმებული სახელები ძირითადად ერთი წარმომავლობის ოჯახებით დასახლებული ტოპონიმებია და აღნიშნავს სოფლის უბნებს, სადაც, როგორც წესი, ამ გვარის ოჯახები ცხოვრობენ“ (შავშეთი, 2011: 329; ცეცხლაძე, 2004: 108; ფალავა, 2017: 3-9; Paghava, 2018: 129-133; ტაო, 2020: 839). **ტაშაგილ**’ი **ტაშას** სახელულის კუთვნილია.

ტახტი ტახტის შესახებ სხვაგან ვსაუბრობთ. **ტახტი** ქართული სახელია.

ტომლია//თომლია (?).

ტოროსო<*ტოროსი<*ტოროსი’ი. **ტოროსო**<*ტოროსი’საგან ასი-მილაციით. **ტოროსი** დაიშლება: **ტორო-** [ი]ს’ი, **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **ტორო** ანთროპონიმი (დლონტი, 1986). **ტოროსო-ტოროს** კუთვნილია. **ტოროსო** ქართული გეოგრაფიული სახელია.

უზუნ ხაჩ’ შდრ.: გრძელი ჯვარი. **უზუნ ხაჩ**’ი თურქულია, ახალი.

უსტევი<’უსტევი. **უსტევი** იქნებ **უსტიქა**’ა ცუდად ჩაწერილი. ეს უკანასკნელი განმარტებული აქვს სულხან-საბას: კუნძული და ქალაქი (ორბელიანი, 1949). აღვნიშნავთ, **უსტიქა** ლექსიკონის რედაქციებში არ შეუტანიათ (ორბელიანი, 2024). **უსტევი** იქნებ კუნძულია.

ქებახორი დაიყოფა: **ქებ-ახორი**. ახორზე ზემოთ ვისაუბრეთ (იხ. ბალახორი), საინტერესოა **ქებ**’ ფუძის მნიშვნელობა. საბა განმარტავს **ქება**’ს: „შესხმა, დიდება, გინა კეთილთა მისთა წარმოთქმა, გინა მადლობა, გინა მოთხრობა ქვეყნის მოქმედებისა მისისა“ (ორბელიანი, 1949). ვფიქრობთ, ტოპონიმი მეგრულ **ქებლა** (<*ქაბლა) სახელს უკავშირდება. **ქებლა//ქაბლა** „დეკეული, უშობელი, [ზოგან] ურქო ანუ დოლა, ლაბა პირუტყვი ერთიდან ორ წლამდე, განურჩევლა სქესისა, კვებულა“ (ქობალია, 2010). ჩანს, **ქებ-ახორი<ქებლა-ახორი**’საგან **ლ**’ს დაკარგვით, ნიშნავს: ერთიდან-ორ წლამდე პირუტყვის სადგომს.

ქსანტე (?).

ჩამურლი თურქულია, შდრ.: ქართული ტალახიანი, უფრო სატალახე. ეს უკანასკნელი დასტურდება ტაოშიც.

ჩიმაგილ’ი შდრ.: ქართული **ჩიმასეული**. ანთოპონიმ **ჩიმა**’ს ადასტურებს ალ დლონტი მთიულეთში (დლონტი, 1986).

ჩინარლი ხანი (თ. Çinar – ჭადარი) შდრ.: ჭადრის სახლი. ტოპონიმი თურქულია, ახალი.

ჩოროზმა (უღ.) (?)

ჩურაკი დაიშლება: **ჩურ-აკი**. -აკ კნინობითობის სუფიქსია. სულხან-საბას ლექსიკონში შეაქვს **ჩურო** და განმარტავს: „ფუნდრუკია ერთი“ (ორბელიანი, 1949). **ფუნდრუკი** სანახაობის ერთ-ერთი სახეა (ორბელიანი, 1949). **ჩურაკი-ჩუროაკი** საგან, სათამაშო ადგილს უნდა ნიშნავდეს. **ჩურაკი** ქართული ტოპონიმია.

ხან პირნექაზანი (?)

ხანდი (//ქანდა?) ქართული ტოპონიმი ჩანს.

ხანზარ < ***ხანძარ**, ქართულია.

ხანი<ხანა (თ. Hane – 1. სახლი, 2. კომლი, 3. ოთახი, საკანი, კამერა იხ. ლექსიკონი, 2001) თურქულია, ახალი.

ხაპური<*ხაფური<ხოფური? წარმომავლობის სახელი ჩანს ტოპონიმად ქცეული. გეოგრაფიული სახელი ქართულია.

ხართი (//**ხართა**) - გამოიყოფა -თ//თა სუფიქსი და **ხარ** სახელური ფუძე. **ხართი** (//**ხართა**) საზღვრულდაკარგული გეოგრაფიული სახელი ჩანს: შდრ.: ხარის საწოლი, ხარის ძალადი...

ხარჯუჯი (?)

ხაჩე შდრ.: ქართ. ჯვარი.

ჯელარე (?)

* * *

– „კავკასიის მხარის საგზაო რუკაზე“ 76 გეოგრაფიული სახელია დატანილი. ტოპონიმთა დიდი ნაწილი ქართულია/ქართველური: ბარიჟნი<*ბარიშნი (შდრ.: ბარიშანი), ბარტენისი, ბერნა (<ბერენა), გურუდნაკომი, დანზუთ<*ტანძუთ<ტანძოთ, დენჩიკი, ერდი, ერევანსი (<*ერვანისი), ერკელი, ერკენისი, კირზი, კიტრა, კორმანსი<*კორმანისი, კოური, მამე, მანური, მასათი, მახური, მინასე, მონი, მშევერეკი<*მშევერეკი, პაშაკი (<*ფაშაკი), პერსორი, პირნეპე, პლური, პორი(<*ფორი), სინკოროსი(<*სინკოროისი), ტაშაგილი, ტახტი, ტოროსო, უსტეკი//უსტეკი<*უსტიქა, ქეზახორი, ჩიმაგილი, ჩურაკი, ხანდი, ხანზარ<*ხანძარ, ხაპური<*ხაფური<*ხოფური, ხართა.

აღვნიშნავთ, რომ უცხომაწარმოებლიანი სახელები, რომელთა ფუძე ქართულია /ქართველურია, ქართულად ჩავთვაღეთ.

ქართულად ჩავთვალეთ კომპოზიტები, რომელნიც ქართულ-თურქული ფუძეებითაა შედგენილი, რამდენადაც ქართულ/ქართველურ სახელურ ფუძეზე თურქულის დამატებას ახალ მოვლენად ვთვლით.

თურქული ახალი ფენაა, ესენია: არმუთლი (შდრ.: მსხლები, სხლობანი, სხალთა), ახუნკხანი (შდრ.: ახუნკის სახლი), ბარზახანი (შდრ.: ბარზას სახლი), ეში, თაუქ ვანქი (შდრ.: ქათმის ვანი, ქათმის სახლი), იაკუბავდადი, კარადივანი, კარავერი, კარაკულაკი//ყარაქულაქი, კარასლი (შდრ.: კარასები), კარააშმაქ//ყარააშმაქ, კელევერეკ, ეენი ქოა (შდრ.: ახალი სოფელი), ორთუგი//ორთული, სიღირჯა, ტაშაგილი, უზუნხაჩი, ჩამურლი (შდრ.: ტალახიანი, სატალახე), ჩინარლი ხანი, ხანი...

ჩანს, რუკის შედგენის დროს გეოგრაფიულ პუნქტებს სახელი შეცვლილი ჰქონდა. რუკაზეც სწორედ შეცვლილი სახელები დაიტანეს.

ტოპონიმთა ნაწილის მნიშვნელობა გაურკვეველია (ამ ეტაპზე მაინც). ასეთი სახელების ბოლოს კითხვის ნიშანი(?) დავსვით: ევერეკი, თაქსინე, კსინტა (ქსინტა?), მანდაფარ'ი, მუგირა, ნიფი, პაგეი, პიულიურუკი, ტანუშმან'ი//თანუშმანი, ტომლია//თომლია,ქსანტე, ჩოროზმა, ხანპირნექახანი, ხაჯუჯი, ჯელარე.

დასახელებული გეოგრაფიული სახელების შედგენილობა და მნიშვნელობამომავალი კვლევებით შეიძლება დადგინდეს.

რამდენიმე ტოპონიმი სომხური გვგონია: ვარუშა, ხაჩე...

– შედგენილობის მიხედვით საანალიზო გეოგრაფიული სახელები ასე დაჯგუფდება“

კომპოზიტები: ახუნკხანი, გურუდნაკომი, კოპდადი, თაუქვანქი, კარადივანი, კოპხანი...

უაფიქსო ტოპონიმები: ბერნა, ერდი, კირზი, კიტრა, მამე...

ოდენსუფიქსით ნაწარმოები სახელები:

-ის: ბარტენ-ის'ი, ერკენ-ის'ი, კორმან-ის'ი...

-ან: ბარიშ-ან'ი...

-უთ//-ოთ: ტანძ-უთ'ი//ტანძ-ოთ'ი.

-თ: მასა-თ'ი.

-თ(ა): ხარ-თა.

-ურ: კო-ურ'ი, მან-ურ'ი,მახ-ურ'ი,პლ-ურ'ი, ხაპ-ურ'ი...

-აკ: ჩურ-აკ'ი.

-იკ: დენჩ-იკ'ი, ლუსხონ-იკ'ი, მშვეერ-იკ'ი (>მშვეერ-ეკ'ი)...

-ლი: ყარს-ლი, ჩამურ-ლი...

-ჯი: სიღირჯი (>სიღირჯა).

განხილული გეოგრაფიული სახელებიდან (76 ერთეული) უმეტესობა ქართულია/ ქართველურია (38 ერთეული), გადარჩენილი სახელთა ცვლას; 21 ტოპონიმი თურქულია, ბაიბურთის გეოგრაფიული სახელების ახალი ფენა; 15 სახელის მნიშვნელობა ჩვენთვის უცხოა; სულ ორიოდ სახელი მივიჩნიეთ სომხურად. ტოპონიმთა წარმოების წესი იმეორებს ქართული გეოგრაფიული სახელების წარმოებას: გვხვდება კომპოზიციით მიღებული სახელები, უაფიქსო და სუფიქსური წარმოების ტოპონიმები. ქართულ ტოპონიმთა სიჭარბე ტოპონიმიაში კიდევ ერთი დასტურია, რომ ბაიბურთი ისტორიულად ქართული ქვეყანაა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.

თანდილავა 2013 – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

ინგოროყვა 1954 – პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, თბილისი.

ლექსიკონი 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბული.

მაისურაძე 1990 – ილია მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბილისი.

მაყაშვილი, 1991 – ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.

ორბელიანი 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

ორბელიანი II, 2024 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ლექსიკონი ქართული. სამტომეული, ტ. II-III, თბილისი.

რეიფილდი 2019 – დონალდ რეიფილდი, საქართველო - იმპერიათა გზაჯვარედინი. სამიათასწლოვანი ისტორია, გამ. პალიტრა L, თბილისი.

ტაო 2020 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მეელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე, ტაო, თბილისი.

ფაღავა 2017 – მამია ფაღავა, კლარჯული ჩანაწერები, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვა ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბილისი.

ქ.დ. 1960 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაზე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

ქ.ცხ. I – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ქ.ცხ. II 1959 – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ქობალია 2010 – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ღლონტი, 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ღლონტი 1986 – ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი.

შავშეთი 2011 – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

ცეცხლაძე 2004 – ნუგზარ ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის ხეობის ტოპონიმიიდან, ბათუმი.

ჯავახიშვილი 1996 – ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი. თხზ. თორმეტ ტომად, ტომი IV, თბილისი.

ჯავახიშვილი 1998 – ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თხზ. 12 ტომად, ტ. XI, თბილისი.

ჯალაბაძე 1972 – გიორგი ჯალაბაძე, მემინდერეობა მესხეთ-ჯავახეთში. კრებულში: მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

ფაღავა 2018 – Mamia Paghava, The Formation of Family Group Names and Peculiarity of the Settlement in the Village Tao. სმამ, ტ.12, #1, თბილისი.

Nişanian 2024 – SevanNişanian, 'Türkiye'ninErmeniCoğrafyası. LiberusKitap, Istanbul.

ე ლ ზ ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

ემენ დავითაძის შემოქმედების ზოგიერთი ენობრივ-სტილური თავისებურება

შემოქმედის ენაზე დაკვირვება, ენობრივ-სტილურ თავისებურებათა გამოვლენა ყოველთვის აქტუალური საკითხია. სტილური თავისებურება ავტორის მხატვრული აზროვნების, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების ამსახველი ფორმაა. სათქმელის გადმოსაცემად შერჩეული ენობრივი ფორმა ავტორის ესთეტიკური გემოვნების მაჩვენებელიცაა. ამ კუთხით საინტერესოა ემენ დავითაძის შემოქმედება.

ბუნებრივია, ე. დავითაძის შემოქმედებაშიც მოჭარბებულად გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ ლექსიკური დიალექტიზმები, მაგრამ ჩვენი მიზანია, გაგვეჩვენოს, ენობრივ ფორმას რა

ფუნქციური დატვირთვა აქვს მის პოეზიაში. „საერთოდ, თუ რა სახის დიალექტიზმებს გამოიყენებს (ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს თუ სხვა) ამას რა მნიშვნელობა აქვს მწერლის ენის ანალოზისას? ყველა ეს არის დიალექტიზმი და როცა მწერლის ენაზე ვსაუბრობთ, ასეც უნდა შეფასდეს და თუ შევძლებთ, ვისაუბროთ, რა ფუნქციური დატვირთვა აქვს ამ დიალექტიზმებს კონკრეტულ მწერალთან (გ. გოგოლაშვილი 2013, 226-227). საამისოდ პოეტი მოხერხებულად იყენებს ენის შინაგან პოტენციალს, ქმნისახალ ლექსიკურ ერთეულებს, რითაც წარმოაჩენს ქართული ენის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს.

ემენ დავითაძის შემოქმედებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სახელთა გაზმნავენა. გაზმნავენულ ფორმებში პოეტმა მინიატურულად წარმოადგინა მთელი წინადადება, თან უფრო დინამიკურად, მოქმედებაში აღსაქმელად გადმოგვცა სათქმელი. მაგ.: **ეხილბედოს**¹ – გვეტყვის პოეტი ანუ ბედი სცადოს, ბედ-ილბალი გასინჯოს, **არქობს** – იქმებს არქობას, არქი კი წისქვილის ნაწილია, რომელიც აბრუნებს წისქვილის ქვებს, **ვერთვალთვიქვევ** – ვერ წარმოვიდგენ, ვერ მოვიჩვენებ, **წეიქეიქაოს** – მისივე განმარტებით, წაიქეიქაუსოს, მოიბრძენოს თავი (ჰომეროსის ბრძენი ქეიქაუსის სახელიდან), **ისასელა** – იმწიფა (სასელა – საადრეო ჯიშის ტკბილი ჯიშის მსხალია აჭარაში). ამგვარი წარმოებით საოცარ მხატვრულ სურათსქმნის ავტორი: განცდა ამაღლებულია, სიტყვა ფერწერული, განწყობა – ემოციური, მხატვრული სახე – შთამბეჭდავი და წარუშლელი. სიტყვაქმნადობის ამ ნიუანსით, ფერადოვანი ენობრივი სამოსი შექმნა შინაარსისათვის, სათქმელისათვის. ესეც მისი უიშვიათესი სტილური ხერხია: ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ: „ვერცა ვიიმელაუდები“, „თუგინდ გამიამირანდეს, თუგინდ გამიცამიცუმიდეს“, „ეველშვილოს, ეველმამოს... თან ესალამ-ექალამოს... ეხალიჩოს, ექილიმოს“, „სხვის სიბრძნეზე წეიყროს, თვისი წეიქეიქაოს“, „ვაგლახ, რომ ვერ მიბრძენშვილა“, „ვედარც პანტამ ისასელა“, „ხსნა სიბრძნისა გა-ნარ-ეკლდა“, „გულს მესობა, სულს მერჭობა, მოსადგისობს, მონემსაობს“, „უფრო-უფრო ვიზეკაცებ... ურფო-ურფო ვი-

¹ ნაშრომში მითითებული ტაეპები დამოწმებულია ლიტერატურიდან: ე. დავითაძე, პოემები, ბათუმი, 2014; ე. დავითაძე, ლექსები, ბათუმი, 2017.

მუხკაცებ... უფრო-უფრო ვიფესვმაგრებ...**უფრო-უფრო ვითვალ-ფხიზლებ**“, „მჭამსრა ნება-ნება **მსუფრობს**“, „ოღონდაც სხვას მიენათოს, **მიესანთლოს, მიეკვაროს**“, „დღე სამზეოთი **გმთვარავდა**“, „მიწა ჩემი ბარელამცა სხვისთვინ **მაკობს**, ჩემთვინ **ბერწობს**“, „ბალი მქონდეს-ვერ **იბაღოს**“, „ბედს ამაოდ **ეხილბედოს**“, „სულ რომ ძირქართულად **სისხლობს**“, „რაფერ მისხალ-მისხალ **მისხლობს**“, „რალად **ენატანიტანობს**“, „სად **პირვთაფლობ** თუ ზღვად ვყრუობ, სად ქვითგვირობ“, „მხარი მივე-**მიხერხპირა**“, „კვართი მე მაქ, თვითონ **კვართობს**“, „აღარ შემრჩა შუბლზე კანი, ტყავი კამბეჩისა **კანობს**“, „ხანჯერ მხოლოდ **ეხელეჩოს**“, „ეხოშება-**ეგრძელფეხოს**, ეხოშება-**ეგრძელმკლავოს**“, „ციცაი ციცქნა **ციცაქალობს**“, „მიჰქონდ-მოჰქონდა ამბავი და **კუდამელობდა**“, „აქცია ქალი ყინულად და **აამწვეთარა**“...

მიბრძენშვილა, ვიმუხკაცებ, აამწვეთარა... საილუსტრაციოდ წარმოდგენილი ფორმებით ნათლად ჩანს სიტყვის ძალა. სახეობრივად თქმული სიტყვით ხედავ მისსავე ფერს, რომელიც სხვადასხვა ასოციაციას აღძრავს მკითხველში და ლამის, დაგაგემოვნებინებს კიდეც.

პოეტის დამოკიდებულება ქართული ენისადმი, ქართული სიტყვისადმი განსაკუთრებულია. სათქმელის გადმოსაცემ ფორმაში ჩანს ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებების საუკეთესოდ ფლობა. მრავლადაა მის შემოქმედებაში რთული სიტყვები, რომლებიც მოულოდნელობისა და გაცეცხის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ზოგიერთ მათგანს დავიმოწმებთ: „ჩემ **მღვრეწყლობას** რად იტყვიან ჩემი აჭარლობის გამო“, ვნახო და **ერთემედენაიც** გონჯი თვითონ მივითვალო?!", „ხევს ხორუმად შემოვხორგლე **წვერპოტიკაი** მთების ხარო“, „**ქალქაჯი**, მისი მშობი წელში რაფერ მოვაქანო?", „**გულჩორი** და **ყიამყრალი** ვაყოყლოჩო, ვაყურბანო“, „ამგვერილო, აძეძგილო... **ტანსინსხამი**“, „**ერკაკალა** გულში ვმაღავ მიწას ჩემსას, სათაყვანოს“, „მიწა მამულ-დედულეთის, ერთი **გულიკაკლისისხო**“, „ჩემზე იმფო **ღვიძქართველი**“, „ვაიმე, სხალთას **ტანგასხლულო** ჯვარო, რაფერ იგიტანო?", „**კბილშევერცხლილი** სიმინდის ყანა“, „**კაბაზილფო** დუმფარებო, **ჟვერნორჩო** და **წვერყინჟვალო**“, „ჩემო **ძირქართველობავ**“, „**თვალთაფლო** და **ტუჩბადაგო**, ჩემო **წარბყინჟდილა** კვარო“, „ციცავ, მწველო, კაბა-ჭრელო, **ტანთითქვო** და **უბერთველო**“, „ნახეთ – სჯობან **ღილიკაკლებს**“, „**თვალარდახელულო**“...

[illegible]

განმორებისას, ასევე, ხშირია შინაარსობრივად რაღაც ნიშნით მიმსგავსებულ სიტყვათა მონაცვლეობის შემთხვევები: „ ვაიმე, ჩემი საქართველო, **დაჭრილ-დაჩეხილი**, უღვთოდ! **დაჭრილ-დაკეპილი** უღვთოდ! და **დაჭრილ-დაღენკილი** უღვთოდ!“ , „თვალწინ რაფერ **ვეელურწო?ვეესმუტო**, **ვეესვინტრო**, **ვეწმუტო**, **ვეწუწვო**, თავი ძალათ მოვაწონო...“ , „სხვამ რაც უნდა **იბაქბუქოს**, სხვამ რაც უნდა **იფაფხუროს**, სხვამ რაც უნდა **იჭიხინოს**, გინდ **იოოროს**, გინდ **იმერნოს**, გინდ **იყოჩოს**, გინდ **იკვერნოს**, გინდ **იფორთხვოს**, გინდ **იფრინოს**, გინდ მუხლებზე **იხოხინოს**, გინდ **იყვინთოს**, გინდ **იფონოს**...“ , „ შენ მე რარიგ **გიბულბულო**, შენ მე რარიგ **გიმერცხალო**, შენ მე როგორ არ **გიმღერო** და შენ მე როგორ არ **გიგალო?**“ „ ენავ,- აკვნის კამარაზე **საჭურღულო**, **საჭივჭავო**, ენავ, შაშვო და კაკაბო, **საფუნდრუკო**,**საფართქალო**, **საგალობო**, **საჭიკჭიკო**, **საბულბულო**, **სამერცხალო**“, „**გეილიოს**, **გეილალოს**, **გეიწუწკოს**, **გეიძურწოს**, **გეიფონოს**, **გეიკვალოს**, **გაჰქრეს**, **გაუჩინმაჩინდეს**, **ჯადო-ქუდი წეიფაროს**...“ „**ამომკაფა**, **ამომმარგლა**, **ამომმირკვა**, **ამომბღალა**, **ამომაგდო**, ფესვიანად, ნესლიანად **ამომთხარა**.“

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით ეფექტური ზმნურ ფორმა-თა განმეორების შემთხვევებია. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი დინა-მიზმი ჩანს. ზმნურ ფორმათა განმეორებით ხდება მოქმედებათა ჩამოთვლა, ერთი მოქმედებიდან მეორეში გადასვლა. შესაბამისად, მკითხველი აქტიურადაა ჩართული თანაშემოქმედებით პროცესში, მიყვება ავტორისეულ აზრთა მდინარებას და არ იწყენს, არ დუნდე-ბა.

არანაკლებ სახასიათო საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სი-ტყვათა განმეორებაა: „ენავ, ჩემი ნენეს ნანავ, ზოგჯერ მწველო, ზოგ-ჯერ მწყრало, ზოგჯერ ნარო, ზოგჯერ ქნარო, ზოგჯერ **ტკბილო**, ზოგჯერ **მწარო**, ...ხან თვალთვალო, ხან თვალ-მთვარო, ხან **ფხიზე-ლო**, ხან მთლად **მთვრალო**, ხან შიმშილო, ხან წყურვილო, ხან ზღვა, მაინც არ საკმარო, ზღვაო, ღელვადაუმცხრალო...“. საპირის-პირო მნიშვნელობის სიტყვათა განმეორებით ქმნის კონტრასტს. შე-საბამისად, სათქმელი უფრო ხაზგასმული და ემოციურია.

ე. დავითაძის შემოქმედების გაცნობა მკითხველს არწმუნებს, რომგადავიწყებული სიტყვები გააცოცხლა, გაანეღლა სიტყვა. თან იმგვარად, რომ სიტყვა მუსიკასავით ისმის ჟღერადობით, ბერწე-რული ხელოვნებით: „შარა შროშანებით შარობს...“, „ჭირმა აჭრა ლი-ლოჭრელო, ჭალა ჭრელი ჭილობ-ჭაობს“, „მზე, მზეთამზე, მზეზე უფრო მზე, ენა-მზეთუნახავო!“ „ჭრელ ჭალებში მოჭუჭკულო, ჭვავ-კაკალა ლექსის ჭვალო“, „კუკულ-კუკულ, კუნწულ-კუნწულ ხის პოწკებზე შემომსხდარო“, „მისხალ-მისხალ მისხლობს“, „ჩამომწკაპ-დნენ წმუტა-წმუტად“...

ერთგან პოეტი წერდა: „ფერთა სინაზის გუნდრუკს მიკმევს ხმა-ჰარმონია“. მის შემოქმედებაში სიტყვა ფერწერასავითააღსაქმე-ლიპოეტის ხმასთან ერთად. როგორც ცნობილია, „სმენითი შეგრძნე-ბების პარალელურად ხორციელდება ხმის მხედველობითი აღქმა“ (ჟ. შაინიძე 2016, 18). ე. დავითაძის პოეზიაშიცისმის ხმის ტონი, ზოგჯერ გულნატკენი, ზოგჯერ ომახიანი. ეს უკეთ ჩანს სასვენი ნიშ-ნების გამოყენების შემთხვევაში. პოეტი შემთხვევით არა, მიზანმი-მართულად გამოიყენებს ძახილის ნიშნის პარალელურად ორ და უმეტესად, სამ ძახილის ნიშანს. ზოგჯერ,თანმიმდევრობით, ჯერ ერთ, მომდევნო ტაეპის ბოლოს -ორ და მიმყოლ ტაეპში სამ ძახილის ნიშანს დაგვიწერს:

„შენ მთქმელი მითხარი!

შენ მთქმელი მითხარი!!

ქვაც ამეტყველდება, მუნჯი!!!

აშკარაა პოეტის ხმის გრადაცია – შედარებით მსუბუქი შინა-
არსის ახილის წინადადებიდან თანდათანობით გადასვლა მკვეთრ
შემახილამდე, ზედასვლამდე, რომელიც ხმის ტემბრის აწვევითაა შე-
საძლებელი. ასეთი შემთხვევებიცმრავლადაა მის პოეზიაში. მაგ.:
„როგორც სახლია სავსე თქვენით,თქვენით და თქვენით!!!, „მე ჩემე-
ბური სიკვდილი ძალმძის!!!“, „მიყვარხარ ზღვაო!! მიყვარხარ
ზღვაო!!!“, „ხასანბეგურას“ მღერის ხიხანი!!!“, „– იყავ მზად, საქარ-
თველოვ!! – მარად ვიქნები მზად!!!“, „ედემის მხარე, საქართველო,
ედემის მხარე!!!“, „ვიდრე ვოცნებობთ, გულო, და ვიდრე ვღელავთ,
სისხლო!!!“, „ქვეყნად დაბადებას გაუმარჯოს, იყოს დაბადების სა-
დღეგრძელო!!!“, „მამულო!... გვიხმე და შენთვის დედო-სისხლს და-
ვღვრით ახალი დროის არაგველები!!!“

წარმოდგენილი მასალა აჩვენებს, რომ პოეტისათვის სასვენი
ნიშანი მხოლოდ გრამატიკული გამოყენების წესი არაა, ინტონაციაა,
ტემბრია, რიტმია, მოქმედებაა, ხმაა, შემახილია. ვფიქრობთ, რომ ე.
დავითაძის შემოქმედებაში სასვენი ნიშნები მწერლის სტილის ერთ-
ერთი მკვეთრად გამოკვეთილი კომპონენტია.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. შემთხვევითი არც ის უნ-
და იყოს, რომ პოეტი კუთხისათვის დამახასიათებელ ლექს-სიმღე-
რებს მოიშველიებს ხოლმე: „ძმებო, მიმღერეთ „ხასანბეგურა“, – ჩემი
ლამაზი მთების გალობა“, „რაც მე მისთვის მიტირია, – „ჰოიდა ნანა,
„ოჰოი ნანო“, რაც მე მისთვის მინატრია „სასუფრო“ და „ჰორი ნანო“.
უფრო მეტიც, ზოგჯერ ამ ლექს-სიმღერათა თანმხლებ ცეკვის სახე-
ებსაც არ ივიწყებს: „რაც მე მისთვის მისამია „ხორუმი“ და „ჯაყდანა-
ნო“, „თოფალური“, „თარნანინა“ ... მისამია რაც „ყოლსამა“ ... მინარნია
„ნელი ნანაი“, „საგოგმანო“, „სანარნარო“, „შამშალახო“, „სამემთევე-
რო“. ლირო-ეპიკური ჟანრის ნაწერებში კი, პოეტი აჭარაში გავრცე-
ლებულ ხალხურ ლექსებსა და შაირებსაც თამამად გამოიყენებს. მაგ.
სატრფიალო შაირებს: „ოი, ნანი და ნანი-ნანა, ჩემ სახლ ზეიდან ეწ-
რის ფაცხა“, „ოი, ნანი და ნანი-ნანა, ხერტალმა ხელი დამგალა“, „უფ-
რო უფრო ლამაზდები, უნდა დასწვა ეს ქვეყანა“, „წუხელი სიზმარში
გნახე, წარბი აღმა აგეყარა“, „სამა-სიმღერა მიყვარდა, ლამაზ გოგვე-

ბის წვალეზა“, ან კიდეე „ვამ თუ მუზა წოწინაო, მუზა ძირს მოხეთქი-
ლაო“...

ლექს-სიმღერების დასახელებით პოეტს შემოაქვს საოცარი
მუხტი, განწყობა, ემოცია, მუსიკალურობა. ამით პოეტი ამაღლებუ-
ლი განწყობილების, მოულოდნელი და წარუშლელი შთაბეჭდილე-
ბისათვისამზადებს მკითხველს. იმავდროულად, კუთხის კოლორი-
ტულ სახესაც ქმნის. ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვაში „აკუმულირე-
ბულია მთელი ერის ისტორიულ-კულტურული, ფსიქიკურ-მენტა-
ლური გამოცდილება, რის გარეშეც სრულყოფილად ვერასოდეს გა-
ვიგებთ ზალხის ისტორიას, კულტურასა და ეროვნულ მსოფლმხედ-
ველობას“ (ს. ომიაძე 2009, 12-13). შესაბამისად, სახეობრივად წარმო-
გვიდგინა „ენაში დაუნჯებული ეროვნული კულტურისა და კაცობ-
რიობის მიერ შექმნილი ცივილიზაციათა მონაპოვარი“ (ბ. ჯორბენა-
ძე 1997,10).

როგორც ცნობილია, „მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალი-
ზი აუცილებელ პირობად ვარაუდობს ორი მომენტის გარკვევას:
ა) რას აძლევს მწერალი ენას ანუ როგორ და რით ამდიდრებს იგი
ენას; ბ) რას აძლევს ენა მწერალს (ჯორბენაძე, 1983:29). მიგვაჩნია,
რომ ე. დავითაძემ ქართული ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლო-
ბები ზედმიწევნით გამოიყენა. როგორც თავად იტყვის: „ენა ველია,
სად სიტყვები მშვენობს, ბიბინებს, ძალგისძს? – ძალამოდ შენ ისინი
შემოიფინე“. მისი პოეზია არაერთი „ძალამოდ შემოსაფენი“ სიტყვი-
თაა მდიდარი. ისიც შეძლო, მის მიერ შემოტანილი ფორმებით მეტი
სიმღიერე, მოქნილობა და ფერადოვნება მიეცა ენისათვის. სიტყვა-
თა სიუხვე, რთული სიტყვების სიჭარბე, სახელთა გაზმნავება, ლექ-
სიკური დიალექტური ფორმების გამოყენება სახეობრივს, ღრმააზ-
რიანს ხდის ავტორის ენას. შემოქმედის ხელით ჩამოქნილ-გამომერ-
წილი სიტყვები მკითხველის გულსა და ცნობიერებაში ძალაუნებუ-
რად რჩება.

წარმოდგენილი მასალა მცირე წარმოდგენას გვიქმნის პოეტის
ხედვის, სამყაროს მისეული აღქმის შესახებ, რომელიც სახასიათო
ენობრივ-სტილური ფორმითაა გადმოცემული. დავძენთ, რომ ცალკე
მსჯელობის საკითხიამის შემოქმედებაში წარმოქმნილ სიტყვათა ხე-
ლახალი წარმოების, ლექსიკური დიალექტიზმების, ტროპული სა-
ხეების გამოყენების შემთხვევები. ნებისმიერ შემთხვევაში, ავტორის

მიერ გამოყენებული ენობრივი ფორმები საშუალებაა ქვეტექსტების წაკითხვისა და მკითხველთან დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ჯორბენაძე 1983 – ჯორბენაძე ბ., მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

ჯორბენაძე 1997 – ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბილისი

გ. გოგოლაშვილი 2013 – გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

დავითაძე 2014 – დავითაძე ე., პოემები, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.

დავითაძე 2014 – დავითაძე ე., ლექსები, გამომცემლობა „აჭარის მწერალთა სახლი“, ბათუმი, 2017.

ომიაძე 2009 – ომიაძე ს., ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

შიანიძე 2016 – შიანიძე ჟ., „ყველაფერი და არაფერი“, ბათუმი.

ნ ი ნ ო ფ ხ ა კ ა ძ ე

დიალექტი როგორც სოციალური იდენტობის მარკერი თანამედროვე ქართულ მედიასა და კულტურულ დისკურსში

ენა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არ არის, იგი სოციალური იდენტობის გამოხატვის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. ენის საშუალებით ადამიანები ხაზს უსვამენ თავიანთ ეთნიკურ, რეგიონულ, პროფესიულ იდენტობას, ამა თუ იმ თაობისადმი

კუთვნილებას. ლექსიკის, გამოთქმების, დიალექტური ელემენტების ან მეტყველების სტილის არჩევა ხშირად ასახავს ინდივიდის კავშირს კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ ან რეგიონულ ჯგუფთან (ბ. ჯორბენაძე 1997, ბ. ჯორბენაძე 1989). დიალექტი მხოლოდ ენობრივი სისტემის რეგიონული ვარიანტი კი არა, სოციალური და კულტურული კოდის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა. თანამედროვე სოციოლინგვისტიკისა და დიალექტოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დიალექტის როგორც სოციალური იდენტობის სიმბოლოს კვლევაა.

გლობალიზაციისა და სტანდარტიზაციის პროცესებმა დიალექტებს გარკვეული საფრთხე შეუქმნა, თუმცა ამავე დროს, გამოკვეთა მათი სიმბოლური მნიშვნელობა. ენობრივი კოლექტივის წევრები ხშირად იყენებენ დიალექტურ ელემენტებს არა როგორც ყოველდღიური კომუნიკაციის ძირითად კოდს, არამედ როგორც თვითგამოხატვისა და კულტურული მემკვიდრეობის ხაზგასმის საშუალებას.

თანამედროვე ქართულენოვან სივრცეში, მათ შორის ციფრულ კომუნიკაციაშიც, აშკარაა განსხვავებები დიალექტის აღქმასა და გამოყენებაში როგორც სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მხრივ, ასევე მრავალფეროვან საკომუნიკაციო გარემოში.

ლინგვისტური თეორიები წარმოაჩენენ დიალექტს როგორც დინამიკურ სოციალურ სიმბოლოს, რომლის ფუნქცია მუდმივად იცვლება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უილიამ ლაბოვის (უ. ლაბოვი 1991) ცვალებადობის თეორია, რომელიც დიალექტს განიხილავს როგორც სოციალური განსხვავებების მაჩვენებელს; პიერ ბურდიეს (პ. ბურდიე 1991) განსხვავებების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დიალექტი შეიძლება იქცეს პრესტიჟულ ან სტიგმატიზებულ რესურსად; პენელოპე ეკერტის (პ. ეკერტი 2000) შეხედულება ენისა და იდენტობის ურთიერთკავშირის შესახებ, განსაკუთრებით ახალგაზრდების ცნობიერებაში.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საკითხის ანალიზი ეყრდნობა სოციოლინგვისტურ მიდგომას, რომელიც დიალექტურ თავისებურებებს განიხილავს არა მხოლოდ სტრუქტურულ, არამედ სოციალურ კონტექსტშიც. შესაბამისად, რელევანტურია დიალექტური მახასიათებლების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია, თაობა-

თაშორისი შედარებითი ანალიზი, დისკურსანალიზი, რომელიც აჩვენებს დიალექტის ფუნქციურ თავისებურებებს.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში დიალექტი გამოდის მხოლოდ გეოგრაფიული ჩარჩოდან და იქცევა სოციალურ, კულტურულ და იდენტობის მარკერად.

საინტერესოა, როგორ გამოიყენება დიალექტი თანამედროვე ქართულ მედიასა და კულტურულ პროდუქტებში სოციალური იდენტობის, იუმორისა და აუდიტორიასთან სიახლოვის გამოსახატავად. რეალიზების არეალია: ქართული ფილმები, სატელევიზიო შოუები, რეკლამები და სოციალური მედიის კონტენტი (YouTube, TikTok, Instagram).

ემპირიული მასალის ანალიზი გამოკვეთს: დიალექტის გამოყენების ტიპურ მოდელებს მედიასა და კულტურაში, განსაზღვრავს დიალექტის სოციალურ ფუნქციებს (იდენტობა, იუმორი, ემპათია, სტატუსი), აფასებს საზოგადოების დამოკიდებულებას დიალექტური მეტყველების მიმართ.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში უნდა გამოვყოთ რამდენიმე საანალიზო არეალი:

1. კინო და სერიალი:

რეგიონული დიალექტებით მოლაპარაკე პერსონაჟები ქმნიან ავთენტურობასა და ემოციურ კავშირს.

მაგალითად: „ჩემი ცოლის დაქალები“.

2. სატელევიზიო შოუები და იუმორი:

დიალექტი ხშირად იდენტიფიცირდება იუმორთან (მაგ. იმერული და გურული, აჭარული, ქართლური დიალექტებით გაჯერებული ტექსტები, რომლებშიც „დიალექტური ნორმა“ ხშირად არ არის დაცული, სტილიზებული ელემენტებია წარმოდგენილი), როგორც სოციალური სტერეოტიპის გამოხატულება და მისივე გადალახვის საშუალება.

3. რეკლამა:

დიალექტი აუდიტორიასთან სიახლოვის ინსტრუმენტად: „საკუთარი ხალხის ენა“ → ნდობის ეფექტი.

4. სოციალური მედია:

ბლოგერები და ინფლუენსერები ხშირად იყენებენ დიალექტურ ელემენტებს, რათა შექმნან ინტიმური და ბუნებრივი კომუნიკაციის სტილი.

ამგვარი საანალიზო არეალების ანალიზით გამოიკვეთება დიალექტის შემდეგი სოციალური ფუნქციები:

იდენტობის მარკერი: რეგიონული წარმოშობისა და სოციალური ფენის გამოხატვა, იუმორისა და თვითთრონიის წყარო, კომუნიკაციური სიახლოვის მაჩვენებელი: დიალექტი ქმნის ნაცნობობის განცდას.

სოციალური სტატუსის ინდიკატორი: ზოგჯერ დიალექტი განიხილება როგორც ქვემდგომი სტატუსის მაჩვენებელი.

მწერლობაში და თანამედროვე მედიაში დიალექტი ერთსა და იმავე ფენომენს წარმოადგენს – ენობრივი ვარიაცია, რომელიც გამოხატავს იდენტობას, მაგრამ განსხვავებულია მისი ფუნქციური დატვირთვა და მიზანი. ეს მიმართებები ცხრილის სახით ამგვარად გამოისახება:

	დიალექტი მწერლობაში	დიალექტი მედიასა და თანამედროვე კულტურაში
მიზანი	რეალიზმის, ხალხურობისა და ეროვნული ფერის შექმნა	იდენტობის, ემოციურობისა და სიახლოვის გამოხატვა
დროითი კონტექსტი	XIX–XX სს. (კლასიკური და რეალისტური პროზა, პოეზია)	XXI ს. (კინო, შოუ, რეკლამა, სოციალური მედია)
ფუნქცია	პერსონაჟის სოციალური წარმომავლობისა და სულიერი სამყაროს ხატვა	იუმორის, ავთენტურობისა და კომუნიკაციური ეფექტის გაძლიერება
სტატუსი	დიალექტი ხშირად იყო მხატვრული სტილიზაციის ნაწილი	დიალექტი იქცა ცოცხალ სოციალური კომუნიკაციის სტილად
საზოგადოებრივი ხედვა	დიალექტი აღიქმებოდა როგორც ესთეტიკური და ეთნოგრაფიული მახასიათებელი	ზოგჯერ სტიგმატიზებულია, მაგრამ უფრო და უფრო მოდურ იდენტობის ნიშნად იკვეთება

დიალექტიზმების ფუნქცია ქართულ მწერლობაში და თანამედროვე მედიაში განსხვავებულია ფორმით, მაგრამ თანხვედრითა არსით:

ორივე შემთხვევაში დიალექტი მოქმედებს როგორც ენობრივი და კულტურული იდენტობის მატარებელი. მწერლობაში ის არის „სულიერი პეიზაჟის“ ელემენტი, ხალხის ხმის პოეტური ტრანსფორმაცია, მედიაში კი სოციალური კოდის ნაწილი, რომელიც აყალიბებს ურთიერთობის ბუნებრიობას, სიცხადესა და სიახლოვეს. შეიძლება ვთქვათ, რომ დიალექტი ქართულ კულტურაში ტრანსფორმირდა ესთეტიკური სიმბოლოდან კომუნიკაციურ იდენტობის ნიშნად.

ქართული ენის დიალექტები ისტორიულად წარმოადგენდნენ ენობრივი კოლექტივის ბუნებრივ ლინგვისტურ ფორმას, ყოველდღიური მეტყველების ორგანულ სტრუქტურას, რომელიც ასახავდა ეროვნული იდენტობის ლოკალურ ნიუანსებს.

თუ XIX–XX საუკუნის ქართულ მწერლობაში დიალექტიზმები ასრულებდნენ რეალისტური გადმოცემისა და კულტურული ფონის რეკონსტრუქციის ფუნქციას, XXI საუკუნის მედიასივრცეში ისინი იქცნენ სოციალური იდენტობის მარკერად პოპულარული კულტურის, იუმორისა და ონლაინკომუნიკაციის სისტემაში.

კლასიკურ მწერლობაში დიალექტი ფუნქციონირებს როგორც რეალიზმის წყარო (სოციოლინგვისტური ავთენტურობა), ეთნოკულტურული თვითმყოფადობის ნიშანი, ხალხური ფილოსოფიის გადმოცემა კოდი.

თანამედროვე ქართულ მედიასა და კინოში დიალექტი გადადის ახალ ფუნქციურ მოდალობაში: იგი ხდება სოციალური, იდენტობისა და ემოციური რესურსი.

თუ მწერლობაში დიალექტი ასახავდა გეოგრაფიულ ლოკალიზაციას, მედიაში იგი ქმნის სოციალურ სიახლოვესა და ავთენტურობას.

ქართული რეალისტური და მოდერნისტული პროზა დიალექტს იყენებდა როგორც ხალხურობის ესთეტიზაციის მექანიზმს. ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლორთქიფანიძის, გოდერძი ჩოხელის, გალაკტიონ ტაბიძის ტექსტებში დიალექტი არა მხოლოდ ენობრივი ვარიანტია, არამედ პერსონაჟის სამყაროს, კულტურისა და ეთნოსის გამომსახველი კოდი.

კონოსა და სერიალებში დიალექტის ფუნქცია დატვირთულია სოციალურობით. სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ იმერული აქ-

ცენტი აუდიტორიისთვის ასოცირდება თბილ, ოჯახურ და მეგობრულ გარემოსთან. ქართული დილექტით დამწყები ბიზნესმენების რეგიონული წარმოშობა აქცენტირდება და ბიზნესსფეროს იერარქიული მიმართებების საჩვენებლად კარგ რესურსს ქმნის.

სატელევიზიო იუმორისტულ შოუებში („კომედი შოუ“, „ნიკა არაბიძის შოუ“ დიალექტი (გურული, იმერული, აჭარული) იდენტიფიცირდება იუმორთან, მაგრამ ხშირად ირონიულად არღვევს რეგიონულ სტერეოტიპებს, იქცევა სოციალური საზღვრების დეკონსტრუქციის იარაღად.

რეკლამასა და სოციალური მედიაშიც დიალექტური მასალის ჩართვა სპეციალური მიზნით ხდება. ბრენდების მიერ დიალექტის გამოყენება (მაგ. ნატახტარი, სოფლის ნობათი) წარმოადგენს ბაზარზე ენობრივი სიახლოვის სტრატეგიას.

რეგიონული მეტყველება ადამიანებს აძლევს „ჩვენის“ განცდას, რომ ბრენდი სანდოა, სოციალურ ქსელებში (TikTok, Instagram) ახალგაზრდები იყენებენ დიალექტურ ფრაზებს იუმორისა და თვითიდენტობის აღსანიშნავად (მეიცა, ერთი; რეიზა....). სოციალურ მედიაში ენობრივი სტილი იქცევა იდენტობის მარკერად.

ქართული ონლაინ სივრცე და მედია გთავაზობს მრავალფეროვან მაგალითებს, როგორ გამოიყენება დიალექტები სოციალური იდენტობის, იუმორისა და ჯგუფური კავშირის გამოსახატავად. ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი არის ალექსანდრე ჩირგაძე, ფეისბუქპერსონაჟი, რომელიც გურული დიალექტის აქცენტითა და ლექსიკური ერთეულებით ქმნის გულწრფელობის, სანდოობისა და მეგობრულობის განცდას. პერსონაჟი საკუთარ თავს ხშირად მოიხსენიებს კნინობითი ფორმით „ალეკია“, რაც აძლიერებს მეგობრულ, ყოველდღიურ კომუნიკაციურ ტონალობას. მისი ვიდეოების კომენტარები არა მხოლოდ მიმართვის დიალექტურ ფორმებს შეიცავენ, არამედ ზმნურ ფორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს („შენ არ მეისპი ალეკია, ა ბიჯო, კაცი, მეიცა, გამატარე...“), რაც აყალიბებს საერთოობის, გაგებისა და ჯგუფური იდენტობის განცდას. დიალექტური ნიშნები აქ გამოიყენება როგორც იუმორის რესურსი, ასევე გარკვეულწილად მარკეტინგული ინსტრუმენტი კონკრეტული პროდუქტების რეკლამირებისას.

მსგავსი ენობრივი სტრატეგიების მაგალითია იუმორისტული გადაცემები „კომედი შოუს“ ჯგუფისგან, სადაც აქტიურად არის გამოყენებული იმერული დიალექტის მახასიათებლები და ლოკალურ მეტყველება კომიკური ეფექტის შექმნისთვის. პერსონაჟები იმერული სიტყვებითა და აქცენტებით ხაზს უსვამენ რეგიონულ იდენტობას და თან ერთიან კულტურულ გამოცდილებას ქმნიან მაყურებლისთვის.

დიალექტის ფუნქციური ტრანსფორმაცია ქართულ კულტურაში გვიჩვენებს, რომ იგი გადაიქცა ესთეტიკური ნიშნიდან სოციალური დისკურსის ინსტრუმენტად. თუ XIX საუკუნეში დიალექტი იყო „ხალხის ხმის“ ლიტერატურული ფორმა, XXI საუკუნეში ის იქცა სოციალურ სიმბოლოდ, რომელიც გამოხატავს მიკროიდენტობას, ემოციურ ღიაობასა და ნდობას.

ამგვარად, დიალექტი თანამედროვე ქართულ მედიასა და კულტურაში აღარ არის მხოლოდ ენობრივი ვარიაცია, არამედ სოციალური რესურსი. ის მოქმედებს როგორც იდენტობის, ემოციური კავშირისა და მარკეტინგული ეფექტის მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბურდიე 1991 – P. Bourdieu, Language and Symbolic Power. Polity Press, Cambridge.

ლაბოვი 1972 – W. Labov, Sociolinguistic Patterns. University of Pennsylvania Press, Philadelphia.

ეკერტი 2000 – P. Eckert, Linguistic Variation as Social Practice: The Linguistic Construction of Identity in Belten High. Blackwell Publishers, Oxford.

ჯოლოგუა 2021– გ. ჯოლოგუა, რეკლამის შინაარსი: სიმბოლოები, ემოციები და მთავარი გზავნილები, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ნაწ. 1, თბილისი.

ჯორბენაძე 1997 – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი.

ჭ ა ზ უ კ ი ქ ი რ ი ა

ნანათესაობითარი ბრუნვების საკითხი მეგრულ-ლაზურში

ბრუნვათა სისტემა მეგრულ-ლაზურში სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. ფორმათა კლასიფიკაციის სამი სხვადასხვა ვერსია იკვეთება:

ერთიანი სისტემა („ძირითადი“ და „ნანათესაობითარი“/, „თანდებულიანი“ ბრუნვები ერთად, ერთ პარადიგმაში);

ორ ჯგუფად წარმოდგენილი სისტემა („მარტივი“ ბრუნვები და „რთული“ ბრუნვები);

სამ ჯგუფად წარმოდგენილი სისტემა („ძირითადი“ ბრუნვები, „ნანათესაობითარი“ ბრუნვები და „თანდებულიანი“ ბრუნვები) [იხ.: ჩიქობავა, 1936; ქაჯაია, 2001, დადიანი, ფუტკარაძე, 2004...].

ერთიანი სისტემის ნიმუშები:

	კანური	მეგრული	ქართული
სახელობითი	კოჩი	კოჩი	კაც-ი
მოთხრობითი	კოჩ-ქ	კოჩი-ქ	კაც-მა
მიცემითი	კოჩი-ს	კო-ს	კაც-ს(ა)
ნათესაობითი	კოჩ-იმ[ი]	კოჩი-შ[ი]	კაც-ის(ა)
მიმართულებითი	კოჩ-იშა	კოჩი-შა	[კაც-ისა-კენ]
დაშორებითი	კოჩი-შე[ნ]	კოჩ-იშე	[კაც-ისა-გან]
მოქმედებითი	კოჩი-თე[ნ]	კოჩ-ით[ი]	კაც-ით(ა)
[დანიშნ.]	————	კოჩ-იშო(თ)	[კაც-ისა-თვის]
[ვნებ. ანუ გარდაქც.]	————	კოჩ-ო	კაც-ად

[ჩიქობავა, 1936, 44.]

სახელობითი	ორტვინ-ი „ბოსტანი“	ჯოგ-ი „ჯოგი“
მოთხრობითი	ორტვინ-ქ „ბოსტანმა“	ჯოგ-ი-ქ „ჯოგმა“
მიცემითი	ორტვინ-ს „ბოსტანს“	ჯოგ-ი-ს „ჯოგს“
ნათესაობითი	ორტვინ-იმ „ბოსტნის“	ჯოგ-იმ „ჯოგის“
მიმართულებითი	ორტვინ-იშა „ბოსტნისკენ“	ჯოგ-იშა „ჯოგისკენ“
დაშორებითი	ორტვინ-იშე „ბოსტნიდან“	ჯოგ-იშე „ჯოგიდან“
დანიშნულებითი	ორტვინ-იმ-ო(თ) „ბოსტ-	ჯოგ-იმ-ო(თ) „ჯოგის-

	ნისთვის“	თვის“
მოქმედებითი	ორტვინ-ით „ბოსტნით“	ჯოგ-ით „ჯოგით“
ვითარებითი	ორტვინ-ო „ბოსტანად“	ჯოგ-ო „ჯოგად“
[კარტოზია... 2010, 117].		

მარტივი და რთული ბრუნვების სახით წარმოადგენენ და-
დიანი-ფუტკარამე ბრუნვათა სისტემას მეგრულსა და ლაზურში/ჭა-
ნურში:

მეგრული მარტივი ბრუნვები:

სახ. ფუძე+0/ი: დღა, კოჩ-ი „დღე“, „კაცი“
მოთხრ. ფუძე+ქ: დღა-ქ, კოჩ-ქ
მიც. ფუძე+ს: დღა-ს, კოჩ-ს
ნათ. ფუძე+შ(ი)/იშ(ი): დღა-შ(ი), კოჩ-იშ(ი)
მოქმ. ფუძე+თ(ი)/ით(ი): დღა-თ(ი), კოჩ-ით(ი)
ვით. ფუძე+ო/თდღა-თ, კოჩ-ო

რთული ბრუნვები:

მიმართულებითი: ფუძე+შ-ა/იშ-ა: დღა-შ-ა, კოჩ-იშ-ა
დაშორებითი: ფუძე+შ-ე/იშ-ე: დღა-შ-ე, კოჩ-იშ-ე
დანიშნულებითი: ფუძე+შ-ოთ/იშ-ოთ: დღა-შ-ოთ, კოჩ-იშ-ოთ
თანაობითი: ფუძე+წ-კალა/იწ-კალა: დღა-წ-კალა, კოჩ-იწ-კალა
მსგავსებითი: ფუძე+ჯ-გურა/იჯ-გურა: დღა-ჯგურა, კოჩ-იჯ-გურა
შედარებითი: ფუძე+შ-ორო/იშ-ორო: დღა-შ-ორო, კოჩ-იშ-ორო
მიწვევითი: ფუძე+შ-ა-ხ/იშ-ა-ხ: დღა-შ-ა-ხ, კოჩ-იშ-ა-ხ
მიზნისა: ფუძე+შ-ე-ნი/იშ-ენ-ი: დღა-შ-ე-ნი, კოჩ-იშ-ე-ნი

ჭანური მარტივი ბრუნვები:

სახ. ფუძე-0: კუჩხე, კოჩი „ფეხი“, „კაცი“
მოთხრ. ფუძე-ქ: კუჩხე-ქ, კოჩი-ქ
მიც. ფუძე-ს: კუჩხე-ს, კოჩი-ს
ნათ. ფუძე-შ(ი): კუჩხე-შ(ი), კოჩი-შ(ი)
მოქმ. ფუძე-თე(ნ): კუჩხე-თე(ნ), კოჩი-თე(ნ)

რთული ბრუნვები:

მიმართულებითი: ფუძე-შ-ა: კუჩხე-შ-ა, კოჩი-შ-ა
დაშორებითი: ფუძე-შ-ე(ნ): კუჩხე-შ-ე(ნ), კოჩი-შ-ე(ნ)
თანაობითი: ფუძე-კალა: კუჩხე-წ-კალა, კოჩი-კალა
მსგავსებითი: ფუძე-ს-თერი: კუჩხე-სთერი, კოჩი-სთერი
მიმართულებითი: ფუძე-შ-კელე: კუჩხე-შ-კელე, კოჩი-შ-კელე
მიზნის: ფუძე-შ-ე-ნი: კუჩხე-შ-ე-ნი, კოჩი-შ-ე-ნი
[დადიანი, ფუტკარაძე, 2004, 100]

R-იშა, R-იშე, R-იშო სტრუქტურის ფორმები რიგ ავტორებთან ცალკეა გამოტანილი და მათ **ნანათესაობითარი** ბრუნვების სტატუსი აქვთ. ასევე ცალკეა წარმოდგენილი თანდებულიანი ბრუნვები:

1. ძირითადი ბრუნვები და მათი დაბოლოებები

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
სახელობითი	-ი/-ა	-ეფ-ი
მოთხრობითი	ქ (ი,უ,გ)	-ეფ (/ -ემ/-ენ) -ქ (ი,უ,გ)
მიცემითი	-ს (ი,უ), -ც (ი,გ)	-ეფ (/ -ემ/-ენ) -ს (ი,უ), -ც (ი,გ)
ნათესაობითი	-იშ[ი], -ში(ი)	-ეფ-იშ(ი)
მოქმედებითი	-ით(ი,გ), -თ (ი,გ)	-ეფ-ით (ი,უ,გ)
ვითარებითი	-ო, -თ(ი)	-ეფ-ო

2. ნანათესაობითარი ბრუნვები და მათი დაბოლოებანი

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
დანიშნულებითი	-იშ-ო(თ), -შ-ო(თ)	-ეფ-იშ-ო(თ)
მიმართულებითი	-იშ-ა, -შ-ა	-ეფ-იშ-ა
დაშორებითი	-იშ-ე, -შ-ე, -დე	-ეფ-იშ-ე

3. თანდებულიანი ბრუნვები და მათი დაბოლოებანი

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
თანაობითი	-იწ-კალა, -წ-კალა	-ეფ-იწ-კალა// -ეფ-იწ-კელა
	-იწ-კელა, -წ-კელა	-ეფ-იწ-კუმა// -ეფ-იწ-კგმა
	-იწ-კუმა, -წ-კუმა	
	-იწ-კგმა, -წ-კგმა	
მსგავსებითი	-იჯ-გუ[რ]ა, -ჯ-გუ[რ]ა	-ეფ-იჯ-გუ[რ]ა

შედარებითი	-იმ-ორო, -შ-ორ-ო	-ეფ-იმ-ორ-ო
მიწვევითი	-იმ-ა-ხ(ი,უ,გ) -შ-ა-ხ(ი,უ,გ)	-ეფ-იმ-ა-ხ(ი,უ,გ)
მიზნის	-იმ-ე-ნი, -შ-ე-ნი	-ეფ-იმ-ე-ნი

სამ ჯგუფად წარმოადგენს ბრუნვათა სისტემას ა. ლომთაძეც, მხოლოდ აქ **დაშორებითი** თანდებულიან ბრუნვათა რიგში აღმოჩნდა, ანუ, მისთვის **კოჩ-იმ-ეფორმაში -ეთანდებულია**, ნათესაობითი ბრუნვის თანდებული:

I. ძირითადი ბრუნვები

სახ.	კოჩ-ი „კაცი“
ერგ.	კოჩ-ქ(ი,გ)
მიც.	კო-ს(ი)//კო-ც(გ)
ნათ.	კოჩ-იმ(ი)
მოქმ.	კოჩ-ით(ი/გ)
ვით.	კოჩ-ო

II. ნანათესაობითარი (ნაწარმოები) ბრუნვები

დანიშნ.	კოჩ-იმ-ო(თ)
მიმართ.	კოჩ-იმ-ა

III. თანდებულიანი ბრუნვები

დაშორებითი	კოჩ-იმ-ე ჩქიმ-დე „ჩემგან“
თანაობითი	კოჩ-იწ-კელა კოჩ-იწ-კალა კოჩ-იწ-კუმა კოჩ-იწ-კჰმა
მსგავსებითი	კოჩ-იჯ-გურა კოჩ-იჯ-გუა
შედარებითი	კოჩ-იმ-ორო „კაცივით“
მიწვევითი	კოჩ-იმ-ახ(ი) კოჩ-იმ-ახ(გ) „კაცამდის“

რას ნიშნავს **ნანათესაობითარი** ფორმა?– ეს არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები (წარმოქმნილი) სახელი.

ნანათესაობითარი ანუ **ნაგენიტივარი** ფორმებია:

ქართ. თბილის-ი, ქუთაის-ი, შინდის-ი... საწყის-ი, ვაკის-ი, მილის-ი, ჯაგრის-ი, საკაწრის-ი, საჭრის-ი, უჯრედის-ი...

მეგრ. ქუთეშ-ი, ცაიშ-ი, ჯიხაიშ-ი, ჩხოლუშ-ი, ჩხენიშ-ი, ონჭეიშ-ი, ოყურეშ-ი, ლაგვაშ-ი... თიშ-ი (მისი), მუშ-ი (მისი) თინეფიშ-ი (მათი), მუნეფიშ-ი (მათი)...¹

ჩამოთვლილი ფორმები არის **არანათესაობით-სახელობითი**, არამედ **სახელობითი**. ამათი ფუძე არის *ქართ.* თბილის-, ქუთაის-, შინდის-... *მეგრ.* ქუთეშ-, ცაიშ-, ჯიხაიშ-...

ნანათესაობითარი სახელი დერივატია და აქ დერივაციული აფიქსის როლში სწორედ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გვევლინება, ფუძეში გადასული წარმოშობთ ფლექსიური ელემენტი.

ფორმაწარმოებისთვის სიტყვის წარმომავლობას, ფუძის სტრუქტურაში შემავალ დერივაციულ თუ სხვა ელემენტებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ სისტემისთვის **თბილის-ი, გულად-ი, შემთხვევით-ი, მექათმე, კახელ-ი, იმერულ-ი, უწიგნურ-ი...და კაც-ი, ქალ-ი, დედა, ბავშვ-ი...** აბსოლუტურად ერთი ღირებულების ფლექსიური მასალაა, სადაც გამოიყოფა ფუძე (**თბილის-, გულად-, შემთხვევით-, მექათმე, კახელ-, იმერულ-, უწიგნურ-... კაც-, ქალ-, დედა, ბავშვ-...**) და ბრუნვის ნიშანი **-ი/0**.

„ხელახლა ბრუნებისას“ **„პირველადი“ ბრუნვის ნიშანი** ფუძეში გადარიცხა და ისეთივე დერივანტი ხდება, როგორიცაა, მაგალი-

¹ შდრ.: ქართული კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **მისი, თვისი, ვისი, მათი**. ესენი წარმოშობით ნანათესაობითარი ფორმებია, მაგრამ მათ დიდი ხანია (უკვე ძველსავე ქართულში) დაკარგული აქვთ ნათესაობითის გაგება. „კუთვნილებით ნაცვალსახელებს გენიტივის გაგება ადარ აქვთ. მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ „**მისი**“, „**მათი**“, „**სხვისი**“ და მისთანა ორმაგი ბრუნვის გაგებას გვაძლევდნენ (ნათ-სახელობითისას); არა, ესენი ცალმაგი ბრუნვის ფორმებია, მათი ფორმაა სახელობითი. ამის გამო მათში შემავალი **ის** და **თ** წარმოქმნის ელემენტებად უნდა ვცნათ“ (შანიძე 1980, 116).

თად, შემდეგ ნიმუშებში წარმოდგენილი სიტყვამაწარმოებელი აფიქსები: **საგანძურ-ი** – **საგანძურ-მა...** **უწიგნურ-ი** – **უწიგნურ-მა...** **ცოლიან-ი** – **ცოლიან-მა...**

სახელი, ჩვეულებრივ, **ორი ძირითადი ელემენტით** არის წარმოდგენილი: **ფუძე + ბრუნვის ნიშანი**. სახელობითი ბრუნვის მარკერია **-იან ნული**. სხვა საშუალება სახელობითი ბრუნვის საიდენტიფიკაციოდ არ არსებობს, – არ არის ამის საჭიროება. ასევე სხვა ბრუნვებში: **R-მა/-მ** სტრუქტურა **მოთხრობითი** ბრუნვის შესახებ იძლევა ინფორმაციას და ა. შ.

არც ერთ ფორმას არ სჭირდება **ქარბი ნიშანი**; **ერთი ნიშანი** სავსებით საკმარისია სახელის ფუძის გასაფორმებლად, ფორმის საიდენტიფიკაციოდ; იმისათვის, რომ ბრუნვის ფორმაზე ვიმსჯელოთ, „ბრუნვის ნიშნად გამოყოფილი როგორც ფორმალურად, ისე გრამატიკული ფუნქციის თვალსაზრისით უნდა გამოხატავდეს ბრუნვას. ასეთი მიდგომის შედეგად ბრუნვის ნიშანთა არანჭირების წესი ქართული ენის ბრუნების სისტემაში შეიძლება წარმოვადგინოთ ერთი დებულებით: ბრუნვის ნიშნები სახელთა ფორმებში ერთიმეორეს არ მოსდევენ“ (უთურგაიძე, 1983, 5).

მეგრულ-ლაზურში დასტურდება **ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ნაწარმოები დერევატები** და მათ ცალკე განსაკუთრებული პარადიგმა არ გააჩნიათ. ამის საფუძველი არ არსებობს.

ქუთეზი-ი (ქუთაის-ი) არის სახელობითი, **ქუთეზი-ქ (ქუთაის-მა)** – მოთხრობითია, **ქუთეზი-ს (ქუთაის-ს)** მიცემითია, **ქუთეზი-იშ (ქუთაის-ის)** ნათესაობითია და ა.შ.

ტრადიციული მიდგომით, ე.წ. „ნანათესაობითარ სახელებში“ **ქუთეზი-ი...** სტრუქტურის ფორმები საერთოდ არ მოიაზრება.

ცხადია, რომ ბრუნვის ფორმათა კლასიფიკაციის დროს დაშვებულია უზუსტობა: **ნანათესაობითარ ფორმებად** მიჩნეულია არა **ქუთეზი-ი, ქუთეზი-ი-ქ...** ტიპის სტრუქტურული ერთეულები, არამედ **ნათესაობითის თანდებულებიანი ფორმები**.

ნათესაობითია: **კოჩ-იშ, ოსურ-იშ...** **კოჩ-იშ-ა, ოსურ[ი]შ-ა...** **ქუთეზი-იშ-ა, ქუთეზი-იშ-ე, ქუთეზი-იშ-ო...** **ქუთეზი-იშ-ორო, ქუთეზი-იშ-ენი, ქუთეზი-იწ-კუმა...**

აქ მოქმედი, აქტიური ფლექსიური ფორმანტია **-იშ** (ფონეტიკური ვარიანტებით წარმოდგენილი).

კოჩ-იშ-ო, კოჩ-იშ-ა, კოჩ-იშ-ე - ეს არის ნათესაობითის ფორმები, რომლებითაც გამოიხატება: მიმართულება, დაშორება, დანიშნულება და ა. შ.

ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით **ნათ. ბრ. + ა, ნათ. ბრ. + ე და ნათ. ბრ. + ო** ელემენტები ნათესაობითის ფუმეს პრაქტიკულად იმგვარსავე სემანტიკას ანიჭებენ, როგორსაც *ქართ.* ნათესაობითის **-თვის/-გან/-კენ თანდებულები**, ამდენად, კვლევის მიმართულებასა და სავარაუდო დასკვნებსაც ეს გარემოება უნდა განსაზღვრავდეს.

ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ ბრუნების არსებულ პარადიგმებში წარმოდგენილი **კოჩ-იშ-ო, კოჩ-იშ-ა, კოჩ-იშ-ე** სტრუქტურის „ნანათესაობითარ ბრუნვებად“ კვალიფიცირებული ფორმები სინამდვილეში **ნათესაობითის თანდებულიანი ფორმებია**, ისინი სხვა თანდებულიან ფორმებთან უნდა გაერთიანდეს და საერთოდ ამოვარდეს ბრუნვის ფორმათა **ძირითადი სისტემიდან** (**ნანათესაობითარიც, ე.წ. ნანათესაობითარიც და თანდებულიანიც**, -ისევე, როგორც ეს ქართულშია. სახელთან შეიძლება ნაწილაკიც იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ამის გამო ნაწილაკიანი ფორმები **ძირითადი ბრუნვების** სისტემაში არ ჩანს).

მეგრულ-ლაზურის ბრუნების სისტემაში საინტერესო და **ქართულისგან გამორჩეული ერთ-ერთი თავისებურება** ის არის, რომ თანდებულებისთვის საყრდენ მორფემად პრაქტიკულად **მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვაა** გამოყენებული, თანდებულებით მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვაა დატვირთული, სხვა ბრუნვებთან თანდებულები არ გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა

დადიანი, ფუტკარაძე 2004 – დადიანი ე., ფუტკარაძე ტ., თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის თანამედროვე ზანურ დიალექტებში, ქართველური მეშვიდრობა. VIII.

კარტოზია..., 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

ლომთაძე 1987 – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი.

უთურგაძე 1983 – თ. უთურგაძე, საენათმეცნიერო მიეზანი, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზ. ტ. 3, თბილისი.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურება კახურში

თემა ერთ-ერთი საინტერესო კატეგორიაა ქართული ზმნისა. ა. შანიძე „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ასე განმარტავს: „თემა ჰქვია ზმნის ბაზისს, რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა, ე.ი. რომელიც მოეპოვება I ან II სერიის მწკრივთა ყველა ფორმას. თემა – ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში: პირველში ან მეორეში“ (შანიძე, 1953: 396). ქართულ ენაში გამოყოფენ ერთთემიან და ორთემიან ზმნებს. ა. შანიძე განმარტავს: „ერთთემიანია ზმნა, რომელსაც პირველისა და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისზე აქვს დაყრდნობილი. ორთემიანია ზმნა, რომელსაც, პირველსა და მეორე სერიაში განსხვავებული თემები მოეპოვება“ (შანიძე, 1953: 397). ორთემიანი ზმნებია თემისნიშნისანი და ხმოვანმონაცვლე ზმნები.

ზმნის თემა და თემის ნიშანთა წარმოება საინტერესოა როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, ასევე დიალექტებშიც. ამ შემთხვევაში განვიხილავთ ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურებას ქართული ენის კახურ დიალექტში. საკვლევ მასალად ვიყე-

ნებთ, ერთი მხრივ, დიალექტური კორპუსისა და, მეორე მხრივ, კახეთის 1912 წლის აჯანყების დოკუმენტების მასალებს. 1812 წლის დოკუმენტები წარმოდგენას გვიქმნის ორი საუკუნით ადრინდელ ვითარებაზე. ჩვენი მიზანია, ეს მონაცემები შევადაროთ ამჟამინდელი კახური დიალექტის ვითარებას, რომ დავინახოთ, როგორია დინამიკა უთემისნიშნო ზმნათა გათემისნიშნისა.

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ წარმოდგენილია ისტორიული ერთთემიანი ზმნების ჩამონათვალი (ორმოციოდ ზმნა) (შანიძე, 1953: 398). ეს სია შევადარეთ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მონაცემებს; ვითარება არაერთგვაროვანია; **1.** ზმნათა ერთი ნაწილი ადრეც ერთთემიანი იყო და ახლაც ერთთემიანია ქართულ სალიტერატურო ენაში, მაგალითად: ტებს, ჩებს, წერს, კვეცს... (<https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>); **2.** ვხვდებით ზმნათა პარალელურ ფორმებს, ერთი და იგივე ზმნები წარმოდგენილია როგორც უთემისნიშნო, ისე თემისნიშნის ვარიანტებით: „ხეთქს (ვხეთქ, ხეთქ; ხეთქდა; ხეთქდეს; ხეთქა; ხეთქოს; (ხეთქავს || უხეთქავს)“, „ჩეჩს (ვჩეჩ, ჩეჩ, ჩეჩენ); ჩეჩდა; ჩეჩდეს; ჩეჩა; ჩეჩოს; უჩეჩია (||ჩეჩავს)“ (<https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>); **3.** ერთი ნაწილი ადრე ერთთემიანები იყო და დღეს სალიტერატურო ქართულში ორთემიანები გახდა: „რეცხავს; რეცხავდა; რეცხა; ურეცხავს და არა რეცხს და რეცხდა“, „თიბავს (თიბავ, ვთიბავ); თიბავდა; თიბავდეს“; „თესავს (თესავ, ვთესავ); თესავდა; თესავდეს; უთესავს“... (<https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>)...

როგორც სალიტერატურო ქართულში დაერთო ერთთემიან ზმნებს თემის ნიშნები, ისე ქართული ენის დიალექტებშიც; თუმცა პროცესი არათანაბრად განვითარდა. აღნიშნული ზმნები თემისნიშნისა. კახურში ვხვდებით ასეთ ვარიანტებს: **ვთესამ//ვთესავ, ვლეწამ//ვლეწავ, ვწერამ//ვწერავ.**

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1812 წლის კახეთის აჯანყების დოკუმენტების მასალებში ერთთემიან ზმნათა არაქაული წარმოება დასტურდება უწყვეტელში, მაგალითად: **„ხოცდნენ“ „გვეყედნენ“:**

„მას ჟამს რასაც ბეგარაში კაცსა ვგზავნიდით, ურმის ხარს, პირუტყვს შიმშილით **ხოცდნენ**“ (სიღნაღი);

„იასაულები გვედგენ, გვემდენ, **გვეყედნენ**, უარეს გვპირდებოდნენ“ (ყანდაურა).

კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტებში მხოლოდ ორი-ოდე ნიმუში დადასტურდა არქაული ერთთემიანი ზმნისა. როგორც ჩანს, იმ პერიოდისთვის ერთთემიან ზმნათა უმეტესეობა, ჩვეულებისამებრ, ორთემიანია, მაგრამ ამ ორიოდ ნიმუშის დადასტურებაც უკვე საინტერესო ფაქტია. აჯანყების დოკუმენტები მე-19 საუკუნის ენობრივ ვითარებას ასახავს, ამჟამინდელ კახურში კი ერთთემიანი ზმნები აღარ არის შემორჩენილი, ყველა ისტორიული ერთთემიანი ზმნა უკვე გაორთემიანდა.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ „დოკუმენტების“ მასალებში დადასტურდა ისტორიული ერთთემიანი ზმნის ძველი ქართულისებური ვარიანტი უწყვეტლის მწკრვში:

„იდგნენ ჩვენს საკუთარს მინდორში და **სთიბევდნენ**“ (მაშნაარი).

ძველ ქართულში უწყვეტლის მწკრივში პირველ-მეორე პირთან **-ევ** დაბოლოებიანი ფორმები გვქონდა, წარმოვადგენთ **გვკლავ** ზმნის უღლების პარადიგმას ძველი ქართული ენის მიხედვით:

•გვკლავდ(ი)	გვკლავდით
ჰკლავდ(ი)	ჰკლავდით
კლავდა	კლავდეს “ (შანიძე, 1976:90).

დოკუმენტებში **-ავ** თემისნიშნის ზმნების უმეტესობა უწყვეტელში ძირითადად ძველი ქართულისებურია.

მასალებში დასტურდება პირველი პირის ფორმები:

„საჯნავი მიწები არის, რომელსაც **მოვკნევდით** და დავთესდით“ (ვეჟინი, გურჯაანი);

„აგრეთვე თვეში ოც ურემს **უზიდევდით**“ (ვეჟინი, გურჯაანი);

„გვითხოვნია ბილეთი, რომ ჩვენი მწუხარება მოხსენებოდა მართებულს და ესე უწყალოდ **გვრისხევდა**“ (სიღნაღი)

უწყვეტელში **-ევ** დაბოლოებიანი ფორმა დადასტურდა ისტორიულ ერთთემიან ზმნასთანაც – „**სთიბევდნენ**“, რაც საინტერესოა იმის წარმოსაჩენად, თუ დინამიკაში როგორ განვითარდა ისტორიული ერთთემიანი ზმნების გაორთემიანების პროცესი. ამგვარი შემთხვევები ამჟამინდელი კახურისთვის უცხოა. როგორც ჩანს, უწყვეტელში იყო ძველი ქართულისებური ვითარება, შემდეგ კი პროცესი სალიტერატურო ქართულის მსგავსად განვითარდა, ერთთემიან

ზმნებს დაირთო თემის ნიშანი და გვაქვს ასეთი ვარიანტები: **ათი-ზამდენენ//ათიზავდენენ**.

ამ საკითხზე საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა ლაშა კაპანაძემ „ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურებანი ზემოიძერულში“ (კაპანაძე, 2025). ამ ნაშრომიდან კარგად გამოჩნდა, რომ ერთთემიან ზმნათა გაორთემიანების დინამიკა განსხვავებულია სხვადასხვა დიალექტში. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ **-ავ** თემისნიშნის ზმნების ძველი ქართულისებური ვარიანტი კახურში 1912 წლის აჯანყების დოკუმენტებში დადასტურდა, ამჟამად კი, ფაქტობრივ, აღარ გამოიყენება, ხოლო ზემოიძერულში ახლაც ვხვდებით.

კახურში ერთთემიანმა ზმნებმა დაირთეს როგორც **-ავ** თემის ნიშანი, ასევე **-ამ** თემის ნიშანიც. გვაქვს ამგვარი ვარიანტები: **ვ-წერ-ამ, ვ-თეს-ამ, ვ-რეცხ-ამ** ან **ვ-წერ-ავ, ვ-თეს-ავ, ვ-რეცხ-ავ**. დიალექტურ კორპუსში მოვიძიეთ საილუსტრაციო მასალა იმის წარმოსაჩენად, თუ რა ფორმით გამოიყენება ისტორიული ერთთემიანი ზმნები კახურში აწმყოს მწკრივში. ვხვდებით **-ავ** თემის ნიშნით გაორთემიანებულ ზმნებს:

„ხო, ვინც დადკლავს, **ხოცავენ** (ქ.დ.კ. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი, 1949-1988, corpora.co);

„მინადენი წყალი **რეცხავს**“ (შინამრეწველობის მასალები, corpora.co).

დასტურდება **-ამ** თემისნიშნის გაორთემიანებული ზმნებიც:

„საადვილო როცა არის, მაშინ **გავრეცხამ**, გავასუფთავებ“ (შინამრეწველობის მასალები, corpora.co).

მოვიყვანოთ **ვთესავ** ზმნის პარადიგმას სამივე სერიაში:

I სერია		
აწმყ.	ვ-თეს-ამ// -ავ მ-თეს-ამ// -ავ მ-თეს-ამ// -ავ-ს	ვ-თეს-ამ// -ავ-თ მ-თეს-ამ// -ავ-თ მ-თეს-ამ// -ავ-ენ
უწყ.	ვ-თეს-ამ// -ავ-დ-ი მ-თეს-ამ// -ავ-დ-ი მ-თეს-ამ// -ავ-დ-ა	ვ-თეს-ამ// -ავ-დ-ი-თ მ-თეს-ამ// -ავ-დ-ი-თ მ-თეს-ამ// -ავ-დ-ნენ

I ხოლ.		
აწმყ. კავშ.	ვ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე-ს	ვ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე-თ მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე-თ მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ნენ
მყოფ.	და-ვ-ტეს-ამ//-ავ და-მ-ტეს-ამ//-ავ და-მ-ტეს-ამ//-ავ-ს	და-ვ-ტეს-ამ//-ავ-თ და-მ-ტეს-ამ//-ავ-თ და-მ-ტეს-ამ//-ავ-ენ
ხოლ.- შედ.	და-ვ-ტეს-ამ//-ავ-დ-ი და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ი და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ა	და-ვ-ტეს-ამ//-ავ-დ-ი-თ და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ი-თ და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ნენ
მყოფ. კავშ.	და-ვ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე-ს	და-ვ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე-თ და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ე-თ და-მ-ტეს-ამ//-ავ-დ-ნენ
II სერია		
წყ.	და-ვ-ტეს-ე და-მ-ტეს-ე და-ტეს-ა	და-ვ-ტეს-ე-თ და-მ-ტეს-ე-თ და-ტეს-ე-მ
II ხოლ.		
II კავშ.	და-ვ-ტეს-ო და-მ-ტეს-ო და-ტეს-ო-მ	და-ვ-ტეს-ო-თ და-მ-ტეს-ო-თ და-ტეს-ო-ნ
III სერია		
I თურ.	და-მ-ი-ტეს-ნ-ი-ა და-გ-ი-ტეს-ნ-ი-ა და-უ-ტეს-ნ-ი-ა და-მ-ი-ტეს-ამ და-გ-ი-ტეს-ამ და-უ-ტეს-ამ	და-გვ-ი-ტეს-ნ-ი-ა და-გ-ი-ტეს-ნ-ი-ა-თ და-უ-ტეს-ნ-ი-ა-თ და-გვ-ი-ტეს-ამ და-გ-ი-ტეს-ამ და-უ-ტეს-ამ

II თურ.	და//დე-მ-ე-თეს-ნ-ა და//დე-გ-ე-თეს-ნ-ა და//დე-ე-თეს-ნ-ა	და//დე-გვ-ე-თეს-ნ-ა და//დე-გ-ე-თეს-ნ-ა-თ და//დე-ე-თეს-ნ-ა-თ
III კავშ.	და//დე-მ-ე-თეს-(ნ)-ო-ფ და//დე-გ-ე-თეს-(ნ)-ო-ფ და//დე-ე-თეს-(ნ)-ო-ფ	და//დე-გვ-ე-თეს-(ნ)-ო-ფ და//დე-გ-თეს-ნ-ო-თ და//დე-ე-თეს-ნ-ო-თ

პირველ სერიაში გვაქვს გაორთემაიანებული ზმნის უღლების რამდენიმე პარადიგმა: **1.** ზმნას პირველი სერიის ყველა მწკრივში დაერთვის **-ავ** თემის ნიშანი: **ვ-თეს-ავ, ვ-თეს-ავ-დი, ვ-თეს-ავ-დე; და-ვ-თეს-ავ, და-ვ-თეს-ავ-დი, და-ვ-თეს-ავ-დე;** **2.** პირველი სერიის ყველა მწკრივში დასტურდება **-ამ** თემისნიშნის ფორმები: **ვ-თეს-ამ, ვ-თეს-ამ-დი, ვ-თეს-ამ-დე; და-ვ-თეს-ამ, და-ვ-თეს-ამ-დი, და-ვ-თეს-ამ-დე.**

მესამე სერიაში ჩნდება **-ნ** ჩანართი. პირველი პარადიგმის მიხედვით, **-ავ** თემისნიშნის ზმნებს მესამე სერიაში **ია** დაბოლოება აქვს: **დაუთესნია**, თუმცა როდესაც ზმნის უღლება მეორე პარადიგმას მიჰყვება, მესამე სერიის პირველ თურმეობითში ზოგჯერ დასტურდება **-ამ** თემისნიშნის ვარიანტიც: **დაუთესამ** (თურმე უკვე დაუთესამ), **გაურეცხამ** (ჯერ არ გაურეცხამ), რაც შესაძლოა სალიტერატურო ქართული ენის გავლენა იყოს. მესამე სერიაში არ ვხვდებით **-ავ** თემის ნიშნის ვარიანტებს, ეს არ არის დიალექტური ნორმა. მესამე სერიის პირველ თურმეობითში **-ავ** თემის ნიშანი ისტორიულ ერთთემიან ზმნებთან მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც საუბრისას სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით ენობრივი ფორმების გამოყენების მცდელობაა დიალექტის მატარებლისგან, მოსაუბრისგან, რადგან ამგვარი წარმოება სალიტერატურო ენის ნორმირებულ ფორმებთან ასოცირდება.

რომ შევაჯამოთ საკითხი, აღვნიშნავთ, რომ ტენდენცია, რომელიც სათავეს ძველ ქართულში იღებს, არ არის დასრულებული ახლაც, პროცესი გრძელდება ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის, კახურშიც. ერთთემიან ზმნებთან აწმყოში გვხვდება **-ამ //-ავ** თემის ნიშნები, დიალექტის მიხედვით, უპირატესია **-ამ** თემის ნიშნის

გამოყენება, რომელიც პირველი სერიის ყველა მწკრივში ჩნდება. სალიტერატურო ქართულში მესამე სერიის პირველ თურმეობითში თუკი **-ავ** თემის ნიშნის გამოყენება ნორმად ითვლება, კახურში უკვე გაორთემიანებულ ზმნებს**ია** დაბოლოება აქვს, იშვიათად **-ამ** თემის ნიშანსაცვხვდებით პირველ თურმეობითში, რაც სალიტერატურო ქართულის გავლენა უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, არაბული 2017 – გოგოლაშვილი გ., არაბული, დიალექტების მორფოლოგია, კრებსითი ანალიზი, ტ. III, თბილისი.

დოკუმენტები 1999 – კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტები.

კაპანაძე 2025 – ლაშა კაპანაძე, ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურებანი ზემოიმერულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ.XLVI, თბილისი.

ქართულიდიალექტურიკორპუსი, corpora.co

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, <https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>

შანიძე 1953 – შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები (I გამოცემა), თბილისი.

შანიძე 1976 – შანიძეა., ძველი ქართული ენა, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი.

შორენა შავრეშიანი

რელიგიური სახეების ფოლკლორული ტრანსფორმაცია სვანურ ზღაპრებში

სვანურ ზღაპრებში რელიგიურ-მითოსური თემატიკა და ხალხური წარმოსახვა ხშირად ერწყმის ერთმანეთს და ქმნის უნიკალურ ფოლკლორულ სურათს, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების ღრმა რწმენებსა და სოციალურ გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

ამგვარი სინთეზი განაპირობებს რელიგიური სახეების ორმაგ ბუნებას: ადამიანურსა და ზებუნებრივს. პირველ შემთხვევაში, ეს პერსონაჟები უფრო მორგებულნი და მიახლოვებულნი არიან საზოგადოებასთან – ისინი არა შორეული და აბსტრაქტული არსებები, არამედ ცოცხალი, მოქმედი და რეალური სახეები არიან; ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც კი, სვანური ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებები ინარჩუნებს პრექრისტიანულ ფენომენებს, თუმცა მათ ქრისტიანული პერსონაჟების – **იესო ქრისტეს, წმინდა გიორგის, ღვთისმშობლისა და ანგელოზების** სახეებში ავლენენ. ეს პერსონაჟები ხშირად არ არიან წმინდანები პირდაპირი გაგებით, არამედ გაპიროვნებული ძალები, რომლებიც მიწიერ სამყაროში მოქმედებენ, ეხმარებიან ხალხს, ჩნდებიან ყოველდღიურ ყოფაში და ზრუნავენ მორალურ სამართლიანობაზე. ზოგჯერ ღმერთი იქცევა ადამიანად, რათა გამოიხატოს ადამიანის სურვილი, რომ ღვთაებრივი ძალა იყოს ხელმისაწვდომი, ახლო და პიროვნული; ნარატივი გახდეს ემოციურად უფრო მიმზიდველი და ადვილად აღსაქმელი; ეს პიროვნული თაყვანისცემა ეხმიანება იმ ღრმა რწმენას, რომ ღვთაება ყოველთვის იქაა, სადაც ადამიანი მის სახელს იხმობს – თუნდაც ზღაპარში.

გარკვეულ სიუჟეტებში ეს რელიგიური სახეები არ ჩნდებიან ხილულად, არ მართავენ დიალოგს პერსონაჟებთან, არამედ ისინი ზემოქმედებენ უხილავი, სიმბოლური გზით – თილისმის გამოგზავნით, მაგიური ინსტრუქციის მიცემით, კონკრეტული რიტუალის მოთხოვნით და სხვ.

ამგვარი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ღვთაებრივი ძალა რჩება ტრანსცენდენტურად ზემდგომ ძალად, რომელიც არ საჭიროებს

ფიზიკურ გამოჩენას – მას საკმარისი ძალა აქვს სამყაროში ცვლილების შესატანად, აღსრულების ინსტრუმენტს წარმოადგენს თილისმა, წყალი, მტრედი, წინასწარმეტყველება და სხვ.

ასეთი შემთხვევები გვიჩვენებს არა მხოლოდ ღვთაებრივი ძალის სიმძლავრეს, არამედ ფსიქოლოგიურ ნდობასაც – ხალხი მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი ღმერთის ფიზიკური ხილვა, მისი ზეგავლენა ყველაფერს მოიცავს, თუნდაც უჩინრად. შესაბამისად, ეს პერსონაჟები ინარჩუნებენ ღვთაებრიობას, საკრალურობას და სიშორეს, რაც ეხმიანება რწმენის იმ მოდელს, სადაც ღმერთი ყოვლისშემძლეა და ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია სასწაულის მოხდენა – უშუალო კონტაქტის გარეშეც.

ამიტომაც: როდესაც ღმერთი ადამიანია, ზღაპარი ცდილობს ხაზი გაუსვას ზნეობრივ გაკვეთილს, ან პიროვნულ ურთიერთობას; ხოლო როცა ღმერთი რჩება ზებუნებრივად, მაშინ მასში იმედის, რწმენის და დაუმორჩილებელი ძალის მოტივი დომინირებს – ღვთის ხელწერა ხდება უხილავი, მაგრამ გარდაუვალი და გადაწყვეტი.

ზღაპარში „**შეხემურზა**“ უშვილო ცოლ-ქმარი ღმერთის ყურადღების მისაქცევად ერთ წისქვილ ცვილს წვავს. ღმერთი მათ თილისმას უგზავნის მტრედის დახმარებით. მათ ეს თილისმა წყალში უნდა ჩადონ და სწორედ ეს წყალი უნდა დალიონ. ისინი დარიგებისამებრ იქცევიან და ჩნდება შეხემურზაც (ბქ., სვან ქრესტ., 1978: 167-168)

უშვილო ცოლ-ქმარი შეიძლება გავიგოთ, როგორც სიმბოლო ხალხის ლოდიანის, მოლოდიანისა და რწმენისა.

ღმერთი – მოწყალე, მაგრამ უჩვეულო გზებით მოქმედი ზეციური ძალა.

მტრედი – შუამავალი ცასა და მიწას შორის (ზოგადადაც ქრისტიანულ სიმბოლიკაში მშვიდობისა და ღვთაებრივი შეტყობინების მაუწყებელია).

თილისმა – წმინდა საგანი, რომელიც მატერიალურ ფორმას იღებს, მაგრამ ზებუნებრივ ძალას ატარებს.

შეხემურზა – სასწაულოთი შობილი ვაჟი.

ღმერთის დახმარება **თილისმის** გზით ხაზს უსვამს რწმენის ძალას. დახმარებაც არ აყოვნებს, თუკი ადამიანები ღვთის წინაშე

გულწრფელად იხსენებან (წისქვილი ცვილის დაწვა შეიძლება აღ-
ვიქვით როგორც მსხვერპლის მცირე ფორმა – სიმბოლურად).

წმინდა წყალი ქრისტიანობაში განწმენდისა და სიცოცხლის
წყაროა - აქ იგი „სასწაულის მატარებელია“. წყლის დაღევა არა მარ-
ტო ფიზიკურ შედეგს იძლევა, არამედ სულიერ განკურნებასაც გუ-
ლისხმობს.

ზღაპარში „**ზღაპარი ქრისტეზე**“ უშვილო ქალი ტირის მანამ,
სანამ **იესო ქრისტე** საკუთარი ფეხით არ მიაკითხავს მწუხარების მი-
ზეხის გასაგებად. ქრისტე ურჩევს მას თეთრი, მჟავე წყლის დაღევას
და ჰპირდება რომ ვაჟი შეეძინება, რომელსაც ქრისტემა უნდა დაარ-
ქვას და მონათვლითაც თავად უნდა მოანათვლინოს. ქალს იესო
ქრისტეს დანაპირები აუხდება და თავადაც დარიგებისამებრ იქცევა
(ბქ., სეა, უიცა, 403)

ამ ზღაპარში **იესო ქრისტეს** ზებუნებრივი როლი და ფოლ-
კლორული ფუნქცია კარგად ჩანს – მისი სახე გაპიროვნებულია და
გვევლინება შემწედ და სასწაულმოქმედად, რომელიც უშვილო
ქალს რეალურ დახმარებას სთავაზობს და სურვილს უსრულებს. მო-
ნათვლის ხილული კავშირი და სახელის - ქრისტეშას მიცემა ვაჟის-
თვის განაპირობებს მთავარი გმირის პირად კავშირს ქრისტესთან,
რაც წინაპირობაა მის მიერ ყველა დაბრკოლების გადალახვისა.

ის, რომ ქრისტე უშვილო ქალს თეთრი მჟავე წყლის დაღევას
ურჩევს, შემთხვევითი არაა – წყალი აქ ასრულებს სიწმინდის, გან-
წმენდისა და სიცოცხლის საწყისის ფუნქციას.

„თეთრი მჟავე წყალი“ იესო ქრისტეს მითითებით ნაყოფიერე-
ბის სიმბოლოა, რომლის დაღევა არა მხოლოდ ფიზიკურ შედეგს,
არამედ ზეციური ნათესაობის დასაბამსაც ნიშნავს.

ზღაპარი „**წმინდა გიორგის შვილი**“ მოგვითხრობს თუ როგორ
შეერგევა კოშკში გამომწყვდეულ მზეთუნახავს წმინდა გიორგი და
დააფხვმძიმებს. მამა მზეთუნახავს ისე შორს წააყვანინებს, სახლში
რომ ვერ დაბრუნდეს. მზეთუნახავს ვაჟი შეეძინება, რომელიც ძალი-
ან სწრაფად იზრდება. შემდეგ, ამ გოგოს დევი შეერგევა, რომელიც
ვაჟის თავიდან მოშორების მიზნით დედას ურჩევს თავი მოიავად-
მყოფოს და შვილს წყლის მოსატანად გააგზავნინებს. მეორედ, წმინ-
და გიორგის წყლის მოტანის ეპიზოდში ვხედავთ, სადაც ის ჩაძინე-
ბულ ვაჟს აღებული წყლის ნაცვლად სხვა წყლით შეუცვლის. მთავა-

რი გმირი, მრავალი განსაცდელის შემდეგ ახერხებს დედასა და დეე-ზე შურისძიებას (ბქ., სვან. ქრესტ., 1978:217-218)

წმინდა გიორგის მიერ მზეთუნახავის დაფეხმძიმებით (მოულოდნელი და უჩვეულო ფოლკლორული მოტივი) შვილზეა გადანაწილი ზებუნებრივი ნიჭი – სწრაფი ზრდა, სიძლიერე, რაც არ უნდა თანამედროვე მსოფლმხედველობით რთულად საკითხავი იყოს, სვანური მითოსური ლოგიკით წმინდანის შვილად დაბადება გმირის სიძლიერის, ღვთაებრივი კავშირის და მისიის ნიშანია.

წყლის მოტანის მოტივი – ქრისტიანულ ზიარებასთან და განწმენდასთან პარალელები.

რატომ არის წმინდა გიორგი გაღმერთებული და ერთდროულად „ადამიანური“ ფიგურა? სავარაუდოა, რომ ეს განპირობებულია სინკრეტიზმით – წარმართობისა და ქრისტიანობის შერწყმით:

სვანეთში (და ზოგადად მთაში), ქრისტიანობა შერეულია ძველ რწმენებთან, ამიტომ წმინდანები ხანდახან როგორც ღვთაებები და ადამიანები, ისე წარმოგვიდგებიან.

ისინი არამარტო მლოცველის შემწეებად გვევლინებიან, არამედ მოქმედი გმირებივით ჩნდებიან – შეუძლიათ სიბრაზე დაავლენენ კიდეც წყენას და ა.შ.

წმინდა გიორგის გაპიროვნება და შვილის ყოლა აქ შეიძლება ნიშნავდეს არა წმინდანის დაკნინებას, არამედ მისი ძალის გადმოცემის მითოსურ ფორმას, როგორც იყო ძველ ღმერთებთან – ზევსი, მზის ღვთაებები და სხვა.

წმინდანისაგან ბავშვის გაჩენა განაპირობებს მთავარ მოვლენას, რომ გმირს გადაეცემა „ღვთიური ძალა“, რაც სჭირდება მომდევნო სიუჟეტური ბრძოლებისთვის.

მზეთუნახავი, რომელმაც წმინდანთან იქონია კავშირი, განიდევნება – ასახავს ტრადიციულ საზოგადოების სტრუქტურას, სადაც ქალი „დანაშაულისთვის“ განიდევნება, თუნდაც ეს იყოს ზებუნებრივ ძალასთან კონტაქტი, რაც არის ფემინური ფიგურის განდევნა და ქალის „დასჯა“.

რაც შეეხება გმირს, მისი სიძლიერე – წმინდანის შვილი როგორც არქეტიპი – გმირი სწრაფად იზრდება (როგორც ხშირად მითებშია – ჰერაკლე და სხვა გმირები); ფლობს ზებუნებრივ ძალას; სა-

ბოლოოდ შურისძიებით აღადგენს სამართლიანობას – ტრადიციული ეპოსური ციკლის დამახასიათებელი ელემენტი.

ბესარიონ ნიჟარაძესთან შევხდებით პატარა თქმულებას „**ღვთის მშობლისა და მდევის ჩხუბი**“, რომელიც მოგვითხრობს „მდევის“ სიყვარულზე „ღვთის მშობლის“ მიმართ. მას შემდეგ, რაც მდევა უარი მიიღო ლამარიასგან (ღვთისმშობლისგან), მისი ძალით დამორჩილება გადაწყვიტა: ენგურის ხეობაში ვიწრო ადგილი ს. კალასა და უშკულს შუა ქვითკირით ამოაშენა, რომ მდ. ენგურს დინება შეეწყვიტა. წყალი დაგუბდა, უშკულამდის აიწია და დაფარა ვაკე ადგილები. ამან ლამარია გააბრაზა და ვერძი გამოუშვა, რომელსაც კალის ლეგურკამ (წმინდა კვირიკემ) თავისი ვერძიც მიაშველა. ორმა ვერძმა კი ქვითკირი ადვილად გაანგრია. სვანები ახლაც უჩვენებენ ამ კვითკირის ნაშენებს (ნიჟარაძე, 1913: 35).

რელიგიური პერსონაჟების გადმოსახედიდან

ღვთისმშობელი (ლამარია): წარმოდგენილია როგორც ღვთაებრივი და წმინდა ქალური არსება – შეუვალი, პატივის ღირსი და არაკომპრომისული. მის მიმართ სიყვარულის წარუმატებელი გამოხატვა, და მით უმეტეს, მისი ძალით დამორჩილების მცდელობა, აღიქმება როგორც ღვთის შეურაცხყოფა.

მდევი – ბოროტი ძალა ან ბუნების ძალა, რომელიც ცდილობს ძალის გამოყენებით სიყვარულის მიღებას – მის ქმედებას ლამარია აღიქვამს როგორც უზენაესი წესრიგის დარღვევას.

წმინდა კვირიკე და მისი ვერძი – მოქმედებენ როგორც ლამარიას დამცველები, რაც აჩვენებს წმინდანების ერთიანობას და ზეციური წესრიგის ძალას.

წყლის გაჩერება და დაგუბება: **ენგურის წყლის დინების შეჩერება** – ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა.

მდინარის დაჭერა ქვითკირით შეიძლება განიმარტოს როგორც ბუნებრივ პროცესებში ხელოვნურად ჩარევის ძალადობრივი მცდელობა, რაც **ღვთაებრივ წესრიგს** ეწინააღმდეგება.

ვერძების გამოსვლა: კალის ლეგურკას (წმინდა კვირიკეს) ვერძის ჩართვა ხაზს უსვამს ზეციური ძალების სოლიდარობას და ერთიან ძალად ქცევას ბოროტის წინააღმდეგ.

გვხვდება ამ თქმულების ოდნავ განსხვავებული ვერსიაც: ლამარიას შეცდენა ჯგრაგს (წმინდა გიორგის) განუზრახავს, მაგრამ ლა-

მარიას უარი უთქვამს. გაბრაზებულ ჯგერაგს დევისთვის უთხოვია უშგულსა და კალას შუა გაეშენებინა ისეთი კლდე, რომელიც დააგუბებდა ენგურს და ამით უშგულელებს ამოახრჩობდა. ლამარიას დახმარება დიდი ღმერთისთვის (ხოშა ღერმერთ) უთხოვია, რომელსაც ვერძი გამოუშვია საშველად და კლდე მას გაუნგრევია.

ზღაპარში „**ქალბატონი**“ მთავარ გმირს ძმა დაელუპება ნადირობისას, ცოლი ურჩევს დამწუხრებულ ქმარს, რომ დაუდარაჯდეს მღვდლის პირის დაბანას და ის პირსახოცი, რომლითაც მღვდელი პირს გაიმშრალებს, მკვდარს მოუსვას სახეზე გასაცოცხლებლად (ბზ., სვან. ქრესტ., 1978:161-162).

სვანურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება რწმენა, რომ სასულიერო პირის მიერ გამოყენებულ ნივთს შეუძლია სასწაული – განსაკუთრებით მკვდრის გაცოცხლება, დაავადების განკურნება ან ზედის შეცვლა. ამ შემთხვევაში პირსახოცი ხდება თილისმა, რომელიც ეხმარება გმირს მკვდრის გაცოცხლებაში და აღიქმება, როგორც ღმერთთან კავშირის მატარებელი.

რელიგიური ელემენტები არამარტო თაყვანისცემის საგანია, არამედ მოქმედი ძალა, რომელიც ადამიანის ყოფით პრობლემებზე რეაგირებს, როგორც ეს ძმის გაცოცხლების სურვილში ჩანს.

„**ღარიბი კაცის ექიმობაში**“ იესო-ქრისტე უცნობის სახით ჩნდება, რომელიც ღარიბ კაცს გამდიდრებისა და გაკეთილშობილების შანსს აძლევს, თუმცა ხარბი და მატყუარა „ექიმი“ ვერ უძლებს მორალურ გამოცდას (ნაშოვნ ფულს არ სჯერდება, იესოს პურს მოპარავს და ჩუმად შეუჭამს, გასამრჯელოსაც მეტს მოითხოვს) და იესო ქრისტე მას ისევ გაადარბიებს.

ქრისტე აღარ არის მხოლოდ შემწე და სასწაულმოქმედი, როგორც სხვა ზღაპრებში, არამედ იგი მსაჯულია, განსჯის და რეაგირებს ადამიანურ გადაცდომებზე.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურ კულტურაში რელიგიური ფიგურები ხშირად იძენენ ფოლკლორულ ფუნქციას – **წმინდა გიორგი, ქრისტე, ღვთისმშობელი** ან **მამა ღმერთი** არ გვევლინებიან მხოლოდ თაყვანისცემის ობიექტებად, არამედ ხდებიან პიროვნული ურთიერთობის მექანე, რეალური ძალის მატარებელი პერსონაჟები, რომელთა არსებობა ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. შედეგად, ქრისტიანული პერსონაჟები ხალხური წარმოდგენებით

ხდებიან ფიზიკურად მოქმედი, ადამიანური ფიგურები, რომლებიც არ კარგავენ სიწმინდეს, მაგრამ ხდებიან უფრო ახლობელი და ხელშესახები. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი არ არის მხოლოდ შორეული და მიუწვდომელი, არამედ ადამიანის მფარველი, თანამგრძნობი, თანასწორი თანამოსაუბრე, ვისაც შეუძლია დახმარება, ჩარევა, მითითება, ან შექება/დასჯაც კი.

გამოყენებული ლიტერატურა

ნიჟარაძე 1913 – ბესარიონ ნიჟარაძე, „ძველი საქართველო, ტომი II, თბილისი.

სეა უიგა 1922 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ანაწ. 1., N 403.

სვანური ენის ქრესტომათია 1978 – ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ ა. შანიძის და მ. ქალდანის რედაქციით. თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები 1939 – ბალსზემოური კილო, ტ. I. ტექსტები შეკრიბეს აკაკი შანიძემ და ვარლამ თოფურიამ. თბილისი.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

კერვასთან დაკავშირებული (მეგრული ჭალა „კერვა“) სიტყვის სემანტიკური ცვლილებები

კერვასთან დაკავშირებულ ლექსიკაში გამოიყოფა როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული სიტყვები. მოხსენებაში განხილულია ზოგადი ტერმინი **ჭალა** (ჭ-ალ-ა). **ღართი დო ახალუხიში ჭალა ხვალე თის უჩქუ** „ჩოხა-ახალუხის შეკერვა მარტო მან იცის“ (ქაჯია 2002; ქობალია 2010).

ფუძეში გამოიყოფა ჭ- მირი, რომელიც საერთოა ლაზურთან,

ქართულში შესატყვისი ძირი არ ჩანს: **ჰან. დო-ჰ-უ** „შეკერა“: მეგრ. დო-ჰ-უ „შეკერა“ (ჩიქობავა 2008, 389).

ზოგადი ტერმინიდან ნაწარმოები მასალა ვრცლად არის წარმოდგენილი მეგრულში, რომლის წყაროს წარმოადგენს ლექსიკონები და სამეცნიერო ნაშრომები, ნაწილი კი მოპოვებულია ველზე მუშაობისას.

გამოვლინდა **ჰალა** ფუძიდან ზმნისწინების მეშვეობით ნაწარმოები კერვის აღმნიშვნელი სხვადასხვა ნიუანსის გამომხატველი სიტყვები. კერძოდ:

ათოჰალა (ათო-ჰალ-ა) „ქვეშ, ქვემოდან მიკერება“. **ათაჰანს** (ათა-ჰან-ს) || **ქათაჰანს** (ქათა-ჰან-ს) „ქვეშ, ქვემოდან მიაკერებს“; შდრ. ქართ. **ამოკერება** – ლანჩის ამოკერება;

აკოჰალა (აკო-ჰალ-ა) || **იკოჰალა** (იკო-ჰ-ალ-ა) „შეკერვა, ამოკერვა, ერთმანეთზე მიკერება“; **აკოჰან-ს** (აკო-ჰან-ს) „შეკერავს, ამოკერავს, ერთმანეთზე მიაკერებს“. შდრ. ქართ. **ამოკერვა** – სახელდახელოდ გაკერვა;

აშაჰალა (აშა-ჰალ-ა) „ჩაკერება (შუაში)“, „ორ ნაწილს შორის კერვით ჩამაგრება“; **ქაშაჰან-ს** (ქაშა-ჰან-ს) || **ქეშაჰან-ს** (ქეშა-ჰან-ს) „ჩაკერებს (შუაში), „ორ ნაწილს შორის რამეს კერვით ჩამაგრებს“. შდრ. ქართ. **ჩაკერებს**;

აწოჰალა (აწო-ჰალ-ა) „წინ მიკერება, კალთაში ჩადება და ისე კერვა“; **აწაჰან-ს** (აწა-ჰან-ს) || **ქაწაჰან-ს** (ქაწა-ჰან-ს) „წინ მიაკერებს, კალთაში უდევს რაღაც და ისე კერავს/შეკერავს“. შდრ. ქართ. **მიკერება**;

გეჰალა (გე-ჰალ-ა) 1) „დაკერება“; 2) ამოკემსვა (ქსოვილის, ზონრის, თასმის, ღილის, სამოსლის რომელიმე ნაწილის ან რამე მოსართავის), **ქიგიოჰან-ს** (ქიგი-ო-ჰან-ს) „ქსოვილს, ზონარს, თასმას, ღილს, სამოსლის რომელიმე ნაწილს ან რამე მოსართავს დააკერებს“. შდრ. ქართ. 1) **მიკერება** – კერვით მიმაგრება – ღილების მიკერება, სახელოების მიკერება; 2) დაკემსვა (გურ.) კემსით (დიდი მახათით) გაკერვა (ქეგლი);

გილაჰალა (გილა-ჰალ-ა) „დაკერება (მხრებზე), შესაკერი მასალის რამეზე ჩამოდებით კერვა. **გილეჰან-ს** (გილე-ჰან-ს) || **ქიგლეჰან-ს** (ქიგლე-ჰან-ს) || **გილაჰან-ს** (გილა-ჰან-ს) „მხრებზე დაიკერებს“, შესაკერი მასალა რამეზეა ჩამოდებული და ისე კერავს;

გიშაჰალა (გიშა-ჰალ-ა) || **გეშაჰალა** (გეშა-ჰალ-ა) „გამოკერვა, ძველმანებისაგან შეკერვა“. **გიშაჰან-ს** (გიშა-ჰან-ს) || **გეშაჰან-ს** (გეშა-ჰან-ს) „გამოკერავს, ძველმანებისაგან შეკერავს“. შდრ. ქართ. **გამოკერვა**;

გინოჰალა (გინო-ჰალ-ა) „გადაკერება (საყელოსი, ბოლოკაბის ან შარვლის სათავის), გადაკვრა ქსოვილით“, **ქიგნაჰან-ს** (ქიგნა-ჰან-ს) // **გეგნოჰან-ს** (გეგნო-ჰან-ს) „გადააკერებს, გადააკრავს ქსოვილით“. შდრ. ქართ. **გადაკერება** „კერვითერთმანეთზეგადაბმა“.

გოჰალა (გო-ჰალ-ა) „გაკერვა, გარშემო შეკერვა, ტანზეშემოკერვა“. **გოჰან-ს** (გო-ჰან-ს) „გაკერავს, გარშემო შეკერავს, ტანზე შემოაკერებს“. შდრ ქართ. **შემოკერვა** – ნემსითა და ძაფით ირგვლივ კერვა, კერვით შემოვლა;

გითოჰალა (გითო-ჰალ-ა) **გუთოჰალა** || (გუთო-ჰალ-ა) || **გვთოჰალა** (გვთო-ჰალ-ა) „ქვეშ მიკერება, რამის ქვეშ (ხის ან გადახურულის) მყოფის კერვა“. **გითაჰან-ს** (გითა-ჰან-ს) || **გუთაჰან-ს** (გუთა-ჰან-ს) „ქვეშ მიაკერებს, რამის ქვეშ მყოფი კერავს“;

დინოჰალა (დინო-ჰალ-ა) „ჩაკერება, კერვით ჩამაგრება“. **დინაჰან-ს** (დინა-ჰან-ს) „ჩაკერებს, კერვით ჩამაგრებს“. შდრ. ამავე მნიშვნელობით ქართ. **ჩაკერება**;

ეკოჰალა (ეკო-ჰალ-ა) „უკან მიკერება“. ეს ფორმა ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ. **ეკაჰან-ს** (ეკა-ჰან-ს) „უკან მიაკერებს, დაუროთავს“. შდრ. ქართ. **მიკერება**;

ელაჰალა (ელა-ჰალ-ა) „ამოკერვა, გვერდების მიკერება, გაკერვა“. ამ განმარტებას შეიძლება დაემატოს მნიშვნელობა „უფულოდ კერვა“. **ელაჰან-ს** (ელა-ჰან-ს) || **გელაჰან-ს** (გელა-ჰან-ს) „ამოკერავს, უფულოდ შეკერავს“. შდრ. მეგრ. **ოფურიათ ჰალა** „უფულოდ კერვა“;

ინოჰალა (ინო-ჰალ-ა) იგივეა, რაც **დინოჰალა**. **ინაჰან-ს** (ინა-ჰან-ს) || **ქინაჰან-ს** (ქინა-ჰან-ს) „ჩაკერებს, კერვით ჩამაგრებს“. შდრ. ამავე მნიშვნელობის ქართ. **ჩაკერება**;

მეჰალა(მე-ჰალ-ა) „მიკერება, კერვით მიმატება“. **მიოჰან-ს** (მიო-ჰან-ს) || **ქიმიოჰან-ს** (ქიმიო-ჰან-ს) „მიაკერებს, კერვით რაღაც ნაწილს მიამატებს“. შდრ. ქართ. **მიკერება**;

მიკოჰალა (მიკო-ჰალ-ა) „მიკერება (ჯიბის ან რამისა)“. **მიკაჰან-ს** (მიკა-ჰან-ს) „აკერებს, მიაკერებს (ჯიბეს ან სხვა რამეს)“. შდრ. ქართ. **მიკერება**;

მიშაჭალა (მიშა-ჭალ-ა) იგივეა, რაც **აშაჭალა**. **მიშაჭან-ს** (მიშა-ჭან-ს) „ჩააკერებს, ორ ნაწილს შორის რამეს კერვით ჩაამაგრებს“. შდრ. ქართ. **ჩაკერება**;

მოჭალა (მო-ჭალ-ა) „მოკერება, თავის, ბოლოსმოკერვა, ბოლოების ერთმანეთზე მიკერება“. **მოჭან-ს** (მო-ჭან-ს) „მოკერავს, თავს, ბოლოს მოკერავს, ბოლოებს ერთმანეთს მიაკერებს“. შდრ. ქართ. **მოკერვა**;

წიმოჭალა (წიმო-ჭალ-ა) || **წემოჭალა** || წემო-ჭალ-ა) „კერვით წამატება, მიკერება“. ეს ფორმა ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ. **წიმოჭუ** (წიმო-ჭ-უ) || **წემოჭუ** (წემო-ჭ-უ) „კერვით წაამატა, მიაკერა“. შდრ. ამავე მნიშვნელობის ქართ. **წაკერება**.

მეგრ. **ჭალა** ფუძიდან ზმნისწინების მეშვეობით ოცამდე ახალი ფორმა იწარმოა, რომელიც კერვის სხვადასვა ნიუანსს გამოხატავს. მათი უმეტესობა სემანტიკურად საერთოა ქართულთან. მასალის შევსება შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი 2015 – წინდებულები ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, თბილისი.

ჩიქობავა 2008 – არნოლდ ჩიქობავა, შრომები IV, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 3, თბილისი.

ქობალაია 2010 – ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

Ice.tsu.ge– ლექსიკონები.

ნ ა ნ ა ზ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი

პიროვნების სახელი, მეტსახელი და პერსონაჟის სახელი

ადამიანისათვის სახელის დარქმევა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგანაც სწორედ სახელის დარქმევით იწყება მისი, როგორც პიროვნების, დამკვიდრება საზოგადოებაში. ახალშობილისათვის სახელის შერჩევის მამოტივირებელი წყარო შეიძლება გახდეს წინაპრის სახელი, საეკლესიო კალენდარში წარმოდგენილი ონიმი, სიმპათია ამა თუ იმ კონკრეტული ანთროპონიმის მიმართ და ა.შ. სახელმდებელი წინასწარ ვერ განსაზღვრავს, როგორი გაიზრდება ბავშვი და რომელი ონიმი იქნება მისთვის უფრო შესაფერისი. აქედან გამომდინარე, დარქმეული ანთროპონიმი შესაძლოა სრულიად აცდენილი იყოს კონკრეტული ადამიანის ფიზიკური და სულიერი მახასიათებლებისგან. მაგალითად, გავიხსენოთ **ტარიელ** ჭანტურიას იუმორნარევი სიტყვები: „ადამიანი ვიდრე ოცი წლისა არ გახდება, სახელი არ უნდა დაარქვას... ახალდაბადებული იმხელა ვყოფილვარ, დარწმუნებულნი იყვნენ, გოლიათი გავიზრდებოდი. და სხვა ვინ გაახსენდებოდათ მის შემხედვარეთ, თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ გმირი“ (ჩხეიძე 2016, გვ. 56), მაგრამ ტანად პატარა კაცი გამოვიდა პოეტი... ამრიგად, ანთროპონიმთა შერჩევა არაა მარტივი საკითხი.

ესა თუ ის საკუთარი სახელი გარკვეული ისტორიის მატარებელია, შესაბამისად, თითოეულმა პიროვნებამ მას ანგარიში უნდა გაუწიოს. კახეთში სუფრის წვერისთვის სადღეგრძელოში უთქვამთ: „**თამარს** რომ გარქმევენ, უკვე გავალბენო...” (გოგოლაშვილი 2021-2022, გვ. 15) – ამ სიტყვებით მთქმელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქალს საქართველოს ერთ-ერთი მფესვის სახელი ერქვა, ამიტომაც მას ანგარიში უნდა გაეწია თავისი მოსახელე წინაპრისთვის. მოვიხმობთ მეორე შემთხვევასაც, **თორნიკე ერისთავი**, XX საუკუნის პოეტი, იტყვის: „გვარსა და სახელს, როგორც სასჯელს, ისე განვიცდი“ (თავბერიძე 2024, გვ. 22). რაჭის ერისთავის ოჯახში ვაჟი გაჩნდა და მას თორნიკე დაარქვეს, ამით პატივისცემა გამოხატეს წინაპრის მიმართ და ამ სახელ-გვარს მეორედ მისცეს სიცოცხლის შესაძლებლობა, მაგ-

რამ თავად მოცემული სახელის მატარებელი პიროვნებისთვის მძიმე აღმოჩნდა ამ ანთროპონიმის ჩრდილში ყოფნა. ისტორიული პირი (თორნიკე ერისთავი) გახდა თანამედროვე პოეტის (თორნიკე ერისთავის) ქცევისა და მოქმედების საზომი. იგი ყოველთვის ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რათა არ შეერცხვინა დიდი წინაპრის სახელი. ამრიგად, ხშირ შემთხვევაში სახელი ადამიანს მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს. გავიხსენოთ „დიდოსტატის მარჯვენა“, მელქისედევ კათალიკოსი გიორგი I-ს შეაგონებდა: „მეფე ხარ და ხამს... მეფე ხარ და გმართებს... მეფე ხარ და გევალება...“ (გამსახურდია 2021, გვ. 91) – ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ ადამიანებს რიგი მიზეზების გამო არ შესწევთ თავისუფლად მოქმედების საშუალება. პოეტს თორნიკე ერისთავი ერქვა და „ევალებოდა“... ქალს თამარი დაარქვეს და „ჰმართებდა“...

აქედან გამომდინარე, ჩნდება შეკითხვა: **რა არის სახელი და რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას, გარდა პიროვნებაზე მითითებისა?** სახელი არაა უბრალოდ სხვა ადამიანთაგან გამოსარჩევი საშუალება, ის დამატებითი ნიუანსის მატარებელიცაა. განმარტებით ლექსიკონში „სახელი“ შემდეგი დეფინიციით გვხვდება — „1. სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ვისმე ან რასმე; რაც ჰქვია, რასაც უწოდებენ ვისმე ან რასმე, — სახელწოდება. ინდივიდს უწოდებენ სხვებისაგან გამოსარჩევად. 2. პატივი, დიდება, პატივისცემა. დაფასება, რეპუტაცია...“ (ქეგლ). როგორც ვხედავთ, „სახელი“ არა მხოლოდ სახელწოდებას, დარქმევას გულისხმობს, არამედ პიროვნების ღირსებასთან, პატივთან გატოლებასაც. ასე რომ, ადამიანი საკუთარ ანთროპონიმს უნდა მოუფრთხილდეს, რადგანაც თავის შერცხვენა სახელის შერცხვენასაც გაუთანაბრდება. რამდენიმე მაგალითი ლიტერატურიდან (ქეკე):

ა) „მისი **სახელი** თინათინ, არს ესე საცოდნარია!“ (შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“);

„სამსჭუალივით ეცა გულზე ეს **სახელი** „გირშელი“ (ვ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენა“);

„ჩემი ნამდვილი **სახელი** ზურიკოა“ (ნ. დუმბაძე „მე, ბებიო, ილიკო და ილარიონი“);...

ბ) „ნუმც მოგეშლება **სახელი**, მინამ ხმალი გრტყავ წელზედა (ვაჟა-ფშაველა „გველის მჭამელი“);

„ვის მოგილოცოთ **სახელი**, ვინა ხართ **სახელიანი?**“ (ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“)

„**სახელს** უმატეთ **სახელი** – ძვირფასი საპოვარია“ (ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“);

„სჯობს **სახელისა** მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ (შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“);

„ადრიდა მტერთან ბრძოლაში, სწორების ჯობინობაში, **სახელ ვშაობდით**“ (ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილები“).

ჩამონათვალთა ეს ორი ტიპი ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუ მაგალითთა პირველი ნაწილი ადამიანის იდენტობაზე, მის ვინაობაზე მიუთითებს და კონკრეტულ ანთროპონიმს გულისხმობს, მეორე ნაწილი პიროვნების პატივს, ღირსებას, დიდებას უსვამს ხაზს.

ამგვარი გააზრების გამო სიტყვა „სახელი“ სხვადასხვა კომპოზიციისა და ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ ნაწილად იქცა, მაგალითად:

დადებითი შინაარსის მატარებელი	უარყოფითი შინაარსის მატარებელი
სახელი გაითქვა (სახელგანთქმული)	სახელი გაუტყდა (სახელგატეხილი)
სახელი მოიპოვა	სახელი შეიღახა (სახელშეღახული)
თავი ისახელა	სახელი შეარცხვინა (სახელშერცხვინილი)
სახელი დატოვა	სახელს ჩირქი მოსცხო
სახელი გაუვარდა (სახელგავარდნილი)	სახელგასაქრობი
სახელი მოიხვეჭა (სახელმოხვეჭილი)	სახელგასაწყვეტი
სახელგაუტეხელი	
სახელდაუდებელი (უმაგალითო, აუწერელი)	

ამ მოკლე მსჯელობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელის დარქმევა და მისი ღირსეულად ტარება მეტად საპასუხისმგებლო საკითხია.

საკუთარი სახელი ადამიანს დაბადებიდან ენიჭება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვს სხვადასხვა მიზეზით არქმევენ კონკრეტულ ანთროპონიმს და ეს სახელი შესაძლოა ასაკობრივად შეუსაბამო აღმოჩნდეს ბავშვისთვის, რადგანაც სახელის დარქმევისას არავინ იცის, როგორი გაიზრდება იგი და როგორ ადამიანად ჩამოყალიბდე-

ბა. ამრიგად, **სახელის დარქმევა ადამიანის პიროვნული მახასიათებლების გაუთვალისწინებლად ხდება.**

სახელთან ასაკობრივი შეუსაბამობა საფუძველი ხდება პარალელური სახელების გამოყენებისა, ამიტომაც ბავშვი სანამ გაიზრდება და სახელს „მოიხდენს“, ხშირ შემთხვევაში პარალელური ფორმებით მიმართავენ. ამრიგად, ოფიციალურ სახელთან ერთად დროთა განმავლობაში ადამიანს შეიძლება **არაოფიციალური, შერქმეული სახელი**, ანუ **მეტსახელი** შეერქვას. მეტსახელთა ერთი ტიპიდაკავშირებულია ამოსავალი სახელის საყრდენ სეგმენტთან¹ (გიორგი > გიო, გიგო, გიუშა...; მარიამი > მარიკუნა, მარიშკა...; ანა > ანიკო, ანკა...), ხოლო მეორე ტიპს საპასპორტო ონიმთან კავშირი არ აქვს. ასეთი მეტსახელები შეერქმება ქცევა-მოქმედების, გარეგნობის, ხასიათის, წარმომავლობის, პროფესიის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით (მაგ.: ქაჯანა, პატარა კახი). ასე რომ, ერთმანეთისგან განვარჩევთ არაოფიციალურ სახელთა, ანუ მეტსახელთა ორ ტიპს: ა) პარალელურ სახელს (ანიკო, ანუშკი...) და ბ) საკუთრივ მეტსახელს (ქაჯანა, წარბა...).

შესაბამისად, **საკუთარი სახელები შეიძლება დავეყოთ დარქმეულ (ნამდვილ) და შერქმეულ (პარალელური სახელები, მეტსახელები) სახელებად. შერქმეული სახელი** ყალიბდება სხვადასხვა მახასიათებლის გათვალისწინებით, **დარქმეულ სახელში** კი ეს ელემენტები ნიველირებულია.

თუ გავიაზრებთ აქამდე თქმულს, შეიძლება აქ წარმოდგენილი ცნებები და ტერმინები ასე დავალაგოთ (ვითვალისწინებთ ქეგლი-ს განმარტებას):

ა) დარქმევა – ხდება ნამდვილი სახელის;

დარქმეული – რაც დაარქვეს ან დაერქვა.


ბ) შერქმევა – ხდება მეტსახელის, პარალელური სახელის;

შერქმეული – ვისაც შეარქვეს ან შეერქვა, – ვისაც (ზედმეტი) სახელი ეწოდა, დაერქვა;

¹ „ოფიციალური სახელის იმ ნაწილს, რომელიც მონაწილეობს პარალელური ფორმების წარმოქმნაში, ვუწოდებთ **საყრდენ სეგმენტს**“ (შოშიაშვილი 2024, გვ. 88), მაგ.: ან-იკო, ან-უშკი, ან-კა – ამ ფორმებისთვის საყრდენი სეგმენტი „ან“ ბგერათმიმდევრობაა.

მეტსახელი – ზედმეტი, შერქმეული სახელი;

პარალელური სახელი – ერთი ფუძის შემცველი ანთროპონიმები, დარქმეული სახელის ვარიანტი, მაგ.: თამარი > თამ-უნია, თამ-უსია, თამრ-იკო, თამთა....



სახელს არქმევენ არა მხოლოდ რეალურ ადამიანებს, არამედ მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟებსაც. **რად უნდა მივიჩნიოთ პერსონაჟთა სახელები – დარქმეულ თუ შერქმეულ სახელებად?** როგორც აღვნიშნეთ, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი დარქმეულ და შერქმეულ სახელებში არის ის, ითვალისწინებს თუ არა დეპედენტი ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებს სახელის შერჩევისას. როდესაც ნაწარმოებში „იბადება“ პერსონაჟი, ავტორს ის უკვე წარმოდგენილი ჰყავს თავისი ხასიათითა და ქცევა-მანერით. შესაბამისად, ის ტექსტში განყენებულად არ შემოდის. აქედან გამომდინარე, პერსონაჟის სახელი უტოლდება მეტსახელის დარქმევის პრინციპს. როგორც არის მოტივაცია მეტსახელის შერქმევისა, ისეთივეა პერსონაჟთა სახელებისა. ამიტომაც **პერსონიმიზმს (პერსონაჟთა საკუთარ სახელებს), როგორც შერქმეულ სახელებს, ისე განვიხილავთ.**

სახელს მხატვრულ ნაწარმოებში თავისი დატვირთვა აქვს. წარმოვადგენთ რამდენიმე მოსაზრებას, თუ თავად მწერალი როგორ ხედავს, როგორ აფასებს, როგორ განმარტავს პერსონაჟისა და სახელის შესაბამისობას. საინტერესო დაკვირვება აქვს **ოტია იოსელიანს**. იგი ავტობიოგრაფიული ნოველების წიგნის „ჩემი ასავალ-დასავალ-

ლის“ წინასიტყვაობაში წერს: „ყველა მწერალი... თავის ცხოვრებას წერს. ყველა გმირი თვითონაა და ნაწარმოების ავიც და კარგიც მისი განცდილია (სხვანაირად არაფერი გამოვა, თავს ვერავინ გადაახტება)“ (იოსელიანი 2002, გვ. 5). ამ შესავალს „თავის მართლებას“ უწოდებს ავტორი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეალურ ყოფაში „ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი“ — არც სოფელს, არც ქალაქს, არც მდინარეს, არც მთას და არც ადამიანს. ამიტომაც ავტორის მიზანია, ყველაფერს თავისი სახელი უწოდოს. იგი სამყაროს სახელითურთ შეიცნობს და მათ შესაბამის-შესაფერისობას დიდ ყურადღებას აქცევს. ერთი სიტყვით, აღსანიშნი აღმნიშვნელს უნდა შეესაბამებოდეს და, პირიქით, „როგორც აზნაურები იტყვიან იმერეთში, სახელგვარი ტიპს „შემოწკიპილი“ უნდა ჰქონდეს“ (გოგოლაშვილი 2022, გვ. 43).

პირველ რიგში, თავად მოქმედმა პირმა უნდა მოიხდინოს თავისი სახელი, რათა მკითხველის წინაშე არ „შერცხვეს“ და „ნათხოვარივით“ არ დააჩნდეს ონიმი. ასეთი „შერცხვენისაგან“ პერსონაჟი მწერალმა უნდა იხსნას. ავტორები, როგორც ჩანს, დიდხანს ფიქრობენ, რა სახელით „მონათლონ“ თავიანთი ნაწარმოების გმირები. ეს ადვილი პროცესი არ უნდა იყოს. გავიხსენოთ **დავით კლდიაშვილის** შემთხვევა. სერგო კლდიაშვილი გვიყვება, თუ როგორ შეარჩია მწერალმა გვარი მორბელაძე და შემდეგ, როგორ „მოათრია გვარმა სახელი“. ავტორს (დ. კლდიაშვილს) მოთხრობა მთლიანად მოფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ვერ დაეწერა, რადგანაც პერსონაჟს სახელ-გვარი არ გააჩნდა. დ. კლდიაშვილი სოფელში დედასთან იმყოფებოდა, როდესაც სტუმრად ვინმე მორბელაძე სწევდა. აღნიშნულმა გვარმა მწერალში გაოცება გამოიწვია, მიხვდა, რომ მისი მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ამ გვარის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მან ერთი ფონემა შეცვალა და შექმნა ახალი გვარი „მორბელაძე“, გვარმა კი მოათრია სახელიც (გოგოლაშვილი 2019, გვ. 26).

მოქმედი გმირის ხასიათი, თვისებები, გუნება-განწყობა და მსოფლალქმა შეუსაბამო სახელმა შეიძლება დააკნინოს, რასაც მკითხველის დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს ავტორს, „ერთი სიტყვით, სახელი ადამიანს [/პერსონაჟს] უნდა ამშვენებდეს და ადამიანი [/პერსონაჟი] — სახელს“ (ჭუმბურიძე 2003, გვ. 60).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ავტორისთვის სულ ერთი არაა თითოეული სახელი. სახელის დარქმევით მწერალი ასახავს საკუთარ დამოკიდებულებას არა მხოლოდ პერსონაჟის, არამედ სახელის ფენომენის მიმართაც, „შერჩევა სახელისა არავითარ შემთხვევაში არ არის მექანიკური, გაუაზრებელი პროცესი. პირიქით, მწერლები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან პერსონაჟის სახელდების ფაქტს“ (გოდერძიშვილი 2012, გვ. 175).

შეუფერებელი ონიმი თხრობის პროცესს ხელს შეუშლის, ამიტომაც იქამდე უნდა „მოასინჯოს“ ავტორმა ანთროპონიმები მოქმედ გმირებს, სანამ დაძახებულ სახელზე არ მოიხედავენ. მწერალი **თამაზ ხმაღაძე** აღნიშნავს: „როცა პერსონაჟს შენ მიერ დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მოგხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდე, რომ ნათლიად ვერ ივარგე. ამ დროს სახელის გამოცვლა აუცილებელია“ (გოგოლაშვილი, ხმაღაძე 2024, გვ. 75). ალბათ ამ მიდგომით ხელმძღვანელობენ ავტორები, როდესაც პერსონაჟებს არაერთხელ უცვლიან სახელებს. პერსონაჟებზე საუბრისას თ. ხმაღაძე მიუთითებს, რომ ყველაზე მეტად „დროის მკვლელების“ პროტაგონისტმა დემნამ გააწვალა. „ძველი რევოლუციონერივით ოთხჯერ თუ ხუთჯერ გამოიცვალა სახელი“ (გოგოლაშვილი, ხმაღაძე 2024, გვ. 27), საბოლოოდ კი პაპის სახელს (დიმიტრის/დემეტრეს) მიუსადაგა. თუ დემნასთან გარკვეულ მოტივაციას ქმნის მისი წინაპრის დიმიტრის სახელი, დ. კლდიაშვილის მიერ პერსონაჟის სახელების შერქმევის მოტივაცია ჩვენთვის გაუგებარია. ავტორი საჭიროდ მიიჩნევს არჩილ სანებლიძე პლატონ სამანიშვილით შეცვალოს, ბეჟანი – ბეკინად...

ამდენად, მსჯელობიდან გამომდინარე, დავასკვნით, რომ სახელის შერქმევის (დარქმევის) პრინციპებიდან გამომდინარე, პერსონაჟთა სახელები ცალკე ქვეჯგუფად უნდა გამოიყოს მეტსახელთა გვერდით.

გამოყენებული ლიტერატურა

გამსახურდია 2021 – კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა. პალიტრა L.

გოგოლაშვილი 2019 – გ. გოგოლაშვილი, ენა და მწერალი, შვენიებით სახსე ქართული (ფიქრები დავით კლდიაშვილზე), (ტომი I), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

გოგოლაშვილი 2021-2022 – გ. გოგოლაშვილი, დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარების თაობაზე. სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება (ტომი VIII). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გოგოლაშვილი 2022 – გ. გოგოლაშვილი, ენა და მწერალი, რაფერისაა სიტყვა (ტომი VIII). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

გოგოლაშვილი, ხმაღაძე 2024 – გ. გოგოლაშვილი, თ. ხმაღაძე, პერსონაჟს სახელი ამშვენებს, მერიდიანი, თბილისი.

გოდერძიშვილი 2012 – ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, უნივერსალი, თბილისი.

თავბერიძე 2024 – ე. თავბერიძე, თეთრი ცხენი მწვანე მინდორზე, ხომლი ენ.

იოსელიანი 2002 – ო. იოსელიანი, ჩემია სავალ-დასავალი, ბაკმი – ბ. მაცაბერიძის გამომცემლობა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

შოშიაშვილი 2024 – ნ. შოშიაშვილი, პარალელურიანთროპონიმებისფორმოზრივიანალიზი. საენათმეცნიერო ძიებანი, XLV, თბილისი.

ჩხეიძე 2016 – რ. ჩხეიძე, ჟარგონი და მეტსახელები (ენათმეცნიერული ცდა) თბილისი.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ფრაზეოლოგიზმი *ჭორის დედა პოეტური* ინტერპრეტაციით შოთა ნიშნიანძის ბელეტრისტული პოემიდან „წითელი და იისფერი“

შოთა ნიშნიანძის ბელეტრისტული პოემების მხატვრული სამყარო მრავალ საინტერესო საკითხს აერთიანებს, იქნება ეს ისტორიული მოვლენები, ამბები, ფაქტები თუ მათი ინტერპრეტაციები და, რაც უმნიშვნელოვანესია, მათი გადმოცემის ენა – ნაწარმოებთა პოეტური ენის თავისებურებები. საერთოდ, ინტერპრეტაცია, როგორც მხატვრული ხერხი, ამ პოემათა ძირითადი დესკრიფციული მახასიათებელია და მრავალი თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას. ჩვენ ამჯერად ინტერპრეტაციასთან მიმართებით პოეტური ლექსიკოლოგიის რამდენიმე თავისებურებას შევხებით 2019 წელს პოეტის საიუბილეო კრებულში დაბეჭდილი ბელეტრისტული პოემიდან „წითელი და იისფერი“.

პოემის კომპოზიციური ღერძია ოპოზიციურ მიმართებათა ფონზე სამყაროს კონტრასტული სურათის ჩვენება (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მ. ჩაჩანიძე, სამყარო – კონტრასტი და ოპოზიციური წყვილი **წითელი** და **იისფერი** შოთა ნიშნიანძის ამავე სახელწოდების პოემაში; არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXXVI, მასალები, თბ., 2025). შესაბამისად, მთლიანად თხრობა, მსჯელობა კონტრასტულია: ამბები, ეპიზოდები ორი ძირითადი ფლანის – წითელისა და იისფერის – გასწვრივ ჯგუფდება; ამ საბედისწერო ოპოზიციის წარმოჩენას ემსახურება მთელი პოეტურ-ლინგვისტური ძალისხმევა. სწორედ ამიტომ მაქსიმალიზმის ნიშნითაა დაღდასმული პოეტის შედარებები თუ მეტაფორები, კომპოზიტები თუ სინტაგმები; აქ ყველაფერი – კონტრასტით სუნთქვას, წითელი და იისფერი აზროვნებისა და ყოფიერების ორი სიმბოლური პოლუსია. წინააღმდეგობრივია ამ დაპირისპირების საფუძველიც – დროება, დრო-ჟამის მსვლელობა და „ისტორიის მრისხანე წიგნი“:

იცვალა ფერი დედამიწამ,

რუქებსა და გლობუსებზეც აღიბეჭდა ეს ფერისცვალება,

რა თქმა უნდა, ადამიანებზეც.

მიდიოდა ძველი თაობები...

პირტიტველანი ჭადარით იმოსებოდნენ...

ძველ და ახალ თაობას კარგად არ ესმოდა ერთმანეთის... (გვ. 110).

ამბავთა მდინარებაში უმთავრესია გალაკტიონის თემა. აქ არის ამბები ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ჩვეულებრივი თუ სკანდალური ამბები... გალაკტიონის თემას უკავშირდება, უფრო სწორად, ამ თემის ნაწილია მონაკვეთი ფრაზეოლოგიზმით **ჭორის დედა**. ეს ფრაზეოლოგიზმი პოეტური ინტერპრეტაციით პოემაში დამოუკიდებელ პასაჟს ქმნის. ვიდრე უშუალოდ პოემის ტექსტის ამ მონაკვეთს განვიხილავდეთ, საგულისხმოა ქართული აკადემიური ლექსიკოგრაფიის მონაცემები აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმზე; ქეგლის ახალი რედაქციის თანახმად:

◇ **ჭორის დედა** მეჭორე, ჭორიკანა. იმ ჭორის დედას (= ელისაბედს) უნდა ვაყურებიხო, ზედ იმის თვალში უნდა დავბადო რომ... ფეხი გასჭიმოს (მ. ელიოზ.).

(ქეგლი, ტ. III, გვ. 1448).

აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ფრაზეოლოგიზმი ქეგლის I რედაქციაში არაა ასახული, იგი არ გვხვდება დღემდე გამოცემულ სინონიმურ, დიალექტურ და ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებშიც.

პოეტური ინტერპრეტაცია კი გვაცნობს ამ ჭორიკანას, გვეუბნება რომ იგი – **ჭორის დედა** – ჭორის გამავრცელებელი, მითქმა-მოთქმის დიდოსტატი, მოგონილ ამბავთა წარმომშობი, სულაც ჭორის სათავე და საწყისი, პირველწყარო და საფუძველია. ამ ვრცელი ინტერპრეტაციიდან ლამის დეტალურად, დაწვრილებით ვგებულობთ თითქმის ყველაფერს მის შესახებ: სად ცხოვრობს, რას და როგორ საქმიანობას, როგორ გამოიყურება და კიდევ ბევრ რამეს:

ქალაქში ცხოვრობს და მოღვაწეობს ჭორის დედა...

ასთვალა,

ასყურა,

ასპირა ქალბატონი,

ჭორის დედა არისტოკრატია. მანიკურიანი თითებით კეკლუცობს.

მისი ბუდუარებია:

რედაქციები, საპარიკმახეროები, კაბინეტები, სალონები.

სხვათა ცნობისმოყვარეობას მარაოსავით ინიავენს სახეს.

ჭორის დედები ხშირად მამაკაცებიც არიან.

ემშაკმა უწყის, რომელი მეტია ჭორის დედებში –

ქალები თუ მამაკაცები?

ჭორის დედებს ემსახურება ყველა ტელეფონი.

და გადარბის ჩურჩული

ხტუნვა-ხტუნვით,

ასკინკილით,

ცუნცულით,

ძუნძულით,

ლაწლაწით,

კისრისტეხით

კაბინეტიდან კაბინეტში,

რედაქციიდან რედაქციაში,

რესტორნიდან რესტორანში,

ლოჟიდან ლოჟაში,

სახლიდან სახლში,

ქუჩიდან ქუჩაში,

ქალაქიდან ქალაქში!

– ალლო! ალლო!

– ??

– გაიგეთ? გალაკტიონისთვის ლენინის ორდენი მოუპარავთ!

– არ გამაგიჟო!! (ფრუტუნნი...)

– თავი მოგვეჭრა... სკანდალია, სკანდალი!

ვერის ხიდზე ძაღლები ლოკავდნენ თურმე...

– მოგჭამა ჭირი სახალხო პოეტობამ... (ფრუტუნნი. ქირქილი.)

არ ცხრებოდა ტელეფონების წკრიალი...

– ალლო! ალლო! გაიგეთ?

– ლენინის ორდენი?! ციმბირი აქეთ დარჩება...

– მეხინკლეს გაუცვლიდა ერთ ბოთლ არაყში.

(ხითხითი, კუჭკუჭი...)

– ალლო! ალლო! ალლო!

– ხიდიდან გადამხტარა... ვერის ხიდიდან...

ახლა საავადმყოფოშია...
 მრავალტელეფონიან კაბინეტში
 ლენინის უზარმაზარი სურათი ეკიდა.
 კუთხეში მდგარ უზარმაზარ გლობუსზე
 წითელი ლაქა გაჯღიბულიყო ძირმაგარასავით.
 გრძელ, მწვანემაუდიან მაგიდას
 კოპებშეყრილი, ტრაგიკული სახეების მქონე
 ადამიანები უსხდნენ...
 ხან სდუმდნენ, ხან ხელებს ასავსებდნენ... ხან ვიშვიშებ-
 დნენ...
 ყველაზე უფრო სახენაყვავილარი, მელოტი კაცი მძვინვარებდა,
 რომლის სათვალეზეც დროდადრო
 გლობუსის წითელი ანარეკლი დახტოდა.
 – თავი მოგვეჭრა... სად გავამხილოთ...
 ლენინის ორდენის დაკარგვა მსოფლიო სკანდალია,
 მსოფლიო სკანდალი, ამხანაგებო!
 რას იტყვის კრემლი?
 რას იტყვის უცხოეთი?
 მოითხოვდნენ გალაკტიონის საჯარო გასამართლებას...
 სახალხო პოეტის წოდების ჩამორთმევას...
 იმავე სადამოს სათვალისანი –
 (სამგზის ლენინის ორდენის კავალერი)
 შინ ეწვია გუნებაწამხდარ და საგანგებოდ ფხიზელ გალაკტიონს.
 ამბობენ, სტუმარმა პატარა ბავშვივით დატუქსა მასპინძელი
 და ვითომ თავისი სამი ორდენიდან
 ერთი პოეტების მეფეს შესთავაზა დიდსულოვნადო.
 თან სასტიკად გააფრთხილა:
 არსად არასდროს ამ ინციდენტის გამო კრინტი არ დაეძრა.
 – ლენინის ორდენი არ დაკარგულა!
 მრავლისმეტყველი ღიმილით დაასრულა დიდკაცმა დამო-
 ძღვრა.
 – ასე სჯობს!!
 და მართლაც ორდენის დაკარგვის ამბავი
 მორიგ ჭორად მოინათლა... (გვ. 107-109)

საანალიზო ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ პოემის მხატვრული სტრატეგიის ძირითადი კომპონენტი კონტრასტია (ხშირად მძაფრი ირონიით გაჯერებული), სწორედ ამიტომ **ჭორის დედა** მოღვაწეობს და არა საქმიანობს, „ჭორის დედები ხშირად მამაკაცებიც არიან“ და ა. შ. ვფიქრობთ, ეს თვალსაჩინო ამონარიდი პოემის ტექსტიდან საჭირო და საკმარის მასალას გავაწვდის ფრაზეოლოგიზმის შინაარსობრივ მხარეზე. ჩვენი აზრით, ქეგლის ახალ რედაქციაში წარმოდგენილი განმარტება სრულყოფილი იქნება, თუკი მას პირველი მნიშვნელობა (სათავის, საწყისის, წარმომშობის, საფუძვლის მნიშვნელობის შემცველი) დაემატება ♦ **ჭორის დედა** 1. ჭორი, მითქმა-მოთქმის სათავე, საწყისი. 2. მეჭორე, ჭორიკანა. ცხადია, მნიშვნელობები დოკუმენტირდება სათანადო ილუსტრაციების, მათ შორის განხილული პოეტური ინტერპრეტაციიდან (შდრ. **ჭირის დედა** როგორც ქართული ანდაზა გვამცნობს „ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მრთელია“. ჩვეულებრივი ყოველდღიურობიდან ფეხადგმული, მრავალტელეფონიანკაბინეტბმოვლილი და მსოფლიო სკანდალამდე აზიდული ჭორი, კაცმა რომ თქვას, ჭირი უფროა).

ზოგადად, ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ პოემაში მხატვრული კომუნიკაციის ერთობ ეფექტური ხერხია ემოციისა და ინფორმაციის კომპრესიის იმგვარი ფორმა, როგორიცაა ჩანართები, ჩვეულებრივ, ფრჩხილებში: (ფრუტუნი...), (ფრუტუნი... ქირქილი), (ხითხითი... კუჭკუჭი...). ისინი არა მარტო ჭორის ბუნების მრავალმხრივ წარმოჩენას (უკეთ, წარმოხატვას) ემსახურება, არამედ შორეულ ექოდ ეხმიანება, მსუსხავი ირონიითა და ერთგვარი ნიშნისგებით უპასუხებს იმ პერიოდის პრესაში ერთობ მიღებულ თუ დამკვიდრებულ ფორმებს (მაგ., ტაში..., ხანგრძლივი ტაში..., მქუხარე ტაში... და სხვ.). ჭორის წარმოშობისა თუ მომზადების ფონზე ეპოქის ტრაგიზმი იკითხება კონტრასტში **ლენინის ორდენდაკარგული პოეტების მეფე** და **გუნებაწამხდარი და საგანგებოდ ფხიზელი გალაკტიონი**. მრავლისმთქმელია ისიც, რომ „ორდენის დაკარგვის ამბავი მორიგ ჭორად მოინათლა“... თუმცა „ისტორიის მრისხანე წიგნში“ ახალი ფურცლები შრიალებს და განაგრძობს „მოღვაწეობას“, კვლავ ასპარეზზეა **ჭორის დედა** თავისი განუყრელი ატრიბუტებით: ამბობენ..., ვითომ..., თითქოს..., თურმე... და მისთ.

ჩვენი მსჯელობის ობიექტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს მწერლის ენის კვლევის აუცილებლობას, მითუმეტეს, რომ პოეტური ლექსიკოლოგია მხატვრული ენის შესწავლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პოეტური ინტერპრეტაციები დიდწილად განაპირობებს პოეტური ლექსიკოლოგიის შინაარსობრივ მხარეს და განსაზღვრავს კიდევ მის უპირატესობას მხატვრული ენის შესწავლის მრავალგვარ ასპექტთა შორის. მართალია, უმთავრესი მიზეზი ამ უპირატესობის საკუთრივ ლექსიკური სფეროს (როგორც ზოგადად ენობრივი სისტემის, ისე მხატვრული ენის) აქტუალურობა და პოპულარობაა, თუმცა კი ინტერპრეტაციის სათავეცა და სადავეც შემოქმედის ტალანტი და ენობრივი ალღოს ხარისხია.

გამოყენებული ლიტერატურა

შოთა ნიშნაიანიძე 90 2019 – საიუბილეო კრებული, თბილისი.

ქეგელი III, 2015 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

მ ე რ ა ზ ჩ უ ხ უ ა

ერთი მეგრული სიტყვის წარმომავლობისათვის (მათორხი / მათოხ-ი)

მეგრულ ყოფაში დღემდე შემორჩენილი ხელსაწყო **მათორხ-ი** / **მათოხ-ი** არცერთ წყაროში (მათ შორის გამოცემულ ლექსიკონებშიც) არ დასტურდება; არადა, ინსტრუმენტი (მათორხ-ი / მათოხ-ი) სპეციფიკური დანიშნულებისაა და მისი გავლება ნათესის რიგებს შორის ცხენზე შებმით აუცილებელი ხდება სიმინდის სათოხნად წინასწარი დამუშავებისათვის. კერძოდ, **მა-თორხ-ი** / **მა-თოხ-ი** ამუშავებს მიწას და ამის შემდგომ *თოხნის* პროცესი საკმაოდ ადვილი ხდება.

ცხადია, აქ ძირად გამოყოფილი **თორბ-** / **თობ-** კანონზომიერად უკავშირდება ძვ. ქართ. **თოჭ-/თოჭ-ნ-**, **თოჭ-**ი „სათხროლი(ა) ZABCab“ მო-**თოჭ-ნ-**ა, ორ-**თოჭ-**ი, ცულ-**თოჭ-**ი „წისქვილის არქი ZAB“ (საბა), ახ. ქართ. **თობ-**ი, **თობ-ნ-**ა ალომორფებს და იმავე მეგრ.**თორბ-**ი „თოხი“, **თორბ-**უ-ა „თოხნა“ სიტყვების შემცველია, რომელსაც ლაზურში ვიწური **თობ-**ი „თოხი“ შეეფარდება. სემანტიკურად მეგრული **მა-თორბ-**ი / **მა-თობ-**ი ქართული **მე-თოჭ-**ის ექვივალენტი გამოდის.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზით, კიდევ ერთხელ, დასტურდება **თობ-**ის, როგორც სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყო, არქაულობა ქართველურ სინამდვილეში. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ არტეფაქტებში თოხი უძველესი დროიდან ჩანს. ენოლოგიის ხანაში ამ მიზნით ცხოველთა ლულოვან ძვლებს და რქებს იყენებდნენ. ბრინჯაოს პერიოდში კი გაჩნდა ლითონის თოხების ნაირსახეობა. ჩანს, ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში ბრინჯაოს თოხები და სამეურნეო დანიშნულების სეგმენტური იარაღი კოლხეთის სამეფოდან დიდი რაოდენობით გადიოდა აღმოსავლეთ საქართველოში. თოხნა-თოხის კულტურა დამახასიათებელი იყო ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთშიც. ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში ბრინჯაოს *თოხებთან* ერთად ხმარობდნენ რკინის თოხებსაც... ამიტომაც არ არის მოულოდნელი, რომ ქართველურ**თოჭ-/თოჭ-ნ-**ას სათანადო კოგნატები უვლინდება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში.

და თუ ნახურ შესატყვისებში (შდრ. ჩეჩნ. **თურბ-**, ინგუშ. **თუობ-**, წ.-თუშ. **თობ-** / **თეფხ-** (უსრ. ასპ.) „დარტყმა; დაკვრა; ცემა“) ძირითადად *დარტყმის* გაგებაა დამახასიათებელი, **თოჭ-/თოჭ-ნ-**ს ხინალულურში**თაჰ-** „ჭრა; ჩეხვა“ შეეფარდება, თუმცა დარგ. (ჩირ.) **დაჰ-** „დარტყმა“ და არჩ. **დაჰ-,დაჰ-**ე-ქეს„დარტყმა“ ზმნები სემანტიკურად ნახურ ენათა შინაარსს ეხმაურებიან.

პრობლემურია უდიური **დუღ-** „დარტყმა“ ზმნის **ღ-**გახმოვანება; თუ ის ***დუხ-**ისგან მომდინარეობს (ასიმილაციით), მაშინ ფუძედადესტნურში აღსადგენი ხდება ***დუჰ-** არქეტიპი, რომელიც უახლოვდება ნახურ-ქართველურ გახმოვანებას.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებში შესაბამისი კოგნატები კვლევის ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

მეტგვარი სახელების წარმოება კახეთში, სოფელ ქვემო ქედში, მიგრირებულ ფშავლებში

ქართულ სინამდვილეში ჩვეულებრივი ამბავია, როცა ამა თუ იმ საგვარეულოსა თუ ოჯახს ოფიციალურ გვარსახელთან ერთად შერქმეული ჯგუფური მეტსახელითაც მოიხსენებენ. განსხვავებით საპასპორტო გვარსახელისაგან, პიროვნების იდენტიფიკაციისას მას არა აქვს იურიდიული სტატუსი, მაგრამ გარკვეულ სოციუმში ამავე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) იდენტიფიცირების პროცესში ჯგუფურ მეტსახელს გაცილებით მეტი სივცხადე შეაქვს. განსაკუთრებით მაშინ, როცა „მოსახლეობის მჭიდრო თანაცხოვრების პირობებში ანთროპონიმთა დამთხვევის დიდი პროცენტის დროს იქმნება სიტუაცია, როცა ე. წ. საპასპორტო გვარ-სახელი უქმია. იგი ერთბაშად რამდენიმე პიროვნებას მიემართება. ასეთ შემთხვევაში აქტიურად ამოქმედდება პარალელური ანთროპონიმული სისტემა - შტოგვარი, რომლის დართვა ძირითად გვარ-სახელზე აკონტროლებს და აზუსტებს დასახელებულ პირს“ (ფურცხვანიძე 2003, 111). იგი ემსახურება იმას, რომ „დაახასიათოს რაღაც ნიშან-თვისებით, სოციალური თუ ეთნოგრაფიული ყოფის საფუძველზე გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და, ამასთანავე, შეასრულოს მისათითებელი, მაორიენტირებელი ფუნქცია“ (მელიქიძე 2005, 92). ჯგუფური მეტსახელები ისტორიულად საერთო-ქართველური ფენომენია. „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ, საგვარეულო სახელებს გარდა, გვარის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებით სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება ან პაპის მამის ან პაპის სახელისაგან იყო ხოლმე ნაწარმოები... განტოტებას გვარის (ოჯახის) მეთაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უძევს საფუძვლად. გვარის მეტსახელური განტოტება საერთო-ქართველური მოვლენა ყოფილა“ (ღლონტი 1986, 43). გვართან დაკავშირებულ მეტსახელთა შინაარსის გადმოსაცემად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სიტყვა გვხვდება: „გვარის განაყოფთა სახელი“, „შტოგვარი“, „გვარზე მეტი“,

„თიკუნი“, „მისაგნები“, „კილი“, „სახინჯარი“, „ქოხის სახელი“ და ა. შ. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ამ მნიშვნელობას რამდენიმე ტერმინით აღნიშნავენ. გვხვდება „გვარის განაყოფთა სახელები“, „შტოგვარი“, „მეტგვარი“ ან „გვარზე მეტი“, „ოჯახის სახელი“, „მეტსახელი გვარი“. თუმცა, როგორც მიუთითებენ, ისინი შესაძლოა ყოველთვის იდენტური არ იყოს. პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ შტოგვარი“ განიმარტება როგორც „არაოფიციალური ჯგუფური ანთროპონიმი, გვარის განაყოფის (განშტოების) ზედწოდება, ჩვეულებრივ, მომდინარე ეპონიმის სახელისგან ან მეტსახელისგან“ (ცხადაია 1988, 66-67). აქვეა ახსნილი „მეტგვარიც“: „ჯგუფური მეტსახელის სახეობა, გვარის მეტსახელი. დამატებითი არაოფიციალური სახელი, რომელიც ერქმევა ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრებ მთელ გვარს მისი ძირითადი მოსაქმეობის, საერთო ნიშან-თვისების, ეპონიმის ან სხვ. მიხედვით“ (ცხადაია 1988, 128-129). „ოჯახის სახელი“ კი ერთი რომელიმე კომლისთვის შერქმეული მეტსახელია. ს. მელიქიძე „მეტგვარს“ აღჭურავს კიდევ უფრო მეტი ფუნქციით და ამ ტერმინოლოგიური სიჭრელისა და უზუსტობისაგან თავის დასაღწევად გვთავაზობს, რადგან ეს უკანასკნელი „გვარის ან კიდევ საგვარეულოს, შტო-კომლის, ოჯახების, ნათესაობის, სხვადასხვა გვარების, გვარის განაყოფთა“ სახელებს „ერთი ზოგადი მნიშვნელობის ქვეშ გააერთიანებს“ (მელიქიძე 2005, 91). რ. თოფჩიშვილი სამეცნიერო ტერმინოლოგიაში დასამკვიდრებლად დიალექტურ ფორმას („მამიშვილობა“, „განაყრობა“) ანიჭებს უპირატესობას (თოფჩიშვილი 1996, 96).

ენობრივი ფენომენი, რომლის აღსანიშნადაც ჩვენ „მეტგვარ სახელს“ გამოვიყენებთ, შესწავლილი და გამოკვლეულია ქართველური ენებისა და დიალექტების დონეზე. მოცემულია სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი, გამოვლენილია საერთო მოდელეები და დიალექტური თავისებურებანი (ი. ჩანტლაძე, გრ. ბერიძე, ი. მაისურაძე, ალ. ლლონტი, ბ. ჯორბენაძე, ზ. ფურცხვანიძე, მ. კობიაშვილი, ს. მელიქიძე, ლ. კობაიძე, მ. ქუქჩიშვილი, მ. ფაღავა).

ფშაურში (ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად) შტო-გვარის წარმოების ტიპები გამოიკვლია ბ. ჯორბენაძემ (ჯორბენაძე 1993). მეცნიერი ამავე პრობლემას კიდევ ერთხელ შეეხო, როცა შტო-გვარის სახელთა წარმოების ზოგადი პრინციპები ქართველური ენე-

ბის მასშტაბით წარმოადგინა (ჯორბენაძე 1995). აღნიშნული საკითხის შესწავლას დაეთმო მაია კობიაშვილის სადისერტაციო ნაშრომიც „შტო-გვარის აღმნიშვნელი გვარ-სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში“, სადაც ქართული ენის მთის სხვა დიალექტებს შორის ფშაურის არის გაანალიზებული (მ. კობიაშვილი 1995). ზ. ჯორბენაძე ფშაურისათვის შემდეგ სურათს წარმოადგენს: შტო-გვარის სახელების საწარმოებლად გამოყენებულია ძირითადად -ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი. წარმოების ეს ტიპი გვიჩვენებს რამდენიმე მოდიფიკაციას. კერძოდ, ერთ შემთხვევაში -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ მიერთვის ანთროპონიმის ფუძეს (გორილა-ნ-ი, გორილა-თ); მეორე შემთხვევაში -ნ/-თ(ა) დაერთვის -ან, -იან, -ურ სუფიქსებით გართულებულ ფუძეს (ტუხა-ან-ნ-ი, ნანუკ-იან-ნ-ი, ფიცხელა-ურ-ნ-ი; ტუხა-ან-თ, ნანუკ-იან-თ, ფიცხელა-ურ-თ). ავტორი შენიშნავს, რომ ამ ფორმებში -ან და -იან სუფიქსები კრებითობას, ხოლო -ურ წარმომავლობას გადმოსცემს. მაშინ როცა „გორილა-ნ-ი, გორილა-თ“ ტიპის სახელებში -ნ/-თ ბიფუნქციურია და კრებით მრავლობითობას გამოხატავს (ჯორბენაძე 1993, 47). მ. კობიაშვილი შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელებს ჯერ საწარმოებელი ფუძის მიხედვით ალაგებს, მერე კი მათ კლასიფიკაციას მაწარმოებელი სუფიქსების მეშვეობით ახდენს. საწარმოებელი ფუძეთა მიხედვით, მაგალითად, გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს: ა) ოჯახის უფროსი წინაპრის სახელისაგან წარმომდგარი სახელები („გაბრიელთ ნინო იქნება“ (გ. ცოც., 1978, 53,15)); ბ) ფუძე პიროვნების საკუთარი სახელი, ოჯახის უფროსი წევრისადმი ან მთელი ოჯახისადმი შერქმეული მეტსახელია, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს სხვადასხვა პიროვნულ ნიშანთვისებაზე, საოჯახო თუ საგვარეულო საქმიანობასა და თანამდებობაზე, წარმომავლობაზე („ბერაო ჩიად თურქო, გაზდილო ცოდვა-ჭირითა“ (ალ. ოჩ., 1970, 247,25). „ლეკიანთ ბასილი, ბეჟანის შვილი“ (გ. ცოც., 1978, 183,30)); გ) ავტორი ცალკე ჯგუფად წარმოადგენს სახელებს, რომელთა ფუძეც ცხოველის, ფრინველის, მწერის აღმნიშვნელი სიტყვებია („ერთხელის გეგურა ჯორათას მისულა“ (აკ. შან., I, 75, 20)); დ) იშვიათად შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები მიუთითებენ იმ ადგილზე, სადაც ესა თუ ის ოჯახი ბინადრობდა („ვერ გაიგეთა ფშავლებო, მათურელთ ცხენებმ რა ქნესო?“ (აკ. შან., I, 83, 45)). ე) მეტსახელად ზოგჯერ ისეთი საზოგადო სახელი გვხვდება,

რომლის საკუთარ სახელად წარმოდგენა ჭირს (*„ბოსელათი ბაიკა ქირიმთებზედა კივისა“* (ავ. შან., I, 144, 10)). რაც შეეხება მაწარმოებელი სუფიქსის მიხედვით შტო-გვარის სახელთა გადანაწილებას, მ. კობიაშვილი, არსებითად, იმავე ტიპებზე საუბრობს, რომლებსაც ბ. ჯორბენაძესთან გავეცანი. მოგვყავს ავტორის მიერ დამოწმებული მაგალითები: უშუალოდ ანთროპონიმის ფუძეზე დართული -ნ/-თ სუფიქსი (*„ავაქოთენ ბერუანი ჭიას ნაჰამ კბილივითა“* (ავ. შან., I, 124, 30)); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -იან სუფიქსით გართულებულ ფუძეს (*„ე ქუმსიანნი ფულეზ რაშია ჰყრიანო“* (ავ. შან., I, 99, 35)). ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ფშაურში არც თუ იშვიათად გვხვდება ფონეტიკურად გამარტივებული, ერთი ნ-ს ჩავარდნით მიღებული, ფორმები (*პაპიანნი* → *პაპიანი*); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -ან სუფიქსით გართულებულ ფუძეს (*„მა ჩარბოდაანთ დავითსა აქვს მოლაღატე ხმალია“* (გრ. აფშ., 1905, 104, 5)); ავტორი აქვე ადასტურებს *პარალელურ წარმოებას*: „პირველად აი მარტიაანთ ივანე ჩამოსულა, ვილაგეები, ქუმსიანი“ (გ. ცოც., 1978, 190, 5); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -ურ სუფიქსიან გვარებს (*„ახალაურთ ჯღუგასა ნუმცა ჰყოლია ცხვარიო“* (ალ. ოჩ., 1970, 218, 5)).

წინამდებარე კვლევისათვის რელევანტურია იმ მასალის გათვალისწინება, რომელიც გვხვდება XX საუკუნეში სხვადასხვა დროს მოკრებილ დიალექტურ ტექსტებსა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჩანაწერებში (ი. ხორნაული; შ. ძიძიგური; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე; გ. ცოცანიძე; ა. შანიძე; ს. მაკალათია; თ. გოგოლაური). ჩვენი დაკვირვებით, ფშაურში, შტო-გვარის სახელების წარმოების თვალსაზრისით, ამოსავალი ვითარება შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო: შტო-გვარის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია -ნ/-თ ბოლოსართი:

„ჩითილათ ბოიგარაი / გადაიკიდებს ჩარმასა“ (ხორნაული 1949, 106); „მეგრელამ მეგრელათამა / ჯელნ უკვენ გაუკრნისაო“ (ხორნაული 1949, 92); „მე კიდე ლევანს უთხარ დაქუზათასა თოხლი და ქათმებ დაჯოცეო. დატრიალდა ი ბალღიცა“ (ძიძიგური 1956, 154); „გომეწრელი ვაჩუ თიქუა იყო“ (ძიძიგური 1956, 158); „ციხე აქა ზდგომია, აი, ე თურმანაულთ ბინასთანა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, 140); „ერთხელის ჯოროსად კულალადათ გეჯურას რაიმ დაუბრალებავ, ცილ უწამებავ“ (გიგინეიშვილი,

თოფურია, ქავთარაძე 1961, 143); „ხო, რამაზათ დათიკო...პატარა კი იყო დათიკო“ (ცოცანიძე 1978, 125); „კრინწათ ლომია გაგვიხდა წიქათ წიწოლასავითა“ (შანიძე 1984, 110); „სალოცინებლად წამუედ, არტანში თაგვათ ქალთანა“ (შანიძე 1984, 126); „აი იოსებნ რო არიან, ყიდულათ იოსებნი“ (გოგოლაური 2005, 63); „ე ხარანაულთ ლევან იყო აქ მდიდარ კაცი“ (გოგოლაური 2005, 152); „ხურაბთ თამარი და ასლანათ მარიკო საქონში“ (გოგოლაური 2005, 101);

ზემოაღნიშნულ ტექსტებში შედარებით იშვიათია -ან სუფიქსით გართულებული შტო-გვარის სახელები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფშაურში ეს (-ან სუფიქსით გართულება) მეორეული მოვლენა უნდა იყოს. შესაძლოა, პოეზიაში ეს სალექსო საზომით იყოს განპირობებული :

„ან ფოცხვერაანთ ქალები / კარგის ხის ჩანათალია“ (ხორნაული 1949, 149) ; „შენ რაღას ფიქრობ ნეტარა, შე მარტიაანთ თინაო?“ (მაკალათია 1985, 131); „ღვდილიანთ ისრივა ძჰყავისუა / მამუკა ფულის მჭრელიაო“ (გოგოლაური 2005, 91);

საგულისხმოა ისიც, რომ -ან სუფიქსით გართულებული ფორმები ზოგჯერ ისეთ ტექსტში გვხვდება, რომელიც შერეული დიალექტური გარემოდან მომდინარეობს (ფშავლებთან ერთად სხვა დიალექტური წრის წარმომადგენლებიც სახლობენ). მაგალითად, ერთ შემთხვევაში ის ჩაწერილია შირაქში, სოფელ ქვემო ქედში; მეორე შემთხვევაში - სოფელ სონდისველაში (მდებარეობს ხორხის ხეობაში, მთიულეთის არაგვის მარცხენა შენაკადთან):

„ლევკიანთ ბასილი, ბეჟანის შვილი“ (ცოცანიძე 1978, 183); „პირველად აი მარტიაანთ ივანე ჩამოსულა“ (ცოცანიძე 1978, 190); „ათილიაანთ ვასილმა ალექსა საღირთ მართაი“ (გოგოლაური 2005, 208).

ფშაურისათვის კიდევ უფრო ახალია -ებ სუფიქსით შტო-გვარის სახელთა წარმოება:

„მაგას რა გაუხარდება მახაურების გვერდითა“ (შანიძე 1984, 116); „მიგრიალებშიით რო წამოიყვან, ეგრე დაზძუძგავს, რო“ (გოგოლაური 2005, 136).

წარმოდგენილი მასალის ბოლოს საგანგებოდ მოვიტოვეთ ამონარიდი მონოლოგიდან, რომლის მთქმელიც გვიამბობს საკუთა-

რი გვარის წარმოშობის შესახებ, თუ როგორ დაუდო სათავე ახალი გვარის განშტოებას მეტსახელმა (თიკუნმა):

„ჩვენ, შვილო, მგელიაშვილები ვართ. ჩვენ ერთ პაპად გვყოლია. ქურსიკი ექვივნა... ჯმლის ბოლოს დაბლა დაათრევდისო, - იტყოდნ ჩემ ბაღლობაში, - ისეთ დაბალ კაცი ყოფილა. ის ცხვარში დადენილა შირაქ-შირვანშია ჰოდა... იმას თათრებ აძჭურებიან ძალიანა. იმეებს სუყველა უშინებავ, ის კი - ვერა... ი ჯმალს რო ამაილებდა, ჯერ **დაუტუნტურებდა** თათრებსა...მერე ცის დაელნებასავით დაერეოდა... ამაზე იმისთვინ მაუქვივნებავ თიკუნად ტუნტურა და იმის ჩამამავლობაც ტუნტურიშვილებად ვიწერებით“ (მიძიგური 1956, 151).

ამ ფონზე საინტერესოა, რა ვითარებაა ფშავიდან საუკუნეზე მეტი ხნის წინ კახეთში, სოფელ ქვემო ქედში, ჩასახლებული ფშავლების მეტყველებაში. ამ მიზნით მოვაგროვეთ შესაბამისი მასალა ადგილობრივებთან. ვაკვირდებოდით მიგრირებული ფშავლების სამეტყველო ქცევას. ამოგვრიბეთ და დავამუშავეთ ეროვნულ არქივში 1958-1960 წლების აღწერის დროს საკომლო დავთრებით შემონახული ინფორმაცია. შევეცადეთ, თავი მოგვეყარა და შემდეგ ფორმობრივი და შინაარსობრივი კლასიფიკაციის მეშვეობით დაგვედგინა, ქმნიან თუ არა თავისებურ სისტემას ქვემოქედელ ფშავლებში აღნუსხული მეტგვარი სახელები; შეიცვალა თუ არა რამე ამ თვალსაზრისით მეტგვარ სახელთა ტრადიციულ წარმოებაში, რომელიც რელიეფურად მოჩანს გასულ საუკუნეში ფიქსირებულ ტექსტებსა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებში? ეს საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ჩანს პერსპექტივაში, თუკი წარმოდგენილი კვლევის შედეგს შევუდარებთ ფშავლებთან ერთად აქ ჩასახლებული მთიულ-გუდამაყრელებისა და ხევსურების მეტყველებაში ასახულ ვითარებას. ვინაიდან დიალექტთა ურთიერთგავლენის სიღრმე და მასშტაბი მათი კონტაქტის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, თავისთავად საინტერესოა ინტერფერენციის კვალი განსახლების ისეთ არეალში, სადაც საუკუნეზე მეტ ხანს თანაცხოვრობენ მთიულები, ფშავლები, ხევსურები, მოხევეები, ურუმები და მეზობელი აბორიგენი ქიზიყელები.

ქვემოქედელი ფშავლების მეტყველებაში მეტგვარი სახელების ძირითადი მაწარმოებელია -ნ/-თ სუფიქსი, რომელიც უშუა-

ლოდ მიერთვის ანთროპონიმის ფუძეს (რაზიკანი – რაზიკატი). იმავე ფუნქციით იშვიათად გვხვდება -ან ბოლოსართით გართულებული მაწარმოებელი (რაზიკაანი - რაზიკაანთ). თუმცა ამ უკანასკნელში ერთი -ნ დაკარგულია: -ან-ნ → -ან (რაზიკაანი ← რაზიკაანნი). ძველი წარმოების გვერდით უკვე მოჩანს ახალი წარმოება, სადაც -ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი -ებ სუფიქსიანი მრავლობითითაა ჩანაცვლებული. საკომლო დავთრებიდან ამოკრებილ მასალაზე დაყრდნობით შევეცადეთ, სტატისტიკურად გვეჩვენებინა მარტივი (-ნ/-თ-სუფიქსიანი) და რთული (-ან/-ან-თ-სუფიქსიანი) წარმოების თანაფარდობა. მაგალითისათვის დავითვალეთ მხოლოდ გვარებიდან მომდინარე მეტგვარი სახელები. 76 ასეთი სახელიდან დადასტურდა 70 მარტივი (-ნ/-თ-სუფიქსიანი) წარმოების და 6 რთული (-ან/-ან-თ-სუფიქსიანი) წარმოების შემთხვევა:

ბაღიაურნი	(ბაღიაურთ)	<	ბაღიაური
მთვარელანი	(მთვარელათ)	<	მთვარელაშვილი
ბერიკაულნი	(ბერიკაულთ)	<	ბერიკაული
მიგრიაულნი	(მიგრიაულთ)	<	მიგრიაული
ნაყეურნი	(ნაყეურთ)	<	ნაყეური
გოგნელანი	(გოგნელათ)	<	გოგნელაშვილი
ხიზანანი	(ხიზანათ)	<	ხიზანაშვილი
ზარიმენი	(ზარიმეთ)	<	ზარიმე
აპრილანი	(აპრილათ)	<	აპრილაშვილი

თუმცა რთულმაწარმოებლიანი იშვიათი ფორმების გვერდით ოდენ -ნ/-თ სუფიქსიანი წარმოებაც გამოიყენება. საინტერესოა, რომ -ან- სუფიქსიანი მოდიფიკაცია დასტურდება მხოლოდ „შვილ“-ით დასრულებულ გვარებთან:

პაპიანი	(პაპიანთ)	//	პაპიანი	(პაპიათ)	<	პაპიაშვილი
ჩარბოდაანი	(ჩარბოდაანთ)	//	ჩარბოდანი	(ჩარბოდათ)	<	ჩარბოდაშვილი
ხუციაანი	(ხუციაანთ)	//	ხუციაანი	(ხუციათ)	<	ხუციაშვილი
პეტრიაანი	(პეტრიაანთ)	//	პეტრიაანი	(პეტრიათ)	<	პეტრიაშვილი

ახალი ოდენ-ებ-სუფიქსიანი წარმოება იგუა ფშავური გვარსახელების თითქმის ყველა ფორმამ:

ახალაურები	(ახალაურების)	<	ახალაური
ქეშიკაშვილები	(ქეშიკაშვილების)	<	ქეშიკაშვილი
ზარიძეები	(ზარიძეების)	<	ზარიძე

შევეცადეთ, სოფელ ქვემო ქედში ჩასახლებულ ფშაველთა მეტყველებაში საანალიზოდ მონიშნული მეტგვარი სახელები საწარმოებელი ფუძის მიხედვით სემანტიკურ ჯგუფებად გაგვეერთიანებინა.

აღნიშნულ ენობრივ კოლექტივში მეტგვარ სახელთა ყველაზე დიდი ჯგუფი ოჯახის გვარისახელისგან იწარმოება:

ცაბაურანი	(ცაბაურათ)	<	ცაბაურაშვილი
ხეტენი	(ხეტეთ)	<	ხეტეშვილი
ჩობალაურნი	(ჩობალაურთ)	<	ჩობალაური
კარატიელნი	(კარატიელთ)	<	კარატიელი
ღუბიანურნი	(ღუბიანურთ)	<	ღუბიანური
ფადიურანი	(ფადიურათ)	<	ფადიურაშვილი
მახაურნი	(მახაურთ)	<	მახაური
ჯღუთანნი	(ჯღუთათ)	<	ჯღუთაშვილი
დოჯურნი	(დოჯურთ)	<	დოჯურიშვილი
ჩარბოდანი // ჩარ- ბოდანი	(ჩარბდათ // ჩარბოდა- ანთ)	<	ჩარბოდაშვილი
რაზიკანი // რაზი- კანი	(რაზიკათ // რაზიკაანთ)	<	რაზიკაშვილი

დაახლოებით ასეთივე დიდ ჯგუფს ქმნიან ეპონიმური სახელისაგან წარმომდგარი მეტგვარი სახელები. ამგვარ სახელთა ფუძედ მოიაზრება ოჯახის წინაპრის (პაპის, პაპის მამის, პაპის პაპის) ან ოჯახის უფროსის / მამის სახელი. იმ განსხვავებით, რომ თუ წინაპრის სახელით ამ წინაპრის ჩამომავალ რამდენიმე თაობას და, შესაბამისად, რამდენიმე ოჯახს მოიხსენებენ, ოჯახის უფროსის სახელი რომელიმე ცალკეულ კომლს მიემართება. და კიდევ ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა: როცა წინაპრის სახელით ხდება სახელდება (თუკი ამ უკანასკნელმა თავი დაიმკვიდრა და ნომინაციის ობიექტად დარჩა), აღარავინ იკითხავს, „ვინ ხადულათიო?“. მაგრამ პიროვნების იდენტიფიცირებისას ოჯახის უფროსის/მამის სახელმა შეიძლება მხოლოდ პატარა უბანში შეასრულოს თავისი ფუნქცია, რადგან

ცალკეა აღსანიშნი ისეთი შემთხვევები, როცა საარქივო მასალაში არ ჩანს წინაპრის სახელი, თუმცა ოჯახს ამ სახელით იცნობენ. დღეს ჩვენს ინფორმატორებს ხშირ შემთხვევაში ახსოვთ ეს პიროვნება ან სმენიათ მის შესახებ. იშვიათად კი უძნელდებათ პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა ნათესაური კავშირია ოჯახსა და მასთან ასოცირებულ ეპონიმს შორის. მაგალითად, შემდეგ მაგალითებში უცნობია ნათესაური დამოკიდებულების ფორმა, თუმცა, ვიცით, რომ დღესაც ოჯახების წარმომადგენლებს ამ სახელებით („ბზიკურთი“, „ფრუშკათი“, „ჭრულათი“) იხსენიებენ:

ბზიკურნი (ბზიკურთ) < **ბზიკური** (ხუმარაშვილების რამდენიმე ოჯახის წინაპარია, რომელსაც ჯერ კიდევ წინა საუკუნის 10-იან წლებში ჰქონდა დუქანი ქვემო ქედში. მას „დახლინდარ ბზიკურს“ ეძახდნენ.)

ფრუშკანი (ფრუშკათ) < **ფრუშკი** (თეთრაულების ოჯახის წინაპარია. „ფრუშკი“ მამაკაცის სახელი იყო ფშავაში.)

ჭრულნი (ჭრულთ) < **ჭრული** (ნათათრალაშვილების ოჯახის წინაპარია. „ჭრული“ მამაკაცის სახელი იყო ფშავაში.)

მეორე შემთხვევაში დავადგინეთ, რომ **წინწერისა** ნიკოს პაპა ყოფილა. „წინწერისა“ ჩვეულებრივი სახელია და (არა – მეტსახელი):

წინწერისანი (წინწერისათ) < ჯერვალბე ნიკო ხვთისოს ძე (ოჯახ. უფრ.)

შენიშნულია, რომ მთის დიალექტებში „ასეთ შემთხვევაში, განურჩევლად დიალექტისა, გამოყენებულია ძირითადად მამაკაცის სახელები“ (კობიაშვილი 1995, 34). თუმცა, ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ არეალში მეტგვარი სახელის ფუძედ დედაკაცის (ბებო-ის, დედის) სახელის არსებობაც არ არის იშვიათი ფაქტი:

ნათელნი (ნათელთ) < ხუცურაული **ნათელი** გიორგის ასული (ოჯახ. უფრ.)

მინანნი (მინანთ) < ხუცურაული ხვთისო ხახას ძე (ოჯახის უფროსი)

ხუცურაული **მინანი** მგელას ასული (**ცოლი**);

დუდულნი (დუდულთ) < ჩარბოდაშვილი გიორგი ლადოს ძე (ოჯახ. უფრ.)

ჩარბოდაშვილი **დუდული** ბერის ასული (**ბებია**);

ცუკანნი (ცუკანთ) < ბაიაშვილი **ცუკანი** ივანეს ასული (**ოჯახ. უფროსი**);

ბაბონი (ბაბოთ) < ბაინდურაშვილი ვახტანგი ივანეს ძე (**ოჯახ. უფრ.**)

ნაყეური **ბაბო** მიხეილის ასული (**სიდედრი**);

გოგონი (გოგოთ) < ხუცურაული ლევანი მამუკას ძე (**ოჯახ. უფრ.**)

ხუცურაული **გოგო** ნიკოს ასული (**ცოლი**);

ზითუანი (ზითუათ) < მარტიაშვილი **ზითო** კარგოს ასული (**ოჯახ. უფროსი**).

მეტგვარ სახელად გვხვდება ასევე შერქმეული სახელიც, რომელიც შეიძლება იყოს ოჯახის წინაპრის, ოჯახის უფროსის და ზოგჯერ რომელიმე წევრის ზედმეტსახელი. ზედმეტსახელით ნაწარმოები მეტგვარი სახელი საუკეთესო „მისამართის“ ფუნქციას ასრულებს. მეტსახელთა დარქმევის ტრადიცია უძველესი ეპოქებიდან მომდინარეობს... რომელიც ხალხის ალღოიანი დაკვირვების, ცხოველი ფანტაზიის, მისი დალხინება-გაჭირვებისა, თუ მახვილი იუმორისა და პოეტური ნიჭის გამონაშუქია (მაისურაძე 1979, 26-27). აქაც შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა. შესაძლოა მეტგვარი სახელის ფუძედ გამოყენებული იყოს პიროვნების გარეგნული იერ-სახის, ხასიათის ნიშან-თვისებისა და უნარ-შესაძლებლობების აღმნიშვნელი სიტყვები:

ბუდიონნი (ბუდიონთ) < **ბუდიონი** (დენოტატი დიდი წვერებით ჰგავდა ცნობილ რუს მარშალს, სემიონ ბუდიონს.)

კოლოტანი (კოლოტათ) < **კოლოტაი** (დაბალი და მსუქანი კაცი იყო, „კოლოტი“ – ხარის ტყავისაგან დამზადებული ღვინის ჭურჭელი, იტევდა 10-15 ფუტს (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 2011).)

ბურკვანი (ბურკვათ) < **ბურკვაი** (დაბალი და მსუქანი კაცი იყო. „ბურკვი“ – გუნდა (ნეიმანი 1978)).

კიტრიბუღანი (კიტრიბუღათ) < **კიტრიბუღაი** (დაბალი და მსუქანი ყოფილა. „კიტრიბუღა“ – ჯუჯა, მაგრამ ღონიერი“ (შატერაშვილი 2015)).

გმელანი (გმელათ) < **გმელაი** (მაღალი და გამხდარი კაცი ყოფილა.)

თავდიდნი (თავდიდთ) < **თავდიდი** (ამ კაცს დიდი თავი ჰქონდა.)

პოეტანი (პოეტათ) < **პოეტაი** (ფშავლებში გასაკვირი არ არის, ოჯახის რომელიმე წინაპარი მოლექსე რომ ყოფილიყო.)

ბადნიერანი (ბადნიერათ) < **ბადნიერაი** („ბადნიერათ“ ემახიან მთიული წიკლაურების ოჯახს. ეს სახელი ერქვა ოჯახის წინაპარს, სავარაუდოდ, სიტყვის (ბედნიერი) დიალექტური გამოთქმის გამო.)

მალენკოვნი (მალენკოვთ) < **მალენკოვი** (სახელდების ობიექტი მეორე მსოფლიო ომის თავგადასავლებს უყვებოდა თურმე თანასოფლელებს. ალბათ, ფანტაზიამაც არ უღალატა და უთქვამს, მე და მალენკოვი ერთად ვიბრძოდიო. ასე დაერქვა ფშაველ გულიაშვილს „მალენკოვი“. რეალური გიორგი მალენკოვი კი მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო) .

ხისღერმანი (ხისღერმათ) < **ხისღერმაი** (მექანიზატორი ყოფილა. ქვემო ქედის კოლმეურნეობის ტრაქტორი მწყობრიდან გამოსულა, წამყვანი ღერძი გასტყდომია, სათადარიგო ნაწილი არ ჰქონიათ. გამართულა ბჭობა და სოლომანს კოლწევრებისთვის თავისი იდეა გაუმხელია, ღერძი ხისგან გამოვთალოთ და ტრაქტორს ის მოვარგოთო. ამის შემდეგ იდეის ავტორს ენაკვიმატმა ფშავლებმა „ხისღერმაი“ შეარქვეს და დღესაც ამ სახელით იცნობენ ოჯახს.)

მკალავანი (მკალავათ) < **მკალავაი** (მკალავი ძველ საქართველოში ერქვა ხელოსანს, ვინც სპილენძის გახვრეტილ ჭურჭელს არემონტებდა, კალით ფერავდა. ხელობისა და საქმიანობის მიხედვით შერქმეული მეტსახელი მეგონა მეც გვიანობამდე, სანამ მკალავათ ოჯახის წევრისაგან რეალური ამბავი არ მოვისმინე. ჩემი ინფორმატორის პაპა, იმხანად ყმაწვილი ბიჭი, მოჯამაგირედ მდგარა. თურმე სადილზე რომ დაუძახებდნენ, მორიდებული იოსები გვიან მიდიოდა სუფრასთან. საჭმელი გათავებული ხვდებოდა და ქვაბის ძირიდან უწევდა ჩამჩით ნარჩენის ფხეკა. სხვა მოჯამაგირეები, უკვე დანაყრებულები, დასცინოდნენ, მკალავი მოვიდა, ქვაბს მოჰკალავსო. ცოტა ხანში ამ მორიდებულ „მკალავს“ დიდი სანამძლეო მოუგია - უშველებელი ქვა აუწევია. ამის მერე პირში დაცინვას ვინღა შეჰყადრებდა, მაგრამ ახალმა სახელმა საუკუნეს გაუძლო და სოფელში დღესაც ყველამ იცის, ვინ არიან „მკალავანი“).

კიდევ ერთი პატარა ამბავი, რომელიც ამ ამბავში ნახსენები ადამიანებისათვის მეტსახელების შერქმევის მოტივს ააშკარავებს: სოფელში დღესაც „**უშიშათ**“ ეძახიან ფოცხვერაშვილების ორ ოჯახს. „უშიშა“, ალბათ, სახელი იყო ან მეტსახელი. ამ უშიშას შთამომავლები ყოფილან ძმები - ლევანი და ზაქარია. ლევანი, რომელსაც მეტსახელად „**უშიშათ ლომს**“ ეძახდნენ, ქვემო ქედის მამასახლისი ყოფილა. „უშიშათ ლომთან“ მდიდარი მეცხვარე თუშები მოსულან სადაოდ. ლომმა თურმე სახლიდან გამოსვლა დააგვიანა. ამაზე თუშები გაბრაზებულან და ერთ-ერთ მათგანს უშვერი სიტყვებით მოუხსენებია მამასახლისი. ამას შესწრებია მამასახლისის ძმა, „**უშიშათ ზაქარია**“, რომელიც მაღალი და ძლიერი კაცი ყოფილა. ზაქარიას ავცია თუმისთვის საყელოში წაუვლია ხელი და ჰაერში აუწევია.

ჩვენთვის საინტერესო ენობრივი ერთეული შესაძლოა ნომინაციის ობიექტის უწინდელ საცხოვრებელზე ან მის ეთნიკურ წარმომავლობაზე მიუთითებდეს:

ახადელანი (ახადელათ) < **ახადი** (ისტორიული სოფელია უკანაფშავის თემში. 2014 წლის აღწერის მიხედვით, ახადი უკვე ნასოფლარია. „ახადელთ“ ქვემო ქედში ეძახიან ლომნიაშვილების ოჯახს).

ხოშარელნი (ხოშარელთ) < **ხოშარა** (ისტორიული სოფელია უკანაფშავის თემში. 2014 წლის აღწერის მიხედვით, ხოშარაში 4 ადამიანია. დღესაც „ხოშარელთ“ ეძახიან აფშინაშვილების ოჯახებს, რომლებიც ქვემო ქედში ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან ჩასახლებულან.).

ახალჩამოსულანი (ახალჩამოსულთ) < ***ახალჩამოსულაი** (დღესაც „ახალჩამოსულათ“ ეძახიან თანასოფლელები წოწკოლაურების ოჯახს. ალბათ, გვიან ჩამოვიდნენ საცხოვრებლად).

ქვემო ქედში მთიულების პატარა უბანიც არის. აქვეა ხევსურების რამდენიმე ოჯახი. სოფელში დასახლებულა თუშების, მოხევეების, ქსნელების (ქსნის ხეობიდან მიგრირებულთა) და ქიზიყელების თითო-ოროლა კომლიც. ფშაურ გარემოში არაფშაველთა ინტეგრაციას ხელს რომ არაფერი უშლიდა, ამაზე მათთვის შერქმეული ფშაურად გაფორმებული მეტგვარი სახელებიც მიგვანიშნებს. მეტგვარ სახელებში ფუძედ ხან გვარია გამოყენებული, ზოგჯერ - წინაპრის სახელი, ზოგჯერ - შერქმეული სახელი და ხანაც - დენოტატის წარმომავლობა:

აფციაურნი (აფციაურთ) < **აფციაური** ნიკო შიოს ძე (**მთიული**)
გუდანი (გუდათ) < **გუდაშვილი** მართა სიმონის ასული (**მთიული**)

წიკლაურნი (წიკლაურთ) < **წიკლაური** სიმონი ალექსის ძე (**მთიული**)

ქავთარაძენი (ქავთარაძეთ) < **ქავთარაძე** ილიკო ისაკის ძე (**მთიული**)

ბერონი (ბეროთ) < ჩოხელი **ბერო** პატარას ძე (**მთიული**)

ტუჩანი (ტუჩათ) < ბურდული პელო გიორგის ასული (**მთიული**)

ხევსურნი (ხევსურთ) < წიკლაური დავითო სუმბათის ძე (**ხევსური**)

ქორთოშნი (ქორთოშთ) < **ქორთოშიძე** გიგო ლაზარეს ძე (**თუში**)

ელანიძენი (ელანიძეთ) < **ელანიძე** ბაბაღე გიორგის ასული (**თუში**)

იორდანენი (იორდანეთ) < ბერიანიძე **იორდანე** დიმიტრის ძე (**ქსნელი**)

ტუხანი (ტუხათ) < **ტუხაშვილი** მიხეილ სიმონის ძე (**ქიზიყელი**)

ფათალანი (ფათალათ) < **ფათალიშვილი** ამირანი თარიმანის ძე (**ქიზიყელი**).

ცალკე წარმოვადგენთ მთიულებისათვის შერქმეულ მეტგვარ სახელებს, სადაც სახელს ან მეტსახელს -ან სუფიქსით გართულებული მაწარმოებელი დაერთვის. ამგვარი წარმოება (-ან-სუფიქსიანი) ჩვეულებრივია მთიულურ მეტგვარ სახელებში. ჩვენი ვარაუდით, მთიულური ყალიბი გამოიყენეს სოფელში კომპაქტურად მოსახლე მთიულებმა ერთმანეთის სახელებებისათვის. მაგალითად:

ადამაანი (ადამაანთ) < (წიკლაურების რამდენიმე ოჯახს ეძახიან)

მირონაანი (მირონაანთ) < (წიკლაურების რამდენიმე ოჯახს ეძახიან).

რიჟაანი (რიჟაანთ) < **რიჟაი** („рыжа“ – წითური. სავარაუდოდ, წითური თმა-წვერი და სახე ჰქონდა).

ქვემო ქედში ფშავლებს სხვადასხვა დროს შემოუერთდნენ სხვა ეროვნების ოჯახებიც. მათ შორის ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს თურქულენოვანი მართლმადიდებელი ბერძნები (ე.წ. ურუმები) წარმოადგენენ. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალის მიხედვით, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აქ ურუმების 110 კომლს უცხოვრია. შუა სოფელში კომპაქტურად ჩასახლებული ბერძნებისა და ფშავლების 60-წლიანი ჰარმონიული თანაცხოვრების შესახებ დღესაც ბევრს ლაპარაკობენ. მართალია, „პერესტროიკის“ შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ოჯახი შემორჩა სოფელს. თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული გადაევები, აზოვები, გარაქლოვები, მოსიევები, ფილიპოვები, ბოლიევები, აბრამოვები, ზიდიროვები, ფერხანოვები, გრიგორიადისები, ფალუფანოვები და ა.შ. დღესაც არ წყვეტენ სოფელთან კავშირს. საინტერესოა, რომ ქვემოქედელმა ფშავლებმა თანასოფლელი ბერძნებისათვის მეტგვარი სახელების საწარმოებლად თავიანთი ტრადიციული ყალიბის მაგიერ-ებ სუფიქსი გამოყენეს. რომელიმე ცალკეული ბერძენის დასასახელებლად კი მას სახელითა და გვარით მოიხსენებდნენ ადრეც და ახლაც.

სომხების რამდენიმე ოჯახი აქ კიდევ უფრო ადრე მისულა საცხოვრებლად. მაგრამ, ბერძნულისაგან განსხვავებით, მათი მეტგვარი სახელების ჩამოყალიბებაში -ნ/-თ-სუფიქსიანმა წარმოებამ გაიკაფა გზა. მეტგვარი სახელის ფუძედ გამოყენებულია გვარიც და სახელიც:

რაფალიანცნი (რაფალიანცთ) < **რაფალიანცი** ალექსი რაფაელის ძე

საქულანი (საქულათ) < ჯანიევი **საქულა** შაქროს ძე

ბალიშანი (ბალიშათ) < საფაროვი **ბალიშა** ჭავჭავას ძე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ არეალში დასახლებულა მოლდაველების ერთი ოჯახიც. მიგრანტმა ფშავლებმა მათი მეტგვარი სახელისათვის ეთნიკური წარმომავლობის ხალხური მოდიფიკაცია და საკუთარი მაწარმოებელი სუფიქსი გამოიყენეს:

მანდაველნი (მანდაველთ) < გაიდარჯი თევდორე დიმიტრის ძე

შერქმეულ სახელებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებშიც ნომინაციის მოტივი უკვე ბუნდოვანია: „გუზდანელანი – გუზდანე-

ლათი“, „კუზანი – კუზათი“, „ბიკანი – ბიკათი“, „წიწონი – წიწოთი“, „კაპრანანი – კაპრანათი“, „ყებენი – ყებენთი“.

დავასკვნით: საწარმოებელი ფუძის მიხედვით დალაგებულ სემანტიკურ ჯგუფებში გვარისაგან ნაწარმოები მეტგვარი სახელები ჭარბობენ. დაახლოებით ასეთივე მოცულობის ჯგუფს ქმნიან წინაპრის სახელისგან წარმომდგარი მეტგვარი სახელები. ამ უკანასკნელთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ შერქმეული სახელებიც (მეტსახელები/თიკუნები). წარმოდგენილი მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მთიდან სოფელ ქვემო ქედში მიგრირებული ფშავლების მეტყველებაში, არსებითად, ასახულია ის ვითარება, რაც, ზოგადად, ფშაურს ახასიათებდა. სახელდობრ, მეტგვარი სახელების ძირითადი მაწარმოებელია მარტივი -ნ/-თ სუფიქსი. ინოვაციად მიჩნეული მრავლობითობისავე -ებ ბოლოსართი ახალი არ უნდა იყოს მიგრანტი ფშავლების მეტყველებისათვის, რადგან აღნიშნული ელემენტი ზემოთ მოტანილ ფშაურ ფოლკლორულ ტექსტებში უკვე ფიგურირებს (გოგოლაური 2005, 136; შანიძე 1984, 116). -ან (← -ან-ნ) სუფიქსი, რომელიც უძველესი ქართველური წარმომავლობისაა და მისი პირვანდელი ფუნქცია – კრებითობა-კორპორატიულობისა და წარმოშობა-სადაურობის აღნიშვნა იყო (ჯანაშია 1959, 34-47), ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ არეალში საკმაოდ იშვიათია. ჩვენი დაკვირვებით, ამდენადვე იშვიათი უნდა ყოფილიყო იგი, ზოგადად, ფშაურ დიალექტში. რაც შეეხება -იან, -ურ ბოლოსართებს, რომლებიც აღნიშნულ დიალექტში, ასევე, მეტგვარი სახელების მაწარმოებელბადაა მიჩნეული, ჩვენი აზრით, ფშაურში მათ ეს ფუნქცია არც უნდა ჰქონოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე 1972 – გრ. ბერიძე, გვარის განაყოფთა სახელების წარმოება ჯავახურში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, თბილისი.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

გოგოლაური 2005 – თ. გოგოლაური, საუბრები ფშაურ კილოზე, თბილისი.

თოფჩიშვილი 1997 – რ. თოფჩიშვილი, ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი.

კობაიძე 2015 – ლ. კობაიძე, ვალის გვარსახელები, ახალციხე.

კობიაშვილი 1995 – მ. კობიაშვილი, შტო-გვარის აღმნიშვნელი გვარ-სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში (დისერტაცია), თბილისი.

მაისურაძე 1979 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბილისი.

მაკალათია 1985 – ს. მაკალათია, ფშავი, თბილისი.

მელიქიძე 2005 – ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, I, თბილისი.

ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

ფაღავა 2019 – მ. ფაღავა, მეტსახელი გვარები ტაოდან, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ფურცხვანიძე 2003 – ზ. ფურცხვანიძე, ზესარიონ ჯორბენაძეს, თბილისი.

ქუქიშვილი 2016 – მ. ქუქიშვილი, მეტსახელისა და მეტგვარის სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი სამცხურ-ჯავახურში, ქართველური მემკვიდრეობა, XX, ქუთაისი.

ღლონტი 1986 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1984 – ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბილისი.

შატბერაშვილი 2015 – გ. შატბერაშვილი, თვალადური ქართული ჭაშნიკი, თბილისი.

ჩანტლაძე 1967 – ი. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში, მაცნე, №7, თბილისი.

ციხიშვილი 2019 – ნ. ციხიშვილი, მთიულური ტექსტები, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ცოცანიძე 1978 – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი.

ცხადაია 1988 – პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ძიბიგური 1956 – შ. ძიბიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი.

ხორნაული 1949 – ივ. ხორნაული, ფშავ-ხევსურული პოეზია (კრებული შედგენილია ივ. ხორნაულის მიერ), თბილისი.

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, შრომები, III, თბილისი.

ჯორბენაძე 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი.

ჯორბენაძე 1995 – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

სოფიკოჭაავა

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული დიალექტოლოგიური ექსპედიციები 1956 წლის საარქივო მასალების მიხედვით

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისარქივშიდაცულია საარქივო მასალები, რომლებშიც მოცემულია ცნობები 1956 წელს **ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის** ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების მიერ ჩატარებული დიალექტოლოგიური ექსპედიციების შესახებ. როგორც ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი მასალებიდან ირკვევა, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილეს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის გაუგზავნია მიმართვა, რომლის მიხედვითაც ინსტიტუტს დაევალა დიალექტოლოგიური ექსპედიციების მოწყობა. რამდენიმე დღეში, აღნიშნული სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მოუწვევია სხდომა და გადაუწყვეტიათ, რომ სამეცნიერო მივლინებით დასავლეთ საქართველოს 5 რაიონში უნდა გაეგზავნათ ხელმძღვანელები, რომელთა მეთვალყურეობითაც ადგილობრივ სტუდენტებს უნდა ჩაეწერათ დიალექტოლოგიური ტექსტები.

წარმოვადგენთ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის **დოქ. ნიკანდრი ბასილაიას¹** მიერ საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილის **გ. კიზირიასადმი** გაგზავნილ ოფიციალურ წერილს: **„საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხანაგ გ. კიზირიას.**

თქვენს მომართვაზე დიალექტოლოგიური ექსპედიციების მიერ საენათმეცნიერო მასალების შეგროვების შესახებ გაცნობებთ შემდეგს: ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, მიიღო რა თქვენი ა/წლის 18 ივნისის მომართვა, თავის 1956 წლის 25 ივნისის სხდომაზე გამოიტანა დადგენილება, რომ დიალექტოლოგიური მასალების შესაკრებად მოწყობილიყო 5 ექსპედიცია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში და გამოჰყო ექსპედიციის ხუთი ხელმძღვანელი. დადგენილების ასლი 26 ივნისს გადაეცა ინსტიტუტის დირექციას, რომ დროულად უზრუნველყო ექსპედიციის ხელმძღვანელთა მივლინება რაიონებში სათანადო სამივლინებო ხარჯების გაღებით.

კათედრის წევრები 15 ივლისამდე უცდიდნენ დირექციის პასუხს, მაგრამ, სამწუხაროდ, კათედრის თხოვნა (ასლი თხოვნისა თან ერთვის) დაკმაყოფილებული არ იქნა. ამრიგად, ექსპედიციების მოწყობა ჩაიშალა. ინდივიდუალური ინიციატივის წესით კათედრის სტუდენტების საშუალებით შეგროვებული აქვს გარკვეული მასალა, რომელიც ამ დღეებში შემოწმდება და გადმოგეგზავნებათ.

ამასთან გეგზავნებათ შეკრებილი მასალები სტუდენტების მიერ, სახელდობრ: 1. შოთა აბუთიძე – 16 გვერდი, მერი ჭავჭავაძე – 24 გვერდი, მარგალიტა ყარალაშვილი – 13 გვერდი, ნანული კუკავა – 9 გვერდი, ნოდარ თორია – 7 გვერდი, დარეჯან აბურჯანია – 6 გვერდი, ლეილა არღვლიანი – 12 გვერდი, ნათელა ჯაფარიძე – 6 გვერდი, ირა თოდუა – 4 გვერდი, ლამარა ბასილაია – 3 გვერდი, ვაჟა ზარან-

¹ ნ. ბასილაია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დარსებიდან 1969 წლამდე ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას, ხოლო მისი გაყოფის შემდეგ სამი წელი ქართული ენის კათედრას ედგა სათავეში; 1940-1947 წწ. იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში; ავტორია მრავალი ნაშრომისა, მათ შორის 11 წიგნისა.

დია – 3 გვერდი, აზა ლეჟავა – 3 გვერდი, ცისანა მირცხულავა – 1 გვერდი. **ქართული ენისა და ლიტერატურის გამგე დოც. ნ. ბასილაია. 9. X. 1956 წ.**“ (თსუა, ხი – 3698)

ის ფაქტი, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას თხოვნით მიუმართავს ინსტიტუტის დირექციისთვის სამივლინებო ხარჯების გამოყოფის შესახებ, ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი: **„ამ გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციას.**

თანახმად თქვენი მითითებისა, 1956 წლის 26 ივნისს კათედრის სხდომაზე განვიხილეთ საქართველოს სს განათლების სამინისტროს 1956 წ. 18. VI N2-1009/388 მომართვა ქართული ენის დიალექტების შესწავლისათვის ექსპედიციების მოწყობის შესახებ და დავადგინეთ, რომ ზაფხულის არდადეგებზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებისა და ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული განყოფილების სტუდენტთა ძალებით ქართული და მეგრული ენის კილოების მასალების შესაკრებად მოეწყოს 15 დღიანი შემდეგი ექსპედიციები:

1. გალისა და ფოთის რაიონებში – ხელმძღვანელი უფრ. მასწ. 3. ჯიჯელავა.
2. სოხუმის რაიონში – ხელმძღვანელი ფილოლოგ. მეცნ. კანდ. ა. მანჯგალაძე.
3. ოჩამჩირის რაიონში – ხელმძღვანელი დოც. ა. კიკვაძე.
4. ჩხოროწყუს რაიონში – ხელმძღვანელი დოც. ვ. ვახანია.
5. ზუგდიდის რაიონში – ხელმძღვანელი უფროსი ლაბორანტი თ. ჯიქია.

კათედრის მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელები სამუშაოზე გამოიყენებენ იმ სტუდენტებს, რომლებიც ცხოვრობენ აღნიშნულ რაიონებში. ექსპედიციის ხელმძღვანელები სამუშაო ადგილებზე უნდა მივავლინოთ 15 ივლისს. გთხოვთ დაავალოთ ინსტიტუტის ბუღალტერს ამ დროისთვის გამოყოს სამივლინებო თანხა. **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე დოც. ნ. ბასილაია. 26. VI. 1956 წ.**“ (თსუა, ხი – 3698)

როგორც ჩანს, ინსტიტუტის ადმინისტრაციას არ დაუკმაყოფილებია კათედრის გამგის ნ. ბასილაის თხოვნა და სამივლინებო თანხები არ გამოუყვია. მიუხედავად ამისა, კათედრის წევრებსა და

სტუდენტებს თავიანთი სახსრებითა და მონდომებით ჩაუწერიათ დიალექტოლოგიური მასალები. ნ. ბასიალაიას განცხადებაში აღნიშნულია, რომ სტუდენტთა მიერ ჩაწერილ ტექსტებს ხელმძღვანელები შეამოწმებდნენ და გადაუგზავნიდნენ განათლების სამინისტროს. ახალგაზრდების მიერ სუფთად და მოწესრიგებულად ჩაწერილი ტექსტები ცხადყოფენ, რომ ლექტორებმა ნამდვილად გაასწორეს მათი ნამუშევრები. შესაბამისად, შეიძლება ისინი სამეცნიერო კვლევებისთვის ღირებულ და სანდო ტექსტებად ჩაითვალოს. ამასთანავე, დაპირებისამებრ, გადაუგზავნეს ზემოაღნიშნულ უწყებას. სწორედ, ამიტომ გადარჩა ეს ჩანაწერები, როგორც საარქივო მასალა. დიალექტოლოგიურ მასალებში ძირითადად მოცემულია სამეგრელოსა და აფხაზეთში ჩაწერილი **მეგრული** (ზოგან ქართული განმარტებითურთ) ტექსტები, ასევე, **ფშავური, ხევსურული, კახური და თუშური** კილოს ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები და ეთნოგრაფიული ჩანაწერები. წარმოვადგენთ სტუდენტების მიერ მოპოვებული ზემოაღნიშნული მასალების მოკლე აღწერას, კერძოდ, ტექსტების ჟანრსა და გვერდების რაოდენობას, ინფორმატორების ვინაობას, ასაკსა და ჩაწერის ადგილს:

II კურსის სტუდენტი **ნანული ისაკის ასული კუკავა** – 9 გვ. მეგრული ზღაპრები, გამოცანები და შელოცვები. ვასილი ნიკოს ძე ფიფია, 84 წლის, ეკატერინე (კატო) გოგობია-კუკავა – წალენჯიხა, სოფ. ფახულანი. ფატმანი გოგობია, 76 წლის – წალენჯიხა, სოფ. ქალაღალი.

II კურსის სტუდენტი **ვაჟა ილარიონის ძე ზარანდია** – 3 გვ. მეგრული პატარა ამბები. ანტონი კოჩას ძე ლემონჯავა, 90 წლის, ქართულისა და რუსულის არ მცოდნე – ჩხოროწყუ, სოფ. ზუმი.

III კურსის სტუდენტი **ცისანა მირცხულავა** – 1 გვ. პატარა ამბავი მეგრულად. მარია ალექსანდრეს ასული კვარაცხელია, 100 წლის, ხობი.

III კურსის სტუდენტი **აზა გრიშას ასული ლეჟავა** – 3 გვ. მეგრული შელოცვები. აგრა დიმიტრის ასული ბჟალავა, ჟენია ბიჭიას ასული ბჟალავა, კესა ივანეს ასული ბჟალავა, კონდრატე რემანოზის ძე ბჟალავა – ცხაკაია (სენაკის მუნიციპალიტეტი – ს. ჭ.), სოფ. ზემო სორტა.

III კურსის სტუდენტი **ირა დავითის ასული თოდუა** – 4 გვ. მეგრული ზღაპარი „ნოეშ კიდობანი“. „სალომე დადიანიშ გათხუალა“. ბარამია ჟენია ბახვას ასული, 72 წლის, ჩხოროწყუ, სოფ. ნოლა, გამოთხოვილი გეგეჭკორში (მარტვილის მუნიციპალიტეტი – ს. ჭ.), სოფ. დიდ ჭყონში. ფილიპე ჯაკუს ძე ბჟალავა, 105 წლის – გეგეჭკორი, სოფ. ბაღდა, 1956 წელს ცხოვრობდა დიდ ჭყონში.

III კურსის სტუდენტი **დარეჯან აზურჯანია** – 6 გვ. მეგრული შელოცვები, გამოცანები და ლექსები. ალათია ჯღარკავა, 90 წელს გადაცილებული; ეფროსინე ამანაძე, 75 წელს გადაცილებული, მარტვილიდან (ლეჩხომუდან) – ხობი, სოფ. შუა ქვალონი.

III კურსის სტუდენტი **მერი ჭავჭავაძე** – 24 გვ. მთა-თუშეთში, შეგროვილი ტექსტები. ლექსები, პატარა ამბები, ეთნოგრაფიული ტექსტები, ზღაპრები, გამოცანები და ლექსიკონი. ინფორმატორები: სალომე ბილიძე, მე-10 კლასის მოსწავლე, როსტომ ბილიძე, 82 წლის; დევანო სისაური, 93 წლის; ანტონ თავბერიძე, 50 წლის, გოგია სისაური, 27 წლის, ლაზარე იჭირაული – სოფელი ომალო. ცაცო ქოთილაძე, 26 წლის; პელო მოლაძე, 60 წლის; დავით ბაკურიძე, 13 წლის; ელისო ნაჭურიძე, 70 წლის; ნუცა ქააძე, 45 წლის – სოფ. ჩილო. მაგდო იდიოძე, 60 წლის; პლატონ თათრულაძე, 30 წლის; სარა იდიოძე; ბერო ძარიძე, 50 წლის; ირაკლი ცალოელაშვილი; ირინე ომაძე, 18 წლის; მაცვალა ბასხაჯაური, 36 წლის – სოფ. დართლო. ანიკო ბასხაჯაური, 31 წლის. სოფ. დანო. ირაკლი ცალოელაშვილი, 16 წლის – სოფ. კვავლო.

IV კურსის სტუდენტი **ნოდარ ირაკლის ძე თორია** – 7 გვ. ანდაზები და გამოცანები მეგრულად და ქართულად. ერმილე თორია, ირაკლი თორია, ხოთო ელიავა, მზია თორია – გალი, სოფ. ნაბაკევი.

IV კურსის სტუდენტი **მარგალიტა ყარალაშვილი** – 13 გვ. ფშავ-ხევსურული-კახური დიალექტის ნიმუშები: კავიები, ლექსები. ბუთლა ალბუთაშვილი, 80 წლის, თიანეთი, სოფ. ჩაბანო. მკერდა ზვიადაური, 80 წლის, ნახუნა ლიქოკელი, ბადია ლიქოკელი, 50 წლის, შუქია არაბული, ხათუთა ჭინჭარაული, თიანეთი, სოფ. ჭიაურა. იოსებ დავითაშვილი, 56 წლის, მ. ყარელაშვილი – ახმეტა, სოფ. მატანი.

IV კურსის სტუდენტი **შოთა დავითის ძე აბუთიძე** – 18 გვ. მეგრული ლექსიკა, ლექსები და გამოცანები. ლევან ნაჭყებია, 68 წლის,

წერა-კითხვის მცირე მცოდნე, გაგრა, სოფელი კოლხიდა. ეთერი ბა-
სარია – გალი, სოფ. ჭუბურხინჯი. ვენერა ჭეჭია, ტატიანა გვამაბია –
ოჩამჩირე, სოფ. მოქვი. გოროზია ექვთიმე, 79 წლის – ოჩამჩირე, სოფ.
ცაგერა.

ვეცადეთ მოგვეძიებინა ინფორმაცია ზემოდასახლებული
სტუდენტების შესახებ. როგორც გაირკვა, ზოგი მაღალი თანამდებო-
ბის პოლიტიკური ფუნქციონერი გამხადრა, ზოგი კი სახელოვანი
პედაგოგი. მაგ. ერთ-ერთი სტუდენტი შოთა აბუთიძე აფხაზეთში
კულტურის მინისტრის მოადგილე ყოფილა. სოხუმში ყოფნისას,
მასთან შეხვედრის ამბები აღნიშნული აქვს თავის დღიურში გალაკ-
ტიონ ტაბიძეს (1953 წ.).

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ დიალექტოლოგიურ ექსპე-
დიციებზე სტუდენტების მიერ ჩაწერილი რამდენიმე ტექსტის ნი-
მუშს:

„სალომე დადიანიშ გათხულა

სალომე დადიანი ცხოვრენდ სალხინოს. მუშ წირსფალენქ სა-
ლომე ქიმიათხუეს პრინცის – ლუსიანეს. ლუსიანე ორდუ საფრანგე-
თიშე მუღირ – ფრანგი კოჩი. სალომე დადიანქ მუში ქომონჯი ლუ-
სიანე სალხინოშა ქიმიცონუ ოცხოვრებუშა სამუდამოთ. პრინცის
მუშ მუანთილქ ქიმეჩუ მამული გვალო ბრელი. ლუსიანექ გააშენუ
კლასი, თიში ორთვალი – ცინკა – პარიზშე მიღუ, ბრელი მუთუნ
აკეთუ თიქ. სალომე დადიანქ ითხუნი დიდი ამბე რდუ. დიარაშა
დაპენჯებული რდეს: შარაშიეფი, შარვაშიეფი, ჯაიანეფი დო შხვა.
თე სტუმარეფიშ მულაშ დროს მეთოფენქ თოფიშ ცოთამათ გეგნოჭ-
ვეს ქიანა დახე. თენა პატიცემას ნიშნენდ. გარჩინეს სხაპუა მარგა-
ლენქ. სხაპუათ დუდი გიმირჩქინუ ჭილაიაქ, ნამუთ დასაჩუქრუ და-
დიანქ. დიარაშოთ შეფაშ სიგირმა 80 მეტრა რდუ, ბრელი იცვილური
ცვილეს. 60 ხოჯი ორდუ ცვილირი. სტუმარეფი ქიდახუნეს, ქიდაჭყეს
ლდინძელეზა. მუდა სალდინძელოს თქუანდესუნ იდა ზალპი იყუა-
ფუდუ დო მიშმუღუდეს უნწყუმუა ჟირ კოს თხა. რუო კოს მულუდ
დიდი ხოჯი უნწყუმუო. მიშაღალა დროს თელას ჩქიფეზით და და-
ნეფით ძვალენს დო ქას ქიტენდეს, თეშ გათენდეს უცბას. თას მიშუ
დიარა“. ნაამბობია: **ფილიპე ჯაკუს მე ზეალავას**. დაბადებული გეგეჭ-
კორის რ-ნ, სოფ. ბალდაში. არის 105 წლის. ცხოვრობს ამჟამად გე-

გეგმვის რაიონის სოფ. დიდი ჭყონში. ჩაწერილია: **ირა დავითის ასულ თოდუას** მიერ 1956 წლის 4 აგვისტოს“ (თსუა, ხი – 3702)

„ჩითის მოქსოვა

პირველად ორ ცხემალზე წვერ დუდებთ და მოვკეცავთ. მემრინას მოვქსოვთ. მემრა იმაზე გავსჭირით. მემრა კის ფეკს ჩუდაქ ბაწრით დავკელავთ. მემრა ამაზე გარემოს შემოვაკერებთ, მემრ შემოვაშიბავთ ნაკერზე. მემრ სათიკვესა ამოვაკერებთ. მემრ ბალნით შემოვსარიკავთ. მემრ კვირტით დავჰკერავთ. მემრ ყელისად გამოვადრობთ და გავჰკერავთ. ხევისურებ უფრო წინანდულა ხალხია, თუშებ გამონათლდის. ცხოვრება იახლ უფრო მეტ გვაქის. **ჩაწერილია: სოფ. ჩილოში, ნუცა ქაბდისაგან (45 წ.). 21/VII-56 წელი.**

ძმა არ მყავის, ვართ ექვსი დები, მყავის დედ-მამად, ვცხოვრობ ქვემო ალვანში. ვსწავლობ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მე-10 კლასში. 15 აგვისტოს წავედ კახეთ, რომლის მგზავრობასა დამჭირდა ორი დღე. სოფელ ომალოდან რომ წაველ, პირველა გავიარე კი-სო, იქითაა გავიარე ჭევი, შემდეგ აჯაიტის ჯოჯი, მემრ ავედით წვერზე, რომელსაც ცერ ჰქვია. იქითა გადავხედეთ კახეთს, სიითაღ ჩინდ მდინარე ალაზანი და ალავერდის ეკლესია. ცერიდან მემრ ჩავედით აბანოში, იქითა დავადექთ ნაკეთებ გზასა, მემრ შევედით კიდუკში. კიდუკითა შევედით სვიანას, იქითა თელავის რაიონში, სოფელ ლეჩურში. ლეჩურითა დავსხდეთ მანქანაზედ, პირდაპირ წავედით ალვანში. **ჩაწერილია: სოფელ ომალოში, X კლასის მოსწავლე სალომე ბილობდისაგან, 1956 წ. 26/VIII“** (თსუა, ხი – 3703).

1956 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული განყოფილების 10 სტუდენტის მიერ მოპოვებული დიალექტოლოგიური ტექსტები სულ 88 გვერდისაგან შედგება. როგორც ვიცით, აფხაზეთში მცხოვრებთა მეგრელთა მეტყველებაზე გავლენას ვერ ახდენდა ქართული ენის დიალექტები, ამიტომ 69 წლის წინ იქ ჩაწერილი მეგრული ტექსტები განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებო ენათმეცნიერული კვლევებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა ტიპის ფოლკლორულ მასალებებთან ერთად, ლექსებში ასახულია სტალინის, ჰიტლერის, არჩვენების, პარტიისა და საბჭოთა პერიოდთან დაკავშირებული თემატიკაც. ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალები

ბიდან ჩანს სოხუმის პედიანტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელის ნ. ბასილაიას, კათედრის წევრებისა და სტუდენტების დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი ენობრივი საგანძურის მიმართ. ზემოდასახელებულმა ადამიანებმა, ყოველგვარი ფინანსური სახსრების გარეშე, თავიანთი ენთუზიაზმითა და კეთილსინდისიერებით, განათლების სამინისტროსგან მიღებული დავალება სრულყოფილად შეასრულეს. სწორედ, ამიტომ შემოგვრჩა აღნიშნული საარქივო მასალები, როგორც ძვირფასი სახსოვარი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისგან.

გამოყენებული წყარო

თსუ-ს არქივი: ბი – 3707; ბი – 3535; ბი – 3700; ბი – 3699; ბი – 3702; ბი – 3705; ბი – 3703; ბი – 3701; ბი – 3706; ბი – 3704; ბი – 3708.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ზოგი ნასესხები ლექსების სემანტიკური ცვლილება გარეკახურის სართიჭალურ თქმაში

ახალ დიალექტურ ერთეულთა წარმოშობა სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული, ერთი მხრით, მტრების შემოსევით გამოწვეული გადასახლება ან უცხო გარემოში მოქცევა მოსახლეობისა, მეორე მხრით, იმავე მტერთაგან ან მძიმე ეკონომიური პირობებისაგან თავდასაღწევი საშუალება – შინაკოლონიზაცია, მესამე მხრით, საფეოდალოთა თუ სამეფოთა ტერიტორიის ცვლა გახლდათ ის ისტორიული ფაქტორები, რომლებიც იწვევდნენ როგორც ინტეგრაციას, ისე დიფერენციაციას (თოფურია, 1963, გვ.167), ამიტომ საკუთრივ დიალექტური ლექსიკის, მისი ფონეტიკური და გრამატიკული აღწერის გარდა ყურადსაღებია, ცოცხალი ენობრივი გზით, სხვადას-

ხვა დიალექტებიდან, ან ლიტერატურული გზით ნასესხები მასალაც.

სოფელი სართიჭალა, გარეკახეთში, სამგორის ველზე, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ეს სოფელი ადრე საგარეჯოს, ახლა კი გარდაბნის რაიონს ეკუთვნის. იგი ისტორიულ წყაროებში მე-16 საუკუნიდან იხსენიება. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან სოფლის ძირძველ მოსახლეობასთან ერთად გვხვდებიან სხვადასხვა კუთხეებიდან, განსხვავებული მიზეზების გამო ჩამოსახლებული რაჭველები, იმერლები, ფშაველები, ხევსურები, მთიულები. მრავლად არიან აქ აგრეთვე სხვა კუთხის წარმომადგენლებიც, ერთი სიტყვით „სართიჭალა პატარა საქართველოა“ (სიბოშვილი, 2003, გვ. 45). ამდენად სართიჭალის მეტყველების შესწავლა დიალექტთა ურთიერთზეგავლენის თვალსაზრისით საინტერესო სურათს წარმოაჩენს.

საგულისხმოა, რომ სართიჭალაში XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელები ჩამოსახლეს. სანამ მათ გაასახლებდნენ, გერმანელებთან თანაცხოვრების პერიოდში, სოფელში არსებობდა ს. ბუდიონისა და ე. ტელმანის სახელობის ორი დიდი კოლმეურნეობა. ადგილობრივი მოსახლეობა გაერთიანებული იყო სიმონ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში, რის გამოც მათ ბუდიონელები შეერქვათ და დღესაც ასე უწოდებენ მათ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებულები, თუმცა სახელწოდების ამოსავალი მნიშვნელობა დღეს დაბუნდოვანებულია, ტერმინებში ბუდიონი, ბუდიონელები იგულისხმება სართიჭალის პირვანდელი ტერიტორია და ადგილობრივი მოსახლეობა (ჭოხონელიძე, 2014, გვ. 248).

ამჯერად განვიხილავთ სართიჭალის ბუდიონელების მეტყველებაში დადასტურებულ ნასესხებ მასალას. გასული საუკუნის მიწურულს, მასალის შეგროვებასა და მნიშვნელობების დაზუსტებაში მეხმარებოდა დედა – ნათელა ჭოხონელიძე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქვემოთ განხილული უმეტესი სიტყვების წარმომავლობა ცნობილია სათანადო ლიტერატურაში.

ამქარი ამხანაგი. თავის ამქრად გაიხადა. შდრ. ამქარი სპარს. „ჰამ-ქარ“ თანამოსაქმე ოსტატთა გაერთიანება შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქალაქებში და მათ შორის ძველ თბილისშიც (უნივერს. ელერდ. 2004).

არიფი ადვილად მოსატყუებელი, მიამიტი. შდრ. არიფი (სპარ.) პურის მტე. ან შესაკუთრებული შინაყმა (დ. ჩუბ.).

არუქ-მარუქი ავკარგი, უდარდელი, ნეზიერი. ხმარებავიცი, ვერგისხნი. რაარუქ-მარუქათიქცევიარა მწადია, მძიმეთ იტყვი. შდრ. არუქმარუქი<აროქ-ფაროქ(სპ.) ფაროქ>მარუქ (ი. გრიშ.).

ასასი დარაჯი, ყარაული. ასასივით დამადგება ხოლმე თავზე თითქოს ჩემი უფროსი იყოს. შდრ. ასასი ესენი არიან კაცნი ღამის მცველნი, რათა ბოროტად მავალნი შეიპყრან – საბა, ქეგლი. შემოსულია არაბულიდან (შდრ. არაბ.'ასას „პატრული: „გუშაგი““ (ზ. გიგინეიშვილი 2016).

აჯამი გაუგებარი, თავის ნათქომა. აჯამი უნდა უკავშირდებოდეს არაბულ 'ağami ფორმას (არაბ. არა-არაბი, სპარ. გამოუცდელი – ა. შან).

ბაირადი ქვეყნის მასხარა. სოფლის ბაირადი აგდებული ქალი. თავი მოგვჭრა, სოფლის ბაირადი გაგვხადა, დაიწოს მაგის ქალობა. ცოტა ენას მოუკელი თორე, ქვეყნის ბაირადი არ გაგხადო. შდრ. ბაირადი (თათრ.) დროშა, ალამი – დ. ჩუბ.

ბამბაოზი მაღალი, ტანიანი. ბამბაოზი ცოლი ჰყავს. რა ბამბაოზია ოთახში ვერ შემოეტევა.შდრ. ბუმბერაზი ქეგლი. ბუმბერაზი, ბუმბერაზი(არაბ.) მუმბერაზ, გმირი (დ. ჩუბ.)

ბაშტიბებლე დაბალი, მსუქანი და გონიერი, მოხუცებულებით სახლში ზის. ნამდვილი ბაშტიბებლეა სახლიდან ფეხ ვერ გადმადგმევინებ. ლენა მეძახდა ბავშვობაში ბაშტიბებლეს და ძალიან მწყინდა. ბაშტიბებლე კომპოზიტია. შდრ. ბაშტი ჯუჯა (ალ. ნეიმანი)< პაშტა პატარა, მცირე (მესხ. მაისურ.). კომპოზიტის მეორე ნაწილის შესახებ იხ. ბებლე.

ბებლე მსუქანი და სქელი. როგო დედამთილობს ბებლე. შდრ. ბებლი გრძნების მოქმედი (+ გლეხურად ძ) საბა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბებლში ხომ არ იგულისხმება ბაბილონი? „შენი ოსტატი დევი ყოფილა ბაბელში“. ჩანს, იგულისხმება გრძნეულები და ავისულები, რომელთაც ირანელთა მითიური მეფე თეიმურაზი შეებრძოლა. უკანასკნელმა სატახტო ქალაქად ბაბილონი გაიხადა (გვარია,თოდუა, 1962, გვ. 734).

ბეზერგანი დიდი ტანის,, „გამძეხა“ ქალი. რა ბეზერგანივით ქალია. შდრ. ბეზირგანი (სპ. Bezirgan) ვაჭარი, გამყიდველი, ქუჩაში წვრილმანებით მოვაჭრე (ჩვენ. ფუტკ.).

ბლადოჩინი: ბლადოჩინივით თავი დიდათ მოაქვს. თავი დიდად რო მოგაქ ბლადოჩინი ხარ?შდრ. ბლადოჩინი [რუს. блага-чинный წესიერი] ძვ. მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საეკლესიო საქმეებს (ქეგლი).

გაურა ქვეყნის მასხარა. გაურასავით დადის, ქვეყნის მასხარაა. გაურა მიტუასავით დადიხარ . შდრ.(არაბ., სპ., თურქ. gayr, gayri სხვა (ადამიანი) (თურქ. 1977).

გაქირი ჯიუტი, კერპი. თავის ნათქომ ადამიანს ჰქვია. შდრ. (თურქ. Gökkır) ლურჯა ცხენი, ჯიშიანი ცხენი (თურქ.1977).

დოღლიარი დოღრიალა, მყვირალა. სუფთა დოღრიალაა ეკა, პირი სულ ღია აქ. შდრ. დოღრი (თურქ. Doğru) პირდაპირი, სწორი (ჩვენ. ფუტკ.).

ზორბა მაღალი და ჩაფსკვნილი კაცი. შდრ. zorba (სპ.-თურქ.) ტირანი, დესპოტი, დაუდგრომელი, უდრეკი (თურქ. 1977).

თამბალა თავჩაღუნული. მძიმე კაცი თავ მაღლა არ ეწევა, ისე ლაპარაკობს ვითომ ქვეყნისა არაფერი იცის, მიწაში დაიყურება. შდრ. tembel (თურქ.) ზარმაცი, უსაქმური (ჩვენ. ფუტკ.).

თუქსუზი გაიძვერა, ცბიერი. არც კაცია და არც ქალია, ყველაფერზე ხელის მომწერი, თავს რომ მოგაჩვენებს აფერისტულად, შრომაც ეზარება და გარჯაც. სხვის ხარჯზე. თუქსუსურად ცხოვრობს. შდრ. თუქსუზი ანუ თუიქსუზ. თუქსუზი პირდაპირ თარგმანი სპარსულიდან: ახალგაზრდა, უწვერულვაშო, უბალნო, უბეწვო (ი. გრიშ.).

იასაული: თავი დამანებე, რა იასაულივით დამადექი თავზე. **იასაული** (თურქ.) რევოლუციის მოხელე სოფელში (ქეგლი).

კარიოტელი მორიდებული, მიუკარებელი ადამიანი. ესირცხვილება სხვისა შეწუხება. კარიოტელია, გან-განზე დადის. ერთს არ მომიკითხამს. ვფიქრობთ, რომ **კარიოტელი** < ის კარიოტელი (ბერძნ.) ასე ეწოდება სახარებაში გამცემ იუდას მისი დაბადების ადგილის ქალაქ კარიოტის მიხედვით. ებრაულად იკითხება იშკარიო-თი, რაც ნიშნავს : „ქარიოთელი კაცი“ (ბიბლ. ენციკლ. 2021).

ლაყაფა ყბედი. **ლაყაფაა** ერთი წუთით არა ჩერდება. ლაყაფით ენას არ აჩერებს. შდრ. ლაყაფი [სპარ. ლაყაბ „გრძელი წერილი“, „გრძელი სიტყვა“] – ქეგლი.

მაიმახი შეუხედავი, მახინჯი. შდრ. (თურქ. დიალექტ. maymak) უშნო, ულაზათო, „ფეხმრუდი“ (საბა).

მასკარეთი ერთი ბეწო, დალეული, შეუხედავი ადამიანი. რას გავს ერთი მასკარეთი გოგოა. შეუხედავი, მასკარეთი რძალი შემოუვარდათ ოჯახში. შდრ. მასკარადი [ფრან. mascarade რუს. ენის მეშვ.] თავშესაქცევი, გასართობი სადამო, რომლის მონაწილენიც სახასიათო-ფანტასტიკური ტანსაცმლით იმოსებიან და სახეზე ნიღაბს იკეთებენ – ქეგლი.

სოდომა უქნარა, ზარმაცი. სოდომივით ზის, უსაქმურად. შდრ. სოდომელნი (ბერძნ. ძვ. ქართ. სოდომელნი – ქალაქ სოდომის მკვიდრნი, რომლებიც გამოირჩეოდნენ უკეთურებით და არაბუნებრივი გარყვნილებით (რომ. 1, 27) (ბიბლ. ენციკ. 2021, გვ. 284).

უშტაბაში მომხრე, ქომაგი. რა ყველას უშტაბაში შენა ხარ? შენ რა მაგისი უშტაბაში ხარ, მაგის მაგივრად რას ლაპარაკობ, რას ექომაგები? შდრ. უსტაბაში [თურქ. უსტაბაში] ძვ. ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი (ქეგლი).

ფათრეთი სიფათი, გარეგნობა. დაგეწოს ფათრეთი. ფათრეთი „პორტრეტიდან“ მოდის (ი. გრიშ.). შდრ. პორტრეტი [ფრან. Portrait] (ქეგლი).

ფოლორცი აფერისტი, გარყვნილი, უსირცხვილო. ფოლორცი ფეხქვეშ რომ ედება ადამიანს, ყველას სახლში, ყველას ქვაბში იყურება, სულ უნდა რო რაღაცას მოედოს და ჭამოს, არ დააყენოს პირი. ვფიქრობთ, ფოლიმცი (თურქ.) აფერისტი, მეტიჩარა (ჭოხონელიძე, 2018, გვ. 497).

ფოფოდია უსაქმური. ნამდვილი ფოფოდიაა, არაფრი გამკეთებელი არაა, თავის საქმეს სხვას აკეთებინებს შდრ. ფოფოდია [ბერძ. Pappadia რუს. ენის მეშვ.] ძვ. ბარბარ. მღვდლის ცოლი – ქეგლი.

შპეტი პრანჭია, თავი მაღლა უჭირამს. დედამისი წყნარი ქალი იყო, ეგეთი შპეტი ვის დეემსგავსა. ბევრს არა აქ ტელეფონი, შპეტებს აქვთ. **შპეტობს** იპრანჭება, იბერება. შპეტობს, ვითომ სხვას რითი სჯობია. შდრ. **შპეტი** სპეტი ზედამდეგი. სპეტი, პეტი საქმით უხუცესი – საბა. პეტი<სპეტი>შპეტი (ჭოხონელიძე 2018, გვ. 574). ზემოდა-

სახელებული სიტყვები ვფიქრობთ, ფონეტიკური ცვლილებებით უნდა მიგველო სიტყვისაგან სპასპეტი (საშუალო სპარსული spāhbed – „მხედართმთავრი“) – უმაღლესი რანგის სამხედრო მოხელე ძველ საქართველოში (ქეგლი).

ჩოლოხა// ჩლახვი კოჭლი. ჩოლოხა არი კოჭლი. გადატ. წინ-დაუხედავად, დამცინავად მთქმელი. როგორ მაწყენინა, თავის-თავს ვერ უყურებს ეგ ჩლახვი? შდრ. თურქ. ჩოლხ კოჭლი – საბა.

ჩულურეთი დაბღვეტილი, გაუცინარი. შდრ. ჩულური (ქართლ.) თავჩალუნული (<< დიალ.>> – ქეგლი. ვფიქრობთ, ამოსავალია თურქ. ჩოლუნი [თურქ. ჩოვლუნ] ქარბუქი, ქარიშხალი (ქეგლი). ჩოლუმი, ჩულუმი 1. ბნელი, უკუნი (ღამე). 2. ცუდი, ცივი ამინდი. 3. გულჩახვეული, გულჩათხრობილი ადამიანი (ქართლ. ლექსიკ.).

მოხსენებაში მითითებული გვაქვს ზემოდასახელებული ლექსემების შუასაუკუნეების სამწერლო ენასა, ქეგლში და სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებში დადასტურებული შესაბამისი მასალაც.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლ. ენციკლ. 2021 – ბიბლიის ენციკლოპედიის ტომი 2, ტომი 3. პროექტის ავტორი და რედაქტორი თ. მამაცაშვილი. გამომცემლობა პალიტრა L. თბილისი.

გვახარია, თოდუა 1962 – გვახარია ალ., თოდუა, მ.ვისრამიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

თოფურია 1963 – თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. მოკლე მიმოხილვა I; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები III. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

სიბოშვილი 2003 – სიბოშვილი ი., სართიჭალის „კოლორიტები“ (ნაწილი პირველი). შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა. თბილისი.

ჭოხონელიძე 2014 – ჭოხონელიძე ნ., სართიჭალაში (გარდაბნის რაიონი) დადასტურებული საოჯახო მეტსახელების წარმომავ-

ლობისათვის ონომასტიკური კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. ახალციხე.

ჰოხონელიძე 2018 – ჰოხონელიძე ნ., სახელურ ომონიმთა ისტორია ქართულში, დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში. თბილისი.

წყარო

სართ. – გარეკახურის სართიჭალური თქმის სალექსიკონო მასალა (ხელნაწერი).

ლექსიკონები

ი. გრიშ. – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997.

თურქ. – Турецко-русский словарь. Авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубеваидр., М., 1977.

მესხ. მაისურ. – ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან, ბათუმის სახელმწიფო პედიანსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1954.

ნეიმანი, აღ. აღ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი, „განათლება“ 1978.

საზა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძე, თბილისი, 1966.

სპარს. – Персидско-русский словарь. Составители М. Н. Османов, Д. Х. Дорриидр. т. I-II, М., 1985.

უნივერს. ელერდ. – უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად), შეადგინა აღ. ელერდაშვილმა, თბილისი, 2004.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 2006.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით თბილისი, 1950-1964.

ა. შან. – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

ლ უ ი ზ ა ხ ა ჯ ა პ უ რ ი ძ ე , თ ე ო ნ ა ხ უ ფ ე ნ ი ა

პურის სიმბოლიკა ქართულ ფრაზეოლოგიაში: კულინარიული და კულტურული ინტერპრეტაციები

შესავალი

ენობრივი მსოფლხედვის კვლევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფრაზეოლოგიზმების შესწავლა, რომლებიც ასახავენ ერის კულტურულ მეხსიერებას, ღირებულებათა სისტემას და სოციალურ ურთიერთობებს. პური, როგორც ძირითადი საკვები პროდუქტი, ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ადამიანის ცხოვრებაში. ქართულ კულტურაში პური მხოლოდ საკვები არაა, ის სიმბოლოა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სტუმართმოყვარეობისა და სოციალური ურთიერთობების. ქართული ფოლკლორი მდიდარია პურთან დაკავშირებული ხატოვანი თქმებით, რომლებიც ასახავენ პურის მრავალფეროვან სიმბოლიკას და მის მნიშვნელობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ნაშრომის მიზანია პურთან დაკავშირებული ქართული ხატოვანი თქმების სემანტიკური და კულტურული ანალიზი. კვლევა ეფუძნება მდიდარ ლექსიკოგრაფიულ მასალას და საველე ექსპედიციების დროს შეგროვებულ მონაცემებს. ნაშრომში გაანალიზებულია პურთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური ველები, მათი კულტურული კონოტაციები და სოციოლინგვისტური ფუნქციები. კვლევა ავლენს პურის, როგორც კულტურული კონცეპტის, მნიშვნელოვან როლს ქართულ ენობრივ მსოფლხედვაში.

პურთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართულ ენაში წარმოადგენს უნიკალურ ლინგვოკულტუროლოგიურ ფენომენს, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ასპექტებს.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს: ეთნოლინგვისტურ ანალიზს, საველე კვლევის მეთოდებსა და ისტორიულ-შედარებით მეთოდს

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: კვლევის დროს გამოვიყენეთ თედო სახოკიას ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, გამოქვეყნებული დიალექტური ლექსიკონები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დიალექტოლოგიური მასალები და ჩვენ მიერ რესპოდენტებისაგან ჩაწერილი მასალები

მსჯელობა

პურთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების ანალიზი ავლენს რამდენიმე მნიშვნელოვან თემატურ-სემანტიკურ ჯგუფს: 1. სოციალური ურთიერთობების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები, 2. ეკონომიკური მდგომარეობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, 3. გეოგრაფიულ-კულტურული ვარიაციები ,

1. სოციალური ურთიერთობების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები პურ-მარილის კონცეპტი ქართულ ენაში წარმოადგენს სტუმარ-მასპინძლობის, სოციალური სოლიდარობის და მორალური ვალდებულებების გამომხატველ მარკერს:

პურადგირი – ვინც სხვისთვის პურს ძვირად იმეტებს. ხტვ. ვი-საც სტუმარი არ უყვარს, გულუხვად არ უხვდება ხოლმე მომსვლელს, სტუმრისთვის საჭმელ-სასმელის მიცემა ეჯავრება. შდრ. „პურადგირის კაცისა მარილი მეტი დაიხარჯება“ (სახოკია, 54) შდრ. „არასოდეს არ ცხონდება უშვერი და პურადგირი; თუ პურადგირი ცხონდება, სამოთხეში შევა ვირი“ (ხალხური ლექსი). იმერეთსა და ლეჩხუმში ჩაწერილი მასალების მიხედვით გვხვდება გამოთქმა „უპურმარილო კაცი/ოჯახი“ ანუ სტუმარი არ უყვართ, ძუნწები არიან (ქსკც მასალები)

პური აღარ იჭმების შენთან – შენთან ერთად სუფრაზე ვერ დაჯდება კაცი და პურს ვერა სჭამს. ხტვ. უსინდისო ხარ. აუგიანი,

შერცხვენილი: „გვარი მოსთხარე და ნათესავი; სირცხვილით დასჭერ სუყველას თავი;საქმე ჰქენ კახპური, შენთანა ქალთ პური აღარ ექმეზის“ (დ. გურამიშვილი, ქგლ): ეთნოგრაფიული მასალა: „შენთან პურს ვინ შეჭამს, უმეზობლო კაცი ხარ, არავის გვერდით არ დაუდგები“ (ქსკც მასალები, იმერეთი). სამეგრელოში ჩავიწერეთ გამოთქმა: **ჭკიდის ვენკუტახუნსია კოჩის** (მჭადს არ მოუტეხავ ისეთი მახინჯია) - იტყვიან გარეგნულად შეუხედავ ადამიანზე.

პურის ჭამა იგივეა, რაც ჭამა. „მარტოხელა კაცი, პურის ჭამაშიაც ბრალიაო“ (ანდაზა). „ქართლში სადილობა დილის პურის ჭამას ჰქვია და სამხარი – სადილს“ (თ. რაზიკ., ქგლ).

ზოგჯერ **პურის ჭამა** – დროის გატარების მნიშვნელობითაც გვხვდება: შდრ. დღეს შენა ხარ, ხვალ- სხვა მოვა, რა დაგრჩება სამუდამო!.. ეს არა სჯობს, რომ სიმართლით ხალხს აამო, პურიც სჭამო! (რ.ერისთავი, ქგლ). აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპოდენტებთან **„პურის ჭამა“ ძირითადად „ქეიფის“** მნიშვნელობით გვხვდება.

პურად დაჯდომა – პურისათვის დაჯდომა .ხტვ. ჭამა-სმის დაწყება. შდრ. „გამოვიდის სავარსამის ძე, ბერი კაცი იყო, დაჯდის პურად და რა პირველი ღვინო მიართვენ უხმის მონათა იმიერ და ამიერ“ („ამირან-დარეჯანიანი“, ქგლ).

თავისი პური მოჭამა თავისი დრო მოჭამა. «ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია» (აკაკი, ქგლ).

პური არსობისა – არსებობისათვის საჭირო საზრდო. ხტვ. საჭირო, აუცილებელი საზრდო ჩვენი ცხოვრებისთვის. შდრ. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისთვის არსობითი პურია. უამართოდ ადამიანი ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც (ი.ჭავჭავაძე, ქგლ). ეკლესიაში სეფისკვერის მიწოდებისას მადლობის ნაცვლად ერთმანეთს ეუბნებიან: „პური არსობის მოგცეს ღმერთმა“ ან „უფალმა მოგმადლოს პური არსობისა“ (მომდინარეობს ლოცვიდან: „მამაო ჩვენო“, ნიშნავს ცხოვრების ძალას, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანს (ხაჭაპურიძე 2017)

პური ერთად გაგვითქვია – ხტვ. პური ერთად გვიჭამია; ერთად გვიცხოვრია; ერთმანეთის მახლობელნი, მეგობარნი ვართ.

შდრ. ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერქვეშ დაგვიხველებია, სხვა არა იყოს რა (ი.ჭავჭავაძე, ქგლ).

ქართულ სუფრაზე, ძველად, არ ეგებოდა პური დანით დაეჭრათ, - უეჭველად ხელით უნდა დაეტეხნათ და ისე დაერიგებინათ. პურის გატეხა კი ჭამის დაწყებას ნიშნავდა, ხოლო იგივე გავრცელებით მეგობრობასაც, რადგან, ვინც ერთად, მხარდახარ, უსხედან სუფრას და პურსა სჭამენ, იგულისხმება, რომ კარგად განწყობილნი არიან ურთიერთთან, ვინაიდან პურობის დროს თავის ნებით კაცი გვერდით არ მოისვამს ისეთსა, ვინც არ ესიამოვნება.

პურ-მარილიანი/პურ-მარილი პრდ. ვისაც პური და მარილი აქვს. ხტვ. სტუმართმოყვარე, პატივისცემა, ვისაც უყვარს გულუხვად დაუხვდეს ხოლმე სტუმარს, სტუმრისათვის საჭმელ-სასმელი არ ეზოგებოდეს. შდრ. „კნიაზ მე თქვენგან დავალებული ვარ – შენი პურ-მარილი აქამდის არის (ყელზე უჩვენებს)“ (გ. ერისთავი, ქგლ); პურ-მარილი ქვაზედ დასდევ – გამოივლი იქ დაგხვდება (პ. უმიკაშვილი, ქგლ). გვაქვს გამოთქმა **„პურმარილიანი კაცია“**, რაც სტუმართმოყვარე, მაღლიან ადამიანს ნიშნავს. სამეგრელოში სტუმართმოყვარე ოჯახი სტუმარს თხოვდა, არ მორიდებოდა და კარგად დანაყრებულიყო, აქედან გვაქვს გამოთქმა: **ღუმ ვეგიტუა ქოთომ გემზე** - თუ ღუმს დატოვებ კრუხი წიწილებს არ გამომიჩეკავსო.

პურ-მარილობა – პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა: „აი ბატონო პოსრედნიკო, პურ-მარილობა ბატონ-ყმობაშიაც ყოფილა თურმე!“ (ი.ჭავჭავაძე, ქგლ) **პურ-მარილის დავიწყება** – პრდ. პურისა და მარილის ჭამის არ მოგონება. ხტვ. პატივისცემის დავიწყება, სიკეთის დაუხსომლობა. შდრ. მოსე – თუ შენ შემეწევი და ჩემს პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმე კიდევ საქმეზედ მოვა (ი. ჭავჭავაძე, ქგლ). „მე მისი პურ-მარილი არ დამვიწყნია და არ შემემძლო გვერდით არ დავდგომოდი ამ საქმეში“ (ქსკვ მასალები, იმერეთი).

ადამიანს თუ პური და მარილი აქვს, შეუძლია „პურობა“ გამართოს, ხოლო თუ ორივე აკლია, სუფრა „კოჭლია“, პურობას „პურობა“ არ დაერქმევა.

პურს მაჭმევს პრდ. პურს მაძლევს საჭმელად. ხტვ. მარჩენს, შემინახავს, მაცხოვრებს: „გებრიელ – მოურაობა რა ხელობაა, რა

პურს მაჭმევს?!“ (გ.ერისთავი, ქგლ); „კარგ ოჯახში შევიდა მარიამის გოგო? პურს ხო აჭმევენ?“ (ქსკც მასალები, იმერეთი)

„რაც ადამიანმა გაიცნო პურის თვისება, ის გადაიქცა ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელ საგნად. შემდეგში სიტყვა პური ბუნებრივად განზოგადდა სიტყვა ცხოვრებასთან, გადაიქცა არსებობის, საზრდოობის, რჩენის სინონიმად, ასე რომ, თქმა: პურს მაჭმევს (იგულისხმება რაიმე ხელობა) ხატოვნად ნიშნავს: მაცხოვრებს, მარჩენს, მასაზრდოებს. პური, ამავე დროს, ისევე ბუნებრივად, ისევე ლოგიკურად იქცა სათაყვანო კულტის საგნად. პურის კვერებს აკეთებდნენ სალოცავების მისართმევად, სამსხვერპლოდ; პურის გაჭრა დანით სუფრაზე არ ეგებოდა, უეჭველად ხელით უნდა გაეტეხათ; ჭამის დროს პურის ნატეხი ძირს რომ დავარდნილიყო, უნდა აეღოთ, სული შეებერთათ მიკრობილი მტკერის მოსაშორებლად, მთხვეოდნენ და სუფრის ზედვე უნდა დაედვათ მოწიწებით; პურის დადება თავდაღმა ცოდვად ითვლებოდა; სუფრაზე სანამ პირში ჩაიდებდნენ ლუკმას – პირჯვარი უნდა დაეწერნათ. პურს მომავლის გამოსაცნობ წინასწარმეტყველურ თვისებებსაც მიაწერდნენ, მაგალითად, პურის ნატეხი თუ სუფრაზე ვერტიკალურ მდგომარეობას მიიღებდა, იტყოდნენ: პური დაჯდა, ე.ი. სტუმარი მოვაო და სხვა“ (სახოკია 1954).

პურშავი – პურამვირი, უპურმარილო, სხვისთვის პური რომ არ ემეტება: „პურშავი კაცია, მაგასთან არანაირი ურთიერთობა არ მინდა და არც გვერდით დავიყენებ საქმეში“ (ქსკც მასალები, იმერეთი). სხვის პურმარილზე თვალდაჭერილ ადამიანზე სამეგრელოში იტყვიან: **მედუმურგილე** – ღომის მოყვარული ადამიანია ანუ სხვის საქმელზე უჭირავს თვალი.

პურმარილზე ფეხის დადგმა/ პურმარილზე წიხლის კვრა/ პურ-ღვინისათვის ფეხი დამიდგა – პატივისცემისცემაზე უარის თქმა. ქართულში სტუმრის პატივისცემის უძველეს ტრადიციის მიხედვით პური-მარილი/ პურ-ღვინო აღიქმება როგორც წმიდა, ღვთაებრივი სიმბოლო. სტუმარი, რომელსაც პურ-ღვინით გაუმასპინძლდნენ, მოვალეა თავის მასპინძლის პატივისცემა დააფასოს, დაიხსომოს, პურისა და ღვინის გემოს მარად ტკბილად იგონებდეს, ხოლო პურ-მარილზე ფეხის დადგმა ნიშნავს უკიდურეს უპატივცემულობა. „უგულო და უმწო ადამიანია, პურმალირლზე წიხლი მიკრა,

ჩემი შეურაცხყოფისათვის მაგი შეარცხვინა გამჩენმა!“ (ქსკც მასალები, იმერეთი) .

პურის წილ ქვის მიცემა პრდ. პურის მთხოვნელს ქვა რომ მი-სცე. ხტვ. ბოროტება, გულქვაობა, შეუბრალებლობა, ულმობელობა: „მიდის მოდის ხალხი და გლაზაკს არავისგან საკმაო ნუგეში არ ეძლევა და სჩივის: მე პურს ვსთხოვო, ის ქვს მიდებს ხელშიო“ (ი. ჭავჭავაძე, ქგლ); „ყმაწვილმა შეიძულა სწავლა, შეიზიზღა სასწავლებელი, რომელიც დედინაცვლობას უწევდა მას, რომელიც პურის მაგივრად ქვას მიუპყრობდა, რომელიც თევზის ,მაგივრად გველს აწვდიდა“ (ვ.ბარნოვი, ქგლ).

2. ეკონომიკური მდგომარეობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, რომელიც წარმოადგენს, როგორც სიმდიდრის, ასევე სიღარიბისა და ეკონომიკური გაჭირვების მეტაფორულ გამოხატულებას:

პურიანობა – 1. პურის ქონა. გადავჭერი შინაგანი ბრძოლა ჯამაგირიანობასა და უჯამაგირობასა, პურიანობასა და უპურობასა, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის (ქ. ბაქრ. თარგმ., ქგლ). 2. უხვმარცვლიანობა. “მარტოკა პატრონს ახარებს პურიანობა ყანისა?” (ვაჟა, ქგლ).

პური აღარ მიჭამია! – პური აღარ მექნება საჭმლად. ხტვ. და ირონიულად: დავიღუპები რაღა მეშველება : „უხ, თავს მოვიკლავ პურს აღარა ვსჭამ! რა მენადვლება!“ (ნ.აზიანი, ქგლ)

ხმარობენ ნიშნის მისაგებად, როცა ვინმე მეორეს დააყვედრის სიკეთეს და ეტყვის – ჩემგან დახმარებასა და შველას ნულარ მოელო! ვისაც ამას ეუბნებიან, უპასუხებს: პური აღარ მიჭამიაო! ე.ი. ვედარ ვიცხოვრებო (სახოკია 1954). „დედა, ეს რა მითხარი, ჩვენს დეპუტატს ცოლი გაექცა? აუჰ, პური მაინც მეჭამა“ (ქსკც მასალები, იმერეთი).

პურის კუტი ენატრება (პრდ. ნატრობს, თუ პური არა, კუტი მაინც მომცა პურისაო) – ხტვ. ძალზე გაჭირვებულია, ნახევრად მშვირია. „რაღა საკითხავი ვარ! პურის კუტი რა არის, ისიც კი მენატრება.“, მსგავსი შინაარსით დასავლეთ საქართველოში ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში უეტესად გვხვდება გამოთქმა „ლუკმა პური ენატრება“.

პურსა და წყალზე ყოფნა პრდ. ვისიმე მოცემულ პურითა და წყლით საზრდოობა. ხტვ. სხვის კმაყოფაზე ცხოვრება, სხვისი ხარ-

ჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი. შდრ. ჩემი გოგო – ავია თუ კარგია, ამით პურსა და წყალზე არ არის(ან. ერისთავი-ხოშტარია).

ცარიელი პური შეჭამანდის გარეშე და წყალი გულისხმობს ძალზე მწირ, ღარიბულ საზრდოს, ურომლობა ეტოლება შიმშილს, ამ სიტყვის პირდაპირის გაგებით. ხოლო ვინც ასეთ საზრდოს დასჯერდება და ამით კმაყოფილია, ისეთისათვის გვიქვია: ძალზე გაჭირებული და უპატრონო.

პურადი – პურად უხვი

სავსედ ვართ (ქართლ.) - ეს გამოთქმა იხმარებოდა უარის მაგივრად. პურის სასესხებლად მოსულ მეზობელს, თუ პური გამოცხვარი არ ჰქონდათ, ეტყოდნენ : ს ა ვ ს ე დ ვ ა რ თ ო, ე. ი. არა გვაქვსო (სახოკია 1954).

პური საქართველოში მადლად აღიქმება, წყევლაც არსებობს „პურის მადლი გაგიწყრეს“ და შესაძლოა გამოთქმას „სავსედ ვართ“ (პური არ მაქვს ნაცვლად) ტაბუ უდევს საფუძვლად, პირდაპირ სიღარიბის აღიარება აკრძალული და სირცხვილი იყო. საზოგადოებრივი ნორმა კი ღირსების შენარჩუნებას ემსახურება. ამიტომ გამოთქმა "სავსედ ვარ" – დაცვის სიმბოლური მექანიზმია, პირდაპირი თხოვნის შენიღბვა და სოციალური ურთიერთობის დელიკატური მოდელი.

3. გეოგრაფიულ-კულტურული ვარიაციები. განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ლინგვოკულტურული განსხვავებები პურთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმებში :

პურის სახელის დავიწყება რისამე ვერ მოგონება, დავიწყება. მოუცლევლობა, მეტისმეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა. შდრ. აი, დასწყევლოს ღმერთმა, დღეს რა მომდის! ისე ვარ გაძეძევებული, რომ ლამის პურის სახელიც დამავიწყდეს (სახოკია 1954).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში რისამე დავიწყების, ვერ მოგონების აღსანიშნავად იტყვიან „**მჭადის სახელი დამავიწყდა**“: „კაცს რომ მჭადის სახელი დაგავიწყდება როგორ უნდა იყო“ (ქსკც მასალები, იმერეთი). **კკიდიშ სახელქ ქეშაყორდუა კო-**

ჩის (მჭადის სახელი დაავიწყდა)-სამეგრელო. ზუგდიდის მესხიას უნივერსიტეტში გალიდან გადმოსული სტუდენტებისაგან გავიგეთ, რომ იქ ამ მნიშვნელობით გამოიყენება გამოთქმა **„ზღვის სახელი დამავიწყდა“**.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ეს გამოთქმები უდაოდ ქართული ტრადიციული კულტურის გეოგრაფიულ და კულინარიულ თავისებურებებს ეხება.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ პურთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართულ ენაში წარმოადგენს რთულ ლინგვოკულტუროლოგიურ სისტემას, რომელიც ასახავს:

- სოციალურ ღირებულებებსა და ნორმებს
- კულტურულ იდენტობას
- რეგიონულ თავისებურებებს
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალიებს

ეს ფრაზეოლოგიზმები არა მხოლდ ენობრივი ერთეულებია, არამედ წარმოადგენს ქართული კულტურული მეხსიერების მნიშვნელოვან კომპონენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

ორბელიანი 1991-1993 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, გამომცემლობა მერანი, თბილისი.

სახოკია 1954 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტომი II, გამომცემლობა სახელგამი, თბილისი.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, ელ. ნადირაძე, რედაქტორი, რ. მეტრეველი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.

დლონტი 1974 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომცემლობა განათლება, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გამომცემლობა, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გამომცემლობა ნეკერი, თბილისი.

ხაჭაპურიძე 2017 – ლ. ხაჭაპურიძე, ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება, აწსუ გამომცემლობა, ქუთაისი.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/>

შემოკლებანი

ქსკც მასალები – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალები

ქგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი -<https://www.ena.ge/explanatory-online>

ხტვ – ხატოვნად.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

„ზრზო“ სიტყვი წარმომავლობისათვის

სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში **„ზრზოს** ასე განმარტავს: „**ზრზო** სიმრავლე ჯართა ZAA.“¹ (სულხან-საბა 1991).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ზრზო**¹ არის: „1. ადამიანთა უწესრიგო გროვა. *სარიდანმა გულმოსულად გა-*

¹ „**ჯარი** მრავალნი კაცნი ZACD... B“ (სულხან-საბა 1991). „**ჯარი** 1. შეიარაღებული და საბრძოლველად მომზადებული ადამიანების ერთობლიობა, – ლაშქარი... 2. ძვ. თავმოყრილი ხალხი, ხალხის დიდი შეკრებილობა... **ჯარად** ზმნს. ერთად, ჯგუფად (ადამიანები)... 3. დღეობაში ან ხატობაში დროს გასატარებლად შეგროვილი ხალხი... (ქეგლ VIII, 1964); ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (ილ. აბულაძე 1973) არ არის დადასტურებული არც **ზრზო**, არც – **ჯარი**; ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“: „**ჯარი** სიმრავლე“ (ზ. სარჯველაძე 1995).

არღვია ახარხარებული ბრბოს წრე და თავის გზას გაუდგა (ა. ბელ.). ძალიან მიკვირს, რომ აქამდინაც არ შეუკრა გზა ამ ბრბოს ჩვენმა ლაშქარმა (ვ. ბარნ.). გირშელმა თვალი მოავლო გარს მოჰარულ ბრბოს (ვ. გამს.). გასისხლიანებული ყარაული ტკივილისაგან აღრი-
ალდა და ბრბოში შეიჭრა დამნაშავის საპოვნელად (ს. კლდ.). 2. არა-
ორგანიზებული, ბნელი სულისკვეთების ხალხი. ეს ბრბო, მდუმარე,
მარად მორჩილი, ნუთუ კვლავ ათრევს უღელს საზიზღარს? (ი. ევდ.). ბრბო იყო ირგვლივ, უიმედო, როგორც მორევი (ვ. გაფრ.)“
(ქეგლა I, 2005).²

ბაქარ გიგინეიშვილის „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმო-
ლოგიურ ლექსიკონში“ სიტყვა **ბრბოსთან** დაკავშირებით აღნიშნ-
ულია: „**ბრბო** შეუგნებელ ადამიანთა გროვა. ძველ ქართულში გამო-
ვლენილი არაა. დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსი-
კონში განმარტებით „სიმრავლე ჯართა“. წარმომავლობა უცნობია“
(ბ. გიგინეიშვილი 2016).

ვფიქრობთ, სიტყვა **ბრბო** ფუძის გაორმაგებითაა მიღებული.
როგორც ცნობილია, რედუპლიკაცია სიტყვაწარმოების ერთ-ერთი
უძველესი საშუალებაა, რომელიც ამავედროულად მრავლობითობას,
ინტენსივობასაც გამოხატავს.

ფარნაოზ ერთელიშვილის მონოგრაფიაში („სახელურ ფუძეთა
ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“,
I ნაწილი) წარმოდგენილ სახელური ფუძეების სტრუქტურულ მო-
დელებში, კერძოდ, **ფრთა** (CCCV) ტიპის ფუძეებში [თანხმოვანთა
თავკიდურა კომპლექსის მოდელები] დამოწმებულია სიტყვა **ბრბოც**
(ფ. ერთელიშვილი 1980, 7), თუმცა II ნაწილში, სადაც განხილულია
მარტივი, წარმოქმნილი და რედუპლიცირებული სახელური ფუძე-
ების ფონეტიკური ცვლილებები, ამ სიტყვის წარმომავლობაზე არა-

¹ ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ **ბრბოს** შემდეგი ლექ-
სიკური ერთეულებია დამოწმებული: 1. colloq. ქაქანახირი. ადამიანთა შეკ-
რებულება, ხალხი, ჯარი, ჯამათი, თაბუნი, გროვა, ურდო, უღესი,.. მარაქა,..
ჯარ-ჯამათი. 2. ჯოლომოლოლო ხალხი, ხარახურა ხალხი, ნაყარწყარი ხალხი,
ცოცხით მოხვეტილები, ავარა ხალხი, ავარები, ნამირალები,.. ვიგინდარები,
ყარტაყურტა (ხალხი), მოთრეული, დუნდგო (უწყსრიგოდ თავმოყრილი
ხალხი)...“ (ალ. ნეიმანი 1978).

ფერია ნათქვამი. ფ. ერთელიშვილი **ბორ** ძირის გაორმაგებით მიღებულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს განიხილავს, მაგრამ არა – ბრბოს¹. ფარნაოზ ერთელიშვილის დამოწმებულ ლექსებში არის „**ბორი** იხ. **ბური**“ (ქეგლ I, 1950)“ (ფ. ერთელიშვილი 1980, 199).

„**ბორი** ჯმელი ნისლი მტერის მსგავსი ZAa...“ (სულხან-საბა 1991). „**ბორი** იხ. **ბური**“ (ქეგლ I, 1950). „**ბური** 1. სიცხის დროს ჰაერში დამდგარი მტვერი, რაც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს... 2. ანაორთქლი, ბურუსი (ბუერი)... 3. გადატ. სიბნელე...“; „**ბორიაცი** დიდი სიცხისგან და მტერისგან დამდგარი ბურუსი...//ბული...“ (ქეგლი I, 2005).

საყურადღებოა, რომ ქართლური ამ მნიშვნელობას სწორედ **ბრბო** სიტყვით გამოხატავს: „**ბრბო** (ქართლ.) ბული. „ჩამაიღრუბლა და ბრბო დატრიალდა სიცხისა“ (მ. მესხ. 1970)“ (ალ. ლლონტი 1984). ასეთივე მნიშვნელობითაა დადასტურებული ეს სიტყვა თამარ ბეროზაშვილის, მერი მესხიშვილისა და ლამარა ნოზაძის „ქართლური დიალექტის ლექსიკონში“: „**ბრბო** (ქართლ.) ბული, ალმური. „პატარა სახლი აქთ, ესე, ემოდენაი და სიცხის ბრბო ტრიალევს სულა (საგურ.). ჩამაიღრუბლა და ბრბო დატრიალდა სიცხისა (საგურ.)“ (თ. ბეროზაშვილი... 1984). შდრ.: **ბრე** „მტვერი ბზენარევი“ (სულხან-საბა 1991); **ბრე** „გალეწილი ფეტვის ბზე... „მე ფეტვი, შენ ბრეო (ხალხური)...“ (ავ. შანიძე I, 1984, 293). აქვე: **ბურბურა**² საერთო სახელწოდება რამდენიმე მცენარისა (ქარქვეტასი, წინწკარასი და სხვ.), რომელთაც ახასიათებს თესლის გავრცელების თავისებური ხერხი: თესლის მომწიფების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილს ქარი ად-

¹ ფ. ერთელიშვილი **ბორ** ძირის გაორმაგებით მიღებულ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს განიხილავს: ა). „**ბორ** ძირის (**ბორა** – ერთგვარი ფრთიანი მწერი... ქეგლ I) გაორმაგებით ჩანს მიღებული ***ბორ-ბორ** > ***ბორ-ბოლ** > ***ბო-ბოლ** (**ბობოლი** – დიდრონი ჭია-ჭუა (საბა) [სქ. მეგრულ-ქანურშიც **ბო-ბოლ** გვაქვს (მეგრ. **ბოხოლია**, ქან. **ბოხოლა**//**ბომხულა** „ოზობა“, არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ 112...)]... მეორე მხრივ, ***ბორ-ბორ** > ***ბო-ბორ** (**ბოხოლია** – ოზობა...))... ***ბორ-ბოლ** ფუძეს მოეპოვება ვარიანტი მეორე სეგმენტში **ა** გახმოვანებით: **ბორ-ბალ** (**ბორბალა**– ოზობა, გურ. ჟღ.)...“ და მკვლევარი პირობითად უშვებს, რომ „**ბოხოზაბორ-ბალ**-ისა და **ბო-ბო**-ს კონტამინაციური წარმონაქმნია: ***ბო-ბორ-ბალ** > ***ო-ბორ-ბალ** > ***ო-ბორ-ბა** > **ო-ბო-ბა**... ბ). **ბორბოლ** ფუძეს ქართულში შემონახული აქვს „თეთრი ფერის“ მნიშვნელობაც. **ბორ-ბოლი** შემონახულია ხევსურულის კომპოზიტურ წარმოებაში–**ბორ-ბოლ-ი-კყი** (**ბორბოლიკყი** – ბროლის კრისტალი, ხევს. ჭინჭ.)... ამავე **ბორ-ბოლ**-ისაგან უნდა მოდიოდეს **ბროლი**“... (ფ. ერთელიშვილი 1980, 199).

ვილად მოწყვეტს ხოლმე და ბურთივით მიაგორებს მინდვრებში. მოაგორებდა მინდვრებში ქარი ჩემს ეზო-კარზე გაზრდილ ბურბურას (გ. კვარ.).“ (ქეგლი I, 2005).

„მნელია ითქვას, რომ თითოეული სონანტებზე დაბოლოებული ფუძეთაგან ისტორიულად ქართულის კუთვნილებაა. ზოგი, ალბათ, სხვა ენათაგან არის შეთვისებული (ამას სპეციალურად უნდა კვლევა), მაგრამ ფაქტია: ერთმარცვლიან სახელურ ფუძეთა შორის სონანტებით დაბოლოებული ფუძეები ქართულის ერთ ძირითადსა და უძველეს ფენას წარმოგვიდგენენ...“ (გ. ერთელიშვილი 1980, 105).

სავარაუდოდ, როგორც მოყვანილი ილუსტრაციებიდან ჩანს, ამოსავალი მნიშვნელობა რედუქციკაციით მიღებული **ბრზო** სიტყვისა უნდა იყოს „სიმრავლე“ [სულხან-საბა, ზ. სარჯველამე...], შდრ., ქართლურ დიალექტში: „**ბრზო** ბული“. მოგვიანებით (თანდათან) ამ სიტყვამ მიიღო უარყოფითი მნიშვნელობა და ძირითადად გამოიყენებოდა დამამცირებელი, შეურაცხყოფელი სემანტიკით¹. სინონიმთა ლექსიკონში.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“. თბილისი.

¹ ამ (სემანტიკის) თვალსაზრისით საინტერესოა მთის დიალექტებში დადასტურებული სიტყვები – **ბრო**, **ბროიანი**: „**ბრო** მთ. **ბროიანი** მთ., მოჭ., ფშ., ჯ., თ. შარიანი კაცი, გაჯავრებული, ხანდახან რომ მოუვა გული, მოუთმენელი (ა. შან.); თ., ფშ. ხანდახან გიჟი, ხანდახან ჭკვიანი“... (აკ. შანიძე I, 1984, 293). შდრ.: გურ. **ბორო**, **ბოროიანი** „კაცი, რომელიც ერთ აზრს, ერთ საქმეს ვერ შერჩება და ხშირად მოულოდნელად და უმიზეზოდ იცვლის ხოლმე გუნებას“ (გ. შარაშიძე 1938). **ბრო**: „**ბრო** ბრუ. **ბროიანი** თავბრუდახსმული, დარეტიანებული. ეეს რაჭელიდ დავ ბროიან ბატკანივით! (შდრ. ა. შან.: **ბრო**, ა. შან., ო. ქაჯ. **ბროიანი**, გ. შარამ. **ბორო**, **ბოროიანი**)...“; **ბორბოწია**¹ 1. ქარბორბალა. 2. ირგვლივ ტრიალი, ორომტრიალი. დასცილებია შაბურასაო ბორბოწია მითხოს-ჩდილსაო (ხევს. თავის. 421,2). **ბორბოწიაობ**-ს ერთ ადგილზე ტრიალებს. საუბარ გძლად[დ] მიდის, მე და ჩალხ ვბორბოწიაობთ ხევჩი (ხევს. თავის. 421,2)“ (ალ. ჭინჭარაული 2005).

ბეროზაშვილი... 1981 – თ. ბეროზაშვილი, მერი მესხიშვილი, ლამარა ნოზაძე, „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“. თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონი“. თბილისი.

ერთელიშვილი 1980 – ფ. ერთელიშვილი, „სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“. თბილისი.

მესხიშვილი 1970 – მ. მესხიშვილი, „მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის“. თბილისი.

ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“. თბილისი.

სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი.

ორბელიანი 1991 – ს.-ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

ქეგლ VIII, 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული) ტ. VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლი I, 2005 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. I (ა-ბ), ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი: ავთანდილ არაბული, თბილისი.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“. თბილისი.

შანიძე I, 1984 – ა. შანიძე, ტ. I „ქართული კილოები მთაში“, თბილისი.

შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე, „გურული ლექსიკონი“, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ა. ჭინჭარაული, „ხევსურული ლექსიკონი“. თბილისი.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ნინო ჯორბენაძე ქეთევან რეხვიაშვილი

ერთი ტიპის რთულ ფიტონიმთა მართლწერის საკითხისათვის ქართულში

ფიტონიმები ქართულ ენაში მრავალფეროვანი ტერმინებით გამოიხატება, რაც აისახა კიდევ ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ამ მხრივ სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს **ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონს“** (ა. მაყაშვილი 1961). მიუხედავად იმისა, რომ გამოცემის დღიდან ლექსიკონს სამართლიანად ენიჭება გამორჩეული მნიშვნელობა ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევის თვალსაზრისით, დღეისათვის იგი სრულად ვერ ასახავს რეალურად არსებულ სურათს; კერძოდ, გასასწორებელია: **1. ბოტანიკური უზუსტობანი** – ბევრი მცენარის დასახელება არშეესაბამება მის ბოტანიკურ მახასიათებელს; **2. სამეცნიერო სახელთა ნაკლულობა** – ლექსიკონში არ ჩანს ქართულ წერილობით წყაროებსა და სხვადასხვა ლექსიკონებში, ასევე – **დიალექტებში** დადასტურებული (რომლებიც ფიტონიმების ტერმინობანკის შეესება-დახვეწის პრივილეგირებულ და ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ წყაროს წარმოადგენს) არაერთი მცენარის სამეცნიერო სახელი; **3. მცენარეთა სამეცნიერო სახელების ლათინურიდან ქართულად გადმოტანის ზოგადი წესების** – კერძოდ, **კარლ ლინეს** მიერმცენარეთა სახეობების აღსანიშნავად შემოტანილი და საყოველთაოდ აღიარებული ე.წ. **„ბინომინალურიობის სისტემის“** (მცენარის სახეობის აღმნიშვნელი ეპითეტი და გვარი) **დარღვევის შემთხვევები**; **4. პარალელური ფორმები** – დასამუშავებელია ფიტონიმთა სტანდარტიზაცია-ნორმალიზაციის საკითხები და ფონეტიკური (ხშირად დიალექტური) ვარიანტებიდან დასატოვებელია მხოლოდ ერთი, უფრო გავრცელებული და ქართული ენის კანონების მიხედვით გამართული ფორმა.

ამ და სხვა ხარვეზების აღმოსაფხვრელად 2018 წლიდან ავტორთა ჯგუფმა (**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე**) დავიწყეთ **„მცენარეთა ქართველური სახელების კრებისათი ლექსიკონის“** შედგენა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც განახლებულ ლექსიკონში ივარაუდება, **ფიტონიმთა სტანდარტიზაცია-ნორმალიზაციის მრავალგვარ საკითხებს მოიცავს**. ამათგან ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მცენარეთა სახელების მართლწერას ეხება. ამჯერა, ჩვენი ყურადღება ერთმა მეტად საჭირობო-როტო საკითხმა მიიპყრო; კერძოდ – რომელია ლექსიკონებში და-დასტურებული პარალელური (1. დეფისიანი, 2. ერთსიტყვიანი უდეფისო და 3. ორსიტყვიანი უდეფისო) ვარიანტებიდან სწორი ფორმა, მაგ.: **მარწყვის ენა, მარწყვის ენა**, თუ **მარწყვის-ენა**? (ქეგლი 1950-1964, ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი 1998).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებთან (**ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე**) კონსულტაციის შედეგად შევიმუშავეთ შემდეგი წესი: თუ ფიტონიმის დასახელებაში არ ფიგურირებს **მცენარის ზოგადი სახელი (ხე, სოკო, ბალახი და სხვა...)**, ასეთი **ფიტონიმები, ქართული ენის კანონების შესაბამისად (როგორც ერთგნებთან კომპოზიტი) ერთად უნდა დაიწეროს**.

ამ კუთხით გავასწორეთ სიჭრელე და ერთ სიტყვად გავაერთიანეთ შემდეგი სახის ფიტონიმები: **მარწყვისენა** (და არა *მარწყვის ენა* ან *მარწყვის-ენა*), **გველისენა, ქრისტესისხლა, ცულისპირა, წითელწვერა** და მრავალი სხვა ამ ტიპის ფორმა...

ამასთანავე, ექსპერიმენტის სახით, აღნიშნული ცვლილების გასაცნობად და ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული აუდიტორიის აზრის გასაგებად ავტორთა ჯგუფი დაუკავშირდა **თბილისის 41-ე საჯარო სკოლის** მასწავლებელს **ქეთევან რეხვიაშვილს**. აღნიშნულ სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში დანერგილია კლუბური მუშაობა (ჩამოყალიბებულია რამდენიმე წრე). ჩვენი ჯგუფის მიერ მასწავლებელთან ერთად ჩატარდა ინტერაქტიური ლექცია-სემინარი **ქართული ენის წრის** მოსწავლეებისათვის (ძირითადად, **მე-7-10** კლასის მოსწავლეები).

ჩატარებული ლექცია-სემინარის ფარგლებში ჯერ მოსწავლეებს ფიტონიმთა დაწერილობასთან დაკავშირებული ზემოდასახელებული კონკრეტული პრობლემა გავაცანით, შემდეგ კი მათეული ერთ-ერთი ვარიანტის არჩევა შევთავაზეთ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ სწორედ **ჩვენ მიერ დადგენილი უდეფისო წარმოების ფორმები მიიჩნია სწორ ვარიანტად...** ლექცია-სემინარი

მრავალფეროვანი და დატვირთული აღმოჩნდა: მოსწავლეებს შევთავაზეთ საკითხთან დაკავშირებული სახალისო სავარჯიშოები, რამდენიმე ასეთი სავარჯიშო მათ ადგილზეც მოიფიქრეს. უხვად იყო წარმოდგენილი ფიტონიმების ამსახველი ფოტომასალაც...

აღნიშნული ლექცია-სემინარი ორივე მონაწილე მხარისათვის საინტერესო, ინფორმაციული და შედეგიანი აღმოჩნდა.

ფიტონიმების მართლწერის ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული მსგავსი ლექცია-სემინარების ჩატარებას ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ.

გამოყენებული ლიტერატურა

მაყაშვილი 1961 – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ქეგელი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი – ხევისურული დიალექტი გურამ რჩეულიშვი-
ლის შემოქმედებაში7
- ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი – კვლავ ტოპონიმ „ბოდში“-ს შესახებ12
- ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, მ. ბ ე რ ი ძ ე – ერთი პოლემიკის შესახებ ინგილო-
ურის თაობაზე (XIX საუკუნის 90-იანი წლების პრესის
მასალების მიხედვით)18
- მ. ბ ე რ ი ძ ე – პოტენციური შესაძლებლობის არჩევანი თუ ენათა
კონტაქტის შედეგი? – აწმყოს მეშველზმნიანი წარმოე-
ბა ქართული ენის ინგილოურ დიალექტში25
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – „კოჭლი“ პარადიგმები ზემოიმიერულში
(ენობრივი ატავიზმის ერთი შემთხვევა)34
- ე. დ ა დ ი ა ნ ი – მეფუტკრეობის ლექსიკისათვის ტაოურ დიალექ-
ტში39
- ნ. ზ უ მ ბ ა ძ ე – ქართული მუსიკალური დიალექტები და ბატონე-
ბის სიმღერა45
- ლ. კ ა პ ა ნ ა ძ ე – ფუძედრეკად ზმნათა გათემისნიშნაწების პროცე-
სისათვის ზემოიმიერულში51
- ლ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი – CSS სტრუქტურის ძირთა სუპერაცი-
ის შემთხვევები ქიზიყურში57
- მ. კ უ ხ ა ლ ა შ ვ ი ლ ი – ერთი ნაწილაკის შესახებ ქართულ დია-
ლექტთა შორის61

ე. ნ ა პ ი რ ე ლ ი, მ. ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი – ინგილოური დიალექტის კორპუსული ლექსიკონი.....	65
რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე – ზემოიმერული ლექსიკიდან (ქ. მოწენიძის მასა- ლების მიხედვით)	72
მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი, ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი – რძის პროდუქტებთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებუ- ლი ლექსიკისეთნო-ლინგვისტური ასპექტებისათვის სვანურში	83
მ. ფ ა ღ ა ვ ა – მასალები ბაიბურთის ტოპონიმიისათვის	90
ე. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე – ემენ დავითაძის შემოქმედების ზოგიერთი ენობრივ-სტილური თავისებურება	103
ნ. ფ ხ ა კ ა ძ ე – დიალექტი როგორც სოციალური იდენტობის მარ- კერი თანამედროვე ქართულ მედიასა და კულტურულ დისკურსში	110
ჭ. ქ ი რ ი ა – ნანათესაობითარი ბრუნვების საკითხი მეგრულ-ლა- ზურში.....	117
ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურება კახურში.....	124
შ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – რელიგიური სახეების ფოლკლორული ტრან- სფორმაცია სვანურ ზღაპრებში.....	131
ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა – კერვასთან დაკავშირებული (მეგრული ჭალა „კერვა“) სიტყვის სემანტიკური ცვლილებები	137
ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი – პიროვნების სახელი, მეტსახელი და პერსონა- ჟის სახელი.....	141

მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ფრაზეოლოგიზში <i>ჭორის დედა</i> პოეტური ინტერპრეტაციით შოთა ნიშნიანის ბელეტრისტული პოემიდან „წითელი და იისფერი“	149
მ. ჩ უ ხ უ ა – ერთი მეგრული სიტყვის წარმომავლობისათვის (მათორხი / მათოხ-ი)	154
ნ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი – მეტეგარი სახელების წარმოება კახეთში, სოფელ ქვემო ქედში, მიგრირებულ ფშავლებში	156
ს. ჭ ა ა ვ ა – სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული დიალექტოლოგიური ექსპედიციები 1956 წლის საარქივო მასალების მიხედვით.....	173
ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ზოგი ნასესხები ლექსემისსემანტიკური ცვლილება გარეკახურის სართიჭალურ თქმაში.....	180
ლ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, თ. ხ უ ფ ე ნ ი ა – პურის სიმბოლიკა ქართულ ფრაზეოლოგიაში: კულინარიული და კულტურული ინტერპრეტაციები.....	187
ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – „ბრბო“ სიტყვი წარმომავლობისათვის.....	195
ნ. ხოჭოლავა - მაჭავარიანი, ნ. ჯორბენაძე, ქ. რეხ-ვი ა შ ვ ი ლ ი – ერთი ტიპის რთულ ფიტონიმთა მართლწერის საკითხისათვის ქართულში.....	200